საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ქ. ქეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი

ად-გუსთანი

X საუკუნის სინური ხელნაწერის მიხედვით

არაბული ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა

რუსუდან გვარამიამ

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1965

II (Араб)
892.7
ა 45

წიგნში პირველად ქვეყნდება ქრისტიანული არაბული ლიტერატურის აღრეული პერიოდის ძეგლი „ალ-ბუსთანი“. ძეგლს მნიშვნელობა აქვს არაბულენოვანი ქრისტიანი მოსახლეობის ლიტერატურული მემკვიდრეობისა და ენის შესწავლისათვის. ამავე დროს იგი წარმოდგენას იძლევა არაბულენოვან ქრისტიანთა და სხვა ქრისტიან ხალხთა, კერძოდ, ქართველებსა და ბერძნებს შორის არსებულ ლიტერატურულ კონტაქტზე.

რედაქტორი: გ. წერეთელი

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა 7
I. ხელნაწერის აღწერილობა და მისი დაწერის დრო . . 9
II. არაბული „ალ-ბუსთანი“ და სირული ნუსხა 12
III. სირული „ალ-ბუსთანისა“ და ქართული „სამოთხის“ ურთიერთმიმართება 40
IV. ხელნაწერის ორთოგრაფიული და ენობრივი თავისებურებანი 53
ქართული თარგმანი 75
არაბული ტექსტი ٣
საძიებელი ٦١

წინასიტყვაობა

„ალ-ბუსთანი“ ბერძნული აპოთეგმატური თხზულების, „ლიმონარის“ არაბულ ვერსიას წარმოადგენს. იგი მნიშვნელოვანი ძეგლია ადრეული არაბული ქრისტიანული მწერლობისა და, როგორც მოღწეულ ხელნაწერთა რაოდენობის მიხედვით ირკვევა, საკმაოდ გავრცელებული ყოფილა არაბულ ენაზე მოლაპარაკე ქრისტიანთა შორის. ამასთან „ალ-ბუსთანის“ მნიშვნელობა მხოლოდ ქრისტიანული არაბული ლიტერატურის საკითხთა სფერო ოთი არ განისაზღვრება. ერთი მხრივ, სხვა ვერსიათა გვერდით, მას გარკვეული წვლილი შეუძლია შეიტანოს ბერძნული „ლიმონარის“ შედგენილობის კვლევის საქმეში; მეორე მხრივ, მის გარეშე ვერ გადაწყდება „ლიმონარის“ ქართული ვერსიის — „სამოთხის“ წარმომავლობის საკითხი. მაგრამ ეს ძეგლი ჯეროვნად შესწავლილი არ არის. ამის მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზი ისაა, რომ მის ხელნაწერთაგან არც ერთი არ არის გამოცემული, ხოლო მათი აღწერილობანი, უმეტეს შემთხვევაში, ძალზე ძუნწი და ზოგჯერ არაზუსტიც არის. ამდენად, „ალ-ბუსთანის“ ხელნაწერთა გამოცემა ამჟამად საშურო საქმედ უნდა ჩაითვალოს.

ჩვენ ვაქვეყნებთ „ალ-ბუსთანის“ ტექსტს ცნობილ ხელნაწერთაგან ყველაზე ადრინდელი და სრული, X საუკუნის ნუსხის — Sin. 549 — მიხედვით. ვურთავთ თარგმანსა და გამოკვლევას, რომელშიც ხელნაწერის აღწერა-დახასიათების შემდეგ, არაბული „ალ-ბუსთანის“ ზოგადი ხასიათისა და ქართულ-არაბულ ვერსიათა მიმართების საკითხებთან დაკავშირებით, ვიძლევით მის შეპირისპირებას ბერძნულ და ქართულ ტექსტებთან. ვეხებით აგრეთვე ხელნაწერის ენობრივ თავისებურებებსაც იმდენად, რამდენადაც ამ მხრივ სინური „ალ-ბუსთანი“ ტიპიური ძეგლია ადრეული ქრისტიანული არაბული მწერლობისა.

სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია მადლობით მოვიხსენიოთ ის პირები, რომელთაც წარმართეს ჩვენი მუშაობა სინურ „ალ-ბუს-

თანზე“: ინტერესი ამ ძეგლისადმი პროფ. ილ. აბულაძის დაკვირვებათა შედეგად აღგვეძრა, რომელმაც ყურადღება მიაქცია ქართული „სამოთხის“ თხრობებში ადრეული პერიოდის ქართული ორიგინალური და ბერძნულიდან ნათარგმნი ძეგლებისათვის უჩვეულო არაბული ლექსიკისა და საკუთარ სახელთა არაბიზებული ფორმით ხმარების შემთხვევებს. პროფ. გ. წერეთლის რჩევითა და დახმარებით შევუდექით არაბული ტექსტის შესწავლისა და გამოცემის საქმეს. არაბული ტექსტის ძიებაში დახმარება აღმოგვიჩინა პროფ. G. Garitte-მა. მან გამოგზავნა მიკროფილმი ამ მნიშვნელოვანი სინური ხელნაწერისა.

I

ხელნაწერის აღწერილობა და მისი დაწერის დრო

არაბული სინური „ალ-ბუსთანი“ წარმოადგენს ნაწილს არაბული ხელნაწერი კრებულისა, რომელიც დაცულია სინას მთაზე წმ. ეკატერინეს მონასტერში. მისი შიფრია — Sin. 549.

M. Dunpol Gibson-ის სინურ ხელნაწერთა კატალოგში ამ კრებულის შედგენილობა შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: اقوال من القديسين باسليوس وانسطاسيوس وغريغوريوس ونونس وفم الذهب وانطونيوس وماراقرام والبسطان (sic) الذى كتبه سفرونيوس بطريرك بيت المقدس. والخ[1]. აქედან ჩანს, რომ ხელნაწერი პატრისტიკული ხასიათისაა და მასში „ალ-ბუსთანი“ სულ ბოლოსაა მოქცეული. დამატებით ცნობებს ამ ხელნაწერის შესახებ M. Dunpol Gibson-ის კატალოგი არ შეიცავს.

წმ. ეკატერინეს მონასტრის არაბულ ხელნაწერთა მიკროფილმების კატალოგში შემდგენელს—Aziz S. Atiya-ს Sin. 549 დახასიათებული აქვს, როგორც პატრისტიკული ძეგლი და მოცემული აქვს მისი სავარაუდო თარიღი—X საუკუნე. იგი აღნიშნავს, რომ ხელნაწერი შეიცავს სოფრონის „მამათა სამოთხეს“, ადგილებს აპოფთეგმატადან, სიტყვებსა და ქადაგებებს ეკლესიის მამებისა: იოანე ოქროპირის, ბასილის და სხვ. სოფრონის „მამათა სამოთხის“ იდენტიფიკაციას იგი არ იძლევა[2].

G. Graf-ს ხელნაწერი Sin. 549 შეტანილი აქვს „ალ-ბუსთანი“-ს ხელნაწერთა სიაში[3]. უფრო დაწვრილებითი ცნობები ამ ნუსხის შესახებ ლიტერატურაში ცნობილი არ არის.

G. Garitte-ს თავაზიანი დახმარებით ჩვენ ხელთ გვაქვს მიკროფილმი ამ სინური ხელნაწერი კრებულის, საკუთრივ, ბუსთანისეული ნაწილისა. შევეცდებით წარმოვადგინოთ მისი ტექნიკური აღ-

[1] Studia Sinaitica, III, გვ. 116.

[2] Aziz S. Atiya. The Arabic Manuscripts of Mount Sinai, Baltimore, 1955, გვ. 22. წმ. ეკატერინეს მონასტრის მიკროფილმირებულ ხელნაწერთა საერთო კატალოგში არაბულ ხელნაწერთა განაკვეთი Aziz S. Atiya-ს მიერ მომზადებული აღწერილობების მიხედვითაა წარმოდგენილი. Sin. 549-ს მიმართ აქ მხოლოდ დარგია ზოგადად მითითებული—„Patristica“ და მოცემულია მიახლოებითი თარიღი—X ს. იხ. Checklist of Manuscripts on st. Catherine's Monastery Mount Sinai, Washington, 1952, გვ. 36.

[3] G. Graf, Geschichte der christlichen arabischen Literatur, B. I, Studi e Testi 118, Vatican, 1944, გვ. 383.

წერილობა, რამდენადაც ამის შესაძლებლობას მოგვცემს მიკროფილმი.

კრებულში „ალ-ბუსთანს“ უკანასკნელი გვერდები 273r — 347v; ქაღალდის ზომა, როგორც Aziz S. Atiya-ს კატალოგის მიხედვით ირკვევა, ყოფილა 16 × 13,5. სტრიქონთა რაოდენობა მერყეობს 15-სა და 17 სტრიქონს შორის. ტექსტი ბოლონაკლულია — წყდება უკანასკნელი თხრობის დაუმთავრებელ ფრაზაზე. შიგ ტექსტშიც 337-ე ფურცლის შემდეგ აკლია ფურცელი (ერთ დაუმთავრებელ თხრობას მოსდევს მეორე თხრობის დასასრული), მაგრამ პაგინაციაში ეს ასახული არ არის. დაცულობა ძირითადად კარგია. გამონაკლისს წარმოადგენს ზოგიერთი ადგილი და ფურცელი, სადაც მელანი გადაშლილია. ძალიან ცუდად იკითხება ფურცლების 290r და 308r დასაწყისი სტრიქონები. 308-ე ფურცლის ქვედა ნაწილი ისეა დაზიანებული, რომ ტექსტი სრულებით არ ჩანს. აგრეთვე, ცუდი ფოტოგრაფირების გამო, ცალკეული ადგილები ძალიან ძნელი გასარჩევია, მაგალითად, ნაწილი გვერდებისა 343v, 344r, 325v, 326r, 343v, 344r.არეებზე ზოგან მიწერილია ტექსტში ჩასამატებელი სიტყვები. ჩასამატებელ სიტყვებსა და ადგილებთან უმეტეს შემთხვევებში ჯვრებია დასმული. დასაწყისი სამი სტრიქონი—სამების ფორმულა, მითითება სათაურზე და ავტორზე დაწერილია სინგურით. ფრაზები ერთმანეთისგან გამოყოფილია სინგურშემოვლებული მსხვილი წერტილებით. თხრობათა გამყოფს წარმოადგენს ოთხი წერტილი, რომელთა შორის სინგურის წერტილია. ასეთი გამყოფი ზოგჯერ ფრაზებს შორისაცაა გამოყენებული. გახმოვნება არ არის. დიაკრიტიკული ნიშნების დარღვევის შემთხვევები ხშირია. თვ მარბუტას წერტილები, ჰამზა და თაშდიდი სრულებით არ არის წარმოდგენილი.

„ალ-ბუსთანის“ მთელი ხელნაწერი, გარდა უკანასკნელი ფურცლისა, დაწერილია ერთი ხელით. უკანასკნელი ფურცლის ხელი საკმაოდ ჩამოყალიბებული ნასხია, ოღონდ ადრეული ტიპისა. დანარჩენი ფურცლების, ფაქტიურად მთელი ტექსტის ხელიც ნასხია, მაგრამ თავისებური. იგი გამოირჩევა გარკვეული კუთხოვანებითა და მოუქნელობით. მაგალითად, კუთხოვანია ჰ უფრო მეტად სიტყვის თავსა და შუაში. ص, ض დაბალ, გაგრძელებულ ტრაპეციას მოგვაგონებს. ხ და ẖ რამდენადმე მომრგვალებულია და მარცხენა კუთხით წაკვეთილი, რადგანაც მისი ზემოთა ხაზი შეუერთებია — მარჯვნივაა გადახრილი. ზოგჯერ ع და ء სიტყვის ბოლოს კუთხოვანია. ي და ى ჩვეულებრივ ძალიან მოუქნელია. ხშირად თავისებური დაწერილობა აქვს სიტყვის ბოლოს ك ით—

მარჯვნივ შებრუნებული გაშლილი კუთხით. ﻙ, ﺕ, ﺏ მარცხნივ მოუმრგვალებელი გაშლილი ხაზის სახითაა წარმოდგენილი. ალიფი ხაზს ქვემოთ ჩამოდის. ﻩ სიტყვის დასაწყისში და შუაში ერთნაირად იწერება. სიტყვის ბოლოს და ცალკე მდგომი ﻩ, ﺓ, ﺔ ჩვეულებრივ ნაკლებ არის მომრგვალებული.

თავისი ძირითადი ხასიათით სინური „ალ-ბუსთანის“ ხელს შეიძლება მიუდგეს ის კვალიფიკაცია, რომელსაც H. L. Fleischer-ი აძლევს ზოგიერთი ადრეული არაბული დამწერლობის ნიმუშებს: „ქუფთან ახლოს მდგომი მოუქნელი ნასხი“[4]. ასეთი დამწერლობის გამოქვეყნებული ნიმუშებიდან, რომლებთანაც სინური ნუსხა ამჟღავნებს მსგავსებას, შეიძლება დავასახელოთ VIII საუკუნის ბერძნულ-არაბული კოდექსის ფრაგმენტი F. Tischendorf-ის კოლექციიდან, რომლის აღწერილობა და ნიმუში გამოცემული აქვს H. L. Fleischer-ს[5]; 885 წლის სინური ხელნაწერი, რომლის ნიმუში შეტანილია W. Wright-ის პალეოგრაფიულ ალბომში[6]; IX საუკუნის პირველი ნახევრის ბერძნულ-სირიულ-არაბული ფსალმუნის ფრაგმენტი ნ. პიგულევსკაიას მიერ გამოქვეყნებული[7].

„ალ-ბუსთანის“ სინური ნუსხა ამ ადრეულ ხელნაწერთა რიგში დგება, მაგრამ მათგან განსხვავებით ქუფური ელემენტი მასში რამდენადმე შერბილებულია. ეს გარემოება მის თარიღს ცოტა გვიან უნდა სწევდეს. ძალზე დიდ მსგავსებას სინური „ალ-ბუსთანი“ ამჟღავნებს IX საუკუნის მიწურულის ხელნაწერთან, რომელიც დაცულია ლენინგრადში სალტიკოვ-შჩედრინის ბიბლიოთეკის ფონდში. ეს ხელნაწერია პავლე მოციქულის ეპისტოლე 279/892—893 წწ.— Ар. Н. С. 327. ქუფური ელემენტი აქაც შერბილებულია და ცალკეულ ადგილებში ამ ორი ხელნაწერის დაწერილობაში თითქმის ზუსტი იგივეობა შეიმჩნევა.

ძეგლის ქრონოლოგიური ჩარჩოს მოხაზვისას პალეოგრაფიულ მონაცემებს მხარს უჭერს ენობრივი მონაცემებიც. მასში გვხვდება ის ენობრივი თავისებურებანი, რომელნიც დადასტურებულია ად-

[4] H. L. Fleischer, Zur Geschichte der arabischen Schrift, ZDMG, 1864, XVIII, გვ. 289.

[5] H. L. Fleischer. Ueber einen griechisch-arabischen Codex, rescriptus der Leipziger Universitäts-Bibliothek, ZDMG, 1847, I, გვ. 216.

[6] The Paleographical Society, Oriental Series, p. II, London, 1877, plate XX.

[7] Н. В. Пигулевская. Греко-сиро-арабская рукопись IX в. Палестинский сборник, 1954, в. I, გვ. 88 — 89.

რეული, VIII—X საუკუნეების, ქრისტიანული არაბული მწერლობის ძეგლებში[8].

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით ხელნაწერის დათარიღება დაახლოებით X საუკუნით, რომელიც მოცემულია Aziz S. Atiya-ს მოხსენიებულ კატალოგში, საესებით საფუძვლიანად უნდა იქნეს მიჩნეული. „ალ-ბუსთანის" მეტ-ნაკლებად აღწერილ ხელნაწერთაგან უადრესი ხელნაწერი თარიღდება 1243 წლით[9]. ამგვარად, Sin. 549 ყველაზე ადრეული ნუსხაა ამ ძეგლის ცნობილ ხელნაწერთა შორის.

II

არაბული „ალ-ბუსთანი" და სინური ნუსხა

„ალ-ბუსთანი" არის სირიულ-პალესტინური წარმოშობის არაბული ვერსია ბერძნული „ლიმონარისა". „ლიმონარი" (λειμών, λειμωνάριον — მდელო[10]) აპოვთეგმატური ხასიათის ნაწარმოებია. იგი წარმოადგენს კრებულს წმ. მამათა ცხოვრების ამსახველი დიდაქტიკურ-სულისმარგებელი ხასიათის თხრობებისა, რომლის ავტორია VI—VII საუკუნეების მოღვაწე იოანე მოსხი[11]. „ლიმონარი" ძალზე პოპულარული ძეგლი იყო ბიზანტიურ მონაზვნობაში[12] და დღემდის იგი მრავალი ხელნაწერის სახითაა მოღწეული[13]. მაგრამ მისი გავრცელების არე მხოლოდ ბიზანტიის ფარგლებით არ

---

[8] სინური ნუსხის ენობრივი თავისებურების შესახებ იხ. ნაშრომის IV თავი.

[9] ეს ხელნაწერი დაცულია ლიბანში aš-Šir-ის მონასტერში. იხ. G. Graf, დასახ. ნაშრომი, იქვე.

[10] ცნობილია ამ ძეგლის სხვა სახელწოდებანიც: *νέος παράδεισος, νέον παραδείσον* იხ. O. Bardenhewer, Geschichte der altkirchlichen Literatur, B. V, Darmstadt, 1962, გვ. 132; აგრეთვე: *λειμών πνευματικός*, იხ. И. М. Смирнов, Синайский патерик—*λειμών πνευματικός*—в древнеславянском переводе, М., 1917, გვ. 6.

[11] ხელნაწერები ზოგჯერ „ლიმონარის" ავტორად ასახელებენ სოფრონ პალესტინელს, იხ. O. Bardenhewer, დასახ. ნაშრომი, იქვე. ასეთივე ცნობაა დაცული არაბულ ხელნაწერებში. მაგ., Sin. 549-273 r, Vat. ar. 77-3 v. მაგრამ მეცნიერებაში ი. მოსხის ავტორობის ავთენტურობის საკითხი ეჭვს არ იწვევს.

[12] O. Bardenhewer, დასახ. ნაშრომი, გვ. 133.

[13] Jean-Claude Guy, S. J., Recherches sur la tradition grecque des Apopthegmata Patrum, Bruxelles, 1962, გვ. გვ. 18, 63, 74, 88, 96, 101, 102, 124 და სხვ.

განისაზღვრებოდა. იგი ცნობილი იყო საერთოდ შუა საუკუნეების ქრისტიანულ სამყაროში სხვადასხვა ვერსიების სახით, კერძოდ, ქართული[14], ძველი სლავური[15] და არაბული ვერსიებით. მისი კვალი სომხურ ლიტერატურაშიც ჩანს[16].

ქრისტიანულ არაბულ ლიტერატურაში „ლიმონარი" „ალ-ბუსთანის" სახელწოდებით არის შესული. აქ მის გავრცელებაზე მეტყველებს მისი ნუსხების სია, რომელიც წარმოდგენილი აქვს G. Graf-ს „ქრისტიანული არაბული ლიტერატურის ისტორიაში"[17]. G. Graf-ის მიერ ფიქსირებულია „ალ-ბუსთანის" ოცამდე ხელნაწერი, რომელნიც გაბნეული არიან როგორც არაბული აღმოსავლეთის, ასევე ევროპის, უმეტესად, ვატიკანისა და პარიზის სიძველეთსაცავებში. მათგან დღესდღეობით არც ერთი არ არის გამოცემული. მთლიანობაში ამ ხელნაწერების შესახებ ზოგადი მსჯელობის შესაძლებლობაც ნაკლებად არის. კატალოგებში დაცული ცნობები ძალზე ძუნწია. ძეგლის შედგენილობის შესახებ მათთან, ჩვეულებრივ, არაფერია აღნიშნული. თანაც ეს ცნობები, როგორც G. Levi Della Vida აღნიშნავს, „არაზუსტი და რიგ შემთხვევებში არასწორიც არის"[18].

G. Graf-ს მოცემული აქვს ზოგადი მიმოხილვა არაბული პატრისტიკული კრებულებისა, რომელთაგან ნაწილი შეიცავს „ალ-ბუსთანს"[19]. ცალკე აქვს მას გამოცემული Kaufmann-ის ხელნაწერის აღწერილობა[20]. საკუთრივ „ალ-ბუსთანთან" დაკავშირებით იგი უთითებს გვერდებზე, რომელნიც „ალ-ბუსთანს" ხელნაწერ კრებულში უჭირავს და აღნიშნავს ხელნაწერის თარიღს. სხვა ცნობებს ამ ძეგლის შესახებ მასთან ვერ ვხვდებით. შედარებით დაწვრილებითაა აღწერილი G. Levi Della Vida-ს მიერ რამდენიმე ვატიკანური ნუსხა: Vat. ar. 77, Vat. ar. 552, Vat. ar. 460 და ერთი ფრაგმენტი ნიუ-ბრუნსვიკის ხელნაწერისა[21]. G. Graf-ის ცნობე-

---

[14] იოანე მოსხი, ლიმონარი, ტექსტი გამოკვლევითა და ლექსიკონით გამოსცა ილ. აბულაძემ, თბილისი, 1960.

[15] И. М. Смирнов, დასახ. ნაშრომი.

[16] Bousset, Apopthegmata, Tübingen, 1923, გვ. 21.

[17] G. Graf, დასახ. ნაშრომი, იქვე.

[18] G. Levi Della Vida, Sulla versione araba di Giovanni Mosco e di pseudo-Anastasio Sinaita secondo alcuni codici Vaticani, Studi e Testi 123, Vatican, 1946, (ამონაბეჭდი), გვ. 5.

[19] G. Graf, დასახ. ნაშრ., გვ. 381.

[20] G. Graf, Arabische Apopthegmensammlung, Oriens Christianus, N. S., 1915, B. V, გვ. 614—616.

[21] G. Levi Della Vida, დასახ. ნაშრ., გვ. 1—3.

ბისა და G. Levi Della Vida-ს აღწერილობათა მიხედვით, „ალ-ბუსთანის“ შემცველი ხელნაწერების გარკვეული ჯგუფის შესახებ იქმნება ზოგადი შთაბეჭდილება, რომელიც შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს:

არაბული „ალ-ბუსთანი“ დამოუკიდებელი ხელნაწერის სახით არ არის წარმოდგენილი. იგი მეტ-ნაკლები ოდენობით შედის პატრისტიკულ კრებულებში. ამ ოდენობის მიხედვით პატრისტიკული კრებულების ორი ჯგუფი განირჩევა:

1) ხელნაწერები, რომლებშიაც შეინიშნება ცდა მასალის სისტემატიზაციისა ავტორთა მიხედვით. აქ ერთგვაროვანი მასალა ჩვეულებრივ ერთადაა თავმოყრილი და სხვა ნაწილებისაგან საგანგებო ტიტრითაა გამოყოფილი. ამ ხელნაწერებში „ალ-ბუსთანი“ რამდენადმე სრულად და ერთობლივადაა წარმოდგენილი.

2) ხელნაწერები, რომელნიც შერეული კოლექციის სახეს ატარებენ. აქ ერთმანეთში არეულია სხვადასხვა წარმომავლობის თხრობები. რაიმე გამიჯვნა-სისტემატიზაცია ნაკლებად შეიმჩნევა. ამ ხელნაწერებს G. Graf-ი აკუთვნებს აპოვთეგმატური ტექსტების კომპილაციურ ტიპს[22]. ესენია Kaufmann-ის ხელნაწერი და მისი იდენტური ნუსხა Vat. ar. 460 (XIV — XV სს.). აქვე უნდა იყოს შესაძლებელი ვატიკანის მეორე ხელნაწერის — Vat. ar. 552-ის დასახელებაც. ამ ხელნაწერებში სხვადასხვა ადგილას შერეულია „ლიმონარის“ თითო-ოროლა თხრობა. აღნიშნული ხასიათისა და „ლიმონარის“ თხრობათა ოდენობის გამო ეს ხელნაწერები არაბული „ალ-ბუსთანის“ სახის ამსახველად ვერ ჩაითვლება.

ამ მხრივ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია პირველი ჯგუფის ხელნაწერები. მათი რიცხვი არ არის მცირე, მაგრამ ისინი ყველა შესაძლოა ერთ ხელნაწერამდე დავიდნენ, სახელდობრ, ვატიკანის ხელნაწერამდე — Vat. ar. 77. ამ ხელნაწერის კოპიოა: Borg. ar. 62 (1743 წ.) და Vat. ar. 944 (XVIII — XIX სს.); მისი იდენტური ნუსხებია: Bodl. ar. Christ. Uri 881(668/69 წწ.), Bairut 491(1960 წ.); მის ნაწილს წარმოადგენს: Bairut 492 (XVI — XVII სს.), Sbath. 90 (1688 წ.), 182 (1685 წ.), 787 (XVII)[23].

ხელნაწერთა ამ ჯგუფს ვაკუთვნებთ ჩვენ სინური ნუსხასაც — Sin. 549. დანარჩენი ნუსხების შესახებ მსჯელობის შესაძლებლობა

---

[22] G. Graf, დასახ. ნაშრ., გვ. 616.

[23] ყოველივე ეს იხ. G. Graf, Geschichte..., I, გვ. 381; G. Levi Della Vida, დასახ. ნაშრომი, გვ. 4.

არ არის. მათი შესწავლა მოცემულ კლასიფიკაციას შეავსებს და აუფიქრებელია დააზუსტებს კიდეც. შესასწავლ ხელნაწერთაგან საინტერესო ჩანს aš-Šir-ის მონასტრის ადრეული ხელნაწერი (1243 წ.), აგრეთვე პარიზის ხელნაწერი: Par. ar. 4703 (1799 წ.)[24] და სხვ.

ამრიგად გამოდის, რომ ვატიკანური ნუსხის — Vat. ar. 77-ის მიხედვით შესაძლებელი ხდება არაბული „ალ-ბუსთანის" საკითხებისათვის საგულისხმო და ხელშესახები ხელნაწერების გარკვეული ჯგუფის შესახებ მსჯელობა. ჩვენ გვინდა ერთმანეთს შევუჯეროთ „ალ-ბუსთანის" ვატიკანური და სინური ნუსხები, რათა გაირკვეს უკანასკნელის მნიშვნელობა და ადგილი ამ ძეგლის შესწავლილ ხელნაწერთა შორის. ამოსავლად ვიღებთ ამ ნუსხათა საკუთრივ ბუსთანისეულ განაკვეთებს[25].

Vat. ar. 77 გვიანდელი ნუსხაა. მისი ზუსტი თარიღია 1684 წ.[26] ნუსხის გვიანდელობა აშკარად ელინდება მის პალეოგრაფიაში, რომელიც მშვენივრად გაფორმებული ნასხის ნიმუშს წარმოადგენს. გვიანდელობას ავლენს აგრეთვე სინურ ნუსხასთან და საერთოდ ქრისტიანული არაბული ლიტერატურის ადრეულ ნიმუშებთან შეფარდებით მისი ენობრივი მხარეც. აქ ძირითადად გასწორებულია აღნიშნული ნიმუშებისათვის ნიშანდობლივი ენობრივი თავისებურებანი ან, სხვაგვარად რომ ვთქვათ, კლასიკური გრამატიკუ-

---

[24] G. Graf, დასახ. ნაშრომი, გვ. 383.

[25] ხელნაწერ კრებულში Vat. ar. 77 „ალ-ბუსთანი" დასაწყისშია მოქცეული 3v — 25 r; უძღვის შემდეგი სათაური: كتاب البستان في اخبار الرهبان تاليف القديس صفرونيوس بطريرك اوروشليم. ფურცელზე 25r თხრობა კოლოფონის სახითაა დამთავრებული და ბოლოს უწერია ﻣﺮ; მოშდევნო სამ ფურცელზე ტიტრის გარეშე წარმოდგენილია სხვა თხრობათა ჯგუფი, სრულიად უცნობი როგორც სინური „ალ-ბუსთანისათვის", ასევე „ლიმონარის" ბერძნული ტექსტისათვის. შემდეგ იწყება ანასტასი სინელის თხრობათა ნაწილი: هذه قصص ابات اخبرها القديس انسطاسيوس ريس طور سينا. ამ განაკვეთში ანასტასი სინელს მიეწერება აგრეთვე „ლიმონარის" ერთი თხრობა № 127.

საკუთრივ ბუსთანისეულს ვუწოდებთ ჩვენ 23v-25r-ზე მოთავსებულ ტექსტს.

[26] G. Levi Della Vida, დასახ. ნაშრომი, გვ. 4. ჩვენ ხელთ გვაქვს ნაწილი ამ ხელნაწერი კრებულისა —3v—80 r. ამ ნაწილში დამთავრიღებელი წარწერა არ არის.

ლი ნორმების დარღვევაზე დაფუძნებული შეცდომები. მაგრამ ამ „შეცდომათა“ ცალკეული შემთხვევები მაინც შენარჩუნებულია. მაგალითად, გვხვდება ფორმები: ولقيوه (6r 13) ნაცვლად ولقوه-სი; رأى ზმნის IV თემაა اورى (11r 17), يورينى (6v 17), scriptio plena-თია წარმოდგენილი ფორმა قاول (8v 18) და სხვ.

მსგავსი მაგალითები ხელნაწერში მისი ადრეული დედანის კვალს ავლენს. აქ საინტერესო ხდება ვატიკანური და ადრეული სინური ნუსხების რედაქციული მიმართების საკითხი.

ამ თვალსაზრისით ეს ორი ნუსხა ერთმანეთთან ძალიან ახლოა. ვატიკანურ ნუსხაში არ არის არც ერთი თხრობა, რომელიც სინურ ნუსხაში არ დასტურდება. თხრობათა თანმიმდევრობა ერთნაირია. თხრობის ძირითადი ხაზი ორივეგან ერთია. ამ ხაზიდან რაიმე არსებითი გადახვევა არ შეინიშნება. ხშირად მთელი ფრაზები სიტყვა-სიტყვით მისდევს ერთმანეთს. მაგრამ მთლიანობაში ვატიკანური ნუსხა სინურთან შედარებით მოკლეა. მოკლეა იგი თხრობათა ოდენობის თვალსაზრისით. ბოლონაკლულ სინურ ნუსხაში 105 თხრობაა. ვატიკანური ნუსხა შეიცავს 72 თხრობას. რამდენადმე შემოკლებულია თვით თხრობებიც ვატიკანურ ნუსხაში. ეს გარემოებაც, თხრობათა ნაკლებ ოდენობასთან ერთად, ისახება ფურცელთა რაოდენობაში. „ალ-ბუსთანს“ სინურ ხელნაწერში უჭირავს გვერდები: 273r—347v; ვატიკანური „ალ-ბუსთანი“ კი თავსდება გვერდებზე: 3v—25r. შემოკლებანი დაფუძნებულია გარკვეულ ტექსტოლოგიურ ცვლილებებზე, რომელნიც სხვადასხვა ხასიათისაა, სახელდობრ: ვატიკანურ ნუსხაში ხშირად აზრი გაცილებით უფრო ლაკონიურად, სინური ნუსხისთვის რამდენადმე ნიშანდობლივი მრავალსიტყვაობის გარეშეა გადმოცემული, მაგალითად:

Sin. 549	Vat. ar. 77
كل من احب واراد فهو يسرج قنديله ومن لا يشا ولا يريد لا يسرج قنديله (305v 7—9)	كلمن اراد فقنديله يسرج (16r 17—17)
ყველას, ვისაც სურს და ნებავს, მისი სანთელი ინთება; ხოლო ვისაც არა სურს და არ	ყველას, ვისაც ნებავს, მისი სანთელი ინთება.

ნებავს, მისი სანთელი არ ინთება.

Sin. 549

فاستيقظ الاقنوم برعدة وفزع وهو متعجب جدا فبعث ناس فى طلب الراهب وقال لهم انظروا حيث ما كان فجونى به

(340 v 2—4)

და გაიღვიძა იკონომოსმა შიშითა და ძრწოლით. ამასთანავე იგი ძალზე იყო განცვიფრებული. და გაგზავნა მან ხალხი მონაზვნის საძებრად და უთხრა მათ: „ნახეთ [იგი], სადაც არ უნდა იყოს და მომიყვანეთ“.

Vat. ar 77

فاستيقظ الاقنوم وهو فزعا متعجبا ووجّه خلف الراهب

(23r 12 — 13)

და გაიღვიძა მონაზონმა შეშინებულმა, განცვიფრებულმა და უკან დაადევნა [მავანი] მონაზონს.

Sin. 549

فنقصه نفقة لحاجة الجسد فقعد مهتم حزين لا يدرى ماذا يصنع

(339v 8 — 9)

და შემოაკლდა მას სახარჯო თანხა ხორცთა სახმარი და იჯდა იგი დაფიქრებული, დაღონებული—არ იცოდა, რა ეღონა.

Vat. ar. 77

فعازه نفقة فكان لذلك حزينا

(22v 16 — 17)

და შემოაკლდა მას სახარჯო თანხა და იყო იგი ამის გამო შეწუხებული.

Sin. 549

وكان يسكن قرب هذه الشيخ اخ من اهل فاران

(335r 8—9)

და ცხოვრობდა ამ ბეჭის მახლობლად ვინმე ძმა ფარანის მოსახლეთაგან.

Vat. ar. 77

كان اخ فارانى

(20 v 16)

და იყო ძმა ფარანელი.

ვრცელი ადგილის უფრო მოკლედ და სხარტად გადმოცემისათვის თხრობა ხშირად მესამე პირშია გადატანილი, მოშლილია დიალოგური სტილი, მაგალითად:

Sin. 549

فجا والدى اليه وقال له يابونا قد فرغ القمح وليس لنا شى

(284v 9--10)

და მივიდა მასთან მამაჩემი და უთხრა მას: „მამაო ჩვენო, უკვე გათავდა ხორბალი და არაფერი არა გვაქვს“.

Vat. ar. 77

ففرغ القمح واعلمه بذلك

(8r 8)

და გათავდა ხორბალი და აუწყა მას ამის შესახებ.

Sin. 549

فلما تباعد قدر رمية حجر قال لنفسه ارجع اخذ بركة من القديسين

(296v 7—8)

და როდესაც განშორდა ქვის გასროლის მანძილით, თქვა თავის გულში: „დავბრუნდები, მივიღებ კურთხევას წმიდანთაგან“.

Vat. ar. 77

ولما تباعد منه مقدار رمية حجر رجع لتبارك من قبر القديس

(12v 17—17)

და როდესაც განშორდა მას ქვის გასროლის მანძილით, დაბრუნდა, რათა მიეღო კურთხევა წმიდანის საფლავისაგან.

Sin. 549

فابصرت الاقنوم يبكى فقلت له لما تبكى يابتاه

(275v 16—276r 1)

და ვნახე იკონომოსი ტირის. და ვკითხე მას: „რატომ სტირი, შამაო?“

Vat. ar. 77

ابصرت الاقنوم يبكى فسالته عن سبب بكاه

(4v 16—17)

ვნახე იკონომოსი ტირის და ვკითხე მას ტირილის მიზეზის შესახებ.

მსგავს შემთხვევებში ფრაზა ზოგჯერ უფრო დახვეწილი და გამართული გამოდის, მაგალითად:

Sin. 549

وقال له في شان الحب يابتاه اسلك لما جيت معي الى البيت لكيما تصلي على امرتي لانها عاقر حتا يرزقني الله ولد

(309r 13—16)

და უთხრა მას: სიყვარულის გულისათვის, მამაო, მე გთხოვ შენ იმის გამო, რომ წამომყვე სახლში, რათა ილოცო ჩემი ცოლისათვის, რამეთუ იგი უშვილოა, რათა მომცეს ღმერთმა შვილი.

Vat. ar. 77

فطلب اليه رجل شاب يصير معه الى منزله ليصلي على مراته لانها كانت عاقر

(18r 18—19)

და სთხოვა ყმაწვილმა კაცმა წაჰყოლოდა სახლში, რათა ელოცა მისი ცოლისათვის, რამეთუ იგი უშვილო იყო.

ხშირად მთელი ფრაზებია გამოტოვებული, რომელნიც მხოლოდ დანამატია ძირითადი აზრისა—ხაზს უსვამენ მას, ანდა უფრო თვალნათლივ წარმოაჩენენ სიტუაციას, მაგალითად:

Sin. 549

فابصرت هنالك اجساد موتا متماسية منتنة جدا لا يقدر ان يشتم رايحتها

(280r 11—13)

და ვიხილე იქ მიცვალებულთა გვამები — დამპალი, ძალზე აყროლებული; შეუძლებელი იყო მათი სუნის ყნოსვა.

Vat. ar. 77

وظهر من تحتها اجساد موتى كثيرة منتنة جدا

(6v 16—17)

და გამოჩნდა მის (მიწის) ქვეშ მიცვალებულთა მრავალი გვამი, ძალზე აყროლებული.

Sin. 549

لحقته امراة زانية بكلما كان عندها من حلى تصيح به

(343r 3—4)

Vat. ar. 77

فتبعه (sic) امراة زانية تصيح

(24r 16)

დაეწია მას ერთი მეძავი ქალი [შემკული] ყოველივე იმით, რაც ჰქონდა სამკაულთაგან, რომელმაც დაუძახა.

და გაჰყვა მას მეძავი ქალი, რომელმაც დაუძახა.

ამ თხრობაში სამკაულებზეა გაკეთებული აქცენტი, ვითარცა მეძავი ქალის ცოდვათა საფასურზე.

Sin. 549

فقال له رجل نعما قلت ونعما اوصيت ولاكن كيف اصنع يا سيدى لا الطريق إعرف ولا المدينة

(343v 13—16)

Vat. ar. 77

فقال له يا سيدى ما اعرف لا الطريق ولا المدينة

(24 v 14)

და უთხრა მას კაცმა: კარგად უბნობ და კარგადაც მარიგებ, მაგრამ როგორ მოვიქცე, ჩემო ბატონო? მე არც გზა ვიცი და არც ქალაქი.

და უთხრა მას: ჩემო ბატონო, მე არც გზა ვიცი და არც ქალაქი.

Sin. 549

وطرح نفسه على وجهه على الارض قدام الشاهد وجعل يقول ويلى ان كان هذا منجل خطاياى لم اكن استاهلك يا قديس الله وكان يتنهد وحزين جدا

(333r 9—13)

Vat. ar. 77

فخر حينيذ الريس على وجهه على الارض قدام جرن الشاهد قايلا ويلى يكون هذا من اجل خطاى ايا قديس الله

(20r 10—12)

პირქვე დაემხო [ქალაქის თავი] მიწაზე მოწამის წინაშე და მოჰყვა გოდებას: „ვაი, რომ ჩემ ცოდვათა გამო მოხდა ეს, არა ვარ მე შენი ღირსი, ო წმიდა-

მაშინ პირქვე დაემხო [ქალაქის] თავი მიწაზე მოწამის კუბოს წინაშე, ამბობდა რა: „ვაი მე, ჩემ ცოდვათა გამო მოხდა ეს, ო წმიდანო ღვთისა!“

ნო ღვთისა!“ იგი გმინავდა და ძალზე იყო შეწუხებული.

ხშირია ვატიკანურ ნუსხაში გამოთქმათა გამარტივების შემთხვევები, მაგალითად:

Vat. ar. 77	Sin. 549
شيخ صالح	شيخ مزين بجميع الفضايل
(7r 10)	(281v 8)
ბერი კეთილი.	ბერი შემკული ყოველგვარი ღირსებებით.
انسان بيا	انسان حسن الجمال
(6v 17)	(280r 13)
კაცი ლამაზი.	კაცი მშვენიერი სილამაზისა.
الموكل بالباب	الذى على الباب
(19r 9)	(322v 7)
კარების მცველი.	ის, რომელიც კარებთან იყო.
عملى	عمل يدى
(3r 6)	(278v 1—2)
ჩემი ნაშრომი.	ჩემი ხელის ნაშრომი.

ზოგჯერ საწინააღმდეგო მოვლენაც შეინიშნება. სინურისგან განსხვავებით ვატიკანური ნუსხა უმატებს ცალკეულ ფრაზებს. მაგალითად, ბერის უმკაცრესი წესის დახასიათებისას ვატიკანურ ნუსხაში დამატებულია: ولا لبس حذاء في رجليه (7r 9) — „და არ იცვამდა იგი ფეხსაცმელს ფეხებზე“. სინურ თხრობაში იოანე ნათლის-მცემლის შეკითხვაზე ბერი პასუხობს, რომ იგი მიდის სინას მთაზე სალოცავად, ვატიკანურ ნუსხაში კი იგი დასძენს: ان احب الله (3v 16) — „თუ ინებებს ღმერთი“ და სხვ. მაგრამ ასეთი შემთხვევები ხელნაწერში იშვიათია. აღნიშნულ განსხვავებათაგან

გამომდ ინარე, ჩვენ ხელნაწერს Sin. 549 მივიჩნევთ „ალ-ბუსთანის“ ვრცელ რედაქციად, ხოლო ხელნაწერს Vat. ar. 77—„ალ-ბუსთანის“ მოკლე რედაქციად.

რედაქტორის მიზანი ვატიკანურ ნუსხაში გამოკვეთილია. იგი ცდილა არაარსებითი დეტალებისა და ფრაზებისაგან განეტვირთა თხრობა, მოკლედ და სტილისტურად დახვეწილი ფორმით გადმოეცა სხვათა სულთათვის სასარგებლო ეპიზოდები წმ. მამათა ცხოვრებიდან. შედეგად მიღებულია სასიამოვნოდ საკითხავი თხრობები, ანდა ნოველები, როგორც მათ განსაზღვრავენ ილ. აბულაძე[27] და ს. ყაუხჩიშვილი[28]. მაგრამ რედაქტირებით გამართლებულ ჩარხვას ტექსტისა ეწირება გარკვეული ზომით მისი ადრინდელი ფრაზეოლოგიურ-კომპოზიციური წყობა, რომელშიც ისახებოდა კავშირი არაბული „ალ-ბუსთანისა“ ბერძნულ „ლიმონართან“ და მის სხვა ვერსიებთან, კერძოდ, ქართულთან. ამ გარემოებას თვალნათლივ ავლენს ქართულ-არაბულ ტექსტებთან მიმართების თვალსაზრისით ვატიკანური და სინური ნუსხების დაპირისპირება. მოვიტანთ რამდენიმე მაგალითს.

ვატიკანურ ნუსხაში არ არის სინურისათვის ნიშანდობლივი ქართულ-ბერძნული ტექსტების ზოგიერთი სპეციფიური, საგულისხმო დეტალი, მაგალითად: არ არის ليلو; იგი ყველგან ليل-ით არის შეცვლილი. არ არის حصير; არ არის دوطرار[29]; არ გვხვდება სინურ ნუსხაში დადასტურებული Migne-ს ტექსტის ბერძნიზმები: اسكيم-تό σχῆμα—هاب باسكيم تشبه الشيطان (320v 17-321r 1); ამ ფრაზის ნაცვლად გვაქვს პირდაპირ—هاب براهب تشبه الشيطان (18v 11). ارسفر-ή προσφορά — ارسفر البرسفر رفع (334v 1)-ს ნაცვლად ნახმარია ამ ფრაზის შინაარსის შემცველი ფართო მნიშვნელობის სიტყვა قدّس فيه (20v 9) და სხვანი.

ხშირ შემთხვევაში ბერძნული ტექსტის ცალკეული მონაკვეთების საერთო სახე, ან მათი კომპონენტები ნაკლებად ისახება ვატიკანური ნუსხის გადამუშავებულ ფრაზებში, მაგალითად: Γέγονέ

---

[27] ი. მოსხი, ლიმონარი, გვ. 08.

[28] ს. ყაუხჩიშვილი, „მეშვიდე საუკუნის ნოველისტი იოანე მოსხი, ცისკარი, № 1, 1958.

[29] ამ მაგალითების შესახებ იხ. ნაშრომის III თავი.

τις φιλόχριστος σχολαστικὸς ἐν Ἀσκάλονι· ἔχων παρὰ Θεοῦ τὸ χάρισμα τῆς φιλοξενίας καὶ τῆς ἐλεημοσύνης. (Révue de l'Orient Chrétien X, 1905, გვ. 39)

იყო ვინმე ქრისტესმოყვარე სქოლასტიკოსი ასკალონში, რომელიც ღმრთისაგან გასაკითხს იღებდა ყარიბთა მისაღებად და მოწყალებისათვის.

Sin. 549

كان انسان من اهل عسقلان قد اعطى من الله عطية قبول الرهبان والغربا والرحمة

(341r 5—6)

კაცი ვინმე ასკალონის მოსახლეთაგან ღმრთისაგან გასაკითხს იღებდა მონაზვნებისა და ყარიბების მისაღებად და მოწყალებისათვის.

Vat. ar. 77

كان انسان من اهل عسقلان كثير الرحمة

(23v 5—6)

იყო კაცი ვინმე ასკალონის მოსახლეთაგან მრავალმოწყალე.

Ἀλλ' ὁ τὸν πόλεμον ἐμβαλὼν αὐτῷ διάβολος, αὐτὸς καὶ τὴν εὐκαιρίαν ἐποίησεν. Τοῦ γὰρ πατρὸς τῆς κόρης ἀπελθόντος εἰς Ἀσκάλωνα διά τινας ἀναγκαίας χρείας, καὶ εἰδὼς ὁ ἀδελφὸς ὅτι οὐδεὶς ἄλλος ἐστὶν εἰς τὸν οἶκον εἰ μὴ αὐτὸς καὶ ἡ κόρη, 'απῆλθεν πρὸς αὐτήν. (Pt. gr. t. LXXXVII, თხრ. XXXIX, გვ. 2892)

მაგრამ ეშმაკმა, რომელმაც მას [ბიწიერი] მღელვარება აღუძრა, შექმნა ხელსაყრელი შემთხვევა: როგორც კი ქალიშვილის მამა გადაუდებელი საჭიროების გამო ასკალონს წავიდა და ძმამ დაინახა რომ მისი და ქალიშვილის მეტი სახლში არავინ იყო, მივიდა მასთან.

Sin. 549

وان الشيطان الذى زرع فيه القتال السو جعل لابوها سبب ان يذهب الى عسقلان فى حاجة فلما ابصر الراهب ان الجارية خالية دخل اليها

(285r 16—285v 2)

Vat. ar. 77

فعرضت لابوها حاجة الى عسقلان فلما وجد الراهب خلوة دخل الى الجارية

(8v 1—2)

და ჭეშმარიტად, ეშმაკმა, რომელმაც მას ბიწიერი მღელვარება ჩაუნერგა, გამოუჩინა მამამისს მიზეზი, რათა იგი საპიროების გამო ასკალონს წასულიყო. და როდესაც ნახა მონაზონმა, რომ ქალიშვილი მარტოა, შევიდა მასთან.

და გამოუჩნდა მამამისს საპიროება ასკალონში. და როდესაც ნახა მონაზონმა თავისუფლება, შევიდა ქალიშვილთან.

და ა. შ.

მსგავსი მაგალითების საფუძველზე აშკარა ხდება, რომ ტექსტოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით ვატიკანური ნუსხა სინურ ნუსხასთან შედარებით ნაკლებ მნიშვნელოვანია.

ამ ორი ნუსხის აღნიშნულ მსგავსებათა და განსხვავებათა ხასიათით ვატიკანური ნუსხის წარმომავლობის კვალს თითქოს სწორედ სინურ „ალ-ბუსთანთან" მივყავართ, მაგრამ ვატიკანური ნუსხის მომდინარეობა სინური ნუსხიდან არ არის სავარაუდო. ვატიკანურ ნუსხაში ვხვდებით სინური ნუსხისთვის უცნობ ისეთი სახის ჩანართებს, რომლებიც არ შეიძლება რედაქტორისა თუ გადამწერის ფანტაზიით აიხსნას. ისინი ბერძნულ ტექსტში დასტურდება და ამდენად მათი მოხვედრა ვატიკანურ ნუსხაში „ალ-ბუსთანის" ისეთი ნუსხით უნდა იყოს გაპირობებული, რომლებშიაც აღნიშნული ადგილები გადმოყოლილი იყო ბერძნული ტექსტიდან. მაგალითად: სინურ თხრობაში ძმები პოულობენ ადრე განსვენებული ბერის ცხედარს—فاصبنا جسد القديس (293v 5—6) „და ვპოვეთ წმიდანის ცხედარი", მაგრამ როგორ მდგომარეობაში იყო იგი, არ არის აღნიშნული. ვატიკანურ ნუსხაში კი განმარტებულია: و هو سالم بجملته (11v 5); ბერძნულშიც ასეევა: ძმები პოულობენ უვნებლად დაცულ ცხედარს — εὕρομεν τὸ λείψανον σῶον (LXXXIV გვ. 2941).

ბერძნულ თხრობაში აღნიშნულია, რომ ძმებმა ბერთან სარგებლობა პოვეს „განსაკუთრებით მისი მორჩილებით, სიმშვიდით, სიღატაკითა და სიყვარულით, რომელიც ყველას მიმართ ჰქონდა" — μάλιστα ἐπὶ τῇ ταπεινώσει αὐτοῦ καὶ ἡσυχίᾳ, καὶ ἀκτημοσύνῃ, καὶ ἀγάπῃ, ᾗ εἶχεν πρὸς πάντας (CXII გვ. 2976). ვატიკანურ ნუსხაში ბერის თვისებებს ძირითადად ასეთივე განმარტება აქვს მოცემული: وكان متضع كثير الحب (17v 10) — „და იყო იგი მოკრძალებული, ძალზე მოყვარული". სინურ ნუსხაში ბერის თვისებებზე საერთოდ არ არის ლაპარაკი.

ვატიკანურ ნუსხაში ერთ შემთხვევაში ბერძნული გამოთქმაა ტრანსკრიფციით წარმოდგენილი: اجيّس تيس اجيّا ⳓ (20v 10) შდრ. τά ἅγια τοῖς ἁγιοῖς (?) — „წმიდათა წმიდა“ (სწორი იქნებოდა—τὰ ἅγια τῶν ἁγίων). ამ ადგილს სინურ ნუსხაში ვერ ვხვდებით.

ერთგან სინურ თხრობაში ცუდად არის გადმოღებული ბერძნული ტექსტი. მღვდელი კონონის შესახებ, რომელსაც გამოეცხადა იოანე ნათლის-მცემელი, აღნიშნულია: فقال له القسيس لا حقا ارجع لا بغضب (275r 2—3) „არა, ნამდვილად, არ დაებრუნდები გაბრაზების გამო“, ანდა „გაბრაზებული“. უკანასკნელი სიტყვის თარგმნა ჭირს. აშკარაა, რომ იგი თავის ადგილას არ არის. გაუგებრობა ადვილად იხსნება ბერძნული ტექსტით. იქ სიტყვა „გაბრაზება“ „თქმას“ უკავშირდება, ისე რომ, აზრი სავსებით გასაგებია: Ὁ ἀββᾶς Κόνων λέγει αὐτῷ μετ' ὀργῆς (III, გვ. 2856)—„ანბა კონონმა უთხრა მას გაბრაზებით“. ვატიკანურ ნუსხაშიც სიტყვა „გაბრაზება“ „თქმას“ უკავშირდება, აქ ფრაზა ზუსტად ბერძნულისებურადაა გამართული: فاجابه القسيس بحرد (4r 2—3) „და მიუგო მას მღვდელმა გაბრაზებით“.

მეორე მხრივ, ვატიკანურ ნუსხაში ვერ ვხვდებით სინური თხრობების ბოლოს დამატებულ ფრაზებს, რომელნიც თითქოს მეტ მხატვრულ ემოციურობას აძლევენ თხრობას, ან მის არსს უსვამენ ხაზს. მაგალითად, უმკაცრესი ცხოვრების წესის შესახებ, რისთვისაც ბერმა ეპისკოპოსობა დათმო და უდაბნოში სამუდამოდ მძოვრობას ეზიარა, სინური თხრობის დასასრულს ხატოვნადაა თქმული: „და იჯდა იგი მსგავსად მოწაფისა [მიწიერი] სურვილების აღკვეთით“—وجلس مثل تلميذه بقطع الهوا (299 v 16—17). ასეთი ფრაზა ვატიკანურ ნუსხაში არაა. ერთგან ძმათა უღირსი საქციელის შესახებ მთხრობელი დასასრულს დასძენს: فلما علمت انا بهذا انبا جرجي راس الدير انتهرت الاخوة وشكتهم وسبحنا الله (297v 19—12) „როდესაც შევიტყე ამის შესახებ მე, ანბა გიორგიმ—მონასტრის მამასახლისმა,შევრისხე და გავკიცხე ძმები და [შემდეგ] ვადიდეთ ჩვენ ღმერთი“. ეს დასასრული ვატიკანურ ნუსხაში არ არის წარმოდგენილი.

სინურ თხრობაში, წინააღმდეგ ვატიკანური თხრობისა, ბოლოს მთელი აბზაცი აქვს დათმობილი შეკერა-გახსნის შესახებ მსჯე-

ლობა-შეგონებას, რომლის ირგვლივაც თვით თხრობაა აგებული:
فالان ياخوة اما الملايكة كما قال الشاهد فليس يستطيعوا يحلوا
شى ربطوه الكهنة فماذا نريد الان نقول لرجال علمانين نراهم
معترفين بالخطايا ونراهم يستجرون على الحرم ويبطوا كلام هذا القديس
ويصيروا انفسهم فوق الكهنة ويحقروهم ولا يبالوا بهم ولم يامرهم الله
بذلك ولا القوانين ولا السنودس (334r 1—9)

„ახლა, ძმანო, ანგელოზებს რაც შეეხება. როგორც მოწამემ თქვა, მათ არაფრის გახსნა არ შეუძლიათ, რასაც მღვდლები შეკრავენ. და რატომ უნდა ვუთხრათ ახლა ჩვენ ერისკაცებს, რომ ვხედავთ მათ მომნანიებლად ცოდვებისა და ვხედავთ, რომ ისინი ითხოვენ შველას აკრძალვის მიმართ; მაშინ, როდესაც ისინი აქარწყლებენ ამ წმიდანის სიტყვებს, თავიანთ თავს მღვდლებზე მაღლა [მდგომად] ხდიან, ეზიზღებათ ისინი და არაფრად აგდებენ მათ. და ეს კი მათთვის არც ღმერთს, არც კანონებსა და არც სინოდს არ უბრძანებია“.

ამ, ასე ვთქვათ, ეპილოგთა გამოტოვება ნუსხის გამჩარხავისათვის არც მხატვრული და არც ეთიკური თვალსაზრისით არ უნდა ყოფილიყო თითქოს გამართლებული. საერთოდ, მოტანილი მაგალითები გვაფიქრებინებენ ვატიკანური ნუსხის მომდინარეობას სინურთან ახლოს მდგომი, მაგრამ მისგან რამდენადმე განსხვავებული სხვა ადრინდელი ნუსხიდან.

ამგვარად ვატიკანური ნუსხის ჩვენებები, ერთი მხრივ, მანიშნებელია „ალ-ბუსთანის“ ადრინდელი, დღემდე შეუსწავლელი ნუსხის არსებობისა. მეორე მხრივ, ისინი მოწმობენ ვატიკანურ ნუსხაზე სინური ნუსხის უპირატესობას თხრობათა მეტი სისრულითა და არქაული, ბერძნულთან უფრო ახლოს მდგომი ფორმით წარმოდგენის თვალსაზრისით. აქედან გამოდის, რომ Sin. 549 შესწავლილ ხელნაწერთა შორის ყველაზე ადრინდელი და „ალ-ბუსთანის“ საკითხებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი ნუსხაა.

* * *

არაბული „ალ-ბუსთანის“ შესახებ საბოლოოდ შემუშავებული აზრი ამჟამად არ არსებობს. G. Graf-ი და G. Levi Della Vida რამდენადმე განსხვავებულ მოსაზრებებს გამოთქვამენ ამ ძეგლის თაობაზე. G. Graf-ი „ალ-ბუსთანს“ ბერძნული „ლიმონარის“

არაბულ გადამუშავებად მიიჩნევს[30]. G. Levi Della Vida კი დასახელებული ვატიკანური ნუსხების შესწავლის საფუძველზე, მისი ბერძნულიდან თარგმნის საკითხს თითქოს ეჭვის ქვეშ არ აყენებს, მაგრამ გამოთქვამს ვარაუდს, რომ ბერძნული „ლიმონარის“ სრული არაბული თარგმანი შესაძლოა არც არსებობდა არასდროს[31].

აღნიშნული საკითხების კვლევა, ბუნებრივია, ბერძნულ ტექსტზე დაყრდნობით არის შესაძლებელი. ეს უკანასკნელი კი მხოლოდ Migne-ს გამოცემითაა ხელმისაწვდომი[32]. მაგრამ Migne-ს გამოცემა, შემდგარი 219 თხრობისაგან, მექანიკურია შეერთება და გადაბეჭდვაა ადრე არსებული გამოცემებისა: Duce-სი[33] და Cotelerius-ისა[34]. იგი არ არის კრიტიკული გამოცემა და ვერ გაიგივდება მოსხისეულ თავდაპირველ „ლიმონართან“. ამასთან დაკავშირებით შეიძლება გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ Th. Nissen-მა ბერლინისა და ვენის ხელნაწერებში, Philipp. 1624 (B) და Cod. Hist. gr. 42(V), მიაკვლია და გამოსცა „ლიმონარის“ მანამდე უცნობი 14 თხრობა[35].ასეთი შესაძლებლობა, „ლიმონარის“ კრიტიკულად შეუსწავლელი ხელნაწერების არსებობის გათვალისწინებით, სავარაუდოა, არც მომავალში იყოს გამორიცხული. მაგალითად, K. Krumbacher-ი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა X საუკუნის ხელნაწერს— Cod. Marcianus class. 2,21[36]. მისი შესწავლა და გამოცემა კვლავაც სასურველი რჩება.

საერთოდ, ბერძნულ „ლიმონართან“ დაკავშირებული სირთულე მისი შედგენილობის საკითხში მდგომარეობს. ჯერ კიდევ პატრიარქ ფოტის დროს ყოფილა „ლიმონარის“ ისეთი ხელნაწერები, რომელთაგან ზოგი შეიცავდა 304-ს, ზოგი კი 342 თხრობას[37]. K. Krumbacher-ი აღნიშნავდა, რომ ამ ძეგლს მრავალგზის განუცდია შევსება და გადამუშავება[38]. ნაწარმოების ხასიათიდან გამომ-

---

[30] G. Graf, დასახ. ნაშრომი. გვ. 383.

[31] G. Levi Della Vida, დასახ. ნაშრომი, გვ. 5.

[32] Migne, Patrologiae graeca, t. LXXXVII გვ. 2845—3116.

[33] Duce, Biblioth. Vet. Patrum, t. II, Paris, 1624.

[34] Cotelerius, Ecclesiae Graeca monumenta, t. II, 1681.

[35] Th. Nissen, Unbekannte Erzählung aus dem Pratum Spirituale, Byz. Zeitschrift, XXXVIII, 1938, გვ. 351—376.

[36] K. Krumbacher, Geschichte der byzantinischen Litteratur, B. I, New-York, zweite Auflage, გვ. 188.

[37] ეს ცნობა დაცულია ფოტის „ბიბლიოთეკაში“—Bibl. cod. 199. იხ. O. Bardenhewer, დასახ. ნაშრომი. გვ. 133.

[38] K. Krumbacher, დასახ. ნაშრომი, იქვე.

დინარე, ეს სავსებით კანონზომიერი ფაქტია. პატრისტიკული ძეგლები, რომელნიც სამონასტრო ზნეობის მრავალ სხვადასხვა მხარეს ეხებოდნენ, შეიცავდნენ, ასე ვთქვათ, მორალურ კოდექსს ბერ-მონაზვნური ცხოვრებისა და ამავე დროს მარტივად და ცოცხალ ფერებში გადმოსცემდნენ საინტერესო ეპიზოდებს წმ. მამათა ცხოვრებიდან, მისაწვდომი იყვნენ ფართო ქრისტიანი მკითხველისათვის და მის სულიერ ინტერესებს ეხმაურებოდნენ. იქმნებოდა სხვადასხვაგვაროვანი მასალისა და სხვადასხვა მეთოდით შედგენილი პატრისტიკულ-აპოთეგმატური ძეგლების გამაერთიანებელი უამრავი კრებული. არსებული საერთო განწყობისა, თუ შემდგენელ-გადამწერლების გემოვნება-მოსაზრებიდან გამომდინარე, ამ კრებულების ცალკეული შემადგენელი ნაწილები სისტემატურ გავრცობა-შემოკლებას განიცდიდნენ. როგორც W. Bousset აღნიშნავდა, ამ კრებულებში ხანგრძლივი გადამუშავების პროცესი ისახებოდა[39]. ასეთი ხვედრის განსაკუთრებით ისეთი პოპულარული ძეგლები უნდა ყოფილიყო, როგორიც იყო იოანე მოსხის „ლიმონარი“.

იოანე მოსხს თავისი ნაწარმოები პალესტინის, სირიის, ეგვიპტის, მცირე აზიისა და სხვა ადგილების უდაბნოთა და სავანეთა მონახულების დროს შეგროვილი მასალის საფუძველზე აუგია[40]. აღწერილ ამბავთა თვითმხილველი და მსმენელი იგი თვითონ ყოფილა. მაგრამ Migne-ს მიერ გამოცემულ „ლიმონარში“ ი. სმირნოვმა, სლავური „ლიმონარის“ მკვლევარმა, გამოჰყო აშკარად არაორიგინალური, სხვა პატრისტიკული ძეგლებიდან ნასესხები თხრობები. ასე მაგალითად, 6 თხრობა, №№ 203, 211, 212, 216, 218 და 219 ნასესხები ყოფილა ზოსიმე პალესტინელის Διαλογισμοί-დან[41], 2 თხრობა — №№ 361 და 210—ე. წ. ფოტის პატერიკიდან[42]. ი. სმირნოვი ეჭვის ქვეშ აყენებს აგრეთვე კიდევ სხვა თხრობების მოსხისეულ წარმომავლობას[43]. მისი ვარაუდით დასახელებული თხრობე-

---

[39] W. Bousset, დასახ. ნაშრომი. გვ. 71.

[40] K. Krumbacher, დასახ. ნაშრომი, გვ. 187.

[41] И. К. Смирнов, დასახ. ნაშრომი, გვ. 88.

[42] იქვე, გვ. 68; ამ პატერიკის ნამდვილი სახელწოდებაა *'ανδρῶν ἁγίων βίβλος*. იგი თავის „ბიბლიოთეკაში“ მოხსენიებული აქვს პატრიარქ ფოტის, რის გამოც გავრცელდა ფოტის პატერიკის სახელწოდებით. იხ. Wijk, Das gegenseitige Verhältnis einiger Redaktionen der *'ανδρῶν ἁγίων βίβλος* und der Entwicklung des *μέγα λειμωνάριον*, Amsterdam, 1933.

[43] И. К. Смирнов, დასახ. ნაშრომი, გვ. 93.

ბი თვით მოსხის მიერ უნდა ყოფილიყო „ლიმონარში“ ჩართული[44]. ამ თხრობების არსებობა Migne-ს „ლიმონარში“, ვფიქრობთ, გვიანდელი კომპილატორის ღვაწლსაც შეიძლება მიეწეროს. ყოველ შემთხვევაში, აშკარა ხდება ამ მხრივ ძეგლის შესწავლის აუცილებლობა.

მოსხის „ლიმონარის“ შედგენილობის საკითხისათვის მნიშვნელოვანია ამ ძეგლის სხვა ენებზე გავრცელებული ვერსიების ჩვენებანი. ამ მხრივ აღსანიშნავია ძველი სლავური და ქართული ვერსიები. ძველი სლავური ვერსია ე. წ. „სინური პატერიკი“ დამატებით შეიცავს Migne-ს გამოცემისათვის უცნობ 35 თხრობას[45]. მათგან ერთი № 309[46] ნამდვილად „ლიმონარის“ თხრობა აღმოჩნდა. იგი დასტურდება Th. Nissen-ის მიერ გამოცემულ თხრობათა შორის[47]. ამ ფაქტის გათვალისწინებით კატეგორიულად ვერ გამოირიცხება ძველი სლავური ვერსიის დანარჩენ დამატებით თხრობათა მოსხისეული წარმომავლობა და ამდენად ამ ვერსიის ჩვენებაში შესაძლოა დავინახოთ მინიშნება მოსხის „ლიმონარის“ დღემდე უცნობი თხრობების არსებობის შესახებ. ამ საკითხთან დაკავშირებით ერთი თხრობის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი.

განსაკუთრებით საგულისხმოა ლიმონარის ქართული ვერსიის—„სამოთხის“—მონაცემები. „სამოთხის“ ხელნაწერებში გამოიყოფა ყველა ნუსხისათვის საერთო ძირითადი ტექსტი, მინისეულ 91—92 თხრობათაგან შემდგარი. ამ ნაწილში მხოლოდ ერთი არამინისეული თხრობა გვხვდება—ჯ[48]. ძირითად ტექსტს ერთვის დამატებითი თხრობების ორი ჯგუფი: ათონური (№ 9) და სინური (№ 68). დამატებით თხრობებში შედის 23 მინისეული თხრობა[49]. ათონურ დამატებას ახლავს წარწერა, რომელშიც აღნიშნულია, რომ „ესე თავები“ არის არა „სამოთხე“, არამედ „მიმსგავსებული სამოთხესა“. აქედან გამოდის, „რომ სამოთხედ იწოდება ყველა ნუსხისთვის საერთო ნაწილი,—91/92 თავი, და რომ დანამატი სა-

---

[44] იქვე, გვ. 67—68.

[45] იქვე, გვ. 283.

[46] იქვე, გვ. 290.

[47] Th. Nissen, დასახ. ნაშრომი, გვ. 358, თხრ. № 5.

[48] ლიმონარი, გვ. 72.

[49] იქვე. დამატება II, გვ. 119—141; ეს თხრობებია: №№ 2(19), 3(21), 4(25), 5(30), 6(36), 7(194), 8(208), 9(105), 10(127), 11(119), 12(160), 13(161), 14(47), 15(60) 16(70), 18(9), 21(167), 22(16), 23(56), 25(42), 24(56), 26(5). 27(3); ფრჩხილებში მითითებულია მინისეული თხრობების ნომრები.

მოთხის თავები კი არაა, არამედ მიმსგავსებული სამოთხესა, ე. ი. სამოთხისებურად არის გაკეთებული“[50].

ამ ცნობის უტყუარობა გამოავლინა კ. კეკელიძემ. მან დამატებით თხრობებში მოსხის შემდეგდროინდელი ისტორიული პირებისა და ფაქტების მოხსენიების საფუძველზე დაამტკიცა მათი გვიანდელი არამოსხისეული წარმომაელობა[51]. ასე რომ, როგორც ილ. აბულაძე აღნიშნავს, ქართული ვერსიის ჩვენებას „უსათუოდ უაღრესი მნიშვნელობა ენიჭება ი. მოსხის ნაწარმოების ადრინდელი სახისა და მოცულობის აღსადგენად“[52]. კონკრეტულად კი ეს ჩვენება, ერთი მხრივ, ამტკიცებს Migne-ს გამოცემისთვის უცნობი მოსხისეული თხრობის არსებობას („სამოთხის“ ძირითადი ნაწილის XII თხრობა), ხოლო, მეორე მხრივ, იგი დამატებით თხრობებში დადასტურებულ 23 მინისეული თხრობის ორიგინალობას საეჭვოს ხდის.

ყოველივე აღნიშნული ავლენს ბერძნულ ტექსტთან დაკავშირებით არსებულ ვითარებას და ცხადყოფს, რომ Migne-ს პატროლოგიის „ლიმონარი“ არ შეიძლება წარმოადგენდეს ე. წ. textus receptus-ს ამ ძეგლის სხვა ვერსიათა, კერძოდ, არაბული ვერსიის რაობის საბოლოო გადაწყვეტისათვის. მაგრამ ამჟამად ხელმისაწვდომი ბერძნული ტექსტები არაბული „ალ-ბუსთანის“ ზოგად თავისებურებათა მოხაზვის საშუალებას იძლევა. ჩვენ გვინდა „ალ-ბუსთანის“ სინური ნუსხა არქიტექტონიკისა და ცალკეულ თხრობათა მიმართების თვალსაზრისით შევაჯეროთ ბერძნულ ტექსტთან.

არქიტექტონიკის თვალსაზრისით მიმართების მხრივ ამ ხელნაწერში შემდეგი ვითარებაა: მისი 105 თხრობიდან უმეტესი ნაწილი, სახელდობრ, 77 თხრობა Migne-ს „ლიმონარის“ თხრობათა შორის დასტურდება. ერთ თხრობას Th. Nissen-ის მიერ გამოცემულ თხრობებში ეძებნება შესატყვისი. დანარჩენი თხრობები აღნიშნული გამოცემისათვის უცნობია*. „ალ-ბუსთანის“ მინისეული თხრობები ორი ასეულის, ან. მიღებული ტერმინით, ორი Hekatonta-ს[53]

---

[50] იქვე, გამოკვლევა ილ. აბულაძისა. გვ. 09.

[51] К. Кекелидзе, Грузинская версия „Лимонаря“ и ее значение для славянской истории, საბჭოთა საქართველოს 40 წელი, თბილისი, 1961, გვ. 334—335.

[52] ლიმონარი, გვ. 010.

* ამ თხრობებს სიმარტივისათვის ვუწოდებთ „უცნობს“.

[53] ბერძნულ ხელნაწერებში „ლიმონარის“ თხრობები ასეულების მიხედვითაა გამოყოფილი, მაგალითად, მოსკოვის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერში Гр. 163 საგანგებოდაა აღნიშნული Ἑκατοντὰς β (250r—282r), Ἑκατοντὰς γ (282r—312v).

ფარგლებში თავსდება. მინისეულ თხრობათა თანმიმდევრობა დასაწყისში უფრო ზუსტადაა დაცული. 29-ე თხრობამდე (ჩათვლით) არც ერთი თხრობა არ არის გამოტოვებული. გამოტოვებულ თხრობათა ოდენობა იზრდება IV, განსაკუთრებით კი V ათეულის შემდეგ. მთელი თხრობები „ალ-ბუსთანისა“ შეიძლება ორ ჯგუფად დაიყოს: მინისეულ თხრობათა ნაწილი №№ 1—82 (273r—327v) და შემდეგ მასზე დართული უცნობ თხრობათა ნაწილი №№ 83—105 (327v—347v). მაგრამ ასეთი გამიჯვნა არ არის ზუსტი. მინისეულ ნაწილში დასასრულისკენ შერეულია ხუთი უცნობი თხრობა. ხოლო უცნობ თხრობათა ნაწილში გვხვდება ერთი მინისეული თხრობა № 200 და ერთი ნისენისეული თხრობა № 5.

თვალსაჩინოებისათვის წარმოვადგენთ სქემას, რომელშიც არაბული ციფრებით აღვნიშნავთ არაბულ თხრობებს, ხოლო რომაულით—მათ შესატყვის ბერძნულ თხრობებს.

1(I)	24(XXIV)	47(XC)
2(II)	25(XXV)	48(XCI)
3(III)	26(XXVI)	49(XCII)
4(IV)	27(XXVII)	50(XCIII)
5(V)	28(XXVIII)	51(XCIV)
6(VI)	29(XXIX)	52(XCV)
7(VII)	30(XXXV)	53(XCVI)
8(VIII)	31 (XL, მეორე ნაწ.)	54(XCVII)
9(IX)	32(XLVI)	55(XCVIII)
10(X)	33(XLVII)	56
11(XI)	34(XLIII)	57
12(XII)	35(XLIX)	58(XCIX)
13(XIII)	36(LXXVI)	59(C)
14(XIV)	37(LXXVII)	60(CV)
15(XV)	38(LXXIX)	61(CVIII)
16(XVI)	39(LXXX)	62(CXII)
17(XVII)	40(LXXXIII)	63(CXIII)
18(XVIII)	41(LXXXIV)	64(CXIV)
19(XIX)	42(LXXXV)	65
20(XX)	43(LXXXVI)	66
21(XXI)	44(LXXXVII)	67
22(XXII)	45(LXXXVIII)	68(CXIX)
23(XXIII)	46(LXXXIX)	69(CXXVII, მეორე ნაწ.)

70(CXXVIII)	83	96
71(CXXX)	84	97
72(CXXXI)	85	98(CC)
73(CXXXII)	86	99
74(CXXXIII)	87	100 (ნისენის თხრ.
75(CXXXV)	88	№ 5)
76(CXLI)	89	101
77(CXLIX)	90	102
78(C)	91	103
79(CIV)	92	104
80(CLIV)	93	105
81(CLXXV)	94	
82(CLII)	95	

სინური ნუსხის მიხედვით აშკარა ხდება, რომ არაბულად მინისეული „ლიმონარის“ უფრო მეტი თხრობა ყოფილა წარმოდგენილი, ვიდრე ეს აქამდე იყო ცნობილი, კერძოდ, ვიდრე ამას ვარაუდობდა G. Levi Della Vida ვატიკანური ნუსხების მონაცემების გათვალისწინებით. სინური ნუსხის 17 მინისეული თხრობა არ დასტურდება არც Vat. ar. 77-ის ჩვენ ხელთ არსებულ ნაწილში და არც სხვა ვატიკანური ხელნაწერების G. Levi Della Vida-ს მიერ ჩამოთვლილ თხრობათა შორის.

არქიტექტონიკის თვალსაზრისით „ალ-ბუსთანის“ ბერძნული „ლიმონარის“ არაბულ გადამუშავებად მიჩნევის შემთხვევაში აღნიშნული უცნობი თხრობების წარმომავლობის საკითხი დადგება: სახელდობრ, წარმოქმნილი არიან ისინი არაბულ ნიადაგზე თუ ბერძნული წყაროდან მომდინარეობენ.

ამ საკითხთან დაკავშირებით პირველ რიგში ხაზი უნდა გავუსვათ იმ გარემოებას, რომ მინისეულ თხრობებზე უცნობ თხრობათა დართვა, როგორც აღნიშნული იყო, „ლიმონარის“ სხვა ვერსიებისთვისაც არის დამახასიათებელი და ამ მხრივ არაბული გამონაკლისს არ ქმნის. პირიქით, არაბული ვერსიის ჩვენებებით ეს ფაქტი კიდევ უფრო საგულისხმო ხდება.

სინური ნუსხის უცნობ თხრობათა ნაწილში, თუმც მკრთალად, მაგრამ რამდენადმე მაინც, შეიმჩნევა მინისეულ „ლიმონარში“ გატარებული მასალის შერჩევის პრინციპი. როგორც ეს ცხადყო ი. სმირნოვმა, Migne-ს „ლიმონარში“ გვხვდება თხრობები ფოტის პატერიკიდან, მაგრამ იქ ვერ ვხვდებით მასალას მოსხის

სიცოცხლეში უკვე ცნობილი პატერიკიდან ე. წ. ლავსაიკონიდან (Παλλαδίου Ἐπισκόπου Ἑλενουπόλεως ἡ πρὸς Λαῦσον ἱστορία, περιέχουσα βίους ὁσίων πατέρων), რომლის გამოყენება „ლიმონარისთვის“ ისევე მოსალოდნელი იყო, როგორც ფოტის პატერიკისა[54]. ასევეა სინურ „ალ-ბუსთანშიც“. ჩვენ მასში ვერ ვხვდებით თხრობებს ლავსაიკონიდან, მაგრამ ფოტის პატერიკის ოთხი თხრობა აქ დასტურდება, სახელდობრ, თხრობები №№ 82, 83, 87, 91[55].

ბერძნულ პატრისტიკულ კრებულებში „ალ-ბუსთანის“ სხვა თხრობებსაც ეძებნება შესატყვისი. მაგალითად, წმ. დანიელის ციკლიდან ორი თხრობა №№ 64 და 66 გვხვდება ბერლინის ხელნაწერში—Berl. Cod. Philipp. 1624[56]. თხრობები ალექსანდრიელი სქოლასტიკოსის—№ 86, კედრებისა და ლერწმების—№ 101, 12 ყაჩაღის—№ 104, ქალის ვნებათ ღელვის გასაქარვებლად ჭაბუკის დამახინჯებისა—№ 105 და ასკალონელი სქოლასტიკოსის შესახებ—№103 გვხვდება პარიზის ხელნაწერში Cod. Par. 1596[57]. კედრებისა და ლერწმების შესახებ თხრობას შეიცავს სინური ხელნაწერი—Sinai 448[58]; თხრობები ჭაბუკის დამახინჯების შესახებ, ალექსანდრიელი სქოლასტიკოსისა და სიტყვის გამტეხი ზარაფის შესახებ—№ 57 დასტურდება ხელნაწერში Coislin 126[59]. ასკალონელი სქოლასტიკოსის შესახებ თხრობა გვხვდება აგრეთვე მოსკოვის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერში Гр. 163 (294v). დასახელებული ხუთივე ბერძნული ხელნაწერი შეიცავს „ლიმონარს“.

---

[54] И. А. Смирнов, დასახ. ნაშრომი, გვ. 73.

[55] ფოტის პატერიკის ერთადერთი ბერძნული ხელნაწერი დაცულია მოსკოვის ისტორიული მუზეუმის ფონდში—Гр. 451. დასახელებულ არაბულ თხრობათა შესატყვის თხრობებს ხელნაწერში უპირავს გვერდები 62v, 101r, 161v—163r. რუსული თარგმანის მიხედვით ეს თხრობებია: თ. VII § 54, თ. X § 162, თ. XVII § 27, § 30. იხ. Древний патерик, изложенный по главам (перевод Рождественского), М., 1891.

[56] ამ ხელნაწერის მიხედვით წმ. დანიელის შესახები თხრობები გამოქვეყნებული აქვს L. Glugnet-ს, Révue de l'Orient Chrétien, 1900; თხრობები №№ 65 და 67 იხ. გვ. 254—261 და 66—67.

[57] ამ ხელნაწერის აღწერილობა და ნაწყვეტები ცალკეულ თხრობათაგან გამოცემული აქვთ F. Nau და L. Glugnet-ს, R. O. Chr., VII, 1902; თხრობები №№ 101, 104, 105, იხ. გვ. 607. მთლიანად ზოგიერთი თხრობა ამ ხელნაწერისა გამოცემული აქვს L. Clugnet-ს, R. O. Chr., X. 1905; თხრობა № 103 იხ. გვ. 39—40.

[58] Jean-Claude Guy, S. J. დასახ. ნაშრომი, გვ. 96.

[59] ამ ხელნაწერის თხრობათა ნაწილი გამოცემული აქვს F. Nau-ს, R. O. Chr., XII, 1907; თხრობა № 87 იხ. გვ. 176—177, № 86—გვ. 176, № 105—გვ. 66—68.

თუმც ყველა უცნობ არაბულ თხრობას ვერ დაეუძებნეთ ბერძნული შესატყვისი, მაგრამ, ვფიქრობთ, არაბული „ალ-ბუსთანის“ არქიტექტონიკაში ვლინდება არა არაბული, არამედ წმინდა ბერძნული ტრადიცია. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, აშკარა ხდება არაბული „ალ-ბუსთანის“ წარმომავლობა „ლიმონარის“ შემცველი ბერძნული პატრისტიკული კრებულებიდან.

შესაძლოა არაბული „ალ-ბუსთანი“ სხვადასხვა ბერძნულ პატრისტიკულ კრებულს კი არ ეყრდნობოდეს, არამედ ბერძნულადვე გაფორმებული ერთი გარკვეული კრებულიდან მომდინარეობდეს. ასეთი ვარაუდის ნაწილობრივ საფუძველს სინური და ვატიკანური ნუსხების შეჯერება იძლევა. არსებით განსხვავებათა გვერდით, მათი მრავალმხრივი დამთხვევები, განსაკუთრებით არქიტექტონიკაში, მანიშნებელი უნდა იყოს მათთვის ერთი საერთო ბერძნული წყაროს არსებობისა. საბოლოოდ კი არაბული „ალ-ბუსთანის“ ბერძნულ წყაროთა თუ წყაროს საკითხი მთელი არაბული ნუსხების შესწავლის შემდეგ გაირკვევა.

ძალზე საგულისხმო ჩანს არაბული ვერსიის ჩვენება ერთ თხრობასთან დაკავშირებით. ეს არის პირველი ნაწილი № 103 თხრობისა ასკალონელი სქოლასტიკოსის ქველმოქმედებათა შესახებ. გარდა „ალ-ბუსთანის“ სინური ნუსხისა, იგი გვხვდება სხვა არაბულ ნუსხებშიც: ვატიკანურ ნუსხაში Vat. ar. 77 (23v — 25r) და ერთ ფრაგმენტში ნიუ-ბრუნსვიკის ხელნაწერისა, რომელიც აგრეთვე შეიცავს „ლიმონარის“ ორ თხრობას[60]. იგივე თხრობა მიჰყვება ძველი სლავური „სინური პატერიკის“ მინისეულ თხრობებს[61]. ასეთი დამთხვევა დამაფიქრებელია, მით უფრო, როდესაც ანალოგიური მდგომარეობა ვლინდება ბერძნულ ხელნაწერებშიც. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს თხრობა „ლიმონართან“ ერთად შედის პარიზის ხელნაწერში Cod. Par. ar. 1596 და მოსკოვის ისტორიული მუზეუმის ხელნაწერში l'p. 163. ე. ი. იგი „ლიმონარის“ როგორც ბერძნულ, ასევე სხვა ვერსიათა ხელნაწერებში დაბეჭდითებით თავსდება „ლიმონართან“ ერთად. ვფიქრობთ, ამ თხრობის საკითხი მისი მოსხისეული წარმომავლობის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს.

ცალკეულ თხრობათა ფარგლებში ბერძნული „ლიმონარისა“ და სინური „ალ-ბუსთანის“ ტექსტების მიმართების მხრივ შემდეგი

---

[60] იხ. G. Levi Della Vida, დასახ. ნაშრომი, გვ. 3.

[61] იხ. И. К. Смирнов, დასახ. ნაშრომი., გვ. 291, თხრ. № 310.

ვითარებაა: არაბულში ბერძნული ტექსტი ადექვატურად გადმოსული არ არის. გვხვდება მისი დაძატებანი, გაცილებით უფრო ხშირად კი შემოკლებანი. შემოკლებანი სხვადასხვაგვარია. წინააღმდეგ ბერძნულისა ხშირ შემთხვევაში თხრობა უშუალოდ ამბის გადმოცემით იწყება, თხრობის მორალისთვის ნაკლებმნიშვნელოვანი წიაღსვლები შემცირებულია. გამოტოვებულია ხოლმე მოქმედების ადგილის განსაზღვრა-დახასიათება, მაგალითად:

Ἀπήλθομεν ἐν μιᾷ εἰς τὸν οἶκον Στεφάνου τοῦ σοφιστοῦ, ἐγὼ καὶ ὁ κύριος Σοφρόνιος, ἵνα πράξωμεν· ἦν δὲ μεσημβρινόν. Ἔμενεν δὲ εἰς τὴν ἁγίαν Θεοτόκον, ἣν ᾠκοδόμησεν ὁ μακάριος πάπας Εὐλόγιος, τὴν ἐπονομαζομένην τῆς Δωροθέας.

(LXXVII, გვ. 2929)

مررت انا والقديس سفرونيوس الى بيت الحكيم الذى كنا نتعلم عنده الحكمة مع نصف النهار

(290 v 9—11)

ერთხელ მივედით მე და უფალი სოფრონი სტეფანე სოფისტის სახლში, რათა გვემეცადინა. შუადღე იყო. იგი ცხოვრობდა წმ. ღვთისმშობლის ტაძართან, ე. წ. დოროთეასთან, რომელიც ააგო ნეტარმა მამამ, ევლოგიმ.

წავედით მე და წმ. სოფრონი ბრძენის სახლში, რომელთანაც ჩვენ სიბრძნეს ვსწავლობდით, შუადღისას.

ხშირად მოქმედ პირთა დახასიათებასაც ნაკლები ყურადღება ეთმობა. ზოგჯერ მათი სახელებიც კი გამოტოვებულია, მაგალითად:

Τινὰ νύκτα οὖν ἔρχεται κατὰ τοὺς ὕπνους, καὶ φαίνεται τῷ νῦν Πατέρι ἡμῶν, τῷ καλῷ καὶ ἀγαθῷ ποιμένι ἀββᾷ Ἰουλιανῷ.

(LXXXIV, გვ. 2941)

فاوى لراس الدير فى روا الليل

(293r 15—16)

ერთ ღამეს გამოეცხადა ძილში ჩვენს ახლანდელ მამას, ღირსეულ და კეთილ მოძღვარს—ანბა იულიანეს.

და გამოეცხადა ღამე ძილში მონასტრის მამასახლისს.

ცალკეული ადგილები სხვა სიტყვებით, ზოგჯერ უფრო მხატვრულად, ან უფრო მოკლედაა გადმოცემული, მაგალითად:

ἡ κακή μου πρᾶξις λέγει μοι:... (LXXVII, გვ. 2932)

ولم يتركني رغبتي وشرة نفسي فقلت... (291r 16)

ჩემმა ცუდმა ჩვევამ მიკარნახა მე...

არ მომასვენა გულისწადილმა ჩემმა და უკეთურებამ ჩემი სულისა და ვთქვი...

ან უფრო მოკლედ გადმოცემის მაგალითი:

Καὶ ὀὴ ἀπερχόμενοι κατὰ τὴν ἔρημον, ἐπλανήθημεν τὴν ὁδὸν, καὶ περιεφερόμεθα ἐν τῇ ἐρήμῳ. Τοῦ οὖν ὕδατος ἡμῶν ὀαπαγηθέντος, καὶ μὴ εὑρ:σκόντων ἡμῶν ὕδωρ ἐπὶ ἡμέρας, ἠρξάμεθα ἀπὸ ὀ:ψης. (XVI, გვ. 2864)

فطلنا وتقصنا الما حتا كدنا نموت من العطش (279r 3—4)

წავედით რა უდაბნოში, გზა აგვებნა და უდაბნოში დავიწყეთ ხეტიალი. როდესაც წყალი შემოგველია და დღეების განმავლობაში ვერ აღმოვაჩინეთ წყალი, წყურვილმა გვძლია.

[გზაში ყოფნა] გაგვიხანგრძლივდა და წყალი შემოგველია. ისე რომ, კინაღამ დავიხოცეთ წყურვილისაგან.

რიგ შემთხვევაში იცვლება ცალკეული დეტალი, მაგალითად, ბერების დაყუდების წლების განსაზღვრა და სხვ. დამატებანი უმთავრესად თხრობის ბოლოსაა წარმოდგენილი. მაგალითად, დამატებულია შემდეგი ადგილი: وانصرفنا نحن نسبح الله على كثرة رحمته ومواهبه للذين يحبوه (299r 9—10) „წავედით ჩვენ და თან ვადიდებდით ღმერთს მისი მრავალი კურთხევისა და წყალობის გამო მათ მიმართ, რომელთაც იგი უყვართ“ და ა. შ.

დაახლოებით ასეთი ხასიათი აქვს არაბულში ბერძნული ტექსტის ცვლილებებს. ეს ცვლილებები არც თუ ძალიან ხშირია და, რაც მთავარია, ისინი არსებითი ხასიათისა არ არის. ბერძნული

ტექსტი არაბულად გადმოღებულია თავისუფალი თარგმანის ტრადიციის მიხედვით, რომელიც დამკვიდრებული იყო შუა საუკუნეების მწერლობაში და რომლის გამტარებლებსაც, ეფრემ მცირის სიტყვები რომ განვაზოგადოთ ექვთიმე მთაწმიდლის მიმართ თქმული, ჰელენოფებოდათ „მადლითა სულისა წმიდისაჲთა... შემატებაჲცა და კლებაჲცა“[62].

მაგრამ მთარგმნელის თავისუფლება სინურ „ალ-ბუსთანში“ შეზღუდულია. შემატება-კლებანი აქ აზრობრივ ცვლილებებს არ იწვევენ. არსი თხრობისა და ამბის გადმოცემის თანმიმდევრობა არაბულ თხრობაში ისეთივეა, როგორც ბერძნულში. ძალიან ბევრი ადგილი თითქმის სიტყვა-სიტყვით მისდევს ბერძნულ ტექსტს. სანიმუშოდ მოვიყვანთ ერთს მცირე მოცულობის თხრობას თაეიდან ბოლომდე:

Ἀδελφὸς ἠρώτησε τὸν ἀββᾶν Ὀλύμπιον τὸν πρεσβύτερον τῆς λαύρας τοῦ ἁβᾶ Γερασίμου, λέγων· Εἰπόν μοι ῥῆμα. Ὁ δὲ λέγει αὐτῷ· Μὴ καθίσῃς μετὰ αἱρετικῶν, καὶ κράτει γλώσσης καὶ κοιλίας, καὶ ὅπου κάθῃ, συνεχῶς λέγε. ὅτι Ξένος εἰμί.

(XII, გვ. 2861)

اخ سال لانبا البيدس قسيس القلمون وقال له قول لى يابا كلمة فقال لـه الشيخ لا تحسن الارطقيين وامسك لسانك وبطنك وحيث ما جلست يقول انما انا انسان غريب

(278r 6—9)

ძმამ სთხოვა ანბა ულუმპიას — ანბა გერასიმეს ლავრის ხუცესს — და უთხრა: „მითხარი სიტყვა!“ მან მიუგო: „ნუ დაუახლოვდები ერეტიკოსებს, დაიოკე ენა და მუცელი და სადაც არ უნდა იყო, თქვი მუდამ: „მე უცხო კაცი ვარ“.

ძმამ სთხოვა ანბა ულუმპიას — კალამონის [ლავრის] ხუცესს — და უთხრა: „მითხარი, მამაო, სიტყვა!“ მიუგო მას ბერმა: „კეთილად ნუ მოექცევი ერეტიკოსებს, დაიოკე ენა და მუცელი და სადაც არ უნდა იყო, თქვი: „მე მხოლოდ უცხო კაცი ვარ“.

არაბულ ტექსტში გვხვდება აგრეთვე ბევრი ბერძნული სიტყვა. ეს სიტყვები ძირითადად საეკლესიო კულტთან დაკავშირებული ტერმინებია. საგულისხმოა ის გარემოება, რომ უმეტეს

[62] კ. კეკელიძე, მთარგმნელობითი მეთოდი ძველ ქართულ ლიტერატურაში და მისი ხასიათი, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბილისი, 1956, გვ. 185.

შემთხვევაში არაბულში ნახმარ ბერძნულ საეკლესიო ტერმინს პარალელურ ბერძნულ ტექსტში ზუსტად იგივე სიტყვა შეესაბამება. ანალოგიური მდგომარეობა ვლინდება აგრეთვე არასაეკლესიო ტერმინებთანაც. ასე მაგალითად, ბერძნულ-არაბული თხრობების ერთსა და იმავე ადგილას გვხვდება ميمس (287v 5)—ὁ μῖμος (XLVII, გვ. 2901); برفير (286 v 13)—ἡ πορφύρα (XLVI, გვ. 2900) და სხვ.

საინტერესო შემთხვევა დასტურდება ما ფორმასთან დაკავშირებით: دميانى ما (321r, 7)—„დედა დამიანე". ما სირიული 'emā'-ს გადმოცემაა, მაგრამ არაბულ თხრობაში იგი უშუალოდ ბერძნული ტექსტიდან უნდა იყოს მოხვედრილი. საერთოდ ბერძნულში, განსაკუთრებით კი აპოვთეგმატურ ტექსტებში, ეს სიტყვა დამკვიდრებულია[63]. კონკრეტულ შემთხვევაში იგი გვხვდება არაბული თხრობის შესატყვის თხრობაში და თანაც ზუსტად იმავე ადგილას—ἡ ἀμμὰ Δαμιανή (CXXVII, გვ. 2988).

ზოგ შემთხვევაში არაბულში გამოთქმებიც ბერძნულიდანაა ნასესხები. გვხვდება ზუსტი გადმოღება ბერძნული მიმღეობიანი კონსტრუქციებისა და სხვ., მაგალითად:

Διηγήσαντο δὲ ἡμῖν καὶ τοῦτο, λέγοντες...	اخبرونا ايضا وقالو لنا...
(LXXXV, გვ. 2941)	(293v 7—8)
Διηγήσατο δὲ ἡμῖν ὁ αὐτὸς Πατὴρ ἡμῶν Γεώργιος λέγων...	اخبرونا جرجى هذا القديس وقال...
(XCIII, გვ. 2952)	(298v 1—2)
ἦλθέν μοι φωνὴ λέγουσα...	جانى صوت يقول لى...
(CV, გვ. 2964)	(306r 4—5)
ἦλθεν εἰς ἑαυτὸν.	رجع الى نفسه
(XXVI, გვ. 2874 და სხვ.)	(283v 9 და სხვ.)
Ποίησον ἀγάπην.	اصنع حب
(XVI, გვ. 2864 და სხვ.)	(2797r 7—8 და სხვ.)

[63] E. A. Sophocles, Greek Lexicon of the Roman and Byzantine Periods, New-York.

Πίστευσόν μοι, δέσποτα, τιποτοῦν ἔχεις ἐν τῇ ψυχῇ σου. حصدقنى ايه السيد ان لك قصة فى نفسك

(XLIX, გვ. 2904) (289r 2—3)

ერთგან ბერძნული გამოთქმაა არაბული ტრანსკრიფციით წარმოდგენილი: ارينى ايسا (332v 17), რაც შეესაბამება ბერძნულ εἰρήνη πᾶσι-ს. როგორც ჩანს, ეს არ იყო იმდენად გავრცელებული გამოთქმა, რომ ფართო მკითხველისათვის ყოფილიყო გასაგები. ამიტომ ერთვის გლოსა: وتفسير هذه الكلمة السلام مع كلكم —„ამ სიტყვის განმარტებაა: მშვიდობა თქვენდა ყველას“.

არის შემთხვევები, როდესაც ბერძნული ტექსტის გარეშე არაბული ფრაზის გაგება ჭირს. ამის ერთი მაგალითი ზევით გვქონდა მოტანილი. დავუმატებთ კიდევ რამდენიმეს. ერთ-ერთ თხრობაში აღნიშნულია, რომ პატრიარქმა ბრძანა ბერის ცხედრის გამოსვენება მის წინაშე კითხვით: ويقرون بين يديه...ان...فامر (295v 11). აზრი დაუსრულებელი ჩანს. ბერძნული ტექსტით ირკვევა, რომ აქ ფსალმუნთა კითხვაზეა ლაპარაკი, შდრ.: καὶ ἐποίησεν πᾶσαν τὴν πόλιν... μετὰ ψαλμῳδίας καταγαγεῖν τὸ λείψανον τοῦ ἁγίου ἀνδρὸς ἐκείνου (LXXXVIII, გვ. 2945).

ერთგან ბერის შესახებ ნათქვამია: هو يقوم فى اسفل الكنيسة (300r 9). გაუგებარია, სახელდობრ, სად დგება ბერი. ბერძნული თხრობის მიხედვით, ბერი ეკლესიის კედელთან დგება: πλησίον τοῦ κατὰ ὀσμὰς τοίχου τῆς ἐκκλησίας (XCVI, 2956). ამ დეტალის გათვალისწინებით არაბული ფრაზის აზრი გასაგებია. გამოდის, რომ იგი დგება „ყველაზე ქვედა კედელთან ეკლესიისა“.

ორი ძმის შესახებ აღნიშნულია: فكانوا يعملوا فى البزنطية لانا كانت فى تلك الايام تبنا (301r 1—2) „მუშაობდნენ ისინი ბიზანტიურში, რამეთუ იგი იმ დროს შენდებოდა“. მხოლოდ ბერძნული ტექსტის მოშველიებით ხდება შესაძლებელი გარკვევა, თუ რას წარმოადგენდა ეს „ბიზანტიური“ — μοναστήριος τὸ ἐπιλεγόμενος τῶν Βυζαντίων (XCVII, გვ. 2956)—„მონასტერი, წოდებული ბიზანტიურად“.

აღნიშნულ შემთხვევებში სიტყვათა გამოტოვება მექანიკური ხასიათისაა, რასაც არაბულ თხრობებში ბერძნულ ტექსტთან ზედმიწევნითი მიდევნების დროს შეიძლებოდა ჰქონოდა ადგილი. ისე რომ, მთლიანად არაბულ თხრობებში დაცულია ბერძნულ თხრო-

ბათა ძირითადი არსი, თხრობის თანმიმდევრობა და რამდენადმე გადმოცემის თავისებურებაც. სინური „ალ-ბუსთანის“ მთარგმნელს კვლავ შეიძლება მივუყენოთ ეფრემ მცირის სიტყვები, რომ „მისი თარგმანი „მასვე პირსა იტყოდა“, რაც დედანში იყო მოცემული“[64].

ყოველივე აღნიშნულის შემდეგ, „ალ-ბუსთანის“ ბერძნული „ლიმონარის“ არაბულ გადამუშავებად მიჩნევისათვის არც შედგენილობისა და არც ცალკეულ თხრობათა მიმართების თვალსაზრისით, ვფიქრობთ, საფუძველი არ რჩება.

სინური ნუსხის ჩვენებათა მიხედვით, არაბული „ალ-ბუსთანის“ შესახებ დასკვნა შესაძლოა შემდეგი სახით ჩამოყალიბდეს: არაბული „ალ-ბუსთანი“ ბერძნულიდან თარგმნილი ძეგლია. იგი მომდინარეობს „ლიმონარის“ შემცველი ბერძნული პატრისტიკული კრებულებიდან და ძირითადად Migne-ს პატროლოგიის „ლიმონარის“ თხრობათაგან შედგება. ხოლო რა ზომით შეიცავს იგი საკუთრივ მოსხისეულ ნაწარმოებს, ეს ამ ძეგლის ბერძნული ტექსტის დადგენის შემდეგ გაირკვევა.

III

სინური „ალ-ბუსთანისა“ და ქართული „სამოთხის“ ურთიერთმიმართება[65]

ქართული „სამოთხის“ ტექსტზე მუშაობისას ილ. აბულაძემ გამოავლინა მასში არაბული სიტყვების (ბურნუსი, დუქანი, კოშკი, შურტა, ფუნდუკი) და სახელების არაბიზებული ფორმით (ჯერაკუმია, ევარჯენე, ევლოჯი, ევსტრაჯი, სერჯი, ჯერასიმე) ხმარების შემთხვევები. მან ეს ფაქტი „სამოთხის“ წარმოშობის საკითხებს დაუკავშირა და აღნიშნა ის მნიშვნელობა, რომელიც შეიძლება ჰქონდეს ამ საკითხების კვლევისას „ლიმონარის“ ქართულ-არაბულ ვერსიათა შეჯერებით შესწავლას[66].

ჩვენი მიზანია, სინური „ალ-ბუსთანისა“ და ქართული „სამოთხის“ უშუალო მიმართებიდან გამომდინარე, თვალი გავადევნოთ

---

[64] კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 189.

[65] ეს თავი ცალკე სტატიის სახით—„ქართული „სამოთხისა“ და არაბული „ალ-ბუსთანის“ ერთი სინური ნუსხის მიმართებისათვის“—დაიბეჭდა კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბეში, ტ. IV, 1962, გვ. 97—109.

[66] ი. მ ო ს ხ ი, ლიმონარი... გვ. 012—015, 024.

ქართული ტექსტის არაბიზმს. ვატიკანურ ნუსხას მხოლოდ ზოგჯერ მოვიშველიებთ, რადგანაც ეს გვიანდელი სტილისტურად დამუშავებული ნუსხა ქართულ ტექსტთან შეპირისპირებით ნაკლებ საინტერესოა.

სინური „ალ-ბუსთანი“ და „სამოთხე“, როგორც ნაწილობრივ უკვე აღნიშნული იყო, მსგავსებას ამჟღავნებენ არქიტექტონიკაში. „ალ-ბუსთანში“ დაახლოებით ისევე, როგორც „სამოთხეში“, შეიძლება გამოიყოს ჯერ მინისეულ თხრობათაგან შემდგარი ძირითადი ჯგუფი და შემდეგ არამინისეული დამატებითი თხრობების ჯგუფი. ოთხი უცნობი თხრობა ორივე ვერსიაში საერთოა. კერძოდ, „ალ-ბუსთანის“ თხრობები №№ 85, 104, 105 დასტურდება „სამოთხის“ პირველ დამატებაში: №№ 3, 6, 7, ხოლო 103-ე თხრობა გვხვდება მეორე დამატებაში—№ 17. არც ერთ ვერსიაში არ გვხვდება თხრობები მესამე Hekatonta-დან; მთელი მინისეული თხრობები ორივეგან ორი Hekatonta-ს ფარგლებში თავსდება. როგორც არაბულ, ისე ქართულ თხრობებში აღსანიშნავია დასაწყისში უფრო ზუსტი მიდევნება მინისეული თხრობებისა, დასასრულისკენ კი მინისეულ თხრობათა გამოტოვება დიდი შუალედებით. მინისეულ თხრობათა თანმიმდევრობა არაბულშიც და ქართულშიც დარღვეულია დასაწყის და ბოლო თხრობებში. დასაწყისში თანმიმდევრობა ორივეგან ერთნაირადაა დარღვეული: მინისეულ მე-5 თხრობას მოსდევს მე-7 და მერე კი მე-6, ე. ი. V, VII, VI. ზუსტად ასევეა დარღვეული თანმიმდევრობა ვატიკანურ ნუსხაშიც. აღნიშნული მონაცემების მიხედვით შესაძლებელია ითქვას, რომ ქართულ-არაბულ ვერსიებში შედგენილობის რამდენადმე ერთნაირი პრინციპია დაცული.

ცალკეულ თხრობათა მიმართების თვალსაზრისით, პირველ რიგში შეიძლება აღინიშნოს ქართულ ტექსტში საკუთარი სახელების არაბიზებული ფორმით ხმარება. მათგან ზოგიერთი აღნუსხული აქვს ილ. აბულაძეს, სახელდობრ, „ევლოჯი“ (პა, გვ. 164), შდრ. არაბ. اوجلا (3i2r 11) და ბერძ. Εὐλόγιος (CXLVIII, გვ. 3012); „ევარჯენე“ (კა, გვ. 10). ამ სახელის შესაბამისად სინურ ტექსტშია اورحنيوس (283r 13)—ქართულისებური მეტათეზისით, შდრ. ბერძნ. Εὐάγριος (XXVI, გვ. 2873). ჯ-თან წერტილის უქონლობა შემთხვევითი ხასიათის უნდა იყოს, რადგან ქრისტიანულ არაბულ მწერლობაში ეს სახელი اورجنيوس ფორმითაა გავრცელებული. მაგალითად, ასეთი ფორმა აქვს დადასტურებული H.L. Fleischer-ს მოხსე-

ნიებულ ბერძნულ-არაბულ კოდექსში[67]. ამ რიგის სახელებს შეიძლება კიდევ დავუმატოთ „ევტუში“ (ზ, გვ. 5), შდრ. არაბ. اوطوشيوس (283r 12) და ბერძნ. Εὐτύχιος (VIII, გვ. 2857); „იფრიკეთი“ და „იფრიკია“ (ივ, გვ. 7; ჲ, გვ. 37), შდრ. არაბ. افريقية (291r 2) და ბერძნ. ἡ Ἀφρικης (XX, გვ. 2868; XXVII, გვ. 8932).

გრაფიკული არაბიზმი გვაქვს სახელში „ლულიანე“ (იზ, გვ. 45), შდრ. ბერძნ. Ἰουλιανός (XCVI, გვ. 1958). არაბულ ტექსტში ამ სახელს დაგრძელებული აქვს პირველი „იოტი“ და დაკარგული აქვს მასთან წერტილები, ისე რომ, გამოდის „იოტის“ ნაცვლად „ლამი“ და იკითხება لولس (299r 11, 300r 2)—ზუსტი შესატყვისი ქართული „ლულიანესი“.

უცნაურია ქართული ფორმა „ბარსაბა“ (თ, გვ. 5), შდრ. ბერძნ. Βαρνάβης (X, გვ. 2860) და არაბ. برنبا (277r 7). თეორიულად იგი გრაფიკული არაბიზმით, „ნუნ“-თან ზედმეტი წერტილების ამოკითხვით, შეიძლება აიხსნას—برثبا; ზედმეტი წერტილების დასმა არაბულ ხელნაწერებში და, კერძოდ, სინურ „ალ-ბუსთანში“ დიაკრიტიკული პუნქტუაციის დარღვევის ერთ-ერთი ჩვეულებრივი სახეა.

არაბული გაფორმების დანახვის შესაძლებლობაა ლავრის სახელწოდებაში „ნია“, „რომელ არს საყოფელი წმიდისა ღმრთის მშობელისაჲ“ (ვ, 4). თავისთავად „ნია“, როგორც ამას ს. ყაუხჩიშვილი აღნიშნავს, აშკარა ბერძნიზმია[68] (ე. ი. აქ მოსალოდნელი იყო სიტყვა „ახალის“ ხმარება ბერძნული νέα-ს შესატყვისად). ასეთივე ბერძნიზმი გვაქვს არაბული ტექსტის შესაბამის ადგილას. მაგრამ აქ ხმოვანი „ე“, როგორც მოსალოდნელი იყო არაბულში მისი უქონლობის გამო, სხვა საშუალებითაა გადმოცემული, კერძოდ, „იოტით“. ამრიგად, გვაქვს النية (276v 1)—ქართულისებური ფორმა.

ამ სიტყვასთან დაკავშირებით უფრო საყურადღებო ჩანს შემდეგი გარემოება: ეს ლავრა, ἡ νεά λαύρα, ბერძნულში რამდენჯერმეა მოხსენიებული (VI, გვ. 2857; V, გვ. 2856 და ა. შ.). ქართულში იგი ხან „ნიად“ გადმოდის, ხან კი ითარგმნება—„ახლისა ლავრისა“ (გ, გვ. 3; დ, გვ. 3). ასეთივე მდგომარეობა, თანაც ზუსტად იმავე ადგილებში, გვაქვს არაბულში: ერთი მხრივ-دير النية، მეორე მხრივ კი السيق الجديد (275v 6) და السيق الحديث (275r 15).

[67] H. L. Fleischer, დასახ. ნაშრომი, გვ. 153.

[68] ს. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 103.

ზოგჯერ ქართული ტექსტი გეოგრაფიული ადგილის იმ ვარიანტულ სახელწოდებას ხმარობს, რომლითაც იგი არაბულ ტექსტშია მოხსენიებული და არა იმას, რაც მის აღსანიშნავად ბერძნულ ტექსტში დასტურდება. მაგალითად, ბერძნულ Σκυθόπολις-ს (L, გვ. 2905) არაბულში, როგორც სინურ, ისე ვატიკანურ ნუსხებში შეესატყვისება بيسان (Sin. 549—343v 11; Vat ar. 77—24v 13); ასევე, ქართულ თხრობაშიც ეს ქალაქი არაბულისებურად „ბეჲსანად“ იწოდება (ლ, გვ. 25).

ბერძნულ Βόστρα-ს (XCIV, გვ. 2952) არაბულ-ქართულ თხრობებში შეესაბამება ამ ქალაქის სახელწოდების ადგილობრივი ვარიანტი بصرا (299r 12) და ბუსრა (ჲზ, გვ. 45).

ასევე, ერთი მხრივ, გვაქვს ბერძნ. ἡ Ὦασις (CXII, გვ. 2976) და, მეორე მხრივ, ქართული „უსან“ (ოდ, გვ. 54—55) და არაბ. اوسو (308r 12). ძნელი გასარკვევია, რა გეოგრაფიულ ადგილზე უნდა იყოს მინიშნება ქართულ-არაბულ თხრობებში, მაგრამ ბერძნული ტექსტის ἡ Ὦασις-გან ისინი საკმაოდ არიან დაშორებული.

ანალოგიური ვითარებაა პიროვნების აღმნიშვნელ სახელთანაც. იოანე მახარებელი, როგორც λόγος-ის ღვთაებრიობის დამცველთა მეთაური, ცნობილია აგრეთვე ღვთისმეტყველის ეპითეტით—Ἰωάννης Θεολόγον[69]. ასეა იგი მოხსენიებული ბერძნულ თხრობაში (XCIV, გვ. 2901). მაგრამ შესატყვის ქართულ-არაბულ თხრობებში ვხვდებით არა მის ეპითეტს, არამედ ძირითად სახელს—იოვანე მახარებელი (ლე, გვ. 21) და يحنا صاحب الانجيل (286v 16—17).

ყურადღებას იმსახურებს ქართულ თხრობაში ნახმარი „სირა“, ვარიანტული ფორმით „ასირა“: „მიწვა მოწაფემ იგი სირასა ზედა“ (ვ, გვ. 45) ან „ასირასა“ (იქვე, შენიშვნა 3ა). სიტყვა „სირა“ არ ყოფილა უცნობი ძველი ქართულისათვის. იგი ხშირად იხმარება „მამათა ცხოვრებაში“ და ნიშნავს „თოკს, ბაწარს“. ეტიმოლოგიურად უკავშირდება იმავე მნიშვნელობის ბერძნულ სიტყვას ἡ σειρά.[70] მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ ქართულისათვის ცნობილ „სირასთან“ არ უნდა გვქონდეს საქმე, ვინაიდან, ჯერ ერთი, გაუგებარია ვარიანტული ფორმის „ასირას“ ხმარება და, მეორე მხრივ, შინაარსობრივად გაუმართლებელია თოკზე დაწოლა. მით უფრო,

---

[69] E. A. Sophocles, დასახ. ლექსიკონი.

[70] ეს ცნობები მოგვაწოდა ილ. აბულაძემ.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ბერძნული ტექსტის შესაბამის ადგილას გვხვდება არა ἡ σειρά, არამედ ἡ ψιάθος (XCIII, გვ. 2952), რაც ნიშნავს ლერწმისაგან დაწნულ საგებს, ჭილობს[71].

ქართული „სირა-ასირას“ გააზრების საშუალებას როგორც შინაარსის, ისე ფორმის მხრივ იძლევა შესატყვისი არაბულ ტექსტში ნახმარი حصير (299r 8), რომელიც იმავე მნიშვნელობისაა, რაც ἡ ψιάθος[72].ქართული „ასირა“ არაბულ حصير-თან შედარებით ამცდავნებს უმნიშვნელო განსხვავებას, კერძოდ, მას აქვს დასაწყისში „ჰაე“, მაგრამ ეს კანონზომიერად უნდა ჩაითვალოს, თუ გავითვალისწინებთ „ჰაეს“ დაკარგვის ტენდენციას საერთოდ ქართულში და, კერძოდ, არაბულიდან ქართულში გადმოსულ სიტყვებში, მაგალითად, „უჯრა“, შდრ., حجر; „არამი“, შდრ. حرم[73] და სხვ. ქართული „ასირა“ ფორმის ბოლოს არ არის წარმოდგენილი არაბულის მდ. სქესის სუფიქსი „თ“. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ სიტყვას არაბულშივე აქვს ტენდენცია „თ“-ს დაკარგვისა. حصير-თან ერთად გვხვდება حصر ფორმაც[74]. არაბულიდან გადმოსულ სიტყვებში კი ამ თანხმოვნის დაკარგვის შემთხვევები თითქმის ჩვეულებრივია, მაგალითად, „ბარაქა“, შდრ. بركة, „ულუფა“, შდრ. علوفة[75] და სხვ. ისე რომ, ქართული „ასირა“ არაბული حصير-ის გადმოცემად შეიძლება ჩაითვალოს იმავე გახმოვნების შენარჩუნებით.

არაბულ-ქართულ თხრობებში ხშირია ბერძნიზმების ხმარების შემთხვევები, მაგალითად: „მეტანია“ (ო, გვ. 50)—مطانية (304v 5), „კუნკული“ (დამ. II, თხრ. 17, გვ. 133)—قوقولية (346v 4), „პორფირი“ (ლე, გვ. 21)—برفير (286v 13) და სხვ. მათ შორის გვხვდება ისეთებიც, რომელნიც ბერძნულ ტექსტში სხვა სიტყვებით არიან გადმოცემული. ამ მხრივ უნდა დავასახელოთ ქართ. „დევტელარი“ (ლზ, გვ. 23—24) და არაბ. دوطرار, შდრ. ბერძნ. ὁ σταυροφύλαξ (XLIX, გვ. 2904—2905). არაბულ دوطرار-ს ახლავს გლოსა: صاحب المقبرة والذى كان يحفظ الصليب (288v 11—12) „პატრონი საფლავისა და ის, ვინც იცავს ჯვარს“. ამ გლოსით დაკონკრეტე-

---

[71] И. Х. Дворецкий, Древнегреческо-русский словарь, М., 1958.

[72] შდრ. E. W. Lane, Arabic-Englisch Lexicon, B. I, P. 2, London, 1865.

[73] გ. წერეთელი, არაბულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1951.

[74] E. W. Lane, დასახ. ლექსიკონი.

[75] გ. წერეთელი, დასახ. ლექსიკონი.

ბულია ὁ δεύτεραρίος-ის რამდენადმე ზოგადი მნიშვნელობა: „მეორე, ეკლესიის მეორე მოხელე“[76] და დაყვანილია ὁ σταυροφύλαξ-ის ცნებამდე, რაც ნიშნავს „ჯვრის მცველს“, უფრო კონკრეტულად, „ქრისტეს სამარის მცველს“[77].

ასეთივე ვითარებაა სიტყვა „სტოვასთან“ დაკავშირებით. ქართულ თხრობაში ვკითხულობთ: „ვიხილე კაცი ერთი მდგომარე გარეშე კართა ეკლესიისათა, სტოვასა“ (ოა, გვ. 50). არაბულ თხრობაშიც სტოვაში მდგარი ძმის ხილვაზეა ლაპარაკი: واقف خارج في اسطوا (306r 11). ბერძნულში კი „სტოვას“ ნაცვლად, მისი ცნების გამომხატველი მთელი ფრაზაა ნახმარი: ἐν τῷ πυλῶνι τοῦ μεσαυλίου τοῦ ἁγίου σταυροῦ (CV, 2964).

ვერ დავიწყებთ მსჯელობას იმის შესახებ აღნიშნული ბერძნიზმები იყო თუ არა ოდესმე მოსხისეულ „ლიმონარში“. რომელიმე ქრისტიანი ერის ლიტერატურულ ძეგლებში საეკლესიო კულტთან დაკავშირებული ბერძნული ტერმინების ხმარება, მათი მოქალაქეობრივი უფლების გამო, წერილობითი წყაროს გარეშეც დასაშვებია. მაგრამ ამ ტერმინების ხმარება სხვადასხვა ქრისტიანი ხალხის, ამ შემთხვევაში არაბებისა და ქართველების ერთსა და იმავე ლიტერატურულ ვერსიაში და რაც მთავარია ერთსა და იმავე ადგილას უკვე საგულისხმო ხდება. ძნელია ამ ფაქტის შემთხვევითობასთან დაკავშირება.

ასევე, ქართულ ტექსტში ზევით დამოწმებული არაბიზმების ხმარების კონკრეტული შემთხვევები კონტექსტით შეპირობებული ჩანს და არა მათი მოქალაქეობრივი უფლებით. ყოველ შემთხვევაში, „ლულიანესთან“ დაკავშირებით ეს უკანასკნელი სავსებით გამორიცხულია. ასეთი სახელი არ არსებობს არც არაბულში და არც საერთოდ. იგი წმინდა გრაფიკულ ნიადაგზეა გაჩენილი და ქართულ თხრობებში მხოლოდ წერილობითი წყაროდან შეიძლებოდა მოხვედრილიყო.

ქართულ ტექსტზე არაბულის გავლენის სხვა რიგის მაგალითებიდან შეიძლება მოვიტანოთ ფრაზეოლოგიურ-სინტაქსური დამთხვევის რამდენიმე ნიმუში: ვინმე ბერი ეუბნება ძმებს, რომლებსაც მისი მამასახლისად დანიშვნა უნდათ: „მაცადეთ უკუე სამ დღე და ვილოცო ქრისტჱს ღმრთისა ჩემისა მიმართ და ნებაჲ მისი

---

[76] E. A. Sophocles, დასახ. ლექსიკონი.

[77] იქვე.

იყავნ“ (ე, გვ. 4). არაბულშიც ასევე იგი ხაზს უსვამს, რომ აღსრულდება ნება ღვთისა—يكون الله هو (276r 12). ბერძნულში კი ბერი ჰპირდება, რომ თვითონ შეასრულებს იმას, რაც სურს ღმერთს: καὶ εἴ τι θέλει ὁ Θεὸς, ποιῆσαι ἔχω, (VII, გვ. 2857).

ვინმე ძმა, ხედავს რა მეორეს მოსწრაფედ თავისი სულის ცხონებისათვის, შეაქებს მას. არაბულ თხრობაში მეორე ძმის პასუხი სპეციფიური არაბული ფრაზაა—ნაწილი დაუმთავრებელი რთული მიზეზის გარემოებითი წინადადებისა: اموت الان لاني اعلم (275v 11—12) „ო, მამაო, რამეთუ მე ახლა მოვკვდები“. ასეთივე ხასიათის ფრაზაა ქართულში: „ჰე მამაო, რამეთუ მოახლებულ არს სიკუდილი ჩემი“ (დ, გვ. 4). ბერძნულში კი პასუხი ჩვეულებრივი გამართული ფრაზაა: Κῦρι ἀββᾶ, ἄρτι ἔχω ἀποθανεῖν (V, გვ. 2856).—„უფალო მამა, მე ახლა მოვკვდები“.

ერთი ბერძნული თხრობა იწყება შემდეგნაირად: Διηγήσατο ἡμῖν ὁ ἀββᾶς Λεόντιος τοῦ κοινοβίου... (IV, გვ. 2856)—„მოგვითხრო ჩვენ ანბა ლეონტიმ მონასტრისა (წმ. თევდოსისა)“... არაბულში ეს ფრაზა თითქოს უფრო გამართულია მიმართებითი ნაცვალსახელის ჩართვით: „მოგვითხრო ლეონტიმ, რომელიც იყო მონასტრისაგან...“ حدثنا لينطس الذى من الدير... (275r 14), ასევეა ეს ფრაზა გამართული ქართულში: „გჳთხრობდა ამბა ლეონტი, რომელი იყო მონასტრისაგან...“ (გ, გვ. 3).

ქართულ-არაბულ თხრობათა შინაარსობლივი მიმართებიდან აღსანიშნავია მათი ერთნაირი დამოკიდებულება ბერძნულ ტექსტთან, ერთნაირი ცვლილებანი მის მიმართ. ეს ცვლილებანი სხვადასხვა ხასიათისაა. უპირველეს ყოვლისა, გვინდა განვიხილოთ ისეთი ცვლილებები, სადაც არაბული ტექსტი აერთიანებს ბერძნულ-ქართულ თხრობათა ცალკეულ, ერთმანეთისაგან რამდენადმე განსხვავებულ დეტალებს, წარმოადგენს, ასე ვთქვათ, შუალედურ საფეხურს შინაარსობლივი ნიუანსების ცვლისას.

ბერძნულ თხრობაში ერთ-ერთი ბერის ცხოვრების წესის დახასიათებისას აღნიშნულია, რომ იგი „არც ღვინოს სვამდა და არც საჭმელს ჭამდა“—μήτε οἶνον πίνων, μήτε ἄρτον ἐσθίων (XVII, გვ. 2865). ქართულში ღვინის ნაცვლად ნახმარია „სასუმელი“, „სასუმელი არა სუა“ (იზ, გვ. 8). არაბულში კი ამ ადგილას გვაქვს სიტყვა شراب (279 v 2), რომელსაც ორივე აღნიშნული მნიშვნელობა აქვს—„ღვინო“ და „სასმელი“[78].

[78] E. W. Lane, დასახ. ლექსიკონი. B. I, P. 4, 1872.

ორი ძმა ქირით (მიზდით) მუშაობდა მშენებლობაზე. ერთ ძმას, რომელსაც „ბრძოლა-სცა... სიძვისა ეშმაკმან ძლიერად“, ორივეს მონაგები ფული მიჰქონდა ქალაქში „და წარაგის იგი მეძავთა თანა“. მეორე ძმა კი უხმოდ აკეთებდა თავის საქმეს, მარხულობდა და „დაუცადებელად ფსალმუნებდა“. თავისი საქციელი მან შემდეგნაირად ახსნა: „მე მისთჳს ვიჯირვი, რაჲთა იხილოს ღმერთმან შრომაჲ ჩემი და იჳსნეს ძმაჲ იგი ჩემი ამის წარწყმედილებისაგან“ (თ, გვ. 48). ბერძნულ ტექსტში „შრომის“ ნაცვლად ნახმარია ἡ θλῖψις (XCVII, გვ. 2957), რაც ნიშნავს შ ე ვ ი წ რ ო ე ბ ა ს, ს ი ძ ნ ე ლ ე ს, ს ი რ თ უ ლ ე ს, ტ ა ნ ჯ ვ ა ს, დ ა რ დ ს.[79] არაბული ტექსტის შესაბამის ადგილს ორივე სიტყვასთან ეძებნება საერთო: كَبَدَ ٱللهِ (301r 12)—„ს ი მ ძ ი მ ე ჩ ე მ ი შ რ ო მ ი ს ა“. არაბულში, ქართულის მსგავსად, აქცენტი შრომაზეა გაკეთებული. მაგრამ, ვინაიდან სიტყვა „შრომა“ ٱللهِ-თან არის დაკავშირებული, ამიტომ აქ ლაპარაკია არა ჩვეულებრივ შრომაზე, არამედ რთულ, დამტანჯავ შრომაზე, რაც ფაქტიურად იმავე ცნებას გამოხატავს, რასაც ბერძნული ἡ θλῖψις.

ბიწიერი ცხოვრების გამო ღმერთმა დაასნეულა ერთი ძმა. სწორი გზის ჩვენებისათვის იგი მადლიერი დარჩა ღვთისა და თქვა: „ღმერთმან სახიერებითა თჳსითა მომივლინა მე სწავლაჲ ესე, რაჲთა იჳსნეს სული ჩემი საუკუნოჲსა მისგან სატანჯველისა“ (იგ, გვ. 7). ბერძნულ ტექსტში იგი ა ვ ა დ მ ყ ო ფ ო ბ ი ს — ἡ νόσος (XIV, გვ. 1861), მოვლინებაზე ლაპარაკობს. ეს სიტყვა კონტექსტისათვის თითქოს უფრო ლოგიკურია. არაბულში ამ ადგილას წერია كَبِدَ (278v 9)—ზუსტი შესატყვისი ქართული „სწავლაჲ“-სი. მაგრამ ამ სიტყვას სხვა მნიშვნელობაც გააჩნია, სახელდობრ, „დასჯა“[80], რაც კონკრეტულ შემთხვევაში νόσος-ის ცნებას უახლოვდება და მასავით ლოგიკურია კონტექსტისათვის.

ბერძნულ თხრობაში ვინმე ძმის შესახებ აღნიშნულია, რომ იგი მუშაობდა ფ ა ს ი ლ ა ი დ ში: εἶχεν δὲ διακονίας Φασιλαΐδα (XCII, გვ. 2949). არაბულ თხრობაში „ფასილაიდის“ შინაარსი განმარტებულია: „და მსახურობდა იგი მ ო ნ ა ს ტ რ ი ს ყ ა ნ ა შ ი, რ ო მ ე ლ ს ა ც ეწოდება ფასილაიდი“— وكان يخدم في مزرعة للدير يقال لها فاسيلا (297v 3—4). ქართულ თხრობაში ბერის სამსახურის ადგილის აღსანიშნავად მხოლოდ ეს არაბული განმარტებაა მოცემული: „და იყო იგი მსახურებასა ა დ გ ი ლ ი ს ა ს ა ა გ ა რ ა კ ს ა ე რ თ ს ა“ (ჲგ, გვ. 43).

[79] И. Х. Д в о р е ц к и й, დასახ. ლექსიკონი.

[80] გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, დასახ. ლექსიკონი.

ზოგიერთ შემთხვევაში ქართულ-არაბულ თხრობებში წარმოდგენილი ბერძნული ტექსტის ცვლილებები რედაქციულ ხასიათს ატარებს. ასე მაგალითად, წმ. ევქარისტის სასწაულმოქმედი ძალის შესახებ ბერძნულ თხრობაში ნათქვამია, რომ „მხილველნი ყოველგვარ აზრზე, გონებასა და წარმოდგენაზე აღმატებული და საშინელი სასწაულისა გახდნენ არა ორნი ან სამნი, მცირე ჯგუფი ან ცალკეული პირნი, არამედ ყველა შეკრებილნი, ქალაქის მცხოვრებნი და მკვიდრნი, ადგილობრივნი და შორით მოსულნი, რომელთაც ხმელეთი გადმოიარეს და ზღვა გადმოცურეს, კაცები და ქალები, მოხუცნი და შუა ხნისანი, ახალგაზრდანი და ხანშიშესულნი, ბატონნი და მსახურნი, მდიდარნი და ღარიბნი, მმართველნი და ქვეშევრდომნი, ბრძენნი და უმეცარნი, სამღვდელო პირნი, უბიწონი, მოწამენი, ქვრივნი, არაქვრივნი, მქონებელნი, განმგებელნი“—Τοῦτο δὲ τὸ μέγα καὶ φοβερὸν, τὸ ὑπὲρ πάντα λόγον, καὶ πάντα νοῦν καὶ πᾶσαν ἐνθυμησιν θαῦμα, οὐχ οἱ δύο, οἱ τρεῖς ἐθεάσαντο, οὐδὲ ὀλίγοι καὶ εὐαρίθμητοι μόνον, ἀλλὰ ὅλη ἡ ἐκκλησία, πολῖται, καὶ ἐγχώριοι, αὐτόχθονες, ἐπιξενούμενοι, ὅσοι τὴν ἤπειρον ὁδεύουσιν, καὶ ὅσοι τὴν θάλασσαν πλέυσιν, ἄνδρες καὶ γυναῖκες, γέροντες καὶ ἀφῆλικες, νέοι [καὶ πρεσβύτεροι, δεσπόται καὶ οἰκέται, πλούσιοι καὶ πένητες, ἄρχοντες καὶ ἀρχόμενοι, σοφοὶ καὶ ἰδιῶται, οἱ ἐν κλήρῳ, οἱ ἐν παρθενίᾳ, οἱ ἐν ἀσκήσει, οἱ ἐν χηρείᾳ, οἱ ἐν σεμνῷ γάμῳ, οἱ ἐν ἐν ἐξουσίαις, οἱ ἐν ὀυναστείας (LXXIX, გვ. 2937).

ქართულში ეს გრძელი ტირადა მოკლედაა გამოთქმული: „და ესე სასწაული საშინელი იხილეს ყოველთა მკჳდრთა ქალაქისათა და სხჳთ მოსრულთა“ (ჲბ, გვ. 42). ასევეა არაბულში: „ეს სასწაული იხილა მთელმა მრევლმა და უცხოელებმა“ هذا العجب ابصره جميع اهل الكنيسة والغربا (292r 14—15).

ქართულ-არაბული პირველი თხრობა თავდება იქ, სადაც ამ თხრობის ლოგიკური წერტილია. ერთ-ერთ გამოქვაბულში ავადმყოფობის გამო დროებით დასადგურებულ ბერს განკურნავს იოანე ნათლის-მცემელი. ამის შემდეგ იგი სამუდამოდ რჩება ამ გამოქვაბულში: „მან ყო ქუაბი იგი ეკლესია ქრისტჱსა... და ადგილსა მას ეწოდების საფსაფას“. აქ წყდება ქართულ (ა, გვ. 3)-არაბული (274r 9—10) თხრობები, ხოლო ბერძნულში ამ ადგილს კიდევ რამდენიმე ფრაზა მოსდევს (I, გვ. 2853).

ერთ შემთხვევაში კი, პირიქით, თითქოს მეტი მხატვრული ემოციისათვის, ქართულ-არაბულ თხრობებს ბოლოს ერთი ფრაზა აქვს დამატებული. ბერძნული თხრობა თავდება ასე: „კვირას დი-

ლით [მოხუცი] მიიცვალა"—Καὶ τῇ κυριακῇ ὄρθρου ἀνεπάη (VII, გვ. 2857). ქართულში კი: „და დღესა კჳრიაკესსა განთიად აღესრულა ბერი და ღმრთისა მივიდა" (ე, გვ. 4). ასეთივე დასასრულია წარმოდგენილი არაბულ ტექსტშიც: الى وانصرف تنيح الاحد ويوم الرب (276r 13—14).

ასევე, ქართულ-არაბულ თხრობებში, ბერძნულისაგან განსხვავებით, მთელი აბზაცია ჩამატებული. მამა გიორგის, რომელიც ეკლესიის საძირკვლის თხრას იწყებს, ძილში გამოეცხადება მონაზონი და უსაყვედურებს: „ვითარ დაჯერებულ იქმენ, შემდგომად ეგოდენთა ღუაწლთა და შრომათა ჩემთა დამიტეო მე გარეშე ტაძრისა ამის, რომლისაჲ გეგულების შენებაჲ" (ჲე, გვ. 43—44). ამის შემდეგ ბერძნულ თხრობაში მამა გიორგი დაინტერესდება მონაზვნის ვინაობით: „ჰეშმარიტად, უფალო, შენ ვინა ხარ?"-Ὄντως γὰρ σὺ, κύριε, αὐτὸς τίς ὑπάρχεις (XCII, გვ. 2952); ქართულ-არაბულ თხრობებში კი ამ შეკითხვის დასმამდე, მამა გიორგი ჯერ თითქოს მობოდიშებას ცდილობს, მაგრამ მონაზონი ხაზს უსვამს მის დანაშაულებრივ საქციელს: „და ვარქუ მას: არა, უფალო, ნუ იყოფინ ჩემდა, ვითარმცა ესე ვყავ. ხოლო მან მრქუა მე: ჰე ჰეშმარიტად, რამეთუ გიყოფიეს ესე" (ჲე, გვ. 44). ასევეა არაბულში: „და ვუთხარი მას: მომიტევე, მამაო, რაც გავაკეთე. ხოლო მან მომიგო: ჰეშმარიტად შენ გაგიკეთებია [ეს]"—وقلت له حاش يابتاه ما فعلت هذا فقال لى حقا انك قد فعلت (298r10—12).

ზოგჯერ ქართულ-არაბულ თხრობებში დასტურდება ბერძნული ტექსტის ცალკეული შინაარსობლივი დეტალების ცვლის შემთხვევები, მაგალითად: ბერძნ. ὁ ἀρχιεπίσκοπος (I, გვ. 2852), შდრ. ქართ. „პატრიაქი" (ა, გვ. 2) და არაბ. بطريرك (273r 15). ბერძნ. ὁ ὀρακονάρις—„მეომარი" (XX, გვ. 2868), შდრ. არაბ. جندى من الفرسان (281v 5)—„მეომარი მხედართაგანი" და ქართ. „მჴედართაგანი" (ით, გვ. 8).

ქართულ-არაბულში: „ბერმან ჰრქუა მას სუეტით გარდამო" (კდ, გვ. 12)—فقال له الشيخ من العمود (284v 11); ბერძნულში კი პირდაპირ: Ἀπεκρίθη ὁ γέρων (XXVIII, გვ. 2876)—„მიუგო მოხუცმა".

ბერძნულ ტექსტში ბერს სამსახურის გაწევა უნდა მათხოვრისათვის: Θέλων δὲ ὁ γέρων ἀποθεραπεῦσαι αὐτὸν πιάσας αὐτὸν τῆς χειρὸς... (IX, გვ.2860); ქართულ-არაბულში კი მისი დარწმუნება სურს: „და უნდა ბერსა, რაჲთამცა დაარწმუნა მას,

უპყრა ჴელი მისი...“ (დამ. II, თხრ. 18, გვ. 135)— واخذ الشيخ بيده ... لكيما يقنعه (277r 1)—„და ხელი მოჰკიდა ბერმა...რათა დაერწმუნებინა იგი“.

ქართულ-არაბულ თხრობებში ბერმა იხილა ძმის გვამი „მდებარჱ ცხედარსა ზედა ეკლესიასა შინა“ (ი, გვ. 6)—موضوع على السرير في الكنيسة (277v 10); ბერძნულში კი მისი გვამი პირდაპირ ეკლესიაში დევს: κείμενος ἐν τῇ ἐκκλησίᾳ (XI გვ. 2860). ქართულ-არაბულ თხრობებში გამოსწორებულია ამ გამოთქმის ერთგვარი უხერხულობა.

ბერძნულ თხრობაში ძმები ერთ-ერთ ძმას, მისი გამოცდის მიზნით, უმალავენ τὸ σπογγίον (XCII, გვ. 2949)—ღრუბელს, ჩვარს. ქართულ-არაბულ თხრობებში კი ცოცხის დამალვაზეა ლაპარაკი. შდრ. ქართ. „საგველნი“ (ჲგ, გვ. 43) და არაბ. مكنسة (297v 7); ეს ძმა იძულებული ხდება, ბერძნულ თხრობაში, ღუმელი გამოგავოს თავისი ზემოთა მოსასხამით, ლაბადით—τὸ ἱμάτιον (XCII, გვ. 2949). ქართულ-არაბულ თხრობებში კი იგი ღუმელს თავისი ტანსაცმლით გვის, სახელდობრ, რა სახის ტანსაცმლით—არ არის დაკონკრეტებული: „გამოგავა იგი სამოსლითა თჳსითა“ (ჲგ, გვ. 43)—بثيابه كنسه (297v9).

ქართულ-არაბულ ტექსტებში ზოგჯერ ერთნაირადაა შეცვლილი რიცხვითი სახელები. მაგალითად, „იყო ყრმაჲ ოცდახუთისა დღისა შობითგან“—ქართულ (ოე, გვ. 57)-არაბული (309v 13) ტექსტების მიხედვით, ხოლო ბერძნულში ყრმა 22 დღისა იყო (XCIV, გვ. 2980); ერთ ბერს დაეყო „სამოცდასამი წელი ქუაბსა შინა“ ქართულ (იბ, გვ. 6)-არაბულში (278r 11), ბერძნულში კი—69 წელი (XIII, 2861); ქართულ (იზ, გვ. 8)-არაბულ (281r 6) ტექსტებში „ბერი ოცდაათსა წელსა დაუცადებელად იქმნა“, ბერძნულში კი—35 წელს (XXII, გვ. 2869).

„სამოთხისა“ და სინური „ალ-ბუსთანის“ ტექსტები ამჟღავნებენ მსგავსებას ბერძნული ტექსტისაგან განსხვავებულ ისეთ ადგილებშიც, რომელთაც შ. ნუცუბიძე გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ბერძნულ-ქართული ვერსიების ავტორისეულ, პარალელურ ტექსტებად მიჩნევისათვის. ამის ორი მაგალითია:[81] 1) ქართულ

[81] შ. ნუცუბიძეს სულ სამი მაგალითი მოჰყავს ნათელსაყოფად თავისი მოსაზრებისა, რომ ი. მოსხს, ტომით ქართველს, დაუწერია „ლიმონარი“ ბერძნულ და ქართულ ენებზე. Ш. Нуцубидзе, К происхождению греческого романа „Варлаам и Иоасаф“, Тбилиси, 1956, გვ. გვ. 102—107, 112—114.

თხრობაში კვრიაკოზ ბერს ეუბნება ვინმე თეოფილე: „ჭეშმარიტსა ვიტყვ, მამაო, უკუეთუმცა არა ნესტორი ვიყავ შჯულითა, არამცა განვეშორე სიწმიდისაგან შენისა“ (კა, გვ. 9). ბერძნულ ტექსტში ეს ადგილი შემდეგნაირადაა წარმოდგენილი: Κῦρι ἀββᾶ, ἐγὼ εἰς τὴν χώραν μου τοῖς Νεστοριανοῖς κοινωνῶ, καὶ διὰ ταύτην τὴν αἰτίαν οὐ δύναμαι· ἐπεὶ μετὰ σοῦ εἶχον μεῖναι (XXVI, გვ. 2872)—„უფალო მამა, ჩემ ქვეყანაში მე ურთიერთობა მჭონდა ნესტორიანელებთან და ამის გამო არ შემიძლია შენთან დარჩენა“. განსხვავების შესახებ შ. ნუცუბიძე აღნიშნავს: „Разница чувствительная: в греческом тексте сказано, что Феофан в своей стране имеет общение с несторианами... Тут два смягчающих обстоятельства: Феофан только в своей стране и то имеет общение и не больше, а как он сам—исповедует несторианство или нет, об этом он молчит. В грузинском же тексте прямо и кратко, без смягчающих вину обстоятельства сказано, если бы я не был несторианцем по исповеданию“[82].

არაბულ ტექსტში თეოფილე აცხადებს, „ჭეშმარიტად ო, მამაო, ჩემ ქვეყანაში მე ნესტორიანელი ვიყავი და ამ მიზეზის გამო არ შემიძლია შენთან დარჩენა“: كنت بحق يابتاه انى بلادى فى نسطورى وبحال هذه العلة لا اقدر اجلس معك (282ᵛ 11—13) ამ განცხადებაში, შ. ნუცუბიძის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, შენარჩუნებულია პირველი „შემარბილებელი გარემოება“—„ჩემ ქვეყანაში“, მაგრამ მოშლილია მეორე, თანაც უფრო მნიშვნელოვანი „შემარბილებელი გარემოება“—„ურთიერთობა მჭონდა ნესტორიანელებთან“. მის ნაცვლად ნახმარია პირდაპირი და ნათელი ქართულისებური გამოთქმა—„ნესტორიანელი ვიყავი“. ასე რომ, ქართულ-ბერძნული ტექსტების განსხვავებანი აქ არაბულის გზით აიხსნება.

2) იერუსალიმის პატრიარქი, ბერძნული თხრობით—არქიეპისკოპოსი, სთავაზობს იოანე ბერს, რომელსაც უნდა სინას მთის მოსალოცად წასვლა, მონასტრის მამასახლისად დადგომას და შემდეგ გამგზავრებას. იოანე ამაზე არ თანხმდება. ბოლოს იგი მაინც მიდის, ოღონდ, ბერძნული ტექსტის მიხედვით, „გაუშვა [არქიეპისკოპოსმა] იგი იმ პირობით, რომ, როდესაც დაბრუნდებოდა, აიღებდა ხელმძღვანელობას“ — ἀπέλυσεν συνταξάμενον, μετὰ τὴν ἐπάνοδον τὴν ἡγεμονίαν καταδέχεσθαι (I, გვ. 2852). ქართულში

[82] Ш. Нуцубидзе, დასახ. ნაშრომი, გვ. 113.

კი პირიქით, იოანე თვითონ დებს პირობას, რომ იგი ჯერ წავა, ილოცებს და როდესაც დაბრუნდება, მერე დაჰყვება მის ნებას: „ოდეს კუალად-ვიქცე, დავემორჩილო ბრძანებასა შენსა“ (ა, გვ. 2). ეს უკანასკნელი ფრაზა ბერძნულ ტექსტში საერთოდ არ არის. შ. ნუცუბიძე ამ განსხვავებას ხსნის ქართულ-ბერძნული ტექსტების განსხვავებული აგებულებითა და ინტენციონალობით[63]. არაბული ტექსტი ისეეა აგებული, როგორც ბერძნული, მაგრამ ეს განსხვავება იქ მაინც არის. ბერი არ დათანხმდა, „მაგრამ აღუთქვა მას (პატრიარქს), რომ, როდესაც დაბრუნდებოდა, დაჰყვებოდა მის ნებას“: ولكن اوعده اذا هو رجع يطيه (273v 2—3).

ამრიგად, სირული ნუსხის ჩვენებათა მიხედვით შ. ნუცუბიძის არგუმენტაციას, ი. მოსხის ბილინგვიზმის თეორიასთან დაკავშირებით, საფუძველი ეცლება.

ბერძნულისაგან განსხვავებულ ზოგიერთ ადგილას ქართული „სამოთხე“ მხოლოდ ვატიკანურ „ალ-ბუსთანს“ უახლოვდება. მაგალითად, ბერძნული და ვატიკანური ნუსხის არაბულ თხრობებში უბრალოდ აღნიშნულია, რომ ანბა გიორგი შევიდა ღუმელში და გამოგავა იგი თავისი ტანსაცმლით: εἰσῆλθεν οὖν, καὶ ἐσφόγγισεν τὸν φοῦρνον εἰς τὸ ἱμάτιον αὐτοῦ (XCII, გვ. 2949). ქართულ თხრობაში კი განმარტებულია: „იძულა იგი შესლვად ღუმელსა მას განჭურვებულსა“ (ჲგ, გვ. 43). ასევეა ვატიკანურ ნუსხაშიც, ანბა გიორგი გახურებულ ღუმელში შედის: دخل الى الفرن بعد ان حمى وبلغت حموا (13r 1—2).

ბერძნულ და სინურ თხრობებში ბერი თავისთავს მიმართავს: Χριστόφορε (CV, გვ. 2969), اخرسطفر (305v 15) — „ქრისტეფორე!“ ქართულ და ვატიკანურ თხრობებში ბერი ამ მიმართვას დამაკნინებელ ეპითეტს ურთავს: „ჩ საწყალობელო ქრისტეფორე“ (დამ. II, თხრ. 9, გვ. 127)— يا خرسطوفورس المسكين (16v 2).

ვინმე ბერს, ბერძნულ და სინურ თხრობათა მიხედვით, ძილში გამოეცხადება ძალზე ლამაზი ყმაწვილი: νεώτερός τις εὐειδὴς πάνυ (CVIII, გვ. 2969). ქართულში ამ ფრაზის ნაცვლად შემდეგი გამოთქმა გვაქვს: „ჭაბუკი ერთი შუენიერი ხილვითა“ (ოგ, გვ. 53). ზუსტად ასეთი კონსტრუქციის და ასეთი ცნების გამომხატველი გამოთქმა გვაქვს ვატიკანური ნუსხის შესაბამის ადგილას—رجل حسن المنظر (17r 5).

---

[63] Ш. Нуцубидзе, დასახ. ნაშრომი, გგ. 112.

განხილული არაბიზმები „სამოთხისა“ და მათი დამთხვეული არაბულ ტექსტთან სავსებით გამორიცხავს ამ შემთხვევაში მოქალაქეობრიობის უფლებით აღჭურვილი არაბიზმების შესახებ მსჯელობის შესაძლებლობას. ასეთი ძლიერი დაღი არაბულისა მხოლოდ უშუალო ტექსტოლოგიური გავლენით მეიძლება აიხსნას და ამდენად, აშკარა ხდება ქართული ვერსიის არაბული ვერსიიდან მომდინარეობა. რაც შეეხება კონკრეტულად სინურ „ალ-ბუსთანს“, იგი „სამოთხის“ წყაროდ ვერ ჩაითვლება. „სამოთხის“ თხრობებში სინური „ალ-ბუსთანისაგან“ განსხვავებული და ბერძნულ ტექსტთან თანხვედრილი ბევრი ადგილი გვხვდება. მაგრამ ეს გარემოება არ აბრკოლებს საერთოდ არაბულიდან მის მომდინარეობას. არაბული აქ ბუალედური საფეხურია და, როგორც ზემოთ დამოწმებული მაგალითებიდანაც ჩანს, ბერძნიზმები სწორედ მისი საშუალებით უნდა მოხვედრილიყო ქართულ ტექსტში[84].

IV

ხელნაწერის ორთოგრაფიული და ენობრივი თავისებურებანი

სინურ „ალ-ბუსთანში“ კლასიკური გრამატიკის ნორმათა დარღვევის მრავალი შემთხვევა დასტურდება. ამ მხრივ იგი ტიპური ძეგლია ადრეული არაბული ქრისტიანული მწერლობისა[85].

---

[84] 1964 წ. გამოვიდა G. Garitte-ს წერილი: La version géorgienne du „Pré spirituel“, Studi e Testi, 232, გვ. 171—185. ეს წერილი ილ. აბულაძის მიერ გამოცემულ ქართულ „ლიმონარს“ ეხება და სხვა საკითხთა შორის ძეგლის წარმოშობის მხარესაც მოიცავს. ილ. აბულაძის მიერ წარმოდგენილ ქართული ტექსტის არაბიზმებს G. Garitte თავის მხრივ ახალ მასალას უმატებს არაბიზებული ფორმის საკუთარ სახელთაგან და გადაწყვეტილად მიიჩნევს ქართული „სამოთხის“ არაბული „ალ-ბუსთანიდან“ წარმომავლობას.

დასასრულ, დანართის სახით, G. Garitte ჩვენს ზემოდასახელებულ სტატიას იმოწმებს (როგორც ჩანს, ეს სტატია მას გვიან მიუღია). იგი აღნიშნავს, რომ ჩვენი ძიებანი სინური „ალ-ბუსთანისა“ და „სამოთხის“ ურთიერთობის სფეროდან: საკუთარ სახელთა თავისებური ფორმების, არქიტექტონიკისა და რედაქციული მიმართების თვალსაზრისით განხილვის საფუძველზე სავსებით ამტკიცებენ მოსაზრებას „ლიმონარის“ ქართული ვერსიის არაბული ვერსიიდან მომდინარეობის შესახებ.

[85] ადრეული ქრისტიანული არაბული ლიტერატურის ძეგლებში იგულისხმება VIII—X საუკუნის ძეგლები. იხ. G. Graf, Der Sprachgebrauch der ältesten christlich-arabischen Literatur. Ein Beitrag zur Geschichte des Vulgär-Arabisch, Lpz., 1905, გვ. 3.

ეგ. კრაჩკოვსკი აღნიშნავდა, რომ إعراب-ისა და نحو-ის ტრადიციებზე აღზრდილ მართლმორწმუნე მუსლიმ არაბს ქრისტიანული ტექსტების ვულგარიზმები ჭეშმარიტად შეაძრწუნებდა[86]. ეს ფაქტი ზოგჯერ განიხილებოდა როგორც წარყვნა-დამახინჯება კლასიკური არაბული ენისა და ამასთან დაკავშირებით ისმებოდა საკითხი გამოსაცემი ძეგლის ენობრივი თვალსაზრისით შესწორების შესახებ. ამ ხაზის გამტარებლები იყვნენ P. Peeters-ი[87], L. Malouf-ი, K. Bâchâ[88] და სხვანი. მაგრამ ეს შეხედულება არ იქნა გაზიარებული. ქრისტიანული ძეგლების ენობრივი თავისებურებანი დიალექტურ თავისებურებათა რიგში დგება და ისინი საგანგებო კვლევის საგნად არიან გამხდარი.

ქრისტიანული ძეგლების აღნიშნული თავისებურებანი მათი შემქმნელი გარემოს სპეციფიურობითაა გაპირობებული. ქრისტიანულ დოგმებზე აღზრდილი ავტორები სათანადოდ ვერ ეთვისებოდნენ მუსლიმთა ტრადიციულ განათლებას. ჭეშმარიტ მუსლიმთა გაგებით ისინი საერთოდ ნაკლებად განათლებულნი იყვნენ და ასეთი კვალიფიკაციის ერთ-ერთი მთავარი საფუძველი ის იყო, რომ ისინი ფლობდნენ არა კლასიკურ ენას, არამედ ყოველდღიური ურთიერთობის ცოცხალ მეტყველებას. ეს ვითარება მათთვის მით უფრო ბუნებრივი უნდა ყოფილიყო, რომ ხშირ შემთხვევაში არაბული არ წარმოადგენდა მათ მშობლიურ ენას. ისინი იყვნენ სირიელები, კოპტები და სხვები, რომლებიც ისლამის ექსპანსიის შედეგად შექმნილი ისტორიული ვითარების გავლენით იძულებული იყვნენ გადასულიყვნენ არაბულ მეტყველებაზე[89]. ამ „ნაკლებად განათლებულ“ ქრისტიან ავტორებს არ

---

[86] И. Крачковский. Новозаветный апокриф в арабской рукописи 885-886 года по р. Хр., Византийский временник, XIV, в. 2—3, 1908, გვ. 250.

[87] იხ. P. Peeters-ის რეცენზია ნ. მარის შრომაზე—„Крещение армян. грузин, абхазов и аланов св. Григорием“, Analecta Bollandiana, XXVI. 1907, გვ. 117-120; აგრეთვე, მისი შრომა—Une version arabe de la Passion de Sainte Cathérine d'Alexandrie, იქვე, გვ. 5-32.

[88] იხ. უკანასკნელთა მიერ გამოცემული თეოდორე აბუ კურრას ტრაქტატები, რომლებშიც „შესწორებების“ შედეგად ამ ადრეული მწერლის ენობრივ თავისებურებათაგან არაფერია დარჩენილი: لويس معلوف, القول في كلمة الله وتأنس, Al-Mašriq, VI, 1903, გვ. 1014-1023; K. Bâchâ, Majâmir Theodûr abû Qurra. Bairut, 1904.

[89] G. Graf, Geschichte..., I, გვ. 1.

ზღუდავდა ყურანის ტრადიცია და სწორედ ამიტომ, როგორც გ. წერეთელი და ვ. ბელიაევი აღნიშნავენ, ისინი თავისუფლად ასახავდნენ სამწერლობო ენაში ამ ცოცხალი ენის თავისებურებებს [90]. ამგვარად, ქრისტიანულ ძეგლებში ფიქსირებული აღმოჩნდა არაბული ენის ადრეული პერიოდის დიალექტოლოგიური მასალა. ეს გარემოება განაპირობებს ენობრივი თვალსაზრისით ამ ძეგლების შესწავლის მნიშვნელობას [91]. ეგ. კრაჩკოვსკი აღნიშნავდა, რომ „ისინი საშუალებას იძლევიან დადგინდეს გარდამავალი, ან უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, შუალედური საფეხური კლასიკურ ენასა და ხალხურ დიალექტებს შორის" [92]. აქედან გამომდინარე, იგი განსაკუთრებით უსვამდა ხაზს ქრისტიანული ძეგლების თავიანთი პირვანდელი სახით, შესწორებების შეტანის გარეშე გამოცემის აუცილებლობას [93].

ქრისტიანული არაბული მწერლობის ტიპიურ ძეგლებში იგულისხმება ძირითადად სინური და პალესტინური წარმოშობის ძეგლები, რადგანაც ამ ტერიტორიის სავანეებში იყო გაშლილი ქრისტიან არაბთა ინტენსიური მოღვაწეობა და მათ ხელთაგან გამოსული ტექსტების „საერთო ენობრივი თავისებურებანი იძლევიან თითქმის ნათელ სურათს იმ წრის სასაუბრო ენისა, რომელშიც ისინი აღმოცენდნენ" [94].

ქრისტიანული ძეგლების გამოცემისას, გამომცემელნი ჩვეულებრივ მათ ენობრივ მხარესაც ეხებიან ტექსტზე დართული ცალკეული შენიშვნებისა, თუ გამოკვლევების სახით, მაგალითად, ეგ. კრაჩკოვსკი [95], ნ. მარი [96], M. Dunpol Gibson-ი [97], J. Aren-

---

[90] В. Беляев, Г. Церетели, Предисловие к I-му тому избранных сочинений И. Ю. Крачковского, М.-Л., 1955, გვ. 12.

[91] იხ. ამის შესახებ K. Vollers, Volkssprache und Schriftsprache im alten Arabien, Straßburg, 1906, გვ. 82.

[92] იხ. მისი რეცენზია P. Peeters-ის დასახ. ნაშრომზე, И. Ю. Крачковский, Избранные сочинения, т. I, გვ. 345.

[93] იქვე.

[94] G. Graf, Der Sprachgebrauch der ältesten christlich-arabischen Literatur... გვ. 3. იხ. აგრეთვე А. Крымский, Семитские языки и народы, ч. III, Москва, 1908-1912, გვ. 385.

[95] И. Ю. Крачковский, Новозаветный апокриф..., გვ. 268-275.

[96] Н. Марр, Крещение армян, грузин, абхазов и аланов святым Григорием, Записки восточного отделения императорского русского археологического общества, XVI, 1905, გვ. 186-191.

[97] იხ. M. Dunpol Gibson-ის გამოცემები Studia Sinaitica-ში: An

dzen-ი[98], Wolfus de Baudissin-ი[99], K. Römer-ი[100] და სხვანი. ამ ტრადიციის საფუძვლის ჩამყრელად უნდა ჩაითვალოს H. L. Fleischer-ი, რომელიც ჟურნალ ZDMG-ში F. Tischendorf-ის კოლექციის ცალკეულ ხელნაწერთა აღწერილობას მათ ენობრივ მიმოხილვასაც ურთავდა[101]. ქრისტიანული ძეგლების ენობრივ თავისებურებათა სისტემატური შესწავლის ცდა ეკუთვნის G. Graf-ს. ამ საკითხს მან ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა[102], თუმც მის გამოკვლევას ძალზე მკაცრი შეფასება ხვდა წილად[103].

ჩვენც გვინდა გავყვეთ ტრადიციას და ამ ადრეულ სინურ ტექსტს დავურთოთ მისი ზოგადი ენობრივი მიმოხილვა.

ხელნაწერის ორთოგრაფიულ-ფონეტიკური რიგის თავისებურებათაგან ხმოვნებთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს მათი დაგრძელება-დამოკლების შემთხვევები, ე. წ. scriptio plena et defectiva.

Scriptio plena-ს ნიმუშებია: قاتول (332 r 15) ნაცვლად قتول-ისა; تاام (273 r 13) ნაცვლად تمام-ისა; تاعل (301 v 10) და تاعالى (289 v 14) ნაცვლად تعل და تعالى-სი; سا, მომავლის ნაწი-

---

Arabic Version of St. Paul's Epistles, St. Sin. XI, გვ. 6, 7, 22; An Arabic Version of the Act of the Apostles and the Seven Catholic Epistles, St. Sin. VII, გვ. 59; Apocrypha Sinaitica, St. Sin. V, გვ. XIX—XX.

[98] J. Arendzen, Theodori Abû Kurra de cultu imaginum libellus, Bonnae, 1895, გვ. XV-XVIII.

[99] Wolfus de Baudissin, Textus libri Iob arabicus, Lipsiae, 1870, გვ. 108-110.

[100] K. Römer, Der codex arabicus monacensis aumer 238, Eine spanisch-arabische Evangelienschrift, Lpz., 1905.

[101] H. L. Fleischer, Ueber einen griechisch-arabischen Codex rescriptus der Leipziger Universitäts-Bibliothek, ZDMG, I, 1848, გვ. 155-188; H. L. Fleischer, Zur Geschichte der arabischen Schrift, ZDMG, VIII, 1869, გვ. 290-291.

[102] G. Graf, Sprachgebrauch der ältesten christlich-arabischen Literatur. Ein Beitrag zur Geschichte des Vulgär-Arabisch, Lpz, 1905.

[103] იხ. რეცენზიები: И. Ю. Крачковский, Избранные сочинения, М.-Л., т. I, 1955, გვ. 337-343. I. Goldziher, Deutsche Litteraturzeitung, XXIII, 1905, გვ. 3179-3183; C. Brockelmann, Göttingenische Gelehrtenanzeigen, VII, 1906, გვ. 589-592; ყველაზე ლმობიერი რეცენზიაა L. Cheicho-სი, Al-Mašrig, X, 1906, გვ. 42-43.

ლაკი س, (274 v 7, 316 v 11 და სხვ.); انتى (290 r 2) ნაცვლად انتِ-სა; هونا (326 r 16) ნაცვლად هنا-სი; მტკიცებითი ნაწილაკი لَ (286 r 5) ნაცვლად لَ-სი; قومتَ (301 v 7) ნაცვლად قمتَ-სი; Scriptio plena-ს ჩვეულებრივ ადგილი აქვს სუსტი და ცარიელი ზმნების პირობით და ბრძანებით კილოებში, მაგალითად, حتا اقضى (300 v 5); لم يانى (314 v 2); لم ينطفى (284 r 16); لم ندرى (293 r 14); لم يتجرى (292 r 3;) لم يزال (276 v 2); لم يريد (330 r 13) და სხვ. ბრძანებითის ფორმებია: ادعى (309 v 7); صلى (297 r 5); خلى (300 v 2); قول (320 v 2); قوم (277 v 12) და ა. შ.

ერთი შეხედვით scriptio plena გვაქვს მაგალითში اخراة; მაგრამ, ჩვენი აზრით, აქ ორმაგი მდედრობითი სქესია წარმოდგენილი اخرى ფორმიდან (აქ „ალიფი“ alif maqsūra-ს უნდა გამოხატავდეს), რადგან კონტექსტით იგულისხმება „მეორე“ და არა „უკანასკნელი“. ... واخراة تقول لى ... لى يابتين حبتين واحدة تقول لى (306 v 1-3).

Scriptio defectiva. დასტურდება შემდეგ შემთხვევებში: حرث (296 v 6) ნაცვლად حارث-ისა; وحد (345 v 1) ნაცვლად واحد-ისა; ولدة (283 r 1) ნაცვლად والدة-ისა; قلْ ნაცვლად قالْ - ისა — فاوريت له سيدتنا بالليل وقلت له... (287 v 6-7). يقلون (317 v 2) ნაცვლად يقولون-სი და სხვ.

თანხმოვნებთან დაკავშირებით საყურადღებოა შემდეგი მაგალითები: شضية (277r 8) ნაცვლად شظية-ისა; ذكواة (306 v 16) ნაცვლად زكواة-ისა (ეს ფორმა თავისთავად თავისებურია—ალიფი აქ პლეონასტურია).

ასეთი შემთხვევები თანხმოვანთა ცვლისა სხვა ქრისტიანულ ძეგლებშიც დასტურდება[104] და საერთოდ არაბული დიალექტებისათვის ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს[105].

გაცილებით უფრო ხშირია სხვა რიგის შემთხვევები: باش (335 r 16) ნაცვლად باس - ისა; خمسين (306 r 4) ნაცვლად خمسين-სი და მრავალი სხვა. მაგრამ ძნელია გარჩევა — მსგავს მაგალითებში საქმე გვაქვს თანხმოვანთა ცვლასთან, თუ დია-

---

[104] G. Graf, დასახ. ნაშრომი, გვ. 6.

[105] C. Brockelmann, დასახ. რეცენზია, გვ. 590.

კრიტიკული პუნქტუაციის დარღვევასთან, რადგან ეს უკანასკნელი მოვლენა ჩვეულებრივია „ალ-ბუსთანის“ სინური ხელნაწერისათვის (გვხვდება როგორც წერტილების დაკლების, ასევე ზედმეტი წერტილების დასმის შემთხვევები).

ქრისტიანული არაბული ძეგლებისათვის დამახასიათებელია alif maqsūra-ს ალიფით გადმოცემა[106]. ამ მხრივ სინური „ალ-ბუსთანი“ არ ქმნის გამონაკლისს, მაგალითად, موتا (280 r 11) ნაცვლად موتى-სი; حما (273 v 7) ნაცვლად حمى-სი; شتا (289 v 4) ნაცვლად شتى-სი; قرا (314 v 8) ნაცვლად قرى-სი; اخرا (294 v 1) ნაცვლად اخرى-სი; الا (286 r 7) ნაცვლად الى-სი; زنا (300 v 13) ნაცვლად زنى-სი; صلا (284 v 7) ნაცვლად صلى-სი; يرعا (297 v 13) ნაცვლად يرعى-სი; نخشا (293 v 15) ნაცვლად نخشى-სი და ა. შ.

ზოგიერთ შემთხვევაში alif maqsūra-ს გადმომცემი ალიფი წერია იქ, სადაც არაა მოსალოდნელი, ე. ი. იგი გადაქცეულია ე. წ. პლეონასტურ ალიფად, მაგალითად, لم يرضا (306 v 13); لم ارا (281 r 4); لم يبقا (290 r 12); ბრძ. კილო — ابقا (283 v 2) და სხვ.

დაცვის ალიფი, alif otiosum, ჩვეულებრივ წარმოდგენილია სათანადო შემთხვევებში, მაგრამ მის უგულებელყოფასაც აქვს ადგილი, მაგალითად, وادا (278 v 12); قالو (305 v 10); ابصرو (295 v 2) და სხვ. თავისებურია დაცვის ალიფის გამოყენება و-ით დამთავრებულ ნებისმიერ ფორმებთან, მაგალითად, اعدو (319 r 16); ارجو (320 v 4); ادعو (329 r 7)—მხ. რიცხ. I პ. იმპერფექტი; اضو (323 r 3); اهدو (327 v 1)[107]. ეს ფორმები, როგორც ამაზე ეგ. კრაჩკოვსკი[108] და G. Graf-ი[109] უთითებენ, პერფექტის გარკვეული ფორმის ანალოგიით უნდა აიხსნას.

პროტეთული ალიფი ხშირად ჩნდება რიცხვით სახელთან عشر. عشر-თან ალიფის ხმარების შემთხვევები დადასტურებული აქვთ G. Graf-ს[110], H. L. Fleischer-ს[111]. მაგრამ სინურ „ალ-ბუს-

---

[106] G. Graf, დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

[107] ვინაიდან ხელნაწერში ჰამზა არ არის წარმოდგენილი, ამიტომ ეს ორი უკანასკნელი ფორმაც ა-ით დაბოლოებული გამოდის.

[108] И. Ю. Крачковский, Новозаветный апокриф..., გვ. 269.

[109] G. Graf, დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

[110] იქვე, გვ. 28.

[111] H. L. Fleischer, Ueber einen griechisch-arabischen Codex..., გვ. 156.

თან"ში" საგულისხმოა ის გარემოება, რომ პროტეთული ალიფი აქ გვხვდება არა მარტივ عشر-თან, არამედ მაშინ, როდესაც იგი შედგენილი რიცხვითი სახელის ნაწილია: خمسة اعشر (296 r 9-10); سبعة اعشر (285 v 8); ثمانية اعشر (305 r 6); مائة وثلثة اعشر (299 v 11) და სხვ.

ამგვარი ფორმები რიცხვითი სახელებისა ათიდან ოცამდე დღესაც გვხვდება ზოგიერთ არაბულ დიალექტში, მაგალითად, პალესტინის ფელახების მეტყველებაში ფიქსირებულია ფორმები tlattā'š, arba'tā'š და სხვ.[112]. ასევე ტრიპოლის მეტყველებაში: ṭnâeš, ṭlâṭṭâeš და ა. შ. როდესაც ეს ფორმები წინ უძღვის მხ. რიცხვის არსებით სახელს, მაშინ er კომპლექსი კვლავ აღდგება ხოლმე: səṭṭâešəṛ rəjjāl, seṭṭâešəṛ maṛâ და სხვ.[113]. სინური „ალ-ბუსთანის" მონაცემები მოწმობს, რომ ამ ფორმებს ჰიჯრის ადრეულ საუკუნეებში ჩაეყარა საფუძველი და მათ მყარი დიალექტური სახე მიიღეს.

ﻙ ნაწილაკთან პროტეტული ალიფის გამოყენების შემთხვევა — اكليها ფორმა ფიქსირებული აქვს M. Dunpol Gibson-ს პაველეს ეპისტოლეს არაბულ ვერსიაში—Cod. ar. Sin. 155,2[114]. აქედან ეს მაგალითი G. Graf-მა შეიტანა თავის გამოკვლევაში[115]. მაგრამ, ვინაიდან ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა, ეგ. კრაჩკოვსკიმ შეუძლებლად ჩათვალა ასეთი ფორმის არსებობა და ეჭვი შეიტანა ტექსტის ინტერპრეტაციის სისწორეში[116]. ზუსტად ასეთი ფორმა გვაქვს სინურ „ალ-ბუსთანში", რითაც დასტურდება ქრისტიანულ მწერლობაში მისი ხმარების ფაქტი. ტექსტის ამოკითხვა, ვფიქრობთ, ეჭვს არ უნდა იწვევდეს—ალიფი წინა სიტყვას ვერ მიეკუთვნება: تنيحا اكليها وذهبوا عند الله (285 r 9).

პროტეტული ალიფი გვხვდება هنا ზმნიზედასთან. კონტექსტები შემდეგია: انا (280 r 1); قريبة منك اهنا في مغارة ان اردتم ان تدخلون اهنا فاذهبوا (323 r 9-10).

---

[112] L. Bauer, Das palästinische Arabisch, Lpz., 1913, გვ. 16.
[113] H. El-Hajje, Le parler arabe de Tripoli, 1884, გვ. 161.
[114] Studia Sinaitica, XI, გვ. 22.
[115] G. Graf, დასახ. ნაშრომი, გვ. 47.
[116] И. Ю. Крачковский, დასახ. რეცენზია G. Graf-ის შრომაზე, გვ. 340.

გვხვდება აგრეთვე იგი بد სიტყვასთან—ابده مد (324 r 5-6). ასეთი ფორმა დადასტურებული აქვს H. L. Fleischer-ს[117].

პროტეტულ ალიფთან დაკავშირებით საწინააღმდეგო მოვლენაც შეინიშნება. არ გვხვდება იგი კლასიკური ორთოგრაფიით დაკანონებულ ადგილებში: بنت له كانت (285 r 12) واحد بن تسع سنين واخر بن خمس سنين (290 r 7-8);

ჰამზა ხელნაწერში არსად არ არის წარმოდგენილი. ზოგ შემთხვევაში მის ადგილას გვხვდება იოტი, მაგალითად, شيث (326 v 2); جيته (298 v 6); جينا (286 v 11); حينيذ (277 v 11) და სხვ. ზოგჯერ იგი უკვალოდაა გამქრალი. უკანასკნელ შემთხვევათაგან ნაწილი გასაგები და ჩვეულებრივი ხდება კლასიკური ორთოგრაფიის ზოგიერთი წესის გათვალისწინებით. სახელდობრ, იმ შემთხვევაში, როდესაც ამ ორთოგრაფიის მიხედვით დასაშვებია ჰამზის დამოუკიდებლად, უსაყრდენოდ წერა, მაშინ ბუნებრივია, რომ ხელნაწერში მისი კვალი არ იქნება წარმოდგენილი. ასე მაგალითად, დასაშვებია īī კომპლექსში მოქცეული ჰამზის უსაყრდენოდ წერა[118]. აქედან გამომდინარე შეიძლება აიხსნას ფორმა: ريس (314 r 5) ნაცვლად رَئِيس-ისა.

īā კომპლექსში მოქცეული ჰამზა თავის თავზე იღებს დამაგრძელებელი ასოს ფუნქციას, კარგავს თავის საყრდენს და იწერება იოტზე, მაგალითად, خَطِية > خَطِيئَة[119]; ამ რიგისა უნდა იყოს مشية (337 v 5) ნაცვლად مَشِيئَة-ისა.

ჰამზა დამოუკიდებლად იწერება სუქუნიანი თანხმოვნის შემდეგ[120]. ამ წესით იხსნება ხელნაწერისთვის ჩვეულებრივი ფორმები: مرة (288 r 14) ნაცვლად مرأة-ისა; يسل (300 r 4)[121] და სხვ.

---

[117] H. L. Fleischer, დასახ. ნაშრომი, იქვე.

[118] W. Wright, A Grammar of the Arabic Language, v. I, Cambridge, 1955, გვ. 18.

[119] იქვე.

[120] იქვე.

[121] კლასიკური ორთოგრაფიის მიხედვით სინისა და ლამის შემაერთებელი ხაზი ამ შემთხვევაში გაგრძელებული უნდა ყოფილიყო (იხ. W. Wright, იქვე). მაგრამ, ხელნაწერის საერთო ორთოგრაფიიდან გამომდინარე, ეს ზედმეტი მოთხოვნა იქნებოდა დამწერისადმი.

ამ წესის შემდგომ განვითარებად და ორ მეზობელ სიტყვაზე მისი გავრცელების ნიმუშად ეგ. კრაჩკოვსკის მიაჩნია منجل ფორმა მიღებული من + اجل ნაწილაკებისაგან[122]. ეს ფორმა ჩვეულებრივია როგორც სინური „ალ-ბუსთანისათვის“ (274 v 6, და სხვ.), ასევე სხვა ქრისტიანული ძეგლებისათვისაც[123].

კონტრაქციის გზით მიღებულია, როგორც ამაზე უთითებს C. Brockelmann-ი, مَيْدَة ფორმა مَائِدَة-გან[124]. ასევე كلاوا-დან კონტრაქციის გზით მიღებული უნდა იყოს ხელნაწერისათვის ჩვეულებრივი ფორმა — كلوا (324 r 15).

აღნიშნულ ფორმათა გვერდით გვხვდება ჰამზიანი სიტყვების სრულიად მოულოდნელი და გაუგებარი, როგორც ჩანს, წმინდა ეულგარული დაწერილობა, მაგალითად, جَتْ (289 v 14) ნაცვლად جَائَتْ-ისა; ريسا (324 v 12) ნაცვლად رُؤْسَا-სი; ريا (273 v 8) ნაცვლად رُؤْيَا-სი.

ხელნაწერში დასტურდება ელიზიის შემთხვევები სახელსა და ნაწილაკს შორის, მაგალითად, ياخي (285 v 16); يانسان (303 v 4); يابوس (343 v 9); يالمسيح (273 r 9) და სხვ. ეს მოვლენა اصاب ზმნასთანაც გვხვდება, მაგალითად, يصابنى (287 r 6); لماصابهم (324 v 1).

სახელთან ნაწილაკის შერწყმის ნიმუშია ايشى (277 v 2), ზოგჯერ ايش (344 v 5) ფორმა, მიღებული شيّ-დან. eš ფორმა დღესაც დასტურდება დიალექტებში, მაგალითად, პალესტინის დიალექტში[125]. ისე რომ, სინურ „ალ-ბუსთანში“ ايشى-ის სახით თითქოს დაცულია გარდამავალი ფორმა კლასიკურ شيّ-სა და დიალექტურ eš-ს შორის.

---

[122] И. Ю. Крачковский, დასახ. ნაშრომი, გვ. 271.

[123] იხ. G. Graf, დასახ. ნაშრომი, გვ. 11; H. Mapp, დასახ. ნაშრომი, გვ. 188; J. Árendzen, დასახ. ნაშრომი, გვ. XVIII, M. Dunpol Gibson, An Arabic Version of. st. Paul's Epistles, St. Sin. XI, გვ. 6.

[124] C. Brockelmann, დასახ. რეცენზია, გვ. 590; G. Graf-ს ეს ფორმა დეფექტური დაწერილობის ნიმუშად აქვს მოტანილი. იხ. G. Graf, დასახ. ნაშრომი, გვ. 7.

[125] L. Bauer, დასახ. ნაშრომი, გვ. 16.

წმინდა გრაფიკული ხასიათისაა შემდეგი ნაწილიკების დაწერილობა: لما (343 r 3) ნაცვლად لما-სი — لما بكلما امرأة زانية لحقته „დაეწია მას მეძავი ქალი ყოველივე იმით, რაც თან ჰქონდა სამკაულთაგან“.

ხელნაწერში არის შემთხვევები პაუზალური ه-ს ხმარებისა, მაგალითად, ماه ايه الشيخ (273 v 8); مغارة بمغارة هاذا دنانير (313 v 6); فاشتكت عينيه (291 r 2). როგორც ჩანს, ანალოგიით პაუზალური ფორმისა هاتا გვხვდება ფორმა هاتاه (321 r 17). აქედან უნდა იყოს ნაწარმოები არაპაუზალური ფორმაც — هاتا (314 v 4).

გვხვდება ერთი შეხედვით ერთნაირი, მხოლოდ პაუზალური ჰა ჰეევზით განსხვავებული ფორმები: بنيا და بنيه; მაგრამ, როგორც ირკვევა კონტექსტების მიხედვით, პირველ შემთხვევაში მიმართვა გამიზნულია ძისადმი — اذهب يا بنيّ (284 v 11), მეორე შემთხვევაში კი ძეთა მიმართ — والاحتمام بالمسكنة عليكم يا بنيه وصدقوني... (309 r 6-7) ე.ი. აქ ერთმანეთს უპირისპირდება ابن და أَبْنَاءٌ ფორმები. أَبْنَاءٌ ფორმაში, ჩვენი აზრით, კონტრაქციას აქვს ადგილი: أَبْنَائِيٌّ (პირველი პირის ნაცვალსახელოვანი სუფიქსით) < ابنيّ და პაუზალური ფორმით أَبْنِيه; უკანასკნელ ფორმაში დაკარგულია პირველი პირის ნაცვალსახელოვანი სუფიქსი. პაუზალურ ه-თან მისი დაკარგვის შემთხვევები აღნიშნული აქვს G. Graf-ს[126]. აქ იგივე ვითარება უნდა იყოს, რაც مَائِدَةٌ სიტყვასთან დაკავშირებით — مَائِدَةٌ < مِيدَةٌ.

სინურ „ალ-ბუსთანში“, როგორც ზემოთ დამოწმებული ზოგიერთი მაგალითიდან ჩანს, დასტურდება ის ენობრივი თავისებურებანი, რომლებიც ამჟამად არაბულ დიალექ-

---

[126] G. Graf, დასახ. ნაშრომი, გვ. 12.

ტებშია დამკვიდრებული. განსაკუთრებით ეს მორფოლოგიურ თავისებურებათა მიმართ, ძირითადად ნუნაციის და ფლექსიის მოშლის შესახებ ითქმის. ამ მოვლენის ნიშნები ადრეულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში ჩანს[127]. მაგრამ, ასე ეთქვათ, დოკუმენტური მასალა მისი თანდათანობითი დამკვიდრება-გავრცელებისა, დაცულია ადრეული ქრისტიანული მწერლობის ძეგლებში. სინურ „ალბუსთანწმიც“ ეს პროცესი ნათლად არის წარმოჩენილი. მასში, კლასიკურ გრამატიკულ ნორმათა გატარების გვერდით, მრავალგზის დარღვევასაც ვხვდებით. H. L. Fleischer-ის ხატოვანი თქმით, აქ „ჭიდილია გამართული სწორ და არასწორ ფორმათა შორის“[128]. ამ ჭიდილში ხშირად წარმატება არასწორ, კლასიკური ორთოგრაფიისა და გრამატიკის თვალსაზრისით გაუმართლებელ ფორმათა მხარესაა.

ხელნაწერში ნუნაციის მოშლის მანიშნებელია მესამე ძირეულად و-იანი და ى-იანი ზმნების მოქმედებითი გვარის მიმღეობის განუსაზღვრელი ფორმა ბოლოში იოტიანი დაწერილობით წარმოდგენილი, მაგალითად, مختفي (303 r 17) ნაცვლად مختفٍ-ისა; والي (288 v 6) ნაცვლად والٍ-ისა; خافي (281 v 7) ნაცვლად خافٍ-ისა და სხვ.

ნუნაციის მოშლაზე უთითებს აგრეთვე განუსაზღვრელი სახელის აკუზატივის ფორმა, რომელიც ყოველთვის, მცირე გამონაკლისის გარდა, უალიფოდაა წარმოდგენილი, მაგალითად: قد هيا حبل شديد (337 r 10-11); قتلت قتيل (325 r 11); يصيح صياح شديد (330 v 13); اطعمني خبز قليل (314 v 4) და სხვ. გამონაკლისის ხასიათისაა ზოგიერთი მაგალითები: فلم يروا شيا (288 v 15) خمسة وعشرين يوما (290 v 8); ليس ارید انما ارید خبز ثوب (276 v 16); و كان مضيعا قليلا (335 r 9-10).

მაგრამ როდესაც აღნიშნული ფორმები ზმნისართული ხასიათისაა, მაშინ ალიფი ყოველთვის დაცულია, მაგალითად جميعا (299 r 9, 302 v 11); ابدا (287 v 5); جدا (277 r 3) და სხვ.

შეიძლება ითქვას, რომ ნუნაციის მხრივ სინურ „ალ-ბუს-

---

[127] А. Крымский, დასახ. ნაშრომი, გვ. 368, 370.
[128] H. L. Fleischer, დასახ. ნაშრომი, გვ. 155.

თანწში“ დაახლოებით ისეთივე ვითარება შეინიშნება, როგორიც ამჟამად დასტურდება არაბულ დიალექტებში. მაგალითად, ლიბანისა და სირიის მეტყველებაში ნუნაციის კვალი შენარჩუნებულია ზმნისართულ გამოთქმებში: 'abadan, masalan და ა. შ.[120].

ბრუნვათა ფუნქციის და აქედან ბრუნვათა ფლექსიის მოშლის შესახებ მსჯელობა შესაძლებელია ا ტიპის სახელებისა და სწორი მრავლობითი და ორობითი რიცხვების ფორმათა მიხედვით.

ا ტიპის სახელებში წინადადების როგორც მთავარი, ასევე მეორეხარისხოვანი წევრებისათვის დასტურდება სახ. ბრუნვა, მაგალითად: يابو (310 r 5); وصية ابو (294 r 16-v 1); ابوها (285 r 17); اخوه (300 v 2); على اخوه (300 v 10); منجل اخوه (301 r 11) და სხვ.

ორობით და მრავლობით რიცხვებში ასეთი საერთო ფორმაა ნათესაობით-აკუზატივის ფორმა, მაგალითად: كنت انا وسياحين نمشى (281 r 8); هنالك رجلين اعميين جالسين (305 v 1-2); فاتوا اليه اسدين (297 v 14); يديه ممدوتين الى السما (296 r 1) და სხვ.

აღნიშნული თავისებურება ხელნაწერში ყოველგვარი გადახვევის გარეშეა გატარებული. ისე რომ, ბრუნვათა ფლექსიის მოშლა, განსაკუთრებით ორობითსა და მრავლობით რიცხვებში, რომლისადმი მიდრეკილება, თუმც რამდენადმე სუსტი, შეინიშნება ისლამამდელ პერიოდში და ყურანშიც[130], სინური „ალ-ბუსთანის“ შემქმნელ გარემოში უკვე მტკიცედ დამკვიდრებული ფაქტია.

სახელთან დაკავშირებულ სხვა თავისებურებათაგან დასტურდება შემდეგი: status constructus-ში მსაზღვრელი თითქმის ყოველთვის 'ალ არტიკლის გარეშეა წარმოდგენილი, ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც საქმე ეხება სრულ კონკრეტულ განსაზღვრულობას, მაგალითად, [انبا اسطرحيوس] دير راس (273 r 16—v 1); صرة مال (330 r 2); مريض اسد (279 v 5) და სხვ.

სწორ მრავლობითში დასმული ნისბის ფორმის მქონე სახელთან გრაფიკულად ერთი იოტია წარმოდგენილი, მაგალითად, علمانين (273 v 11).

خَيْر-ს აღმატებით ხარისხად გვხვდება اخير (294 r 2) ფორმა.

[120] H. El-Hajjé, დასახ. ნაშრომი, გვ. 159.

[130] А. Крымский, დასახ. ნაშრომი, გვ. 374.

ზმნების დამახასიათებელ თავისებურებათაგან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს კილოების აღრევა. ـُونَ, ـِينَ დაბოლოებების ხმარებისას თანმიმდევრობა არ არის გატარებული, გრამატიკული ნორმები ხშირად უგულებელყოფილია, მაგალითად, اخبرونا بعض الاخوة الذين كانوا يسكنوا فى برية (334 v 10-12); لماذا تدخلى فقالت لها... [اخوين] كانوا (279 v 16); فقالت لها ايشى تصنعى انت يعملوا فى بزنطية (288 r 10-11); (301 r 1) და სხვ.

მსგავს შემთხვევათა გვერდით გვხვდება ფორმები: ليدخلون (345 r 13-14); ان يموتون (323 r 16); لم يرزون (334 v 8) და სხვ.

თავისებურებას ამჟღავნებენ მესამე ძირეულად სუსტთანხმოვნიანი ზმნები. იმპერფექტში ისინი ჩვეულებრივ „ა“ ხმოვნით არიან დაბოლოებული, მაგალითად, ينبغا (303 v 13) ნაცვლად ينبغى-სა; يقا (277 r 2) ნაცვლად يقو-სი და სხვ.

მესამე ძირეულად იოტიანი ზმნა ინარჩუნებს ء-ს პერფექტის იმ ფორმებში, სადაც კლასიკური ორთოგრაფიის მიხედვით ეს გაუმართლებელია: اوريت (287 v 6); لقيوه (278 v 11); მაგრამ მათ გვერდით დასტურდება ფორმები: شكيتهم (297 v 12) ნაცვლად شكيتهمء-ისა; راتَ (312 r 10) ნაცვლად رايتَ-სი.

ამ ზმნებს ემსგავსებიან ამოსავალ ფორმაში და წარმოებითაც ზმნები, რომელთაც III ძირეულად აქვთ ჰამზა, მაგალითად: فقا (291 v 2) იგულისხმება فقأ; تنزا (287 v 8) იგულისხმება تنزأ; بدت (333 r 1) ნაცვლად بدأت-ისა; رزيتَ (300 v 14) ნაცვლად رزأتَ-სი; خبوا (297 v 6) ნაცვლად اخبؤوا-სი; يهيو (305 v 2) ნაცვლად اهيؤو-სი და სხვ.

უკანასკნელ ფორმებში ჰამზის უკვალო გაქრობა მანიშნებელი უნდა იყოს აღნიშნული რიგის ზმნების გათანაბრებაზე მესამე ძირეულად სუსტ თანხმოვნიან ზმნებთან.

გემინირებულ ზმნებთან ნორმის დარღვევის ერთი შემთხვევა დასტურდება: قلتُ ნაცვლად قلتُ-სი — فانى قد قلت وسق ثقيل (314r 13-14).

თემების წარმოებასთან დაკავშირებით აღსანიშნავია V და VI თემების კლასიკური არაბული ენისათვის უჩვეულო, მაგრამ თანამედროვე დიალექტებში გავრცელებული წარმოების შემთხვევები, სახელდობრ, მათი წარმოებისას „თა“-ს წინ გვხვდება ალიფი: اتراهبت (285 v 7); اتقرب (294 v 9); اتنيح (299 r 8) და სხვ.

მსგავსი ფორმები დასტურდება, მაგალითად, პალესტინის დიალექტში. იქ V—VI თემებთან t-ს გეერდით გვხვდება ʾt პრეფიქსიც[131].

თავისებური, ეულგარული წარმოებისა უნდა იყოს ايرا ზმნის IV თემა— اورى (273 v 10 და სხვ.). შესწავლილ ქრისტიანულ ძეგლებში ამ ფორმის ხმარების მხოლოდ ერთეული შემთხვევები დასტურდება[132]. როგორც ჩანს, ამის გამო G. Graf-ს იგი არ შეუტანია ადრეული ქრისტიანული არაბული ძეგლების ენობრივ მიმოხილვაში[133]. მაგრამ სინური „ალ-ბუსთანისათვის“ اورى ჩვეულებრივი ფორმაა, ايرا თითქმის არ გვხვდება და, ამდენად, მისი უგულებელყოფა, როგორც ქრისტიანული მწერლობისათვის დამახასიათებელი ფორმისა, აღარ არის შესაძლებელი.

სინტაქსური თავისებურებებიდან ყურადღებას იქცევს შეთანხმების დარღვევის სხვადასხვა შემთხვევა.

რიგ შემთხვევაში შეთანხმება ირღვევა რიცხვში სახელსა და ზმნას შორის, ძირითადად ორობით რიცხვში დასმულ სახელთან, მაგალითად, غرابين يطيروا (306 r 12—13);

خرجوا اخوين بالجسد يتراهبوا جميعا (336 r 15 v 1).

რამდენიმე ადგილას შეთანხმება ირღვევა პირში:

انا اذهب الى البرية وتراهب (281 r 3—4);
انا جعل الاسقف يعطيكم دينار (308 v 2—3).

შეთანხმება ირღვევა სქესში სახელსა და ნაცვალსახელოვან ნაწილაკსა და სახელსა და ზმნას შორის:

---

[131] L. Bauer, დასახ. ნაშრომი, გვ. 45-46.

[132] ეს ფორმა დამოწმებული აქვს H. L. Fleischer-ს, დასახ. ნაშრომი, გვ. 156. მისი ხმარების რამდენიმე შემთხვევაზე უთითებს ეგ. კრაჩკოვსკი, იხ. დასახ. რეცენზია P. Peeters-ის შრომაზე, გვ. 348.

[133] ვგულისხმობთ G. Graf-ის დასახ. ნაშრომს.

قد ربطوا [خرقة] على ثلث جمرات من نار فقبلهم الشيخ (284 r 14—15);
اخذن اوليك الخمسة ثيابهم بالسر وانطلقوا لكيما تخرجوا من الباب (324 r 14—16).

ზოგჯერ მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმება ირღვევა სქესში და განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობის თვალსაზრისით: الشيخ القديسة (306 v 7—8); بطريرك رومية (325 r 1); وكان هنالك يومئذ البرد شديد (331 v 15—16).

ხელნაწერში ნამყო წინარე წარსულის გამოსახატავად უპირატესობა ენიჭება كان ზმნის قد ნაწილაკით ხმარებას: وكان قد اعطى (341 r 5) და სხვ.

დასტურდება პარონომაზიის ჩვეულებრივი რიგის დარღვევის შემთხვევა, ასე ვთქვათ, ინვერსიული პარონომაზია, სადაც აბსოლუტური ობიექტი წინ უძღვის ზმნას: كم بكا بكيت (285 v 11).

აღსანიშნავია شي სიტყვის ხმარების არის გაფართოება. أَخَرُ-სთან ერთობლიობაში იგი სხვადასხვა მნიშვნელობით გამოიყენება, მაგალითად, اخر شي اقدر انا اذهب الى البرية ليس (300 v 15—16)—„არ შემიძლია ისევ უდაბნოში წასვლა“.
عذبوه عذاب شديد واخر شي ضربوا بالسيف رقبته (332 v 10—11) „აწამეს იგი საშინელი წამებით და კიდევაც დაჰკრეს კისერზე ხმალი“.

ايشي ფორმა ჩვეულებრივ ما ნაცვალსახელის მაგიერ იხმარება, მაგალითად, ايشي انتفعنا الان من هذا التدبير السو (294 r 14—15) ايشي تقول ايه الشيخ (273 v 13) და სხვ.

ما-ს მნიშვნელობით გამოიყენება აგრეთვე ზოგჯერ الذى ნაცვალსახელი: فلما جت قلت لها الذى تفكرت فى قلبى (338 v 9—10) ايشي انتفعت الان الذى ياخى من الخطية (300 v 13-14).

ما-სთან დაკავშირებით აღნიშნული შემთხვევები არ არის საკუთრივ ქრისტიანული ძეგლებისათვის დამახასიათებელი. ისინი საერთოდ არაბულ ხალხურ მეტყველებაში გვხვდება[134] და ზო-

[134] L. Bauer, დასახ. ნაშრომი, გვ. 60.

გიერთი შემთხვევა კლასიკურ პერიოდშიც არის დადასტურებული [135].

დაახლოებით ასეთია სინური „ალ-ბუსთანის“ ორთოგრაფიული და ენობრივი თავისებურებანი. ჩვენ მიზანს არ შეადგენდა ამ თავისებურებათა განხილვა თანამედროვე არაბულ დიალექტებში არსებულ ვითარებასთან შეფარდებით. ამ თვალსაზრისით მხოლოდ ზოგიერთ მომენტზე და ისიც ძირითადად პალესტინური მასალის მიხედვით ვამახვილებდით ყურადღებას. მაგრამ ამ თავისებურებათა ზოგადი ხასიათი მაინც აშკარა ხდება: ხელნაწერში, ერთი მხრივ, შეინიშნება არაბული დიალექტებისათვის დამახასიათებელი საერთო ენობრივი მოვლენები. მეორე მხრივ, კი მასში საკუთრივ ქრისტიანული წრეებისათვის ნიშანდობლივი ვულგარიზმები დასტურდება.

დასასრულ, გვინდა აგრეთვე აღვნიშნოთ ქრისტიანული ტექსტების სხვა სპეციფიური მხარეც, სახელდობრ, ქრისტიანულ რელიგიასთან დაკავშირებული სიტყვებისა და გამოთქმების ხმარების ფაქტი. ზოგიერთი მათგანი ფართოდ გავრცელებული სირიული სიტყვაა, მაგალითად, წმ. მამების აღსანიშნავად ܐ-ს მრავლობითად იხმარება ܐܒܗܬܐ (276 r 7 და სხვ.), შდრ. სირ. *'abāhātā* [136].

ეპითეტ „წმიდას“ გადმოსაცემად გამოყენებულია ფორმები مر (275 r 4 და სხვ.), ماري (298 r 2); მათ გვერდით უცნაური და გაუგებარია ფორმა مرني صهيون—مرني (323 v 5).

ღვთისმშობლის სახელი ჩვეულებრივი مريم ფორმით კი არ გვხვდება, არამედ სირიულის გავლენით تمريم (276 v 1 და სხვ.) ფორმით. მისი მნიშვნელობაა „ქალბატონი (ქართული ტრადიციით—დედოფალი) მარიამი“ [137].

---

[135] К. Крымский, დასახ. ნაშრომი, გვ. 380.

[136] სირიულში მრავლობითის ეს ფორმა მხოლოდ წმიდა მამათა აღსანიშნავად იხმარება, იხ. C. Brockelmann, Lexicon Syriacum, 1928.

[137] ამ ფორმის შესახებ L. Cheicho წერს: هكذا كان يدعوا نصارى المشرق العزراء مريم حتى الملكيون وقد استعاروا هذه اللفظة من السريانية mart mariam اى السيدة مريم, مقالة لبولس الراهب اسقف صيدا الانطاكى المشرق, Al-Mašriq, I, გვ. 841.

სირიული ʾabā, ʾabbā, ბერძნ. ἀββᾶ—„მამა“, რომელიც პატივისცემის აღმნიშვნელ გამოთქმად იყო ქცეული[138], არაბულში ابا (277 v 5 და სხვ.) ფორმით არის წარმოდგენილი.

ბერძნული საეკლესიო ტერმინები არაბიზებული ბერძნული სიტყვებით გადმოიცემა, ანდა მათთვის ადგილობრივ ნიადაგზე დაძებნილი შესატყვისობანი გვხვდება. ჩვენ წარმოვადგენთ ამ სიტყვების სიას შესაბამისი ბერძნულ-ქართული ტექსტებიდან აღებული შესატყვისობებით. იმ შემთხვევებში, როდესაც შესატყვისობები, ან მათი ახსნა აღებულია არა ამ მოხსენიებული ტექსტებიდან, ისინი ფრჩხილებში იქნება მოთავსებული.

ارثدقس 291 v 12—(ὀρθόδοξος, მართლმადიდებელი).

اسطوان მრ. اساطين 305 r 11—(ἡ στοά); სტოვა (პორტიკი).

اسقف მრ. اساقفة 321 v 16—ὁ ἐπίσκοπος; ეპისკოპოსი.

اسكيم 345 v 4, 321 r 1—τὸ σχῆμα; სქემა, შესახედაობა, სამოსელი (მონაზვნისა).

ارطقي 283 r 2, هرطقة 283 r 14—ὁ αἱρετικός, მწვალებელი.

اقنوم მრ. اقانيم 275 v 14, 16—ὁ οἰκονόμος; იკონომოსი (მონასტრის მნე).

بريطاريون 298 r 6—τὸ ἐπιρριπτάριον; კენდონი (მონაზვნის საბეჭური).

برسفر 282 r 11—ἡ εὐλογία, ἡ προσφορά; სეფის-კუერი.

برسقمين 304 r 5, —ἡ προσκομιδέ; ჟამის-წირვა (ლიტურგია).

بركة 294 r 1—ἡ εὐλογία; ევლოგია (წყალობა, ნაკურთხი მოსაკითხი: წყალი, პური, ღვინო და სხვ.).

بطريرك მრ. بطاركة 273 v 4—ὁ πατριάρχης; პატრიაქი.

جليس في عمود 284 r 14, ან صاحب العمود 284 v 4—ὁ στυλίτης; მესუეტე.

---

[138] იხ. გ. წ ე რ ე თ ე ლ ი, უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან, თბილისი, 1960, გვ. 37.

رارطوذ 288 v 11—დევტელარი; (ὁ δευτεράριος—„ეკლესიის მეორე მოხელე“. არაბულ ტექსტში ეს ტერმინი ὁ σταυροφύλαξ-ის შესატყვისად იხმარება, რის გამოც ერთვის გლოსა: صاحب المقبرة والذى كان يحفظ الصليب—„გამგებელი საფლავისა (იგულისხმება ქრისტეს საფლავი) და ის, ვინც იცავს ჯვარს“. ამ გლოსით رارطوذ დაყვანილია ὁ σταυροφύλαξ-ის ცნებამდე).

ةياقونية 279 r 2—ἡ διακονία; მსახურება (მონასტერში).

ير مრ. تارياد (sic) 278v 3,5, 279 v 13, 343 r 10—τὸ κοινόβιον, ἡ μονή, ἡ λαύρα, τὸ μοναστήριον; მონასტერი.

نوقنيقياذ 282 v 1—τὸ διακονικόν; სადიაკონო.

ير سار 276 r 5— ἡγούμενος, ὁ ποιμήν; მამასახლისი მონასტრისა.

ةقساالا ريس 303 v 14—(ὁ ἀρχιεπίσκοπος; არქიეპისკოპოსი).

ةاوز مრ. ايا ز 323 v 6—ὁ μέσαυλος; (ტაძრის კარიბჭე).

حليس 327 v 4—ὁ ἀπόστολος; მოციქული.

سنودس 334 r 9—ἡ σύνοδος (სინოდი).

حَيَّاح مრ. حُيَّاح 277 r 6, ან حايح 277 r 14 — ἡ ἀναχωρητής; მძოვარი (მეუდაბნოე).

سيق 274 r 13—ჩვეულებრივ, ἡ λαύρα, ზოგჯერ, ὁ κοινόβιος[139]; ლავრა.

شرطونيات 325 r—ἡ χειροτονία; ჭელთ-დასხმა.

---

[139] De Goeje-ს დაკვირვებათა მიხედვით سيق ბერძნული σηκός- ის გადმოცემაა. იხ. Siq von M. J. de Goeje, ZDMG, LIV, 1900, გვ. 337—338. მაგრამ სინურ „ალ-ბუსთანში“ იგი მხოლოდ κοινόβιος და λαύρα-ს შესატყვისად გვხვდება. سيق-ის შესატყვისად λαύρα მოტანილი აქვს აგრეთვე G. Graf-ს. იხ. G. Graf, დასახ. ნაშრომი, გვ. 98.

شمّاسة მრ. شماسة 274 v 13—ἡ διάκονος γυναικός; დედათა დიაკონი.

صاحب الكاس 289 r 11—12—(ὁ διάκονος; დიაკონი).

القدس (sic) صلاوات 300 r 10—ἡ προσκομιδή, ან ἡ ἁγία εὐχὴ τῆς προσκομιδῆς; ლოცვა ჟამის-წირვისა (ლიტურგიისა).

طقس الكنيسة 284 r 2—ἡ τάξις (τῆς ἐκκλησίας); წესი ეკლესიისა.

قبّة بط 282 r 11—ἡ ἁγία ἀναφορά (წმ. ევქარისტი, eucharist- წმ. ზიარების ცერემონიალი).

فصح 291 v 16—τὸ πάσχα; აღსება, აღდგომა.

قانون მრ. قوانين 275 v 8; 284 r 8—ὁ κανών; წესი, ჟამი, გალობაჲ.

قدّاس მრ. قداديس ან قداسات 307 r 7—ἡ προσκομιδή, ზოგჯერ ἡ σύναξις და ἡ ἀναφορά; ჟამის-წირვა (ლიტურგია).

القدس للقدّيسين 334 v 2—(τὰ ἅγια τῶν ἁγίων; წმიდათა წმიდა).

قربان მრ. قربين 291 v 13, 292 r 6—ἡ ἁγία κοινωνία; წმ. ნაწილი.

قسّيس მრ. قسوسة ან قُسُس 275 v 5; 278 v 3; 286 v 10—1. ჩვეულებრივ, ὁ πρεσβύτερος; ხუცესი, მღვდელი, 2. იშვიათად, ὁ διάκονος; დიაკონი.

قلوبة 298 r 5—τὸ κολόβιον; პალეკარტი (უსახელო სამოსი, მოსასხამი).

قلّية მრ. قلالي 327 v 5—ἡ κέλλα, სენაკი.

قوريالايسن 333 r 4-5—Κύριε, ἐλέησον; კირიელეისონი.

قورى 285 r 2—κύρος, ან κυρός; უფალი.

القفولية 345 v 4-5—τὸ κουκούλλιον; კუნკული (მონაზვნის ქუდი).

قير 295 v 10—ὁ κηρός; (თაფლის სანთელი).

الكنيسة المقدّسة الجامعة السليحيّة 288 r 15-16—ἡ ἁγία καθολικὴ καὶ ἀποστολικὴ Ἐκκλησία; წმ. კათოლიკე და მოციქულთა ეკლესია.

مذبح მრ. مذابح 275 v 4—τὸ θυσιαστήριον; საკურთხეველი.

مزمور მრ. مزامير 307 r 2—ὁ ψαλμός; დავითი (ფსალმუნი).

معمودية 275 r 9-10—τὸ κοινόβιον τοῦ βαπτίσματος (სანათლავი).

مطانية 305 r 5—ἡ μετάνοια; ქართულში ჩვეულებრივ არის მეტანია (მონანიება, თაყვანისცემა), მაგრამ ერთ შემთხვევაში თარგმნილია: „მოვიდრიკი“, შდრ. مطانية ... اصنع

معمودية 274 v 12—(τὸ βαπτιστήριον; სანათლავი).

ميرون 274 v 10—τὸ μύρον; მიჰრონი.

نسطوري 282 v 12—ὁ Νεστοριανός; ნისტორი, ნესტორი შჯულითა.

يحنا صاحب التوبة 322 v 11—Ἰωάννης τῆς μετανοίας; იოვანე აღმსარებელი.

يحنا صاحب الانجيل 286 v 17—Ἰωάννης Θεολόγον (ზუსტი შესატყვისია—Ἰωάννης Εὐαγγελιστής); იოვანე მახარებელი.

يحنا فم الذهب 322 r 10—Ἰωάννης ὁ Χρυσόστομος, იოვანე ოქროპირი.

يحنا المعمدانى 274 r 1, 283 v 13—Ἰωάννης Βαπτιστής; იოვანე ნათლის-მცემელი.

يعقوبى 288 r 12, 291 v 15—ὁ αἱρετικός τῶν Σεβήρου; (მყოფი) შჯულსა ზედა სევეროსის მწვალებლისასა, ან იაკობთა შჯულსა ზედა.

ამ სიას აქვე შეიძლება დავუმატოთ აგრეთვე სხვა რიგის ბერძნიზმებიც—არასაეკლესიო კულტთან დაკავშირებული სიტყვები:

لارناكية 333 r 1—(ἡ λάρναξ; ლარნაკი, კუბო).

اوديقين 334 r 16—(ἡ εὐδοκία; კეთილი სურვილი).

برفير 286 v 12—ἡ πορφύρα; პორფირი.

بسما 325 r 6, 346 v 7—(ὁ βιασμός; ძალადობა, უხეშობა).

سقل 346 r 4—(ἡ σίκλα; სათლი).

ميمر 287 v 4—ὁ μῖμος; (მსახიობი, მასხარა).

ტექსტისათვის

ტექსტს ვაქვეყნებთ ცვლილებების შეტანის გარეშე. აღდგენილია მხოლოდ დიაკრიტიკული პუნქტუაცია და გასწორებულია უნებლიე ორთოგრაფიული შეცდომები ძირითადად თანხმოვანთ

დაკლების შემთხვევებში, მაგრამ ხელნაწერისეული დაწერილობა სქოლიოებში შენარჩუნებულია. აღდგენილი ადგილები მოთავსებულია კვადრატულ ფრჩხილებში. თხრობები, სადაც ეს შესაძლებელია, გამოყოფილია ბერძნულ თხრობათა მიხედვით. თითოეულ თხრობასთან ჯერ მოცემულია მისი რიგითი ნომერი არაბული ციფრით, შემდეგ კი ფრჩხილებში მითითებაა შესაბამის ბერძნულ და ქართულ თხრობებზე. Migne-ს პატროლოგიის თხრობები აღნიშნულია რომაული ციფრებით.

თარგმანისათვის

არაბული ტექსტის ქართულად გადმოღებისას ვითვალისწინებთ შესატყვის ბერძნულ-ქართულ ტექსტებს. ზოგჯერ, კონტექსტიდან და ბერძნული ტექსტიდან გამომდინარე, არაბულ სიტყვას ვთარგმნით ისე, როგორც ეს მხოლოდ მისი ძირითადი მნიშვნელობის გააზრებით არის შესაძლებელი, მაგალითად, محبس თარგმნილი გვაქვს, როგორც „სენაკი“—محبس في احبس قبل من „ვიდრე სენაკში გამოვიკეტებოდი“, შდრ. ბერძნ. πρὸ τοῦ ἐγκλεισθῶ [140]. მსგავს შემთხვევებში შესადარებელ ბერძნულ ტექსტს ვიძლევით სქოლიოებში.

ზოგიერთი გამოთქმა ნასესხები გვაქვს ქართული ოთხთავიდან, მაგალითად, مخلص—„მაცხოვარი“, خلص—„ცხონება“, هلك—„წარწყმედა“, وكيل—„მნე“ და სხვ.

უფრო ხშირად გამოთქმებს ვსესხულობთ „სამოთხიდან“, მაგალითად, سايح—„მძოვარი“, فضل და اعمال الفضايل—„სათნოება, სათნოებანი“, عمل يدين—ხელ-საქმე, عالم—„სოფელი“, قلوبية—„პალეკარტი“, بربطارية—„კენდრონი“, صدقة ან حاجة—„ხორცთა სახმარი“ და სხვ. უკანასკნელი გამოთქმა, რამდენადმე ნაბალადევი ახალი ქართულისათვის, ჩვენი აზრით კონტექსტს ძალიან უდგება, რადგან იგი იხმარება ცხოვრების უმკაცრესი წესით, გაუთავებელი მარხვით ხორცით დაუძლურებული ბერებისათვის მიტანილი მოსაკითხის აღსანიშნავად.

---

[140] სოფოკლეს საილუსტრაციოდ მოტანილი აქვს ეს ფრაზა „ლიმონარიდან“. თარგმანი შემდეგია: „before I became a reclus“, A. E. Sophocles, დასახ. ლექსიკონი.

საკუთარი სახელები უმთავრესად „სამოთხის“ ტექსტში დადასტურებული პარალელების მიხედვით გადმოგვაქვს. ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც ვერ ვძებნით საკუთარ სახელთა ქართულ და ვერც ბერძნულ შესატყვისებს, ვიძლევით მათ პირობით გახმოვანებას.

ზოგიერთი სიტყვის თარგმნისას ერთგვარ თავისუფლებას ვიჩენთ, მაგალითად, كبّ-ს ვთარგმნით როგორც „მღელვარება, ვნებათ ბრძოლა“, الزلّ كبّ—„ბიწიერი ცდუნება“, جسد— „ცხედარი“ და სხვ. كبّ ზმნის თარგმნისას მივყვებით პროფ. გ. წერეთლის მაგალითს და იგი სხვადასხვაგვარად გადმოგვაქვს: „თქვა ჰკითხა, მიუგო“ და სხვ.[141]. ჩვენ მიერ ჩართულ სიტყვებსა და ფრაზებს ვათავსებთ კვადრატულ ფრჩხილებში, ხოლო ნაცვალსახელების ექვივალენტურ სიტყვებს მრგვალ ფრჩხილებში.

---

[141] Г. В. Церетели, Арабские диалекты Средней Азии. т. I, Тбилиси, 1956, გვ. XI.

თარგმანი

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა ეს არის 273 r
წიგნი, „ალ-ბუსთანად“ წოდებული, რომელიც დაწერა სოფრონიმ, იერუსალიმის პატრიარქმა.

და უწოდა მას „ალ-ბუსთანი“ მხოლოდ იმის გამო, რომ ბუსთანში გადახლართული ხეების მსგავსად გაერთიანა მან ამ წიგნში მამაკაცთა და დედაკაცთა, ერისკაცთა, მონაზონ კაცთა და მონაზონ ქალთა მშვენიერ თავგადასავალთა ქსელი.

ო, მესიავ, იყავი ჩემი შემწე დაწყებისას და დასრულებისას იმ გზაზე, რომელიც შენსკენ [მოემართება], ამინ!

1 (I, ა)

ვინმე ბერი, სახელად ანბა იოანე, დამკვიდრებული იყო ანბა ესტრაჯის* მონასტერში. და ისურვა იერუსალიმის პატრიარქმა დაე- ნიშნა იგი მამასახლისად || მონასტრისა. [ბერი] არ დათანხმდა. 273 v
და თქვა: „მე მინდა ვილოცო სინას მთაზე“. [პატრიარქს] ძლიერ ეწადა დაენიშნა მამასახლისად და იგი შემდგომად ამისა წასულიყო. ბერმა იუარა, მაგრამ აღუთქვა — როდესაც დაბრუნდებოდა, დაჰყვებოდა მის ნებას. მშვიდობა უსურვა მან პატრიარქს და წავიდნენ ის და მისი მოწაფე სინას მთის [მოლოცვის] სურვილით.

როდესაც გასცდნენ იორდანეს ერთი მილის მანძილით, შეიპყრო ბერი ძლიერმა მხურვალებამ ციებ-ცხელებით. და პოვა მან მცირე ქვაბი, შევიდა შიგ და სამ დღეს დაჰყო იქ მხურვალემ. და იხილა მან ძილში ვინმე კაცი, რომელმაც ჰკითხა: „რაო, ბერო, სად მიდიხარ?“ ბერმა მიუგო: „სინას მთისაკენ“. უთხრა მან, რომელიც ეჩვენა: „გთხოვ, ნუ იქმ [ამას] და ნუ წახვალ ამ ქვაბიდან“. მაგრამ ბერმა არ შეიწუნარა მისი სიტყვა და გაუძლიერდა მხურვალება.

შემდეგ კვლავ ეჩვენა [ის კაცი] და უთხრა: „რას იტყვი, კეთილო ბერო? შენ შენი თავის დაშვრობა ნუ კი გწადია, არამედ დამიჯერე მე და ნუ წახვალ!“

მაშინ ჰკითხა ბერმა: „ვინა ხარ შენ?“

---

* შდრ. ხელნაწერში Vat. ar. 77: اسطرجيوس.

274 r მიუგო მან, რომელიც ეჩვენა მას. და უთხრა: „მე ვარ || იოანე ნათლის-მცემელი და იმიტომ გეუბნები — არ წახვიდე, რადგანაც ეს მცირე ქვაბი, რომელშიც შენა ხარ, უფრო დიდია, ვიდრე სინას მთა; რამეთუ მრავალგზის შემოვიდა აქ ჩემთან უფალი იესუ ქრისტე, რათა განემტკიცებინა ჩემში რწმენა. მაგრამ მომეცი სიტყვა, რომ დამკვიდრდები შიგ და მე შენ განგკურნავ“.

ბერმა აღუთქვა, რომ დამკვიდრდებოდა იმ ქვაბში და მყის განიკურნა. წამოდგა იგი და აქცია იგი (ქვაბი) ეკლესიად. შეკრიბა თავისთან ძმანი და იმყოფებოდა იქ, ვიდრე არ წარემართა უფალთან. და ეწოდება იმ ადგილს საფსაფა.

2 (II, ბ)

იყო აგრეთვე სხვა ბერი იმ ადგილას, საფსაფას. სრულყოფილი იქმნა იგი იქ და მიაღწია სათნოებას იმ ზომამდე, რომ ლომები მოდიოდნენ მასთან და ესიყვარულებოდნენ. იგი კი თავის მუხლებზე აძლევდა მათ საზრდოს.

3. (III, დამ. II, თხრ. 1)

წავედით ჩვენ ანბა ათანასესთან მაშინ, როდესაც იგი წმ. საბას მონასტერში იმყოფებოდა. და მოგვითხრო მან, რომ როდესაც იგი
274 v იყო მონასტერში, რომელსაც || ეწოდება ბანდუკლე [და] რომელიც იორდანესთანაა, იმყოფებოდა იქ სანათლავში ერთი ხუცეს-მონაზონი, სახელად ანბა კონონი. და დააკისრეს მას, მისი სიწმიდის გამო, მონათვლა ყველასი, ვინც კი მოვიდოდა. როდესაც მოდიოდა მოსანათლავად ქალი, მას საშინელი [ვნებათ] ბრძოლა იპყრობდა. ამის გამო მან მონასტრიდან წასვლა მოინდომა. და ეჩვენა მას წმ. იოანე და უთხრა: „მოითმინე და ნუ წახვალ, რამეთუ მე აგაცდენ ამ ბრძოლას“.

შემდგომად ამისა მოვიდა ერთი სპარსელი ყმაწვილი ქალი, ძალზე ლამაზი, იმდენად, რომ ხუცესმა ვერ შეძლო მისი გაშიშვლება მირონის საცხებლად. ჰეშმარიტად მან ორი დღე დააყოვნა. და ესმა ამის შესახებ იერუსალიმის პატრიარქს. განცვიფრდა იგი და მოინდომა ამ შემთხვევის გამო სანათლავში დედათ-დიაკონი მონაზვნის დაყენება, მაგრამ ვერა ქმნა, რამეთუ ამ ადგილას ეს არ დაიშვებოდა.

ანბა კონონ ხუცესი სირბილით გაუდგა გზას. როდესაც
275 r ბორცვს მიაღწია, შეხვდა მას წმ. იოანე და უთხრა || მშვიდის ხმით: „დაუბრუნდი შენს ადგილს და მე აგაცდენ ამ ბრძოლას“.

ბერმა მიუგო: „არა, ნამდვილად არ დავბრუნდები გაბრაზების გამ (sic)*, რამეთუ შენ მე აღმითქვი და არ შემისრულე“.

შემდეგ ჰეშმარიტად წმ. იოანემ მოჰკიდა მას ხელი, დასვა ბორცვზე, გადაუხსნა ტანსაცმელი, სამჯერ გარდასახა ჯვარი მის ბიწიერებას და უთხრა: „მერწმუნე, ხუცესო, მე ძალიან მინდოდა ამ ბრძოლისათვის შენ საზღაური გჭონოდა და აი, შენ არ ისურვე. მე იგი (ბრძოლა) უკვე აგაცდინე, მაგრამ ამიერიდან ასეთი რამისათვის შენ საზღაური აღარ გექნება“.

დაბრუნდა მღვდელი სანათლავში, მონათლა ის სპარსელი ასული და აზრადაც არ მოსვლია, რომ [მის წინაშე] ქალის სხეულია**. იმყოფებოდა იქ [ბერი] თორმეტ წელიწადს. ნათლავდა ყველას, ვინც კი მოვიდოდა და აღარ აღელვებდა ბიწიერი ცდუნება, ვიდრემდის არ განისვენა იმ ადგილას.

4 (IV, გ)

მოგვითხრო ლეონტიმ, რომელიც იყო დავაჭისის მონასტრიდან და თქვა, რომ: შემდგომად განდევნისა ხალხისა ახალი ლავრიდან ||275 წავედი და დავმკვიდრდი მასში. მივედი კვირა დღეს ზიარების მისაღებად და ვიხილე ანგელოზი საკურთხევლის მარჯვნივ მდგომარე. შემიპყრო მე შიშმა და დავბრუნდი ჩემს სენაკში. და მოაღწია ჩემამდე ხმამ, რომელიც მეუბნებოდა: „ჰეშმარიტად ამ საკურთხევლის კურთხევის დღიდან მე მასზე ვარ განწესებული, რათა მის მცველად ვიყო მარადის“.

5 (V)

(დ) მომითხრო კვლავ ამ ახალი ლავრის ხუცესმა და თქვა, რომ: როდესაც ვიყავი კოშკების მონასტერში იორდანის მახლობლად, ვნახე იქ ერთი ძმა, რომელიც არ ზრუნავდა თავისი სულის ცხონებისათვის და არც არასდროს მინახავს, რომ მას მთლიანად შეესრულებინა კვირა დღის წესი. და შემდგომად ამისა, რამდენიმე დღის მერე, ვიხილე იგი ფრიად მოსწრაფედ თავისი სულის გადარჩენისათვის და ვუთხარი მას ახლა: „კარგსა იქმ, ძმაო ჩემო, როდესაც შენი სულის ცხონებისათვის ზრუნავ“. ხოლო მან მომიგო: „რამეთუ, მამაო, მე ახლა გარდავიცვალები“. და ასეც მოხდა: სამი დღის გასვლისთანავე იგი აღესრულა.

---

* ვატიკანური ხელნაწერისა და ბერძნული ტექსტის მიხედვით ეს ადგილი შემდეგნაირად უნდა ითარგმნოს: ბერმა მიუგო გაბრაზებით: „არა, ნამდვილად არ დავბრუნდები“. იხ. ტექსტის შენიშვნა.

** შდრ. μὴ θεωρήσας ὅλως ὅτι γυνὴ τὴν φύσιν ὑπῆρχεν.

(დამატ. II, თხრ. 26, ნაწ. I) მიიცვალა აგრეთვე ამ მონასტერში ერთი ძმა. იკონომოსმა თქვა: „ყავ სიყვარული, მოდი გადავიტანოთ ამ ძმის საჭურჭლე შუა ადგილისკენ".

დავიწყეთ მიცვალებული ძმის საჭურჭლის გადატანა და დავი-
276 r ნახე—იკონომოსი ტირის. მე შევეკითხე მას: || „რათა სტირი, მამაო?" მან მომიგო: „დღეს მე გადამაქვს ამ ძმის საჭურჭლე, რამდენიმე დღეში კი სხვები გადაიტანენ ჩემს საჭურჭლეს". ასეც მოხდა, მეორე დღეს იგი მიიცვალა.

6 (VII, ე)

იყო აგრეთვე ერთი ბერი ამ კოშკების მონასტერში. ნახეს ძმებმა, რომ თავისი სიწმიდის გამო იგი ღირსია, რომ იყოს მონასტრის მამასახლისი. სთხოვეს მას ეს, მაგრამ იგი არ დაეთანხმა მათ და თქვა: „მომიტევეთ, მამანო ჩემნო, მაცადეთ, რათა ვიტირო ჩემი ცოდვის გამო. ჰეშმარიტად მე ჯერ არ მიმიღწევია [ისეთი] სრულყოფისათვის, რომ სხვების სულები განვაგო; რამეთუ ვისაც სურს სულები განაგოს, ხამს იყოს მსგავსი წმიდა ანტონისი, პახუმისი, თევდორესი, პეტრესი(?)".

მამები დაჟინებით თხოვდნენ. მაშინ მან უთხრა მათ: „მაცადეთ სამი დღე, რათა ვილოცო და დაე, აღსრულდეს ნება ღვთისა!"* იმ დღეს პარასკევი იყო. კვირა დღეს კი იგი მიიცვალა და უფალთან წარემართა.

7 (VI, ვ).

276 v მოგვითხრო ამ წმიდანმა, რომ მან მოისმინა || ანბა კონსტანტინესაგან, წმიდა მარიამის [მონასტრის] წინამძღვრისაგან, რომელიც ჰყვებოდა ერთერთი ძმის შესახებ, [რომ] აღესრულა იგი იერიქოს და განუწყვეტლივ სდევდა მას ვარსკვლავი, ვიდრე ჩვენ იგი არ მივაბარეთ[ო] მიწას.

8 (VIII)

იყო ამ კოშკების მონასტერში ვინმე ბერი, რომელმაც იმდენად დამჭანცავი შრომა იტვირთა, რომ წყლით მანკიერი იქმნა. და

---

* ამ ფრაზას ასე ვთარგმნით ქართული ტექსტის ანალოგიით: „მაცადეთ უკუე სამ დღე და ვილოცო ქრისტჱს ღმრთისა ჩემისა მიმართ და ნებაჲ მისი იყავნ", მოწოდებული თარგმანისათვის გრამატიკულად გამართლებული იქნებოდა ليكن ფორმა. შდრ., მაგალითად, მათე 6, 9—ليتقدس اسمك ... ابانا „მამაო ჩვენო... წმიდა იყავნ სახელი შენი".

ეუბნებოდა იგი მათ, რომელნიც მოდიოდნენ მის მოსანახულებლად: „ილოცეთ ჩემთვის, მამანო ჩემნო, რათა ჩემი შინაგანი ადამიანი არ იქმნეს წყლით მანკიერი. მე რაც შემეხება, ძლიერ მსურს ოცდაათ წელიწადს მამყოფოს ღმერთმა ამ ავადმყოფობაში“. ესმა მის შესახებ იერუსალიმის პატრიარქს და მოინდომა, რომ გაეგზავნა მისთვის ხორცთა სახმარი. [ბერმა] არ ისურვა, რომ მიეღო მისგან და შეუთვალა: „ილოცე ჩემთვის, მამაო ჩვენო, რათა მიხსნას ღმერთმა საუკუნო სატანჯველისაგან“.

9 (IX, დამ. II, თხრ. 18)

იყო აგრეთვე ამ მონასტერში ერთი კაცი მამათაგანი, ღატაკი. მას არაფერი გააჩნდა, მაგრამ შეწყალების მადლი ჰქონდა [მონიქებული. ერთხელ] მოვიდა მასთან გლახაკი მოწყალების სათხოვრად. ბერს არაფერი გააჩნდა, თვინიერ ერთი პურისა, და გამოიტანა იგი ბერმა, რათა მიეცა გლახაკისათვის. გლახაკმა უთხრა: „პური არ მინდა, მე მხოლოდ ტანსაცმელი მინდა“. || მაშინ მოჰკიდა მას ხელი ბერ- 277 r
მა და შეიყვანა სენაკში, რათა დაერწმუნებინა იგი [რომ სხვა არაფერი ჰქონდა]. და როდესაც ნახა იმ გლახაკმა, რომ [ბერს] არაფერი გააჩნია თვინიერ იმისა, რაც ტანთ აქვს დიდის თანაგრძნობით განიმსჭვალა მისდამი გლახაკი, შეეცოდა იგი, გადმოცალა პურის ტომარა ბერის სენაკში და უთხრა: „აიღე ეს, მამაო, ჩემზე კი სხვა ადგილას მოიღებს ქრისტე მოწყალებას“.

10 (X)

(ი) იორდანეს ქვაბებში იყო ვინმე მძოვარი, სახელად ბარნაბა. წავიდა იგი იორდანეს წყლის დასალევად და შეესო ფეხში ლერწმის ნაჭერი და ფეხშივე დარჩა. მან იგი არც ამოიღო და არც ექიმთან წავიდა. ფეხი დაჩირქდა და იგი იძულებული გახდა კოშკების მონასტერში წასულიყო, რათა იქ კოშკში გაჩერებულიყო. ფეხის [მდგომარეობა] გაუარესდა. და ეუბნებოდა იგი ყველას, ვინც მასთან მოდიოდა: „რამდენადაც იტანჯება გარეგანი ადამიანი, იმდენად ჯანსაღდება შინაგანი“.

(თ) შემდგომად წამოსვლისა ამ წმიდა ბარნაბასი თავისი ქვაბიდან კოშკების მონასტერში, სხვა ვინმე მძოვარი მივიდა მის ქვაბში. და როდესაც შეიდა იგი შიგ, იხილა ანგელოზი უფლისა, || მდგო- 277 v
მარე იმ საკურთხეველთან, რომელიც ბერმა მოაწყო იმ ქვაბში. ბერმა ჰკითხა ანგელოზს: „რასა იქმ შენ აქ?“ ანგელოზმა მიუგო: „მე ანგელოზი ვარ უფლისა და ამ ადგილის კურთხევის დროიდან მასზე მცველად ვარ განწესებული ღმრთის მიერ“.

11 (XI)

(ი) ანბა პეტრე გვითხრობდა ანბა თეოდულის შესახებ, რომ, რო-
დესაც იგი იყო მამასახლისი კალამონის მონასტრისა იორდანესთან,
აღსრულა [იქ] ერთი ძმათაგანი. ბერისთვის არ შეუტყობინებიათ
ეს [ამბავი]. და როდესაც დაირეკა სარეკელი, რათა შეკრებილიყ-
ვნენ დაკრძალვაზე ისინი, რომელნიც გარეთ იყვნენ ქვაბებში, მოვი-
და ბერიც. და როდესაც იხილა მან ეკლესიაში ტახტზე განრთხმული
ძმა, შეწუხდა, რამეთუ არ მოეკითხა იგი მისი აღსრულების წინ. მა-
შინ მიუახლოვდა იგი მიცვალებულს და უთხრა: „ადექ, ძმაო ჩემო,
რათა მოგიკითხო“. და ადგა [ძმა] და მოიკითხა ბერი. და კვლავ უთ-
ხრა მას ბერმა: „აწ განისვენე მშვიდობით, შვილო ჩემო, ვიდრე მო-
ვიდოდეს ქრისტე, ძე ღვთისა [და] აღგადგენდეს!“.

278 r კვლავ ეს ბერი || მიდიოდა იორდანის პირას. იგი ფიქრობდა
და თან სჯიდა: „ხედავ, სად აწყვია ის ქვები, რომელნიც იოსებ
ნავინის ძემ დადო ნაცვლად, რომელნიც წაიღო?“ და როდესაც
თქვა ეს, გადაიხსნა წყალი აქეთ-იქიდან და იხილა ბერმა თორმეტი
ქვა. შემდეგ თაყვანი სცა მან ღმერთს და გაემართა თავისი ქალაქი-
საკენ.

12 (XII, ია)

ძმამ ჰკითხა ანბა ულუმპიას, ხუცესს კალამონისას, და უთხრა: „მაუ-
წყე, მამაო, სიტყვა!“ და უთხრა მას ბერმა: „ნუ მოექცევი კეთილად
მწვალებლებს, დაიოკე ენა და მუცელი და სადაც არ უნდა მოხვდე,
თქვი: „მე მხოლოდ უცხო კაცი ვარ“.

13 (XIII, იბ)

მოგვითხრეს აგრეთვე მარკოზ მძოვარზე და თქვეს, რომ სამოც-
დასამი წლის განმავლობაში იჯდა იგი იორდანეს სანახებში. ნიადაგ
მარხულობდა კვირიდან კვირამდე, ასე რომ ხალხს იგი უხორცო
ეგონა. დღედაღამ იღწვოდა, აძლევდა გლახაკთ [მოწყალებას] და არა-
სდროს არავისგან არაფერს არ იღებდა. ესმა მის შესახებ ღვთისმო-
278 v სავ ხალხს და მოვიდა მასთან, რათა მიეცა მისთვის || ხორცთა სახმა-
რი. ხოლო მან არ ისურვა, რომ მიეღო მათგან და უთხრა: „ჩე-
მის ხელით ნაშრომი საკმარისია ჩემთვის და საკმარისია იმისთვისაც,
ვინც ჩემთან მოდის“.

14 (XIV, იგ)

გვითხრობდა ანბა პოლოხრონიოს ხუცესი, რომ ბანდუკლეს
მონასტერში იყო ერთი ძმა ფრიად მოსწრაფე თავისი სულის ცხონე-

ბისათვის. შეეჯიდა მას სიძვის ეშმაკი და როდესაც აღარ ეყო მას ძალა გამკლავებისა, გავიდა მონასტრიდან და იერიქოს წავიდა, რათა დაეცხრო თავისი გულისთქმა. როგორც კი შევიდა იგი მეძავის სახლში, მყის განკეთროებულ იქმნა. და დაბრუნდა იგი მონასტერში, მადლი შესწირა ამის გამო ღმერთს და თქვა: „ჰეშმარიტად მომივლინა ღმერთმა ეს სწავლება, რათა იხსნას სული ჩემი და არ ჩავვარდე მე ცოდვაში“.

15 (XV, იდ)

თქვეს ამბავი ბანდუკლეს მონასტრის მამასახლისის შესახებ, რომ წავიდა იგი ნამურაინს. შეხვდნენ მას [იქ] ებრაელები და განიზრახეს მისი მოკვლა. იშიშვლეს რა მათ თავიანთი მახვილები მის მოსაკლავად, აპყრობილი დარჩა მათი ხელები — ისინი გამხმარიყვნენ. ისე, რომ აერმა შეიწყალა ისინი, ილოცა მათთვის და განუტევა.

16 (XVI, დამ. II, თხრ. 22)

მოგვითხრო აგრეთვე ბერმა ანბა პეტრეს. მონასტრიდან || და 279 r
თქვა, რომ: ვიჯექი მე რაითის უდაბნოში. [ერთხელ] მე და აგრეთვე ორი ძმა ჩემთან ერთად გაგვგზავნეს ზემო ეგვიპტეს მსახურებისათვის. [გზაში ყოფნა] გაგვიხანგრძლივდა, თან წყალი შემოგვაკლდა. ისე რომ, კინაღამ მოვკვდით წყურვილისაგან. და როდესაც მე მივარდნილი ვიყავი ვითარცა გონამღვრეული*, დავინახე წყლით სავსე ჭა, რომელიც ნაპირებიდან გადმოდიოდა. ორნი იდგნენ მის (ჭის) პირთან. მათ თან ხის ჯამი ჰქონდათ. მე დავუწყე ერთ-ერთ მათგანს თხოვნა და ვუთხარი: „ყავ სიყვარული, ჩემო ბატონო, და მომეცი ცოტა წყალი, რამეთუ ჩვენ უკვე ვიღუპებით წყურვილისაგან“. მან უარი მითხრა მოცემაზე. მეორემ უთხრა: „მიეცი ცოტა!“ [პირველმა] მიუგო და თქვა: „არ მივცემ, რამეთუ იგი ძალზე ზარმაცია და არ ზრუნავს თავისი სულისათვის“. მეორემ უთხრა: „კარგი, კარგი, მართლაც რომ იგი ზარმაცია, მაგრამ მიეცი ცოტა, რამეთუ უცხოელია“. და მომცა მან [წყალი]. მე ამხანაგებს ვუწილადე და დავლიეთ ჩვენ. ძალა მოვიკრიბეთ და ვიარეთ სამი დღე, ვიდრე არ მივაღწიეთ დასახლებულ ადგილს.

17 (XVII, იზ)

თქვეს ამბავი ერთი დიდებული მოხუცის შესახებ, რომელიც ანბა პეტრეს მონასტერში იმყოფებოდა. იჯდა იგი || ქვაბში ორმოცდაათ 279v
წელიწადს. არ უგემია მას არც პური და არც სასმელი და მისი საზრდო იყო მხოლოდ ქატო კვირაში სამჯერ.

* შდრ. ბერძნ. ἐγὼ γίνομαι ἐν ἐκστάσει. ქართ. „დამეცა მე განკჳრვებაჲ“.

18 (XVIII, იე)

აგრეთვე სხვა ვინმე ბერი, რომელიც ამ მონასტერში იმყოფებოდა, დადიოდა იორდანეს პირას. სადაც კი ნახაკდა იგი ლომის ბუნაგს, იქვე დაწვებოდა. ერთ დღეს მოვიდა იგი მონასტერში თავის სამოსელში [გახვეული] ლომის ორი ლეკვით. და უთხრა მან ეკლესიაში ძმებს: „ჩვენ ჩვენი უფლის იესუ ქრისტეს მცნებანი რომ დაგვეცვა—მათ (ცხოველებს) ჩვენი შეეშინდებოდათ, მაგრამ იმის გამო, რომ ჩვენ ცოდვის მონანი ვართ, ჩვენ აღმოვჩნდით მათ მიერ შეშინებულნი“. დიდი სარგებლობა პოვეს [ამ სიტყვებით] ძმებმა და წავიდნენ თავიანთი სენაკებისაკენ.

19 (XIX, დამ. II, თხრ. 2)

მოგვითხრო ანბა ილია მძოვარმა და თქვა, რომ: ვიჯექი მე ქვაბში საჭურისთა მონასტრის მახლობლად. ვერც კი გავიგე შუადღის [მოახლოვება] აგვისტოს თვის საშინელ სიცხეში, ვიდრე ვიღაცამ ჩემს ქვაბს არ მოუკაკუნა. გავედი და ვიხილე ქალი. ვკითხე:
280 r „რას აკეთებ შენ აქ?“ მან მომიგო: || „მე აქ შენ მეზობლად ერთი მილის მოშორებით ქვაბში ვარ. მტკიცედ ვადგევარ შენი ცხოვრების წესს, მაგრამ უდაბნოში მოვდიოდი და ძლიერი სიცხის გამო მომწყურდა. ყავ სიყვარული, მამაო, დამალევინე ცოტა წყალი!“

დავალევინე მე მას წყალი და იგი წავიდა. და როდესაც წავიდა, სიძვის ეშმაკმა ბრძოლა დაუწყო ჩემს ზრახვებს და მე მარცხი განვიცადე ბილწი გულისთქმის წინაშე. ხელი მოვკიდე ჩემ ჯოხს და წავედი მისი ქვაბისაკენ [ისეთი] საშინელი სიცხის დროს, [რომ] თითქოსდა ქვები იწვებოდაო. ერთი მილის მანძილი რომ გავიარე შიგნიდან ვნებით ანთებულმა, გონი ამემღვრა და დავინახე მიწა გადახსნილიყო. ჩავვარდი შიგ და ვიხილე იქ გახრწნილი, ძალზე აყროლებული გვამები. ვერავინ ვერ შეძლებდა მათი სუნის ყნოსვას. ერთმა მშვენიერი სილამაზის კაცმა მიმითითა იქ გვამებზე და მითხრა:
„ეს ქალის გვამია, ეს ყრმის გვამია, ეს კაცის გვამია. შემისრულე შენ
280 v ||ახლა შენი გულისთქმა ორთაგან რაცა გსურს (იმით). ნახე რამდენი შრომა გინდა ახლა დაღუპო ამ აყროლებული ვნებისათვის და აღუკვეთო შენს თავს სასუფეველი ცისა. ფუი, იმ კაცს. რომელიც მოინდომებს მთელი თავისი ღვაწლი წუთიერ ვნებას ანაცვალოს!“

მაშინ დავვარდი მე მიწაზე მყრალი სუნის სიმძაფრისაგან. და მოვიდა ის კაცი, წამომაყენა და იმწამსვე განმშორდა ვნებათ ბრძოლა. და დავუბრუნდი ჩემს ადგილს ღვთის დიდებითა და მადლის

თქმით იმის მიმართ, ვინც მომიტევა სისუსტე და არ მიმიშვა ენებასთან.

20 (XX, იე)

მოგვითხრო ვინმე მამათაგანმა ერთი კაცის შესახებ, რომელმაც უამბო მას, თქვა რა: აფრიკის მხარეს ბრძოლა გავუმართეთ ზანგებს. მათ ჩვენ დაგვამარცხეს, დაგვედევნენ და მრავალი კაცი მოგვიკლეს. მე ერთი მათგანი წამომეწია და შუბი აღმართა ჩემს გასაგმირავად. მე ღმერთს ვედრება დავუწყე და ვთქვი: „უფალო ჩემო || და 281 r
ღმერთო ჩემო, როგორც გამოუჩნდი შენ შენს მხევალს თეკლას და იხსენი იგი, ასევე გადამარჩინე მე ამ განსაცდელისაგან და მიხსენი ამ მწარე სიკვდილისაგან! და წავალ მე უდაბნოში და ბერად აღვიკვეცები". შემდეგ მოვბრუნდი და ველარ ვისილე ზანგი. წამოვედი მაშინ ამ მონასტერში და ბერად შევედექი. და ღვთის მადლით დღეს მე მასში ოცდათხუთმეტი წელი მაქვს გატარებული.

21 (XXI, დამ. II, თხრ. 3)

მოგვითხრო აგრეთვე ამ ადგილების მონასტრის მამასახლისმა და თქვა: კიდრე მამასახლისი გავხდებოდი, მე და ორი მძოვარი მივდიოდით მთაზე მკვდრი ზღვის მახლობლად. და აი, გამოჩნდა აგრეთვე ერთი მძოვარი ზღვის ნაპირას. შევხედეთ თუ არა ჩვენ, მყის გადაეყარნენ მას არაბები. შემდგომად იმისა, რაც მათ ჩაუარეს მას, ერთ-ერთი მათგანი მობრუნდა, დაარტყა თავში ხმალი და მოკლა. ჩვენ კი მთის ზევიდან ვუყურებდით მას. და როდესაც ჩვენ ვტიროდით, გამოემართა ერთი ფრინველი, სტაცა [კლანჭები] იმ არაბს, აიყვანა იგი და ცაში აიტაცა. შემდეგ მიწაზე დაანარცხა და ლუკმა-ლუკმად იქცა [არაბი] ||.

22 (XXII, იფ) 281 v

დავაქისის მონასტერში იყო ვინმე ბერი, სახელად კონონი. ოცდაათ წელიწადს ცხოვრობდა იგი მონასტერში. კვირაში ერთხელ საზრდოდ ღებულობდა პურსა და წყალს. თან მუდამ ჭრიმობდა, ლოცულობდა და ეკლესიიდან არ გადიოდა.

23 (XXIII, ით)

ვნახეთ იქ სხვაც. ერისკაცობაში იგი იყო მეომარი მსედართაგანი. მონასტერში მოსელის დროიდან არასდროს არ შეუწყვეტია მარხვა დღისით, გვერდზე არ დაწოლილა და მუდამ კრძალვით დადიოდა.

24 (XXIV, კ)

იყო აგრეთვე ხუზიბის სენაკში ერთი ბერი, შემკული ყოველგვარი ღირსებებით. გვითხრობდნენ მის შესახებ ამ ადგილის ბერები, რომ თავის სოფელში ყოფნისას ბერად აღკვეცამდის, როდესაც გაიგებდა იგი ვინმე ღარიბი კაცის [ამბავს]. რომელსაც თესლი არ ჰქონდა მიწის დასათესად, წაიღებდა ღამით თესლს, წაიყვანდა ხარებს და გათენებამდე მას (იმ ღარიბს) ნაკეთს დაუთესავდა. როდესაც ბერად აღიკვეცა, [კვლავ] თავის ძველ წესს—შემწყალებლობას დაადგა. გამოვიდოდა იგი იერუსალიმის გზაზე, რომელიც იორდანედან მოემართება, თან პურსა და წყალს წაიღებდა. თუ ნახავდა კაცს, რომელსაც რაიმე მოჰქონდა და უკვე დამაშვრალიყო, ჩამოართმევდა ტვირთს და წაუღებდა, || ვიდრე არ მიაღწევდა ზეთის [სილის] მთას. შემდეგ გამობრუნდებოდა. სხვა მომავალ კაცს თუ შეხვდებოდა, წაიღებდა იმის ტვირთს, ვიდრე იერიქოს არ მივიდოდა. ერთხელ შეიძლებოდა გენახა ეს წმიდანი მხარზე ბავშვი რომ მიჰყავდა. მეორედ კი იმდენად მძიმე ტვირთი მიჰქონდა, რომ ოფლი ჩამოსდიოდა. თუ შეხვდებოდა კაცს, რომელსაც სანდალი ან ფეხსაცმელი გასწყვეტოდა, დაუჯდებოდა, გაუხვრეტდა* და შეუკეთებდა. თუ შეხვდებოდა მშიერს, აჭმევდა და წყალს დაალევინებდა. თუ შეხვდებოდა შიშველს, გაიხდიდა ტანსაცმელს და მას ჩააცმევდა. გზაში მიცვალებულს თუ ნახავდა, დამარხავდა. [ასეთი] იყო მისი ცხოვრების წესი მარადის.

282 r

25 (XXV, დამ II, თხრ. 4)

სხვა ვინმე ძმა იმყოფებოდა აგრეთვე ხუზიბში. მან ზეპირად იცოდა ჟამის-წირვის ლოცვები წმიდისა ევქარისტისა**. გაგზავნეს იგი [ერთხელ], რათა მოეტანა სეფის-კვერები იერიქოდან. როდესაც წამოიღო მან ისინი და ბრუნდებოდა. წარმოთქვა ჟამის-წირვის ლოცვები მსგავსად კაცისა, რომელიც ამ სიტყვას ამბობს ხოლმე. როდესაც მონასტერში მოვიდა, აიღო მღვდელმა სეფის-კვერები და დააწყო საკურთხეველზე, რათა ეკურთხებინა. როდესაც კურთხევა დაიწყო, ვერ დაინახა სული წმიდა თავისი ჩვეულებისამებრ რომ გადმოსულიყო. დიდად დაღონდა [მღვდელი] ამის გამო და დაიწყო თავისთვის ლაპარაკი: „ეგების დღეს რაიმე შევცოდე გულში ჩემდა შეუმჩნეველად [და] ამის გამო || არ გადმოდის სული წმიდა“.

282 v

---

* იგულისხმება სადგისით გახვრეტა. შდრ. ქართ. „და აქუნნ მის თანა პური და წყალი, და სადგისი და ღუედი“. ბერძნულში კონკრეტულად გახვრეტაზე და სადგისზე არაა ლაპარაკი, შდრ., Ἄλλοτε ἐκάθητο, τὰ ὑποδήματα, εἰ ἐκόπη, ἀνδρὸς ἢ γυναικὸς ποιῶν· ἐ βάστ αζεν γὰρ τὰ ἐπιτήδε:α.

** შდრ. προσκομιδή τῆς ἁγίας ἀναφορᾶς.

შემდეგ შევიდა იგი სადიაკონოში, ატირდა და პირქვე დაემხო. და ეჩვენა მას ანგელოზი უფლისა და უთხრა, რომ ძმამ, რომელმაც ისინი (სეფის-კვერები) მოიტანა, გზაში წარმოთქვა მათზე ქამის-წირვის ლოცვები და ისინი შეწირული და შეწყნარებული არიან*. იმ დღიდან ბერი უკრძალავდა მსურველთ ქამის-წირვის ზეპირად სწავლას.

26 (XXVI, კა)

ვინმე წმიდანი ბერი იჯდა კალამონში იორდანესთან. მოვიდა მასთან ერთი ძმა, რომელსაც ამ ბერთან ჯდომა უნდოდა. ბერმა მიიღო იგი. ძმამ დაუწყო მას გამოკითხვა სიძვის ზრახვათა შესახებ. და იწყო ბერმა მისი შეგონება სიწმიდისა და სისპეტაკის თაობაზე. და [როდესაც] ძმამ სარგებლობა პოვა [შეგონებისაგან], მაშინ უთხრა ბერს: „ჰეშმარიტად მამაო, ჩემ ქვეყანაში მე ნესტორიანელი ვიყავი და ამის გამო არ ძალმიძს შენთან ჯდომა“. როდესაც მოუსმინა ბერმა, შეწუხდა წარწყმედის გამო მისი სულისა. და არიგებდა იგი მას და სთხოვდა, რომ განდგომოდა ნესტორის ერთგულებას და შეერთებოდა წმიდა კათოლიკე ეკლესიას.

იგი ეუბნებოდა: „არ არის ხსნა თუ არა მათთვის, რომელნიც ნამდვილად აღიარებენ, || რომ წმ. მარიამი ღვთისმშობელია“. 283
მიუგო ძმამ ბერს: „ჰეშმარიტად, მამაო, ყველა მწვალებელი ამგვარად მსჯელობს: „ვინც არ არის ჩვენთან, ჩვენს რწმენაში, არ იქნება მისთვის ცხონება“. მაგრამ მე ჩემის ცხონებისათვის ვისწრაფვი და ვევედრები ღმერთს, მამაო, რომ დამარწმუნოს და მამყოფოს მართალ სარწმუნოებაში“.

გაიხარა ბერმა მისი სიტყვებით და უთხრა: „იჯექი ამ ქვაბში და მე იმედი მაქვს ღვთისა, რომ გამოგიცხადებს იგი შენ ჰეშმარიტებას“. და დატოვა ბერმა იგი თავის ქვაბში და წავიდა მკვდარი ზღვისკენ, რათა ღმერთს შევედრებოდა მის გამო.

მეორე დღეს ექვს საათზე იხილა ძმამ საშინელი შესახედაობის კაცი, რომელმაც უთხრა: „წამოდი, რათა გიჩვენო ჰეშმარიტება“. და მიიყვანა იგი ბნელ აყროლებულ ადგილას, რომელშიც ცეცხლი იყო და უჩვენა იმ ცეცხლში ნესტორი, ევტუში, დიოსკორე, სევეროს, არიოზ, ევარჯენე და სხვანი ერეტიკოსთა მეთაურთაგან. და უთხრა მან, რომელიც ეჩვენა: „ეს ის ადგილია, რომელიც მომზადებულია ყველა იმ განდგომილთათვის, რომელნიც მკრეხელობენ და მიჰყვებიან იმ ჩამოთვლილთ, || რომელნიც ცეცხლში იხილე. შენ 283 v
თუ გსურს ამ ადგილისკენ გამოემართო, მაშინ ღვთის მგმობი ნეს-

* შდრ. ქართულ ტექსტში: „და არიან ეგე შეწირულ და შეწყნარებულ“.

ტორის აღიარებით კვლავ დაადექ იმას, რასაც ადგეხარ ჭეშმარიტების საპირისპიროს. ხოლო თუ გინდა, რომ ცხონდე, მაშინ შეუერთდი წმიდა მოციქულთა კათოლიკე ეკლესიას, რაზედაც გიქადაგებს ის ბერი, რომელთანაც იმყოფები. მე ნამდვილად გეუბნები: თუნდაც რომ ყოველგვარ სათნოებას იქმოდეს ადამიანი და არ იყოს ჭეშმარიტი მისი სარწმუნოება, ამ ადგილას მოვა".

როდესაც მოისმინა ძმამ ეს სიტყვები, გონს მოვიდა. როდესაც მოვიდა ბერი, მოუთხრო მან იმის შესახებ, ვინც იხილა. ბერმა გაუმარტა მას [ყოველივე. ძმამაც] ირწმუნა და დაჰყო შემდგომად ამისა ბერთან ორმოც წელიწადს. შემდეგ მიიცვალა და უფალთან წარემართა.

27 (XXVII, კბ)

სოფელში, რომელსაც ეწოდება მარდადი, იყო წმ. იოანე ნათლის-მცემლის ეკლესია. და იმყოფებოდა იქ ერთი მოხუცი მღვდელი, წესანიშნავი წმიდანი. იმ სოფლის ხალხი მივიდა ეპისკოპოსთან და უთხრა: „მოგვაშორე ეს ბერი, რამეთუ იგი ჩვენ გვაწუხებს". ეპისკოპოსმა ჰკითხა მათ: „და რას აკეთებს იგი, რომ გაწუხებთ თქვენ?" მათ მიუგეს: „ჭეშმარიტად მოდის იგი კვირა დღეს და ხან
281 r || სამ საათზე ასრულებს ჟამის-წირვას, ხან ცხრა საათზე და არ იცავს ეკლესიის წესს".

მაშინ დაიმარტოხელა იგი ეპისკოპოსმა (?)* და ჰკითხა: „კეთილო ბერო, რატომ იქცევი ასე, განა არ ირღვევა შენის მაგალითით ეკლესიის წესი?"

ბერმა მიუგო: „სწორად სჯი, მამაო ჩვენო, და მშვენივრად უბნობ, მაგრამ, მამაო, არ ვიცი როგორ მოვიქცე. [აი] გეტყვი: კვირა დღის ცისკრის კანონს როდესაც შევასრულებ, ვჯდები საკურთხევლის გვერდით და თავს არ ვიღებ ჟამის-წირვის შესასრულებლად, ვიდრე არ შევამჩნევ, რომ სული წმიდა გადმოეფინა საკურთხეველს. მაშინ ვდგები და ვასრულებ ჟამის-წირვას".

განციფრდა მაშინ ეპისკოპოსი ბერის სათნოების გამო. გადაარწმუნა მან თავისი სოფლის ხალხი და განუტევა ისინი მშვიდობით.

28 (XXVIII)

(კგ) ამ წმიდა ბერს გამოუგზავნა ბერმა მესვეტემ ჩვარი, რომელიც სამ ცეცხლოვან ნაკვერჩხალს შემოაკრა. მიიღო ისინი

* იხ. ტექსტის შენიშვნა.

ბერმა ისე, რომ არც ნაკვერჩხალი იყო ჩამქრალი და არც ჩვარი იყო დამწვარი. || გაუგზავნა მას [საპასუხოდ პირველმა] ბერმა ჩვა- 284 v
რი და შიგ წყალი გამოკრა. მანძილი კი მათ შორის ოცი მილი იყო. მეორე [ბერმა] მიიღო ჩვარი ისე, რომ წყალი შიგ იყო.

(კდ) მოგვითხრო აგრეთვე ანბა კვირიაკოზმა, მოწაფემ ანბა ლულიანე მესვეტისა და თქვა, რომ: მე, მამაჩემი და ჩემი ძმა მივედით ჩვენი ქვეყნიდან ანბა ლულიანესთან. შემეყარა მე იმ დროს საშინელი სენი და ვერვინ მკურნალთაგან ვერ შეძლო მისი განკურნება. და ლოცვა ყო ჩემთვის ანბა ლულიანემ და მე განვიკურნე. შემდეგ ჩვენ სამივე მასთან ბერებად შევდექით. დანიშნა [ლულიანემ] მამაჩემი ხორბლის მცველად.

[ერთხელ] გათავდა ხორბალი. მამაჩემი მივიდა მასთან (ლულიანესთან) და უთხრა: მამაო ჩვენო, უკვე გათავდა ხორბალი, არაფერი აღარ გვაქვს". უთხრა მას ბერმა სვეტიდან: „წადი, შვილო ჩემო, და ყველაფერი, რასაც ნახავ, მოაგროვე, დაფქვი და ხვალინდელ დღეზე ნუღარ იზრუნებ, რამეთუ ღმერთი მოიღებს მოწყალებას". თან იცოდა ბერმა, რომ არაფერი იყო დარჩენილი და ამითაც შეაცბუნა ბერმა მამაჩემი.

[მამაჩემმა] გაბრაზებით მოჰკიდა ხელი გასაღებებს და წავიდა ბეღელში, რათა სახლის მტვერი მოეტანა წმიდანისათვის საჩვენებლად. როდესაც საკეტი გააღო, ხელი ჰკრა კარებს, მაგრამ ვერ შეძლო [გაღება]: აი, ავსილიყო სახლი ხორბლით. და მივიდა იგი ბერთან, || მეტანია ყო მის წინაშე, პატიება სთხოვა მას და ადიდეს მათ 285 r
ღმერთი.

29 (XXXV)

როდესაც ანასტასი იმპერატორი გახდა, გააძევა მან უფალი ილია, პატრიარქი იერუსალიმისა, აილში. გააძევა აგრეთვე მან ჩვენი მამა ფლაბიანე, პატრიარქი ანტიოქიისა, რაკაში იმ კრების გამო, რომელიც ქალკედონს შეკრბა. ერთ დღეს ერთთავად მისწერეს პატრიარქებმა ერთმანეთს, რომ: „მოკვდა დღეს ანასტასი და გამოგვევლიან ჩვენ, რათა განვკიცხოთ იგი მესიის წინაშე". და აღესრულა მცირე ხნის შემდეგ ორივე მათგანი და უფალთან წარემართა.

30 (XXXIX, დამ. II, თხრ. 8)

მონაზონი ვინმე გაგზავნილ იქნა თავისი მონასტრიდან მსახურებისათვის ხებრონის მხარეს. [გზად] გაჩერდა იგი ერთ ღვთისმოშიშ გლეხთან. მას ერთი უბიწო ასული ჰყავდა. დედამისი გარდაცვლილი იყო. მონაზონმა მათთან რამდენიმე დღეს დაჰყო. ეშმაკმა

აღუძრა მას ლტოლვა ამ ქალიშვილისადმი. იგი განმარტოებას ეძიებდა, რათა მასთან ცოდვას მისცემოდა. მაგრამ ვერ მოახერხა. და ჭეშმარიტად ეშმაკმა, რომელმაც მას ბიწიერი მღელვარება ჩაუნერგა, გამოუჩინა მამამისს მიზეზი წასვლისა || საჭიროების გამო ასკალონს. მონაზონმა როდესაც ნახა, რომ ქალიშვილი მარტოა, შევიდა მასთან. და ვითარცა იხილა ქალიშვილმა, რომ იგი ცოდვილი ვნებითაა აღგზნებული, უთხრა: „ნუ ღელავ, მამაო ჩემო, რამეთუ მამაჩემი არც დღეს მოვა და არც ხვალ. მაგრამ მომისმინე, რათა გითხრა სიტყვა: როგორც ღმერთი ინებებს და რასაც შენ მოიწადინებ—ყველაფერს გავაკეთებ".

285 v

[ქალიშვილი] ტკბილად და ლმობიერად მოექცა მას და ჰკითხა: „მითხარი, ძმაო ჩემო, რამდენი წელი ხარ მონასტერში შემდგომად ბერად აღკვეცისა?"

[მონაზონმა] მიუგო: „ჩვიდმეტი".

[ქალიშვილმა] ჰკითხა: „დედაკაცი გცოდნია?"

[ბერმა] უპასუხა: „არა".

მაშინ უთხრა ქალმა: „და ახლა ერთი საათის გულისათვის გინდა წარწყმიდო მთელი შენი შრომა, რომელიც ამ წლების მანძილზე გაგიწევია. ტირილით რამდენი გიტირია ღვთის წინაშე, რათა უბიწოებით დაეცვა მას შენი სხეული. ახლა კი გინდა ფუჭი, უწმინდური ვნების გამო დაკარგო მთელი შენი ღვაწლის დრო. მიუხედავად ამისა მე დაგემორჩილები შენ, ვითარცა შენა გსურს, მაგრამ მითხარი, ჩემთან ერთად თუ დაეცემი, გექნება შენ ჩემი მისაყვანი ადგილი და მარჩენ მე?"

ძმამ მიუგო: „არა".

[ქალმა] თქვა: „ნამდვილად გეუბნები, ძმაო ჩემო, შენ თუ შეურაცხმყოფ მე ამ ცოდვით, მაშინ შენ თავს საბაბს შეუქმნი || ურიცხვი ბოროტებისა".

286 r

მონაზონმა ჰკითხა: „როგორ?"

ქალიშვილმა უპასუხა: „რაც შეეხება პირველს, უწინარეს ყოვლისა წარწყმედ შენ თავსა და შენ მონაზვნობას. მეორე, მოგკითხავს მესია ჩემი სულის გამო. ამაშიც გარწმუნებ შენ ფიცითა და ქრისტეს სიმართლით: შენ თუ მე ამას გამიკეთებ, ნამდვილად მაშინვე დავიხრჩობ თავს. ისე რომ, განკითხვის დღეს შენ მრუშში მკვლელის მსგავსად გასამართლდები. ვიდრე შენ თავს მთელი ამ ბოროტების საბაბს შეუქმნიდე, წადი მშვიდობით შენს მონასტერში და ილოცე იმ ადგილისათვის, საითკენაც მიემართები".

როდესაც მოისმინა ამ ძმამ [ეს], გამოეხიზლდა, გონს მოვიდა და წარემართა თავისი მონასტრისაკენ. და არ უცხოვრია შემდგომად ამისა თუ არა სამ თვეს, ვიდრე აღესრულა.

31 (XL, მეორე ნაწილი; ლა)

მოგვითხრო ანბა ბასილმა და თქვა, რომ: მივედი მე ანბა კოზმანთან ფარას მონასტერში. მან მითხრა, რომ დაებადა [ერთხელ] კითხვა—რას ნიშნავს ის სიტყვები, რომელიც უთხრა ჩვენმა უფალმა და მაცხოვარმა ქრისტემ თავის მოწაფეებს: „ვისაც აქვს სამოსელი, გაყიდოს და შეიძინოს დანა!“. და მიუგეს მას მოწაფეებმა: „აქ ორი დანაა“*. როდესაც აღარ მომასვენეს აკვიატებულმა აზრებმა, ამ სიტყვების ახსნა კი ვერ ვპოვე, გავედი შუადღისას ჩემი სენაკიდან კოშკების მონასტერს [მისვლის] სურვილით, || რათა მეკითხა ანბა 268 v
თეოფილესთვის.

როდესაც ამ უდაბნოში კალამონის მახლობლად ვიყავი, დავინახე კალამონის მიმართულებით მთიდან ჩამომავალი ურჩხული. იგი ძალზე გრძელი იყო, იმდენად, რომ თავისი სიგრძით კამარებს აკეთებდა. მე უვნებლად გავიარე მის ერთ-ერთ კამარაში და მივხვდი, რომ მხოლოდ ეშმაკს ეწადა იმ გულმოდგინე ჯაფის გაჭარწყლება, რომელშიც ვიმყოფებოდი, მაგრამ ბერის ლოცვამ მიშველა.

როდესაც მივაღწიე მას (თეოფილეს), ვკითხე იმ სიტყვების შესახებ. მან მომიგო: „ორი დანიდან ერთ-ერთი არის საქმე ღვაწლისა** და მეორე—საქმე რწმენისა***. რაც შეეხება რწმენას, იგია ღმერთისა და მისი საქმეების შესახებ ფიქრი. როდესაც ეს ორივე თვისება ადამიანში [თავმოყრილია], იგი სრულყოფილია.

32 (XLIV, ლე)

მივედით აგრეთვე ჩვენ ანბა კვირიაკოზთან, კალამონის მონასტრის ხუცესთან. მან მოგვითხრო და თქვა, რომ: ვიხილე სიზმარში ჩემი სენაკის წინ ქალი პორფირის ტანსაცმლით მოსილი. მას ახლდა ორი ლამაზი, დიდებული შესახედაობის კაცი. და ვთქვი მე ჩემ გულში, რომ ეს ქალი არის წმ. მარიამი, წმიდანი. კაცთაგან ერთი იოანე ნათლის-მცემელია, მეორე კი იოანე მახარებელი, ჩვენი უფლის ქრისტეს მოწაფე. და გავედი მე || სენაკიდან და შევეგებე მას 287 r
(წმ. მარიამს), რათა შემოსულიყო ჩემს სენაკში და ელოცა ჩემთვის. მან არ ინდომა, რომ ექმნა [ეს]. როდესაც ბევრი ვეხვეწე და ვთქვი—„ნუ გასწირავ შენს მონას, დათანხმდი, მე საწყალობელი ვარ!“—მან შემომყვირა: „ჩემი მტერი შენს სენაკშია და შენ გინდა, რომ შიგ შემოვიდე?!“.

* ლუკა 22, 36—38.
** შდრ. τὸ πρακτικόν.
*** შდრ. τὸ θεορητικόν.

შემდეგ გამომეღვიძა. დიდად დაეღონდი და დაიწყე ფიქრი და გოდება: „ვაი მე, რა მომივიდა! ეგების წმ. დედოფლის მარიამის წინაშე შევცოდე [ან] რაიმე საქმით, რაც არ ვიცი [რაში მდგომარეობს], ანდა რაიმეს გაფიქრებით, რამეთუ სენაკში ჩემს გარდა მაშინ არავინ იყო“. როდესაც გულში ვერავითარი ცოდვა ვერა ვპოვე, მაშინ დიდი მწუხარებისაგან წიგნს მოვკიდე ხელი წასაკითხად, რათა დარდი გამქარვებოდა. მივმართე იერუსალიმის ხუცესის წმ. ევშუსის წიგნს. როდესაც გადავშალე, ვიხილე შიგ ღვთის მგმობი ნესტორის ორი ქადაგება. მივხვდი მაშინ, რომ ამის გამო განრისხდა წმ. დედოფალი მარიამი. ავიღე მაშინვე წიგნი და დავუბრუნე იმას, ვინც მომცა რამდენიმე დღით. მე ვუთხარი მას: „აიღე შენი წიგნი, ჩემო ძმაო, რამეთუ მე ვერ ვისარგებლე მისით იმდენად, რამდენადაც ||
287 v ვიენე“ და ვუამბე მას ეს ამბავი.

მან მაშინვე ამოხია ორივე [ქადაგება] წიგნიდან, დაწვა ცეცხლზე და მითხრა: „დღეიდან არ დავტოვებ ჩემს სენაკში ჩვენი დედოფლისა და ჩვენი ღმრთისმშობლის წმ. მარიამის მტერს“.

33 (XLVII, დამ. II, თხრ. 14)

ჰეშმარიტად იყო აგრეთვე ქალაქ ბაალბექს ერთი ბოროტი მასხარა. იგი მუდამ ყოველ საკრებულოში საჯაროდ კიცხავდა ჩვენ დედოფალს წმ. ქალწულ მარიამს. და ეჩვენა მას ღამით ჩვენი წმ. დედოფალი და უთხრა: „რა არის [ამით] შენთვის ან ჩემთვის* და რა სიბოროტე გაგიკეთე, რომ სადაც [არ უნდა იყო] მასხარად მიგდებ საჯაროდ?“ გამოეღვიძა [მასხარას] და უმატა თავხედობას, სიძულვილს და ლანძღვას ლანძღვაზე. შემდეგ კვლავ მეორედ ეჩვენა მას [წმ. მარიამი] და უთხრა: „მოეხსენ იმ ყოფას, რომელშიც ხარ და ენა დაიოკე! და თუ არა—მაშინ [ისეთ რაიმეს] გადაეყრები, რითაც შენ საძულველი და უბედური გახდები“.

ყური არ ათხოვა [მასხარამ], პირიქით, კვლავ უმატა ბოროტებასა და უდარდელობას. მაშინ მესამედ გამოეცხადა წმ. მარიამი. კვლავ გაკიცხა, მაგრამ მან ვერაფერი შეიგნო. მაშინ [წმ. მარიამი] მივიდა მასთან, მძინარესთან, შუადღისას, არაფერი არ უთხრა და გადაუხაზა თითით ხელები და ფეხის სახსრები. გაეღვიძა საწყალო-
288 r ბელს და აი, მას ხელ-ფეხი || მოჰკვეთია, სხეულს მოშორებია და გვერდით უწყვია. და აღიარებდა იგი საჯაროდ, რომ შეენთხვა

---

* შდრ. „რაჲ ძეს ჩემი და შენი, იესო, ძეო ღმრთისა მაღლისაო?“ ლუკა, 8,28 „რაჲ არს ჩემდა და შენდა?“ იოანე, 2,4 და სხვ.

ეს თავისი სიძულვილისა და ცილისწამების გამო ღვთისმშობელი წმ. მარიამის მიმართ.

34 (XLVIII, ღვ)

მოგვითხრო ანასტასიმ, აღდგომის ხუცესმა, რომ ცოლი ერთერთი რომაელი პატრიკიოსისა მივიდა იერუსალიმს სალოცავად. მას უნდოდა მისულიყო და მარტო შესულიყო კვირა ღამეს ჩვენი უფლის ქრისტეს საფლავში. როდესაც კარებს მიუახლოვდა, პირისპირ შეხვდა წმ. მარიამი. მას თან ქალთა კრებული ახლდა. [წმ. მარიამმა] არ შეუშვა იგი და უთხრა: „შენ ჩვენთაგანი არა ხარ და ჩვენთან რატომ შემოდიხარ? არ ხამს, შენ თავს აქ შემოსვლის ნება მისცე, რამეთუ იაკობიტი ხარ“.

ბევრს ეხვეწა [პატრიკიოსის ცოლი] წმ. მარიამს, რათა ნება დაერთო შესელისა. ჩვენმა წმ. დედოფალმა უთხრა: „ნამდვილად გეუბნები, დედაკაცო, ვერ შემოხვალ შენ აქ, თუ არ ირწმუნე ისე, როგორც ჩვენ გვწამს მოციქულთა წმ. კათოლიკე ეკლესია“.

მაშინ ირწმუნა იმ პატრიკიოსმა [კათოლიკე ეკლესია]. გაგზავნა [კაცი] მღვდლებთან. || და მოუტანეს მას ჯამი და აზიარეს იგი 288 ბ
ჩვენი უფლის წმიდა ხორცს და მის, ჩვენი მაცხოვრის, იესუ ქრისტეს კეთილშობილ სისხლს. შემდეგ შევიდა იგი წმ. საფლავში— ჩვენი უფლისა და ღმერთის, ქრისტეს საფლავში.

35 (XLIX, ლზ)

კვლავ მოგვითხრო აღდგომის ამ ხუცესმა, რომ რომაელთა დროს პალესტინას რომაელი მმართველი განაგებდა. და მოვიდა იგი, რათა ჩვენი უფლისა და ღმერთის, იესო ქრისტეს, აღდგომის გამო ელოცა. და როდესაც მივიდა იგი წმ. საფლავში შესასვლელად, საფლავიდან მას დიდი ვერძი გამოუხტა, რომელიც მზად იყო მისთვის ერქინა და სცემოდა. შეშინდა [მმართველი] და თავისი ხალხისკენ გამობრუნდა .დევტერარმა, პატრონმა საფლავისა და ჯვრის მცველმა, და მათ, რომელნიც მას ახლდნენ მსახურთაგან, ჰკითხეს: „ბატონო, რატომ არ შედიხარ?“

[მმართველმა] ჰკითხა მათ: „რისთვის შემოგიყვანიათ აქ ეს ვერძი?“

ჩაიხედეს საფლავში, მაგრამ ვერაფერი დაინახეს და უთხრეს: „შედი, რამეთუ არ არის იქ ვერძი“. და როდესაც მივიდა იგი შესასვლელად, || ნახა, [რომ] კვლავ ურქინა ვერძმა. მის გარდა კი მას 289 ა
ვერავინ ვერ ხედავდა.

მღვდელმა უთხრა: „მერწმუნე, ბატონო, შენ გულში რაღაც

ამბაი გაქვს და ამის გამო გეკრძალება წმიდა საფლავში შესელა. მაგრამ მე მითქვამს შენთვის: კარგი იქნება, რომ აღიარო, რადგანაც ღმერთი მოწყალეა. მან მოგიწყო ეს მხოლოდ იმიტომ, რომ გწყალობს და უყვარხარ, როდესაც გიჩვენებს ამ საკვირველებას".

დაიწყო [მმართველმა] თავის ცოდვათა აღიარება და ტირილი. როდესაც იტირა, მივიდა შესასვლელად, მაგრამ ვერძმა [კვლავ] დაუშალა. და უთხრა ჯვრის პატრონმა: „ვფიცავ, შენ თავს რაღაც ამბავია". მაშინ [მმართველმა] თქვა: „ეგების მხოლოდ იმის გამო მეკრძალება შესვლა, რომ იაკობიტი ვარ".

მოვიდა მაშინ დიაკონი და აზიარა იგი ჩვენი უფლისა და ღმერთის—იესუ ქრისტეს სისხლსა და ხორცს. და აღიარა და ირწმუნა მან ჭეშმარიტი სარწმუნოება, დაუბრკოლებლივ შევიდა საფლავში, ილოცა და გამობრუნდა მესიის დიდებით.

36 (LXXVI)

მოგვითხრო პალადიოსმა, რომ ერთმა გემის პატრონმა უამბო
289 v მას და თქვა, || რომ: ვიყავი [ერთხელ] მე გემზე. თან მახლდა მრავალი კაცი და ქალი. როდესაც შუა ზღვაში შევედით, ჩვენთან ერთად მრავალი გემი აღმოჩნდა. ზოგი მათგანი კონსტანტინეპოლს მიისწრაფოდა, ზოგიც სხვადასხვა ადგილისაკენ. ქარი ძალზე ხელშემწყობი იყო და ყველა გემი წავიდა. ჩვენი გემი კი თხუთმეტი დღე იყო გაჩერებული. ჩვენ დიდ საგონებელში ვიმყოფებოდით. მე ღმერთს დავუწყე ლოცვა-ვედრება. და მოაღწია ჩემამდე ხმამ, რომელიც მეუბნებოდა: „გადააგდე მარიამი ზღვაში და შენი გემი წავა".

მე დავიწყე ფიქრი და მსჯელობა: „ვინ არის მარიამი?" როდესაც ვფიქრობდი, აი, კვლავ მოაღწია ჩემამდე ხმამ და მითხრა: „ხომ გითხარი, გადააგდე მარიამი და თქვენ გადარჩებით". მე ერთბაშად დავიძახე და ვთქვი: „მარიამ!" ქალმა მომიგო და მკითხა: „რა გნებავს ბატონო?" მე ვუთხარი: „გაისარჯე ჩემი გულისათვის და მოდი"! როდესაც მოვიდა, დავიმარტოხელე და ვუთხარი: „განა ვერ ხედავ, დაო ჩემო მარიამ, რომ ჩემი ცოდვის გამო თქვენ
290 r ყველანი იღუპებით?" ||

მან ამოიოხრა და თქვა: „ჭეშმარიტად, პატრონო, მე ვარ ცოდვილი". და ვკითხე მე: „რა ცოდვები გაქვს შენ, შენ მხოლოდ ერთი საწყალი ქალი ხარ?

—ვაი მე, მე ისა ვარ, რომელსაც არ დარჩენილა ქვეყნად ცოდვა რომ არ ჩამედინოს და ჩემ ცოდვათა გამო მოხდა ეს უბედურება.

და მითხრა მან: „გიამბობ ბატონო: მე ძალზე უბედური ვარ. მყავ-

და ქმარი, რომლისგანაც ორი ვაჟი მეყოლა. ერთი ძე ცხრა წლისა იყო, მეორე ძე კი ხუთი წლის. ჩემი ქმარი გარდაიცვალა. და მყავდა ერთი მეზობელი — მხედარი მეომართაგანი. და მოვინდომე მე, რომ მას ცოლად გავყოლოდი. გავუგზავნე [კაცი]. მან მიუგო: „ქალს, რომელსაც სხვა კაცისაგან ორი შვილი ყავს, ცოლად ვერ შევირთავ". ეს რომ გავიგე—ორივე ბიჭი მოვკალი და შევუთვალე მას, რომ აღარ დამრჩა შვილი. როდესაც მან შეიტყო, რაც ჩავიდინე, თქვა: „ცოცხალი არს იგი ღმერთი, რომელიც ზეცაშია, მე მასთან არ ვიქორწინებ". მე შემეშინდა, რომ გამომჭლავნდებოდა ჩემი ნამოქმედარი და მოკლავდნენ. გამოვიქეცი და თქვენთან აღმოვჩნდი".

როდესაც მე მის ნაამბობს მოვუსმინე, ვეღარ გავბედე, რომ || შუა ზღვაში გადამეგდო. ეშმაკობა ვიხმარე და ვუთხარი: „მე ჩავალ ამ ნავში და თუ ცოდვა ჩემი მხრიდან არის—გემი წავა". 290 v

ჩავედი ნავში. გემი არ წავიდა. შემდეგ ამოვედი და ვუთხარი: „ახლა შენ ჩადი ნავში". როგორც კი ჩავიდა, ჩაძირა იგი ნავმა. გემმა კი მაშინვე წაგვიყვანა და სამღვენახევარში დაფარა ოცდათხუთმეტი დღის სავალი გზა.

37 (LXXVII, ა)

წავედით მე და წმიდანი სოფრონი შუადღეს ბრძენის სახლისაკენ, რომელთანაც ჩვენ სიბრძნეს ვსწავლობდით. დავაკაკუნეთ კარზე. გამოგვხედა ერთმა ქალიშვილმა და გვითხრა: „ცოტა მოითმინეთ". მაშინ წავედით ჩვენ ალექსანდრიელთა სამრეკლოსაკენ. ამბობენ, რომ იქ დამარხულია იერემია წინასწარმეტყველი. ვერავინ ვერ ვნახეთ იქ, თვინიერ სამი მჯდომარე ბრმისა, რომელნიც საუბრობდნენ. ჩვენ მათ ახლოს ჩამოვსხედით ახალი ამბის მოსასმენად. ერთმა მათგანმა თქვა: „გთხოვთ—მიამბოთ, || როგორ დაბრმავდით?". 291 r

ერთმა თქვა: „მე მეზღვაური ვიყავი. მოვდიოდით ჩვენ აფრიკიდან. [გზაში] თვალებმა ჩხვლეტა დამიწყო და ვერავინ ვპოვე, ვინც განმკურნავდა. მათზე (თვალებზე) ლიბრი გადამეკრა და დავბრმავდი".

მეორემ თქვა: „მე მინაზე ვმუშაობდი და მხურვალებისაგან ცეცხლისა დავბრმავდი".

[პირველმა] ორმა ჰკითხა მესამეს: „ახლა შენ გვიამბე, როგორ დაბრმავდი?"

მან თქვა: „ნამდვილს მოგახსენებთ. როდესაც მე ჭაბუკი ვიყავი, ძალზე მძულდა შრომა. ფუქსავატობა, სიზარმაცე და ხანჯლის [ტრიალი] კი მიყვარდა. მჭირდებოდა ჭამა, სმა, ფუფუნება. ამან ქურდობისაკენ მიბიძგა, რამეთუ არ ვიცოდი, რა გზით მესაზრდოა.

ერთ დღეს დავინახე მომავალი სამგლოვიარო პროცესია. ავედევნე მას, რათა გამეგო—სად დამარხავდნენ მიცვალებულს. როდესაც ხალხი დაიშალა, შევედი საფლავში და გავძარცვე მკვდრის სამოსელი. იგი (სამოსელი) საუცხოო იყო. არ დავუტოვა მას არაფერი, თვინიერ ერთი პერანგისა. როდესაც საფლავიდან დავაპირე გამოსვლა, არ მომასვენა მე გულისწადილმა ჩემმა და უკეთურებამ ჩემის სულისა და ვთქვი: „აიღე დარჩენილი პერანგიც!“ და დავბრუნდი
291 v მე საწყალობელი. || როდესაც შემოვძარცვე ტანსაცმელი, აი ჩემ წინ წამოჯდა მიცვალებული. მან ჩემსკენ თითები გამოიშვირა და თვალები დამთხარა. მაშინ დავტოვე ყველაფერი და გამოვედი იმ საფლავიდან დიდის წუხილითა და გაჭირვებით“.

როდესაც მოვისმინეთ ამ ბრძების ნაამბობი, ჩემმა მეგობარმა მითხრა: „ნამდვილად, ძმაო ჩემო, დღეს აღარ გვინდა არაფრის სწავლა. საკმარისია ჩვენთვის ის სასარგებლო რამ, რაც მოვისმინეთ“.

მე ეს თქვენთვის დავწერე, რათა თქვენც პოვოთ სარგებლობა და იცოდეთ, რომ არ არის ქვეყნად არავინ, ვინც ჩაიდენს რაიმე ბოროტს და [შეძლებს] ღმერთის წინაშე დამალვას.

38 (LXXIX, ბბ)

მივედით ანტიოქიის სელევკიაში. მოგვითხრო ჩვენ მისმა ეპისკოპოსმა და თქვა, რომ აქ ერთი ვაჭარი კაცი იყო, ძალზე ღვთის მოშიში. იგი იაკობიტი იყო და ყავდა მოსამსახურე, მისი ქონების მცველი, მართლმადიდებელი. აიღო იმ მოსამსახურემ წმ. ნაწილი* დიდ ხუთშაბათს თავისი ადათისამებრ და მოათავსა კოლოფში. აღდგომის შემდეგ გაგზავნა იგი იაკობიტმა კონსტანტინეპოლს სავაჭროდ. [მოსამსახურემ] დატოვა სკივრის გასაღებები იაკობიტთან.
292 r ერთ დღეს გააღო || იაკობიტმა სკივრი და ნახა კოლოფი, რომელშიც წმ. ნაწილი იყო. შეწუხდა იგი: არ იცოდა როგორ მოქცეულიყო, რამეთუ იაკობიტი იყო. ზიარება ვერ გაბედა. დატოვა მან იგი [თავის ადგილას] და თქვა: „როდესაც მოვა იგი, ვინც შეინახა—ის აზიარებს“.

დადგა დიდი ხუთშაბათი წლის დასასრულს. მოსამსახურე არ მოვიდა. და მოინდომა იაკობიტმა, რომ ცეცხლში დაეწვა წმ. ნაწილი, რათა კვლავაც არ დარჩენილიყო. გააღო მან სკივრი და როდესაც გარეთ გამოიტანა [კოლოფი] და გახსნა, ნახა—ნაწილი აღმოცენებულიყო და თავთავები გამოეღო. შეკრთა [იაკობიტი], შეშინდა და დიდად განცვიფრდა.

მაშინ გაემართნენ ის და მისი სახლის ხალხი მართლმადიდებელი ეკლესიისაკენ ღვთის დიდებით. შევიდა იგი ეპისკოპოსთან

* შდრ. ქართ. „წმიდაჲ იგი ნაწილი“. ბერძ. ἅγια κοιμωμένα.

და მოუთხრო, რაც მოხდა. აღიარა და ირწმუნა მან მთელ თავის სახლის ხალხთან ერთად მათი, რომელნიც მართლმადიდებელნი არიან. ეს სასწაული იხილეს ეკლესიის მთელმა ხალხმა და უცხოელებმა. ხალხი ადიდებდა ღმერთს და მადლობდა მას მრავალი წყალობისა და ივ სასწაულების გამო, || რომელთა [წარმოდგენაც] გონებას აღემატება. 292 v

39 (LXXX)

ჩავუარეთ ჩვენ ანბა თეოდულის მონასტერს, რომელიც ანტიოქიის უკანაა და ვნახეთ იქ წყარო. მამებმა მოგვითხრეს, რომ იგი იქ [წინათ] არ იყო. იგი მათ მხოლოდ თეოდოსის ლოცვათა გამო ეწყალობათ. მათ თქვეს, რომ ხალხმა ბერთაგან სთხოვა მონასტრის მამასახლისს, რომ მას მათთვის აბანო აეგო. მან არ ინდომა, რომ ექმნა. როდესაც ბევრჯერ და დაჟინებით სთხოვეს, მან დაუთმო მათ. როგორც კი ერთხელ იბანავეს იმ აბანოში, წყარო დაშრა. ჩვენ მრავალგზის შევთხოვეთ[ო] ღმერთს, რათა დაებრუნებინა იგი (წყარო), მაგრამ მან არ გვისმინა. ამასობაში დავანგრიეთ აბანო და მაშინ კვლავ ამოხეთქა წყარომ.

40 (LXXXIII)

კვლავ მოგვითხრეს ჩვენ ამ მონასტრის მამებმა ერთი კაცის შესახებ, რომელმაც ააგო ძალზე დიდი ხომალდი. ორი კვირის განმავლობაში ის და მასთან ერთად სამასი კაცი მიათრევდნენ მას (ხომალდს) ზღვაში ჩასაშვებად, მაგრამ დაძვრაც კი ვერ შესძლეს, რამეთუ იგი ბოროტი ხალხის მიერ იყო მოჯადოებული. პატრონი დიდ დარდსა და მწუხარებას მიეცა. და როდესაც იგი იყო || ამ ყოფა- 293 r
ში, აი, მივიდა იქ ერთი წმიდანი ბერი და უთხრა მას კაცმა: „მამაო ჩვენო, იღოცე ჩემი ხომალდისათვის, რამეთუ იგი მოჯადოებულია და არ იძვრის“.

ბერმა მიუგო: „წადი, საუზმე მომიმზადე და ჰეშმარიტად ღმერთი მოიღებს დახმარებას“. ბერს მხოლოდ ის უნდოდა, რომ ეს კაცი განშორებოდა. ბერი მარტო მივიდა ხომალდთან, სამჯერ შეასრულა მეტანია ღვთის მიმართ და გარდასახა მას ჯვარი ჩვენი უფლის იესუ ქრისტეს სახელით. შემდეგ ხომალდის პატრონის სახლისკენ წავიდა და უთხრა: „წადი ახლა, გაათრიე შენი გემი!“.

წავიდა ხომალდის პატრონი. მას თან ცოტა ხალხიც ახლდა. მან მაშინვე გაათრია იგი [და] ზღვაში შეიყვანა. და განცვიფრდნენ ისინი და ადიდეს ჩვენი უფალი ქრისტე.

41 (LXXXIV)

მოგვითხრეს კვლავ ამ მონასტრის პატრონებმა, რომ: იყო ამ მთებში ერთი მძოვარი—წმიდანი. მრავალი წლის მანძილზე ცხოვრობდა იგი იქ და ბალახით იკვებებოდა. შემდეგ მიიცვალა თავის ქვაბში. ჩვენ კი ვერ შევიტყვეთ და ვფიქრობდით, რომ იგი სხვა ადგილს ან სხვა უდაბნოს შეეფარა. და [ერთხელ] ღამით გამოეცხადა იგი სიზმარში მონასტრის მამასახლისს და უთხრა: „წაიყვანე ძმე-
293 v ბი, ადი || მთაზე და წამოიღე ჩემი ცხედარი“.

ავედით ჩვენ მთაზე. ვეძიეთ იგი, მაგრამ ვერ ვიპოვეთ, რამეთუ ქვაბის კარი დროთა განმავლობაში მიწით ავსილიყო. გამოვბრუნდით, გვინდოდა ძირს ჩამოვსულიყავით და დავიბანეთ ჩვენს ახლოს ირემი, რომელიც ორივე ფეხით მიწას თხრიდა. მონასტრის მამასახლისმა გვითხრა: „ძენო, მერწმუნეთ, იქ არის მონა ღვთისა“. წავედით ჩვენ და ვიპოვეთ იქ წმიდანის ცხედარი. შემდეგ წამოვიღეთ მონასტერში და ჩვენთან დავმარხეთ.

42 (LXXXV)

კვლავ გვიამბეს და გვითხრეს რომ: წესად გექონდა ჩვენ დიდი ხუთშაბათის დღეს ამ მიდამოს ყველა ღატაკისა და ქვრივ-ობლისათვის წყალობა დაგვერიგებინა. ყოველ სულზე განკუთვნილი იყო ნახევარი მოდი ხორბალი, თხუთმეტი პური, ხუთი ფელსი, ერთი ქსესტი ღვინო და ნახევარი ქსესტი თაფლი. ამ სამი წლის წინათ გაძვირდა ხორბალი. როდესაც ხუთშაბათი მოახლოვდა, მამებმა უთხრეს მონასტრის მამასახლისს: „ღატაკთ ნურაფერს ნუ დავურიგებთ, რამეთუ ხორბალი, როგორც ხედავ, გაძვირებულია და ჩვენ გვეშინია, მონასტერი გაღარიბდება“.

მონასტრის მამასახლისმა დაუწყო მათ შეგონება და უთხრა: ||
294 r „ძენო, ნუ ჰოვშლით ჩვენის მამის წყალობას“*, რადგანაც იგი მისი აღთქმაა**. და არ არის ჩვენთვის კარგი მის აღთქმას რომ წინ აღუდგეთ, რამეთუ იგი ის არის, ვინც ამ ადგილისათვის ზრუნავს“.

მონაზვნები არ მოეშვნენ მამასახლისს. მის ნებასაც არ დაყვნენ. მამასახლისი დიდად დაღონდა ამის გამო და უთხრა მათ: „რაც გინდათ, ის ქმენით. მე ამ ცოდვისაგან უბრალო ვარ“.

როდესაც ხუთშაბათი დღე დადგა, არავის არაფერი არ მისცეს. პარასკევ დღეს ბეღლის მცველმა გააღო სახლი და ნახა—მთელ ხორბალს თავთავები გამოეღო და გაფუჭებულიყო. იძულებულნი გახდნენ იგი ზღვაში გადაეყარათ.

---

* შდრ. ἡ εὐλογία.

** შდრ, ἡ ἐντολή.

მონასტრის მამასახლისმა უთხრა მათ: „ეს საზღაურია ყველა იმისა, ვინც თავის მამათა დამკვიდრებულ წესს არ მიჰყვება. კარგი იყო ორმოცდაათი მოდი დაგვერიგებინა. დავამშვიდებდით ჩვენს მამებს ჩვენის მორჩილებით და ვანუგეშებდით ჩვენს ღატაკ ძმებს იმით, რასაც მივცემდით. მაშინ ესეც არ მოგვივიდოდა. იმის გამო, რომ ჩვენ არ მოვიქეცით [წესისამებრ], ხუთასი მოდი ხორბალი გაფუჭდა. რა სარგებლობა ეპოვეთ ახლა ამ უღირსი საქციელისაგან?! პირიქით, ამ ამბის გამო ორი ცუდი რამ გვეწვია. რაც შეეხება პირველს—ვეუ-
რჩეთ აღთქმას || ჩვენი მამისას, რაც შეეხება მეორეს—არ ვირწმუ- 294 v
ნეთ ღვთისა, რომ იგი არის ის, ვინც განაგებს და ასაზრდოებს მთელ ხალხს“.

43 (LXXXVI)

კველავ მოგვითხრეს, რომ ამ მონასტრის მახლობლად იყო ერთი მძოვარი, რომელიც ბალახით იკვებებოდა. კეირა დღეს იგი მიდიოდა, რათა ზიარება მიეღო მონასტერში. [ერთხელ], როდესაც ძმათა შორის იმყოფებოდა, მოიცვა იგი ეჭვმა. ამას რომ მიხვდა. ხუთ კეირას დაჰყო [ისე, რომ] აღარ მისულა თავისი ჩვეულებისამებრ. დაღონდა ამის გამო მონასტრის ხალხი. [შემდეგ], კვირა დღე როდესაც დადგა, იგი მივიდა და, ვითარცა იხილეს იგი ძმებმა, გაიხარეს მის გამო. მეტანია ყველს მისთვის. მანაც მათთვის ყო მეტანია. როდესაც ეზიარა მძოვარი ჩვენი უფლის კეთილშობილ სისხლსა და ხორცს, განირთხა ეკლესიის შუაში და სული განუტევა მაშინ. როდესაც თავიც არ სტკივებია. და მიხვდნენ მამები, რომ როდესაც მან შეიგრძნო თავისი აღსასრული, ისწრაფა ამის გამო და მოვიდა. რათა არ წასულიყო ამ ქვეყნიდან ისე, რომ გულში ვინმეს წინააღმდეგ რაიმე ჰქონოდა.

44 (LXXXVII)

გავემართეთ ერთხელ ჩვენ ქალაქ როსის მახლობელი სოფლისაკენ. და აი, იქ ორი მძოვარი აღმოჩნდა. ისინი სიხარულით შემოგვეგებნენ. მიგვითითეს ეკლესიაში ერთ ლოდზე და გვითხრეს: „ამ ლოდის ქვეშ დიდი მძოვარია“.

ჩვენ შევეკითხეთ: „თქვენ რამ მიგახვედრათ?“

მათ თქვეს: || „[მივხვდით,] რამეთუ შვიდი წლის წინათ მთის 295 r
მწვერვალზე ღამით დავინახეთ ნათელი, თოქოსდა ცეცხლისა. ვიფიქრეთ, რომ ხალხმა მხეცების გამო დაანთო ცეცხლი. რამდენიმე დღის განმავლობაში ვხედავდით ნათელს. შემდეგ ავედით მთაზე, მაგრამ ნიშან-კვალიც ვერ ვნახეთ. არც ცეცხლი იყო და არც ნათელი. შემდგომად ამისა სამი თვის განმავლობაში კვლავ ვხედავდით ღამით ცეცხლს. და ავიღეთ [ერთხელ] იარაღი მხეცების გამო,

აეედით მთაზე იმ ნათელის კვალდაკვალ და დავსხედით მის (ნათელის) ახლოს, ვიდრე არ შემოგვათენდა. [დილით] ვიხილეთ მცირე ქვაბი, შევედით და ვპოვეთ შიგ მკვდარი მძოვარი. მასზე ბეწვის ქსოვილი იყო [გადაფარებული], თან სახარება ჰქონდა, რომელზედაც ვერცხლის ჯვარი იდო და ეწერა აღსრულების დღე. აი. იგი შეიდი წლის [გარდაცვლილი] ყოფილა და ისე იყო, თითქოს იმ დღეს გარდაიცვალაო. მოვასვენეთ ჩვენ იგი ეკლესიაში და შიგ დავმარხეთ".

45 (LXXXVIII)

მოგვითხრეს ანბა თომას შესახებ, რომ აღესრულა იგი წმ. ეფემიას მონასტერში და, რომ იმ ადგილის მღვდლებმა დამარხეს იგი მსგავსად უცხოელისა იქ, სადაც უცხოელებს მარხავენ. მეორე დღეს
295 v ორ საათზე ერთი ქალი გარდაიცვალა. || იგი მის ზემოდან [ანბა თომას საფლავში] დაასაფლავეს. შუადღეს იგი (ქალი) მიწამ ამოაგდო. როდესაც ნახა [ეს] ხალხმა, შეკრთა და განცვიფრდა. საღამოს კვლავ დამარხეს იგი მის ზევით. მეორე დღეს [ქალის] გვამი საფლავის ზემოთ ნახეს დაგდებული. მაშინ იგი სხვა საფლავში დამარხეს. ამის შემდეგ რამდენიმე დღეში კვლავ დაასაფლავეს ანბა თომას ზემოდან ქალი. ისიც ამოაგდო მიწამ. მაშინ მიხვდნენ, რომ [ანბა თომა] ნებას არ რთავდა მის ზევით [რომ] ქალი ყოფილიყო. გაგზავნეს [კაცი] და აუწყეს [ეს ამბავი] ანტიოქიის პატრიარქს. მან უბრძანა ქალაქის ხალხს, რომ გამოსულიყვნენ სანთელ-საკმეველით და წაეღოთ მღვდლის ცხედარი მის წინაშე [ფსალმუნების]* კითხვით. ისინიც ასე მოიქცნენ. ვიდრე ქალაქში არ შეიტანეს [ცხედარი]. შემდეგ წაასვენა იგი პატრიარქმა, მოათავსა მრავალ მოწამეთა გვერდით და მის ზევით ეკლესია ააგო.

46 (LXXXIX, დამ., II, თხრ. 19)

მოგვითხრო აგრეთვე ერთმა კაცმა მამათაგან მაშინ, როდესაც ანტიოქიაში ვიყავით და თქვა, რომ: საჭიროების გამო ავედი მე მთა-
296 r ზე და ვნახე ქვაბში მუხლ||მოდრეკილი ცისკენ ხელებაპყრობილი მძოვარი. მისი თმა მიწას აღწევდა. მე ვიფიქრე, რომ იგი ცოცხალია. მეტანია ვუყავ მისთვის და ვთქვი: „ილოცე ჩემთვის, მამაო!" პასუხი რომ გამცა, შევედი ქვაბში, რათა მომეკითხა. როდესაც დავინახე—მკვდარი იყო, გამოვბრუნდი და ცოტა გამოვიარე. და აი, მეორე ქვაბშიც ბერი აღმოჩნდა. იგი მომესალმა და მკითხა: „შეხვედი იმ ქვაბში, შვილო ჩემო?" მივუგე: „დიახ, მამაო". მან მკითხა: „წამოიღე იქიდან რაიმე?" ვუთხარი: „არა". და მითხრა მან: „თხუთმეტი წელია რაც, გარდაიცვალა ის ბერი, რომელიც იხილე".

* „ფსალმუნის" ვარაუდის შესაძლებლობას იძლევა ბერძნული ტექსტი: μετὰ ψαλμῳδίας καταγαγεῖν.

მე განვცვიფრდი, რამეთუ ისე იყო, თითქოს დღეს განისვენაო. ღლოცა ჩემთვის ბერმა და მე წამოვედი.

47 (XC)

მთაზე, ანბა თეოდულის მონასტრის ზეით. რომელიც ჩვენ მოვიხსენიეთ, იყვნენ მძოვარი და მისი მოწაფე. მიიცვალა ბერი და დამარხა იგი მოწაფემ. შემდგომად ამისა, მოკლე ხანში ჩამოვიდა მო-
წაფე და იხილა გულმოდგინედ მშრომელი კაცი, რომელიც თავის
ნაკვეთს ამუშავებდა. [მოწაფემ] უთხრა: || „უავ სიყვარული. ძმაო 296 v
ჩემო. და გაისარჯე ჩემი გულისათვის—აიღე თოხი და ბარი და გამომყევი!“ როდესაც მთაზე ავიდნენ, მოწაფემ თავისი მოძღვარი მძოვრის საფლავი უჩვენა. შემდეგ უთხრა: „გათხარე აქ საფლავი“. თვითონ კი ლოცვად დადგა. შემდეგ გამოეთხოვა გლეხს, ჩავიდა [საფლავში]. განართხო თავისი სხეული მოძღვრის ზეით და განუტევა სული. დამარხა იგი მიწათმოქმედმა, ადიდა ღმერთი და ჩამოვიდა. როდესაც განშორდა [იქაურობას] ქვის გასროლის მანძილით, გულში თქვა: „დავუბრუნდები, მივიღებ კურთხევას წმიდანთაგან“. დაბრუნდა, მაგრამ საფლავი ვეღარ პოვა.

48 (XCI)

მოგვითხრეს ანბა გიორგი მძოვრის შესახებ, რომ ოცდახუთ წელიწადს იმყოფებოდა იგი უდაბნოში შიშველი. ყავდა მას ერთი მოწაფე და მიიცვალა იგი (მოწაფე). ბერს არაფერი გააჩნდა. რათა [საფლავი] გაეთხარა მის დასამარხავად. ჩაეიდა იგი ზღვის პირას და სთხოვა გემის პატრონს, რომ მას გაეყოლებინა მისთვის ნაწილი მეზღვაურებისა, რათა მასთან ერთად [საფლავი] გაეთხარათ. [გემის პატრონი ასეც] მოიქცა. როდესაც დამარხეს იგი. ერთერთმა მეზღვაურმა მოინდომა ბერთან დარჩენა მისი იმ სათნოების გამო, რომელიც იხილა.

ბერმა უთხრა: „ვერ აიტან || შრომას და ჯაფას“. ძმამ მიუგო: 297 r
„კი, მამაო, მე მწამს და ვიმედოვნებ, რომ ღმერთი შემწე იქნება“. ბერი დაეთანხმა და დაჰყო მან მასთან (მეზღვაურმა ბერთან) ჯერ მარიტად დიდ ჯაფაში ერთ წელიწადს. როდესაც წელიწადი დასრულდა, მეტანია ყო [ძმამ] ბერისათვის და უთხრა: „ილოცე ჩემთვის, მამაო ჩემო, რამეთუ შენის ლოცვის მეოხებით მაკურთხა მე ღმერთმა: ვეღარ ვგრძნობ მე დაღლას, არც სიცხე მაწუხებს, არც სიცივე და ძალზე მშვიდად ვარ“. და დატოვა იგი ბერმა. ორ წელიწადს იმყოფებოდა [ძმა] მასთან. ღმერთმა წყალობა მოიღო მასზე და მან წინასწარ შეიცნო მიტევება ამ ქვეყნისა. მან სთხოვა ბერს, რომ წაეყვანა იგი იერუსალიმს, რათა ელოცა იქ ამ ქვეყნიდან გასვლის წინ.

ბერმა წაიყვანა იგი და გაემართა მასთან ერთად იერუსალიმს. როდესაც იღოცეს და იორდანს ჩავიდნენ, გარდაიცვალა ძმა და დამარხა იგი ბერმა. შემდგომად ამისა მალე აღესრულა ბერიც და და-
297 v მარხა იგი მონასტრის ხალხმა || კოპრათის [მონასტრისა] თავიანთი ეკლესიის ზიგნით.

49 (XCII)

(ად) მოგვითხრო ანბა გიორგიმ, დავაქისის მონასტრის მამასახლისმა. ვინმე ძმის შესახებ, რომელიც მასთან იმყოფებოდა, სახელად აკრეთვე გიორგი. იგი მუშაობდა მონასტრის ყანაში, რომელსაც ეწოდება ფესალაიდი. ერთ დღეს მოინდომეს ძმებმა პურის გამოცხობა. ანბა გიორგი იყო ის ძმა, რომელიც ღუმელს ანთებდა. და დაუმალეს მას ძმებმა განზრახ ღუმელის ცოცხი, რათა გამოეცადათ, [თუ] რას იღონებდა. როდესაც დაძებნა მან ცოცხი და ვერა პოვა, შეიდა ღუმელში და თავისი სამოსით გამოგავა. ცეცხლით კი არა ევნო რა.

როდესაც შეიტყვე ამის შესახებ მე, ანბა გიორგიმ, მონასტრის მამასახლისმა, შევრისხე და დავადანაშაულე ისინი. და [შემდეგ] ვადიდეთ ჩვენ ღმერთი.

(აე) მოგვითხრო ანბა გიორგიმ ამ ძმის შესახებ, რომ მწყემსავდა იგი ღორებს. და მოვიდა მასთან ორი ლომი, რომელთაც ღორების მოტაცება უნდოდათ. [ამ ძმამ] აიღო თავისი კვერთხი და სდია,
298 r ვიდრე მათ არ მიაღწიეს || იორდანეს.

(აე) მოგვითხრო აგრეთვე ანბა გიორგიმ, მონასტრის მამასახლისმა, რომ როდესაც მოინდომა მან წმ. მარკოზის ეკლესიის აგება, რომელიც ამ ყანაშია, ამოთხარა ეკლესიის საძირკველი. როდესაც დაღამდა, ნახა—ეჩვენა მას მონაზონი მოსილი პალმის ფოთლებისაგან [დაწნული] პალეკარტითა* და ბეჭებზეც აგრეთვე ჭილის კენდონით*. მან მშვიდი ხმით უთხრა: „მითხარი, მამაო გიორგი, რამდენად სწორია შენის მხრივ მთელი ჩემი ღვაწლის შემდეგ ეკლესიის საფუძვლის გარეთ რომ მტოვებ?!"

როდესაც ვიხილე მე მშვენიერება მისი გარეგნობისა და ლაზათი მისი მონაზვნობისა, შემრცხვა მისი და ვუთხარი: მომიტევე. მამაო, რაც გავაკეთე ასე". მან მომიგო: „ჭეშმარიტად, გიქმნია შენ [ეს]".

კელავ მივმართე: „რაც შენ მაუწყე, იმის გამო გეკითხები. შენ ვინა ხარ?"

მან მომიგო: „მე ვარ პეტრე მძოვარი, რომელიც იორდანეს პირას ვძოვ".

---

* შდრ. ჭართ. ტექსტში „პალეკარტი" და „კენდონი".

როდესაც გათენდა, გავაფართოვე ეკლესიის საძირკველი || და 298 v
იგი შიგ მოვაქციე.

50 (XCIII, 23)

კვლავ მოგვითხრო ამ წმიდანმა ანბა გიორგიმ და თქვა, რომ: წავედი მე მძოვართან, ანბა სისინთან, რომელიც იყო ნამურანის მახლობლად ექვსი მილის დაშორებით იორდანედან. ეს მძოვარი ამ სოფლად ეპისკოპოსი ყოფილა. შემდეგ დათმო მან ეპისკოპოსობა და უდაბნოში სამუდამოდ მძოვრობას ეზიარა. როდესაც მასთან მივედი, კარებზე დავაკაკუნე. მისმა მოწაფემ გამიღო და მითხრა: „ეშმარიტად, მამაო, ბერი ისე ავადაა, რომ სიკვდილის პირასაა მისული. და შესთხოვა მან ღმერთს, რათა არ გაეყვანა იგი ამ ქვეყნიდან ვიდრე შენ არ მოაღწევდი ამ მხარეს". სწორედ [მაშინ] მე კონსტანტინეპოლს ვიყავი წასული მონასტრის საჭიროების გამო. წავიდა [მოწაფე], რათა ეცნობებინა მისთვის [ჩემი მოსვლა]. დიდხანს დაყოვნდა. შემდეგ მოვიდა და ჩვენ შევედით. როდესაც მასთან მივედით, ბერი უკვე გარდაცვლილი იყო. და მიეხვედი მე, რომ, როდესაც კარებზე დავაკაკუნე და შეიტყო [ბერმა] || რომ მე ვიყავი, მან თავი- 299 r
სი სული ღმერთს მიაბარა. როდესაც მე მოკითხვა დავუწყე მის სხეულს აწ განსვენებულისას, მან მშვიდი ხმით მითხრა: „კეთილი იყოს შენი მოსვლა, მამაო ჩემო!" და კვლავ გაბუტევა სული. გავგზავნე მე [კაცი] და ვიხმე სოფლის ხალხი, რათა იგი ჩვენთან დაემარხათ. როდესაც მოვიდნენ და საფლავი გათხარეს, უთხრა მათ მოწაფემ: „ყავთ სიყვარული და ცოტათი გააფართოვეთ საფლავი იმ ზომით, რომელიც მეც და ბერსაც დაგვიტევეს". როდესაც საფლავს თხრიდნენ, მიწვა მოწაფე ჭილობზე და მიიცვალა. ჩვენ ისინი ორივენი ერთად დავმარხეთ და წავედით, ვადიდებდით რა ღმერთს მისი მრავლი კურთხევისა და წყალობის გამო მათ მიმართ, რომელთაც იგი უყვართ.

51 (XCIV, 24)

კვლავ მოგვითხრო ჩვენ ანბა გიორგიმ ანბა ლულიანეს შესახებ, რომელიც იყო ეპისკოპოსი ბუსრას, რომ ბუსრის ხალხს უნდოდა მისთვის წამალი დაელევინებინა, რათა მოეკლა. მოისყიდეს მათ მისი მსახური და მისცეს წამალი, რომ მას იგი თასში გაეზავებინა*, როდესაც ლულიანე დალევას მოიწადინებდა. [მოსამსახურე] ასეც მოიქცა. როდესაც ეპისკოპოსმა თასი აიღო, ამცნო მას ღმერთმა, რომ შიგ წამალია. მან იგი წინ დაიდგა, არ უთხრა || არაფრი მსახურს, 299 v
გაგზავნა [კაცი] და უხმო ქალაქის თავს. მან აგრეთვე იმათაც

* შდრ. „ყრმამან მან გაზავა იგი კათხასა შინა სასუმელსა".

უხმო, რომელთაც წამალი შეამზადეს. შემდეგ მათ კრებულს უთხრა მშვიდად: „ნუ გგონიათ, რომ მოკლავთ საწყალ ლულიანეს! ამ წამლის დალევას რაც შეეხება, აი, დავლევ მე მას თქვენს წინაშე". სამჯერ გარდასახა მან მას (თასს) ჯვარი და თქვა: „სახელითა მამისათა და სულისა წმიდისათა ვსვამ მე ამ თასს". დალია და არავითარი ვნება არ ეწია. მათ პატივება სთხოვეს და მეტანია ყველს მის წინაშე. და არ გაკიცხა მან ისინი, რომელთაც მისი ცუდი ეწადათ.

52 (XCV)

დავაჭისის მონასტერში იყო ერთი რომაელი ბერი, სახელად ბატრიკი. რომელმაც ასცამეტ წელს მიაღწია. იგი იყო ძალზე წყნარი, სათნო. მის შესახებ ჰყვებოდნენ, რომ იგი იყო მამასახლისი მონასტრისა და შემდეგ დათმო მან თავისი მამასახლისობა. იგი ამბობდა, რომ რომელთაც სურთ მამასახლისად ყოფნა და ქრისტეს მეტყველი ცხვრების მწყსვა, ხამს, რომ იყვნენ დიდნი და მოშიშნი ღვთის სასტიკი განკითხვისა. ამის გამო დატოვა მან თავისი მამასახლისობა, მოვიდა და დაჯდა მსგავსად მოწაფისა [მიწიერი] სურვილების აღკვეთით.

53 (XCVI, ად)

330 r მოგვითხრეს აგრეთვე || იმის შესახებ, რომ დავაჭისში იყო ერთი ბრმა ბერი, რომელსაც სახელად ერქვა ლულიანე. მან ეჰვი მიიტანა იერუსალიმის პატრიარქზე და არ ეზიარებოდა მის წირვას. და წარავლინა მან [კაცი] ანბა სიმეონ განდეგილთან, რომელიც ანტიოქიის მახლობლად იმყოფებოდა, რათა გამოეკითხა მისთვის ამ ამბის თაობაზე. ანბა სიმეონმა შემოუთვალა: „ნუ აირევი და ნუ წამოხვალ შენი მონასტრიდან. ეჰვს ნუ მიიტან და ნუ განუდგები ზიარებას ეკლესიისა, რამეთუ არ არის იქ ბოროტება. ამასთანავე მინდა იცოდე, ძმაო ჩემო, რომ თქვენ მონასტერში არის ერთი ბერი, სახელად ბატრიკი, იგი ეკლესიის ყველაზე ქვედა [კედელთან]* დგება და მთელ ჟამის-წირვის ლოცვებს თვისსა და მის (კედელს) შორის წარმოთქვამს. როდესაც ჟამის-წირვა დგება, იწყნარებს მისგან ღმერთი წირვას. ხოლო ვინც ჟამს სწირავს, იგი არ არის [ჩვეულებრივი] არსება ხალხთაგან".

54 (XCVII, ბთ)

მოგვითხრო ანბა იოანე მძოვარმა, რომ მან მოისმინა—ანბა სტეფანე მოაბელი ჰყვებოდა და ამბობდა, რომ, როდესაც იგი იყო დავაჭისის მონასტერში, იმყოფებოდა იქ ორი ძმა, რომელნიც ერთმანე-

* „კედლის" გარაუდის შესაძლებლობას იძლევა შესაბამისი ქართულ-ბერძნული ტექსტები. შდრ., „მდგომარე არს იგი... უჭუეშოეას კ ე დ ე ლ ს ა თანა დასავალით ეკლესიასა". ὁ γέρον ἵσταται... πλησίον τοῦ κατὰ δυσμὰς τοίχου τῆς ἐκκλησίας.

თში შეთანხმებულიყვნენ და უფლისთვისაც აღთქმა მიეცათ, რომ არ
გაიყრებოდნენ არც სიცოცხლეში და არც აღსასრულში. || ერთხელ 300 r
ერთ-ერთი მათგანი სიძვის მიერ იქნა ძლეული. მან თავის ძმას უთ-
ხრა: „გამიშვი, ძმაო ჩემო, რამეთუ სიძვა მებრძვის და ახლა მე სოფ-
ლად მინდა წასვლა“. ძმამ სთხოვა მას და უთხრა: „ნუ იქმ, ძმაო ჩე-
მო, ნუ წარწყმედ შენ შრომას!“ მეორემ უთხრა: „ან წამომყევი, რა-
თა გულისთქმა დავიცხრო, ან მე გამიშვი“.

როდესაც ნახა ძმამ, რომ მასთან ვერაფერს გააწყობდა, წაჰყვა
ქალაქში—მარტო არ გაუშვა. შევიდა [ვნებით ძლეული] მეძავის სახ-
ლში. მისი ძმა კი კარებთან დაჯდა მოსაცდელად (?)*. იგი იყო და-
ღონებული, გულდაწყვეტილი. დიდი მწუხარებისაგან თავისი ძმის
გამო, იგი მიწას იღებდა და თავზე იყრიდა—სასოწარკვეთილებას
ეყო მიცემული.

როდესაც იმრუშა და გამოვიდა [ვნებით ძლეული], მისმა ძმამ,
რომელიც უბიწო იყო, უთხრა: „რა სარგებლობა პოვე ახლა შენ,
ჩემო ძმაო, ამ ცოდვისაგან? პირიქით, დიდად ივნე, მაგრამ [მაინც]
წამოდი ჩვენთან მონასტერში“.

ძმამ მიუგო: „მე არ შემიძლია ისევ უდაბნოში წასვლა!“ და
დარჩა მასთან || ძმა. ისინი მუშაობდნენ ბიზანტიის [მონასტერ- 301 r
ში]** რამეთუ იგი იმ დროს შენდებოდა. ძმა, რომელმაც იმრუშა,
ყოველდღე იღებდა ორიევს ქირას და საჭმელ-სასმელისათვის ხარ-
ჯავდა. მეორე კი ყოველ დღე მარხულობდა, ფსალმუნებდა, იყო ჯა-
ფაში და არავის ხმას არა სცემდა. როდესაც მშენებლებმა ნახეს—იგი
არც ჭამს და არც ლაპარაკობს, აუწყეს წმ. აბრაამს, რომელიც მშენე-
ბლობის საქმეს განაგებდა. მან მოიხმო იგი თავის სენაკში და ჰკი-
თხა: „საიდან ხარ, ძმაო ჩემო, და როგორია შენი ამბავი? მიამბე, ნუ
გეშინია!“

[ძმამ] მოუთხრო მთელი თავისი ამბავი. აუწყა, რომ ძმის გული-
სათვის იტანს ყოველივე ამას:

— რათა იხილოს ღმერთმა ჩემი შრომისა და ტანჯვის სიმძიმე და
იხსნას ჩემი ძმა.

როდესაც წმიდანმა მოისმინა ეს, თქვა: „იცოდე, რომ ღმერთმა
უკვე მოგიძღვნა შენ შენი ძმა“.

ძმას წმ. აბრაამისგან გამოსვლისთანავე შეხვდა თავისი ძმა. მან
შესძახა და უთხრა: „წამიყვანე, ძმაო ჩემო, და წავიდეთ უდაბ-
ნოში. ეგების მოვინანიო ცოდვა || და ცხონდეს სული ჩემი“. 301 v

---

* იხ. ტექსტის შენიშვნა.

** აქ ბიზანტიის მონასტერი რომ იგულისხმება, ჩანს ქართულ-ბერძნუ-
ლი ტექსტებიდან: „ამბა. აბრაჰამ... იწყო შენებად ბიზანტიისა მონასტერსა“.
μοναστήριος τὸ ἐπιλεγόμενος τῶν βιζαντίων.

წაიყვანა იგი ძმამ, მიიყვანა იორდანის ქვაბში და დააყუდა. შემდგომად ამისა. რამდენიმე ხნის მერე დიდად აამა მან ღმერთს და აღესრულა. მის შემდეგ დარჩა მისი ძმა იმ ქვაბში, რომელშიც მისი ძმა მიიცვალა, რათა დაეცვა ის ფიცი, რომელიც მათ შორის იყო [დადებული].

55 (XCVIII, ბთ)

შემდგომად იმისა, რაც მისი ძმა მიიცვალა, მივიდა მასთან ბერი კალამონის მონასტრიდან და ჰკითხა: „მითხარი, ძმაო ჩემო, ამ წლების მანძილზე, რომელნიც შენ დუმილში, შრომასა და ჯაფაში გაგიტარებია, რას მიაღწიე?“

ბერმა მიუგო: „წადი, ათი დღის შემდეგ მოდი და გაუწყებ“.

ათი დღის გასვლისთანავე, მობრუნდა მასთან ბერი და ნახა— იგი გარდაცვლილიყო. თიხის ნაჭერზე კი ეწერა: „შემინდე, მამაო. რამეთუ არასდროს არ. ეუთმობდი მე გონებას მიწას [მიწიერს] მაშინ, როდესაც ჩემ წესს ვასრულებდი“.

56

კვლავ მოგვითხრო ჩვენ წმიდანმა ანბა კამუილმა, უნდოდა რა ამით ჩვენთვის სარგებლობის მოტანა და თქვა, რომ: ჩვენი ორი მო-
302 r ნაზონი ძმა დაძმობილდა სიყვარულით || სულიერით. ისინი ერთად ცხოვრობდნენ ერთ მონასტერში [და] ერთ სენაკში შეხმატკბილებულად. ერთ დღეს ისინი ერთად მივიდნენ ქალაქში რაღაც საჭიროების გამო, რომელიც მათ გამოუჩნდათ. მტრის მზაკვრობით ერთ-ერთმა მათგანმა დაინახა მეძავი ქალი. ბოროტმა ეშმაკმა აღუძრა მას ზრახვანი მის მიმართ და მისდამი ვნებით აანთო. აუწყა მან ეს ამბავი ძმას. ძმამ დაუწყო მას შეგონება, ღმერთის გახსენება და თხოვნა, რათა არ ჩაედინა ცოდვა და ეშმაკს არ დამონებოდა. [ვნებით ძლეულმა] არ დაუჯერა. შევიდა იგი მეძავთან, მორჩა შეცოდებას და გამოვიდა. და უთხრა მას მისმა ძმამ: „აი, შენ უკვე ჩაიდინე ცოდვა. მომიცადე, რათა აგრეთვე მეც შევიდე და შევცოდო. შემდეგ ერთად წავიდეთ მონასტერში და მოვინანიოთ“.

შევიდა იგი მეძავთან. მისცა მისი გასამრჯელო ისე, რომ არც კი შეხებია. თავი კი [ისე] წარმოადგინა—თითქოს ჩაიდინა [ცოდვა], რათა თავისი ძმისათვის მონანიებაზე გული არ აეცრუებინა და იმედი
302 v არ გადაეწყვიტა. შევიდნენ ისინი ერთად თავიანთ სენაკში || და იწყო იმ ძმამ, რომელიც არ დაცემულა, დღენიადაგ მარხვა, ტირილი, მფარველობის ძებნა და ძალზე გულმოდგინედ შრომა. და ამ ყოფაში იყო, რაც კი იცხოვრა.

როდესაც აღსასრული შეიგრძნო და ამ ქვეყნიდან მისი გასვლის ჟამი დადგა, ხელი მოჰკიდა მან თავის ძმას, რომელმაც შესცოდა და უთხრა: „იცოდე, ჩემო ძმაო, მე იმ ცოდვით შეუბღალავი ვარ, რომელიც შენ გგონია რომ ჩავიდინე. მაგრამ მე შენ გამო ვეწეოდი გულმოდგინედ მთელ ამ შრომას, რათა შეეწყნარებინა ღმერთს შენი სინანული და იცოდე„ ღმერთმა შეიწყნარა იგი და მოგიტევა შენი ცოდვა“. და როდესაც თქვა ეს, წარემართა იმ წამსვე უფალთან. და მოხდა ეს ისე. როგორც თქვა ღმერთმა: ჰეშმარიტად შესაძლოა მიღება მისი სულისა ნაცვლად მისი ძმისა* .

57

მოგვითხრეს აგრეთვე სხვა ორი [ძმის] შესახებ, რომელნიც დაძმობილდნენ ყოველმხრივ—სულიერადაც და ნივთიერადაც. ისინი მეზღვაურები იყვნენ წმ. არკადის გემზე. ერთ ღამეს ეშმაკის მზაკვრობით წავიდნენ ისინი, რათა ერთად მოეპარათ ყურძენი ერთ ვენახში. ერთი მათგანი ვენახში შევიდა, მეორე კი მალულად დადგა. როდესაც შეიცნო [ეს ამბავი] ვენახის პატრონმა, თავს წამოადგა მას (შესულს), მაშინ როდესაც იგი || უჩუმრად იყო მიმალული და ხელი 303 r
სტაცა. მეზღვაური მასზე ღონიერი აღმოჩნდა. მეზღვაურმა აიღო ქვა, დაარტყა ვენახის პატრონს და იგი მყის მიიცვალა. და შეიკრიბნენ მის დასაჭერად ვინც იყვნენ იქ დამსწრენი. [მეზღვაური] გაიქცა და დაიმალა. თავისი ამბავი მან ერთ თავის ამხანაგს შეატყობინა.

მის ძებნაში მის მეგობარს წააწყდნენ, რომელიც ვენახის გარეთ დარაჯობდა. შეიპყრეს იგი და ჰკითხეს: „შენ ხარ ის, რომელმაც ეს კაცი მოკლა?“ მან მიუგო: „დიახ!“ შეიპყრეს იგი, სცემეს და წაიყვანეს გამგებელთან. გამგებელი ყოველ დღე ელოდებოდა მას და აწამებდა სხვადასხვაგვარი წამებით. მისი მეგობარი კი, რომელმაც მოკლა მოკლული, ყოველდღე გზავნიდა თავის ამხანაგს—იმას, რომელსაც თავისი ამბავი შეატყობინა, გასაგებად—[თუ] რას იქმოდა მისი [დაჭერილი] მეგობარი.

იმის გამო, რომ ყოველდღიურად ეწამებოდა ის კაცი და თან ამტკიცებდა, რომ იგია ის, რომელმაც მოკლა მეთვალყურე, გამგებელმა ბრძანა მისი მოკვლა. მისი (დაჭერილის) მეგობრის ამხანაგი წავიდა და აუწყა მას: გამგებელმა ბრძანა შენი მეგობრის მოკვლა და უკვე ძელიც აღმართეს[ო]. როდესაც მოისმინა მან ეს, გამოვიდა თავისი ადგილიდან, სადაც იმალებოდა, || წინ წარსდგა და 303 v

---

* შდრ. იოანე 15, 13.

დაიძახა: „ნუ მოჰკლავთ მას, რამეთუ იგი უბრალოა! ო, ადამიანთა საკრებულოვ, მე ვარ ის, რომელმაც მოკლა მოკლული“.

მისმა მეგობარმა ძელს ზემოდან გადმოხედა მას და წარმოთქვა: „ადამიანო, შეგინდოს შენ ღმერთმა [ისევე], როგორც არ ისურვე, რომ ამეღო სრულად [მოწამის] გვირგვინი. მე ვეწამე. ახლა კი შენ გინდა, რომ მოკვდე?!“.

და მიაღწია ამ [ამბავმა] გამგებლამდე. შეიკრიბა ხალხი. როდესაც მოისმინეს მათი ამბავი, განცვიფრდნენ იმ ამხანაგის გამო, რომელმაც ქრისტეს მცნებისამებრ თავისი მეგობრის მაგიერ გასწირა თავი*. და შეიქმნა ამის გამო მრავალი ძიება და შემოწმება ვალდებულებებსა და კანონებში, გამგებლების, მოსამართლეების, კანონმდებლებისა და თათბირების გადაწყვეტილებებში. ეძიებდნენ წიგნებში, თუ [ვინ] უნდა მომკვდარიყო პირველი.

როდესაც მიაღწია ამ [ამბავმა] არკადიმდე, კიპროსის არქიეპისკოპოსამდე, ბრძანა მან და შეიკრიბნენ მასთან ხალხი, გამგებელნი, და წინამძღვარნი. შემდეგ ჩადგა იგი ხალხის შუაგულში, აღიმაღლა ‖ ხმა და თქვა: „ვინც მოჰკლავს ადამიანს და ამავე დროს [სხვა] ადამიანს იხსნის სიკვდილისაგან, ხამს, რომ თვით იგი იქნას დახსნილი სიკვდილისაგან“. და უბრძანა მაშინ მას, რომელმაც მკვლელობა ჩაიდინა, რომ ბერად აღკვეცილიყო და მოენანიებინა ღვთის წინაშე თავისი ცოდვა. და ბრძანა მისი მეგობრის შესახებ, რომელიც წამებისაგან იყო ღონემიხდილი, რომ იგი ჟამის-წირვაში მოექციათ, განეკურნათ, ეჭმიათ, ესმიათ, ტანთ ჩაეცვათ და უზრუნველეყოთ მისთვის კარგი ყოფა მისი ცხოვრების დარჩენილ დღეთა მანძილზე, რამეთუ იგი იყო ვითარცა ნიმუში ქრისტესთან მიმსგავსებულისა და ჰეშმარიტად იგი იყო წმიდანი ღვთისა.

58 (XCIX)

კვლავ მოგვითხრეს ჩვენ ერთი ბერის შესახებ, რომელიც დავაჭისის მონასტერში იმყოფებოდა, რომ მას ჩვეულებად ჰქონდა მარხვისას უდაბნოში მისვლა. ერთხელ მივიდა იგი თავისი ჩვეულებისამებრ და შეხვდა მას ბოროტი ხალხი. ერთ-ერთმა მათგანმა ხმალი იშიშვლა და ბერისკენ გამოემართა მის მოსაკლავად. ბერმა თვალები ზეცას აღაპყრო და თქვა: უფალო ჩემო, იესუ ქრისტე, დე, აღსრულდეს ნება შენი!“** იმ წამსვე პირი გადახსნა მიწამ და შთანთქა ბოროტი კაცი. ‖

———————

* შდრ. იოანე 15, 13.

** იხ. თარგმანი, თხრ. 6, შენიშვნა*.

59 (C, ო)

კვლავ მოგვითხრეს კოშკების მონასტრის ბერის შესახებ, რო- 304 r
მელსაც ერქვა თეოდორე, რომ მან სთხოვა ერთ ძმას და უთხრა: „ყავ სიყვარული, ძმაო ჩემო და წამომყევი სინას მთაზე, რათა ვილოცოთ“.

— მე წავყევი. როდესაც მდინარე გადავიარეთ, ბერმა მითხრა: „მოდი, ძმაო ჩემო, მეტანია ვყოთ, რათა არა ვჭამოთ არაფერი, ვიდრე სინას მთას არ მივაღწევთ“. მე მივუგე: არა, მამაო, ნამდვილად მე ეს არ ძალმიძს“.

მან მეტანია ყო და არ ჭამა არაფერი, სანამ სინას მთაზე არ ეზიარა. იქ ჭამა. წამოვედით სინას მთიდან და არ უჭამია მას არაფერი, ვიდრე არ შევედით მენა-წმინდას, ალექსანდრიაში. [იქ] ეზიარა და ჭამა .შემდეგ წამოვედით მენა-წმიდიდან და არ უჭამია მას არაფერი, ვიდრე არ მივედით იერუსალიმს.

60 (C V)

(დამ. II, თხრ. 9) იყო აგრეთვე დავაქისის მონასტერში ერთი ბერ-ჭენი ბერი, სახელად ქრისტეფორე. მეტანია ყო მის წინაშე ძმამ და უთხრა: „ყავ სიყვარული, მამაო, და მიამბე როგორი იყო შენი საქმიანობა ახალგაზრდობისას?“. როდესაც შეიტყო || ბერმა, რომ იგი 305 r
ამას მხოლოდ სულის სარგებლობისათვის სთხოვდა, უთხრა: გიამბობ. შვილო ჩემო. ჰეშმარიტად დასაწყისში, როდესაც ბერად შევედექი, მე ფრიად გულმოდგინე ვიყავი. მივდიოდი ღამით სალოცავად წმ. თევდოსის ქვაბში და ყოველ საფეხურზე ასჯერ ვასრულებდი მეტანიას. საფეხური კი თვრამეტი იყო. როდესაც მივაღწევდი უდაბლეს [ადგილს] ქვაბისას, [იქაც] აგრეთვე შევასრულებდი მეტანიას და ვლოცულობდი [ასე], ვიდრე სარეკელს არ დარეკდნენ. როდესაც სარეკელს დარეკდნენ, მამებთან ერთად ვასრულებდი წესს.

ათი წელი გავიდა ამ ყოფაში: მარხვაში, გულმოდგინებაში, სიღატაკეში, მორჩილებასა და დიდ ჯაფაში. ერთ ღამეს, როდესაც მეტანია დავამთავრე, ვიხილე მაღაროს მთელ ფსკერზე კანდელები. ზოგი მათგანი ანთებული იყო, || ზოგი კი ჩამქრალი. და იყო იქ ორი კაცი 305 v
თეთრებში ჩაცმული. ისინი აწყობდნენ ამ კანდელებს. მე შევეკითხე მათ: „რატომ აწყობთ აქ კანდელებს და საწუალებას არ გვაძლევთ, რომ შემოვიდეთ სალოცავად?“

მითხრეს: „ეს მამათა კანდელებია“. და შევეკითხე მე: „რატომ არის ზოგი მათგანი ანთებული, ზოგი კი ჩამქრალი?“

მათ მომიგეს: „ყველას, ვისაც სურს და ნებავს, მისი კანდელი ინთება; ვისაც არ სურს და არ ნებავს, მისი კანდელი არ ინთება“.

მე ვუთხარი: „ყავთ სიყვარული ჩემს მიმართ და გამაგებინეთ— ჩემი კანდელი ანთია?“

მომიგეს: „ილოცე და ჩვენ აგინთებთ მას“.

მე ვთქვი: „მე აქამდე[ც] ვლოცულობდი. მაშ რაღას ვაკეთებდი [ამ] დრომდე?!“

შემდგომად ამისა გამეღვიძა და გონს მოვედი. მიმოვიხედე, მაგრამ ვერავინ ვიხილე და ვთქვი ჩემ გულში: „ქრისტეფორე, შენ თუ
306 r გინდა, რომ ცხონდე, || საჭიროა კვლავ ინდომო შრომა“. როდესაც გათენდა, სინას მთისკენ გავემართე და არაფერი წამიღია თან ამ ქვეყნიდან თვინიერ იმ სამოსლისა, რომელიც ტანთ მჭონდა. სინას მთაზე ორმოცდაათ წელს დავყავი. შემდგომად ამისა მოაღწია ჩემამდე ხმამ, რომელიც მეუბნებოდა: „წადი, დაბრუნდი შენ მონასტერში, სადაც ბერად აღიკვეცე და იღწვოდი, რათა შენს მამებთან აღესრულო“. ეს რომ მიამბო, არ უცხოვრია, თუ არ მცირე ხანს, ეიდრე მიიცვალა.

(ოა) მოგვითხრო ანბა თეოდულმა ამ წმიდანის, ქრისტეფორეს შესახებ, რომ ერთ დღეს წავიდა იგი იერუსალიმს, რათა ელოცა. და იხილა მან ერთი ძმა, მდგომარე წმ. გოლგოთას სტოვასთან. იგი არც შედიოდა და არც გამოდიოდა. და აი, ურცხვად ფრინავდა მის წინ ორი ყვავი. ისინი მას თავიანთ ფრთებს სცემდნენ და არ აძლევდნენ საშუალებას სალოცავად შესვლისა. და მიხვდა წმ. ქრისტეფორე, რომ ისინი ეშმაკნი იყვნენ. მან მომითხრო და თქვა, რომ:
306 v მე ვკითხე მას —„ძმაო ჩემო, რატომ || გაჩერებულხარ [და] არ შედიხარ?“

თქვა: „იმიტომ, მამაო, რომ ორი ზრახვა მაქვს. ერთი მეუბნება: შედი ეკლესიაში, ემთხვიე და თაყვანი ეცი ჯვარს. მეორე კი მეუბნება: წადი შენ საქმეზე და მერე შედი“.

როდესაც მოვისმინე მისი სიტყვები, მოვკიდე ხელი და შევიყვანე ეკლესიაში. განივლტო მისგან ორივე ყვავი. თაყვანი სცა მან ჯვარს და წმ. აღდგომას. ხსნილი იქნა მისი გზა და წარემართა ივი მშვიდობით“.

მომითხრო მე ეს ამბავი წმიდა ბერმა, რამეთუ შემატყო, რომ მე ლოცვისადმი გულგრილობას ვიჩენდი, ხოლო მსახურებისადმი ძალზე გულმოდგინე ვიყავი.

61 (CVIII, ოგ)

მოგვითხრო სამო ქალაქის ეპისკოპოსმა, რომ ერთ სოფელში, რომელიც სამი მილის მანძილით იყო ქალაქიდან დაშორებული, იმყოფებოდა ერთი ღირსეული მღვდელი. აიძულეს იგი მშობლებმა

და შერთეს ცოლი. და არ უნდოდა მას, რომ მხოლოდ თვითონ შეენარჩუნებინა უბიწოება, მიუხედავად თავისი ოჯახური [მდგომარეობისა]* იქამდე, რომ მესიის შეწევნით მან თავისი ცოლიც კი დააჯერა, რათა მათ ერთად დაეცვათ თავიანთი სხეულები სიწმინდით, უბიწოებითა || და თავშეკავებით და არ შეეცნოთ ერთმანეთი. 307 r
მან ასწავლა აგრეთვე მას ფსალმუნები და იგი (ცოლი) მასთან ერთად იყო ხოლმე ეკლესიაში. და უმზაკვრა მას (მღვდელს) ხალხმა ეპისკოპოსის წინაშე. [ეპისპოკოსმა] გაგზავნა [კაცი], შეიპყრო იგი და დააპატიმრა.

როდესაც კვირა დღე დადგა, ეჩვენა მღვდელს ერთი ძალზე ლამაზი ჭაბუკი და უთხრა: „ადექ, მღვდელო, წადი შენს ეკლესიაში და ჟამის-წირვა შეასრულე“. ბერმა თქვა: „არ შემიძლია, რამეთუ დაპატიმრებული ვარ“. ჭაბუკმა მიუგო: „ციხის კარებს მე გაგიღებ. წამოდი, გამომყევი!“ როდესაც გაყვა [ბერი], გაუღო მას კარი [ჭაბუკმა] და წინ წაუძღვა, ვიდრე ერთი მილის სიახლოვეზე არ მივიდნენ სოფელთან.

როდესაც გათენდა, მეციხოვნემ მოაკითხა მღვდელს. ვერ პოვა იგი და აცნობა ეპისკოპოსს. ეპისკოპოსმა იფიქრა, რომ იგი ნამდვილად გაიქცა. გაგზავნა მოციქული, რათა ენახა, იყო თუ არა იგი სოფელში [ოღონდ] ისე, რომ არ გამოლაპარაკებოდა. დაბრუნდა მოციქული და აუწყა ეპისკოპოსს, რომ იგი ჟამს წირავს სოფელში. უფრო მეტად გაბრაზდა და განრისხდა ეპისკოპოსი || და დაიფიცა, რომ 307 v
განუწესებდა მას მეორე დღეს უმზეო საკანსა და ჯაფას.

მეორე ღამესაც გამოეცხადა მღვდელს ის ჭაბუკი და უთხრა: „წამოდი, რათა ისევ იმ ადგილას დაგაბრუნო, რომელშიც ეპისკოპოსმა დაგამწყვდია“.

როდესაც მღვდელი ციხეში შევიდა და ციხის უფროსმა ნახა, რომ იგი მოვიდა და მოულოდნელად შევიდა, მან კი ვერ შეიტყო როგორ, წავიდა ეპისკოპოსთან და აუწყა. [ეპისკოპოსმა] გაგზავნა [კაცი], მოიხმო იგი და ჰკითხა: „როგორ გახვედი და შემოხვედი მეციხოვნის შეუმჩნევლად?“

მღვდელმა მიუგო: ერთმა ლამაზმა ჭაბუკმა მშვენიერი ტანსაცმლით [მოსილმა] — როგორ მაუწყა და თქვა, იგი ეპისკოპოსის მსახურთაგან იყო—გამიყვანა და მანვე დამაბრუნა[ო].

ეპისკოპოსმა ყველა თავისი მსახური იხმო. მღვდელმა ვერც ერთი მათგანი ვერ შეიცნო. მაშინ მიხვდა ეპისკოპოსი, რომ ღვთის ანგელოზი იყო ის, ვინც ეს ჩაიდინა, რათა ეჩვენებინა მღვდლის სათნოება მთელი ხალხისათვის. || და ადიდეს მათ ღმერთი, რომელმაც 308 r

---

* შდრ. καίτοι νέος ὢν καὶ νομίμῳ γυναικὶ συζευχθείς.

თავისი მონა განადიდა. სარგებლობა პოვა მისგან ეპისკოპოსმა, განუტევა იგი მშვიდობით და გაიცხა ისინი, რომელთაც უმზაკვრეს მას მის წინაშე.

62 (CXII, ოდ)

ბერძენთა მეფის, ტიბერიოსის, მეფობის დასაწყისში წავედით უსან ქალაქს და ვიხილეთ იქ ერთი ბერძენი წმიდა ბერი, სახელად ლეონი. ჩვენ შორის სიყვარული დამყარდა. ჩვენ მისგან დიდი სარგებლობა ვპოვეთ. იგი გვეუბნებოდა: „მერწმუნეთ, ძენო ჩემნო, მომავალში მე გავმეფდები“. ჩვენ ვუთხარით: „დაგვიჯერე, მამაო ჩვენო, რომ არავინ კაბადუკიელთაგან არ გამეფებულა და ამაოა ამჟამად ეგ შენი ფიქრი“.

როდესაც მოვიდნენ ბარბაროსნი და ააოხრეს ქვეყანა, უსან ქალაქსაც მოაღწიეს. ნახეს იქ მრავალი მონაზონი, დახოცეს და ტყვედ ჩაიგდეს. შეიპყრეს მათ ანბა იოანე, რომელიც იყო კონსტანტინეპოლ-
308 v იდან, ანბა ესტადი და ანბა თეოდორე. და იყვნენ ისინი || ავადმყოფნი, უძლურნი. ანბა იოანემ უთხრა მათ (ბარბაროსებს): „წამიყვანეთ ქალაქში და მე მოვაცემინებ თქვენთვის ეპისკოპოსს ოცდაოთხ დინარს“. მათ გააყოლეს მას ერთი თავიანთაგანი. ანბა იოანე შეევიდა ეპისკოპოსთან, მოუთხრო თავისი ამბავი ამ შემთხვევითურთ და სთხოვა, რომ ეხსნა მას ისინი ბარბაროსთა ხელთაგან. [ეპისკოპოსს] მხოლოდ რვა დინარი აღმოაჩნდა. მისცეს იგი ბარბაროსს. მაგრამ ბარბაროსმა არ ისურვა, რომ აეღო და თქვა: „ან მომეცით ოცდაოთხი დინარი, ან ჩემი თანამგზავრი დამიბრუნეთ“. მაშინ გამოუყვანეს მას მონაზონი მტირალი.

სამი დღის შემდეგ აიღო ეს რვა დინარი იმ ბერმა, რომელიც ამბობდა, რომ გამეფდება, მივიდა ბარბაროსებთან და უთხრა: „აიღეთ ეს რვა დინარი, მეც მიმაყოლეთ და გაათავისუფლეთ ის ავადმყოფნი, რამეთუ სიარული არ ძალუძთ. თქვენ მაინც მოკლავთ მათ მერე და [ახლა] ტყუილად მოდიან თქვენთან. რაც შემეხება მე, ჯანმრთელი სხეული მაქვს, თანაც თქვენთაგანი ვარ“. [ბარბაროსნი] ასეც მოიქცნენ.

როდესაც იგი მათთან მიდიოდა, კანკალმა აიტანა და ვეღარ შე-
309 r ძლო || სიარული. მათ შეიპყრეს იგი და კისერი მოჰკვეთეს. და აღსრულდა მასზე წერილის სიტყვები, რომელიც ღაღადებს, რომ „თავითვსი დადვა მეგობართა თვსთა ზედა“*. მაშინ მივხვდი, რომ ის მეფობა, რომელსაც იგი გულსიხმობდა, ის იყო, რომ დადო მან თავი თავისი ძმისათვის.

* იოანე, 15, 13,

63 (CXIII)

მიველით ანბა იოანესთან და ვთხოვეთ, რომ ეთქვა ჩვენთვის სიტყვა. ბერმა გვითხრა: თქვენ უნდა იყოთ, ძენო, სიღატაკესა და თავშეკავებულობაში. მერწუნეთ, ეგვიპტის უდაბნოში როდესაც ვიყავით ახალგაზრდობისას, ერთი ძმა მამათაგანი (sic) უჩიოდა ნაღველს. ეძებეს ერთი ყლუპი ძმარი უდაბნოს მთელ ხალხში და ვერა პოვეს. ამგვარი იყო იქ [თავშეკავება] სამი ათას ხუთას [კაცში].

64 (CXIV, ოე)

კვლავ მოგვითხრო ამ ბერმა ანბა დანიელის შესახებ, რომ წავიდა იგი ერთხელ, რათა გაეყიდა თავისი ხელ-საქმე. შეხვდა მას ერთი ყმაწვილი კაცი. მან სთხოვა მას და უთხრა: „სიკეთისათვის, ძმაო, გთხოვ—წამომყვე სახლში იმისათვის, რომ ილოცო ჩემი ცოლისათვის, რათა მიწყალობოს ღმერთმა შვილი, რამეთუ იგი უშვილოა".

ბერი წაჰყვა მას. || ილოცა მისთვის (ცოლისათვის) და იგი იმ წელს 309 v
დაფეხმძიმდა. და აი, ხალხმა, რომელსაც არ ეშინია ღვთისა, შეასაზიზღი გახადა ბერი და თქვა, რომ ჰაბუკი უშვილოა. მას მხოლოდ ბერი ანბა დანიელისაგან უჩნდება შვილი. ბერამდე მიაღწია ამ სიტყვებმა. ბერმა გაგზავნა [კაცი] ჰაბუკთან და უთხრა: „როდესაც ცოლი შვილს გაგიჩენს—მაცნობე". როდესაც [ქალმა] შვა, [ჰაბუკმა] შეატყობინა ბერს. მოვიდა ბერი და უთხრა ჰაბუკს: „გამართე სადილი და მთელი ნათესავები და მეგობრები დაპატიჟე". ჭამად როდესაც დასხდნენ, ბერმა აიყვანა ყრმა და ხელებზე დაიწვინა. შემდეგ უთხრა კრებულის წინაშე: „გვაუწყე, ვინ არის შენი შამა, ყრმაო?" ყრმამ დაილაპარაკა, თითი მამისკენ გაიშვირა და თქვა: „ეს". და იყო ყრმა მხოლოდ ოცდახუთი დღისა. მაშინ განცვიფრდნენ ყველანი, რომელნიც იქ ესწრებოდნენ, ადიდეს ღმერთი და მადლი შესწირეს მას.

65 (R. O. Chr., 1900, გვ. 254—261)

კვლავ მოგვითხრეს ჩვენ || ამ წმიდანის, ანბა დანიელის შესა- 310 r
ხებ, რომ წავიდა იგი სკიტეს უდაბნოდან, რომელსაც ეწოდება ვადი ჰაბიბ. მას თან მისი მოწაფეც ახლდა. მიადგნენ ისინი სოფელს მარეისის მიწაზე და საღამო ხანს მის შუაგულში დასხდნენ. მოწაფემ უთხრა: „რამ დაგვსვა აქ, მამაო ჩვენო, ნეტავ რომელიმე ეკლესიისკენ წავსულიყავით და იქ გაგვეთია ღამე!" ბერმა მიუგო: „აქ გავათენოთ

ღამე". მაშინ მოჰყვა მოწაფე წუწუნსა და ლაპარაკს: „ვერ ავიტან მე ამას. შენ მე მხოლოდ ადგილიდან ადგილზე დამატარებ, ეს კი დამღუპავს და ღმერთიც არ იქნება ამით კმაყოფილი". ბერმა უთხრა: „დაჯექ, შვილო ჩემო, და გაჩუმდი, ნამდვილად კარგი იქნება შენთვის!" მოწაფემ მიუგო: „გეფიცები, ბერო, იცოდე, რომ მე შენის მიზეზით გარდავიცვლები". და გაუბრაზდა მას ბერი, როდესაც იმ
310 v ღამეს იგი მას (მოწაფე ბერს) ძალზე შეედავა || აღელვების გამო.

როდესაც დაღამდა, მოვიდა მათთან ერთი მოხუცი, მაღალი კუზიანი ერისკაცი ჯაღარა თავითა და წვერით. მას თან ლამპარი ჰქონდა შენახული. იგი სოფელს უვლიდა გარს. როდესაც დაინახა ანბა დანიელი, მუხლი მოუდრიკა მას თაყვანისცემით, ემთხვია თავზე, ხელებსა და ფეხებზე დიდის გოდებით და უთხრა მათ: „წამოდით სახლში".

შემდეგ შემოუარა სოფლის დარჩენილ [ნაწილს] და ყოველი უცხოელი, რომელიც იქ ნახა, შინ მიიყვანა. დაბანა მათ ფეხები, დაუდგა მაგიდა და ავახშმა. საახლში მასთან მის გარდა სხვა არავინ იყო. როდესაც ივახშმეს, აიღო მათი ნარჩენები და სოფლის ძაღლებს გადაუყარა გარეთ. იგი ასე მოიქცა, რამეთუ მეტი არაფერი ჰქონდა მეორე დღისთვის გადარჩენილი*. მაშინ დასხდნენ ერთ ადგილას ანბა დანიელი, ის მოხუცი და მოწაფეც მათთან ერთად. და არ შეუ-
311 r წყვეტია ორივეს მთელი ღამე ჩუმად თხრობა ამბებისა || მშვენიერისა, ღვთიურისა, რითაც სული სარგებელს პოვებს და განკუთვნილია მისთვის, ვინც ესავს. დილით თითოეული მათგანი გამოეთხოვა თავის მასპინძელს და ანბა დანიელი სკიტესკენ გაემართა.

როდესაც ისინი გზას გაუდგნენ, მოწაფემ უთხრა თავის მოძღვარს, მოუდრიკა რა მუხლი თაყვანისცემით: „ყავ სიკეთე, მამაო და მაუწყე—ვინ არის ეს მოხუცი, რომელიც თავისთან გაგვიმასპინძლდა, როგორია მისი მდგომარეობა და შენ საიდან იცნობ?" ბერმა არ ისურვა, რომ მოეთხრო რაიმე. მაშინ [მოწაფემ] კვლავ თაყვანისცემით მოუდრიკა მუხლი ბერს, დაუწყო ფეხებზე ამბორი. თხოვნა ლაპარაკი: „მრავალი დაფარული იმისაგან, რაც შენთვის ღმერთს გაუმჟღავნებია, შენ ჩემთვის მოგინდვია. თან მეუბნები, რომ მე ვარ შენი უველაზე საყვარელი და რჩეული მოწაფე. მაშ რად მიმალავ ამ მოხუცის ამბავს?"

გაჯიუტდა ანბა დანიელი, არ ისურვა დალაპარაკებოდა თავის მოწაფეს და არ მოუთხრო მას არაფერი, ვიდრე თავის მონასტერს

---

* შდრ. Οὕτως γὰρ εἶχεν ἔθος ποιεῖν, καὶ οὐκ ἦφιεν ἀπο ἑσπέρα εἰς τὸ πρωϊψιχίον μίαν.

არ მიაღწიეს. ბერს ჩვეულებად ჰქონდა —დროდადრო ეპამა მხოლოდ ის საჭმელი, რომელიც მისთვის მის მოწაფეს მოჰქონდა. მოწაფეს კი ერთი წელი || ყოველ ღამე მზის ჩასვლისას მოჰქონდა მისთვის რა- 311 v
ინც საკვები. შემდეგ ავახშმებდა იმითი ბერს და თავის სენაკში გამობრუნდებოდა. ამის [გამო] იყო, რომ ბერს თავის სენაკში არავითარი საჭმელი არ გააჩნდა, თვინიერ იმისა, რაც მისთვის მოწაფე[ს] მოჰქონდა. იმან კი მიატოვა ბერი იმ დღეს საღამომდე და არ მოუტანა საჭმელი თავისი ჩვეულებისამებრ.

როდესაც ნახა იმ ბერმა, რომ [მოწაფემ] დაუგვიანა და არ მოუტანა ხორცთა სახმარი, წავიდა მასთან სენაკში და უთხრა: „რაა შენს თავს, ძო ჩემო, რატომ გაწირე დღეს მამაშენი შიმშილისაგან სასიკვდილოდ სიბერეში?“

მოწაფემ მიუგო, უთხრა რა: „არა მყავს მე მამა. მე რომ მამა მყოლოდა, მას ნამდვილად ეყუარებოდა თავისი შვილი“. ბერმა უთხრა: „შენ თუ მამა არა გყავს, მაშინ მშვიდობა შენდა!“ და გამობრუნდა თავისი სენაკისაკენ.

დაღონდა მაშინ მოწაფე და გამოვიდა მის საძებრად. მოეხვია მას (ბერს), ემთხვია, იტირა და დაუწყო ლაპარაკი: „ცოცხალი არს იგი, ქრისტე ღმერთი, მე არ მომიხმიხარ, რათა წასულიყავი და ნაშდვილად მიგეტოვებინე, თუ მომითხრობდი მთლიანად იმ მოხუცის ამბავს“. ||

ეს [უთხრა იმიტომ,] რომ მოწაფეს არ შეეძლო ერთი წუთით 312
ენახა თავისი ბერი დაღონებული, რამეთუ მას იგი ძალზე უყვარდა. ბერსაც აგრეთვე ასევე უყვარდა იგი. მაშინ ბერმა უთხრა: „წადი, მომიმზადე რაიმე, რომ ვჭამო. შემდეგ ჭეშმარიტად მე მთლიანად გიამბობ იმ მოხუცის ამბავს“.

მოწაფე წავიდა და მოუმზადა საჭმელი. ბერიც შეექცა თავის ხორცთა სახმარს. შემდეგ უთხრა მოწაფეს: დაჯექი, შვილო ჩემო, რათა გიამბო. მისმინე: ნუ აღმოჩნდები მონის სატანჯველში. ნურც იმას გაუწევ ნურასდროს მეტოქეობას, ვინც შენზე დიდია, მაგრამ გაფრთხილდი. აი, მე გიამბობ შენ, შენ კი არაფის მოუთხრო, ვიდრე მე ცოცხალი ვარ.

შენ ნახე ის კაცი. გაუწყებ, რომ მისი სახელი არის ევლოჯი. იგი ქვის მჭრელია. ყოველ დღე თითო კარატ ოქროს შოულობს თავისი შრომით. მთელი დღე მარხულობს. საღამო ხანს კი იმ კარატით საჭმელს ყიდულობს და შინ მიდის. შემდეგ შემოუელის მთელ სოფელს. ვისაც ნახავს ყარიბს, წაიყვანს თავის სახლში. სტუმრად მიიღებს. ფეხებს დაბანინებს. შემდეგ ავახშმებს და რაც გადარჩება || ეახშამს. იმას 312 v

სოფლის ძაღლებს გადაუგდებს, როგორც შენ უკვე იხილე. ეს არის მისი საქმიანობა დაახლოებით ერთი წლის ასაკიდან. (?) აი მაშინ, ორმოცი წლის წინათ, მე ახალგაზრდა ვიყავი. მივედი მის სოფელში ჩემი ხელ-საქმის გასაყიდად. როდესაც მოსაღამოვდა, აი, უცებ გამოვიდა იგი, წამიყვანა თავის სახლში, გამიმასპინძლდა და იმგვარად მომექცა, როგორც შენ უკვე ნახე [რომ] მოიქცა. როდესაც შევიტყვე მე მთელი მისი ამბავი, განმაცვიფრა მისმა ღვთისნიერმა საქციელმა. როდესაც ჩემ მონასტერში მივედი, გამოვიკეტე სენაკში და დავიწყე შეუწყვეტლივ მარხვა კვირით კვირამდე და შევევედრე ღმერთს გულწრფელი ვედრებით და ვთხოვე, რომ ეწყალობებინა ევლოჯისათვის ბევრი ფული, რათა უფრო მეტად გაეკეთებინებინა მისთვის სიკეთე.

ერთ ღამეს შემდგომად მძიმე მარხვისა და ხშირი უძილობისა, მკვდარივით დავვარდი და დავიძინე. და ვიხილე ძილში ერთი ლამაზი ბერი, რომელიც მოვიდა ჩემთან და მითხრა: „რაა შენ თავს, დანიელ?“ მე მივუგე თავს ძალის დატანებით: „არ ვჭამ, არ ვსვამ.
313 r ოღონდაც მისმინოს || უფალმა და უწყალობოს ევლოჯს ბევრი ფული, რათა მისით ღმერთმა მრავალ ხალხს არგოს“.

მაშინ მითხრა მოხუცმა: „ევლოჯი კარგად არის და დაეხსენ, [იყოს] როგორცაა!“

მე ვთქვი: „არა, უფალო, პირიქით უწყალობე ფული, რათა ბევრ ხალხს არგოს და ადიდონ მათ შენი წმიდა სახელი“.

კვლავ მითხრა: „მე შენ გეუბნები დაეხსენ, რამეთუ იგი კარგად არის*. ხოლო შენ თუ გინდა, რომ მე მას ფული ვუწყალობო, მაშინ თვით მის თავდებად დამიდექ, რომ იგი გაუფრთხილდება იმ ფულს და მე მივცემ იმას, რასაც შენ მისთვის მთხოვ“. მე მივუგე: „ჩემით განიკითხე იგი“.

შემდეგ ვიხილე—თითქოსდა ვიყავი აღდგომის ეკლესიაში და აი, ჭაბუკი ვინმე იჯდა წმიდა ქვაზე, რომელიც წმიდა საფლავის კარებთანაა. ევლოჯი მის მარჯვნივ იდგა. და გამომიგზავნა იმ ჭაბუკმა კაცი თავის გარშემო მყოფთაგან და მკითხა: „შენა ხარ ევლოჯის თავდები?“ მივუგე: „დიახ, უფალო!“ ჭაბუკმა მითხრა: „ჰეშმარიტად შენ მოგთხოვ პასუხს“. ვუთხარი: „კარგი, უფალო, მაგრამ მას ძალზე ბევრი აქვს კურთხევა“. ||

313 v შემდეგ ვიხილე მე: ორი კაცი ევლოჯის ქვებში აურაცხელ ფულსა ცლიდა. ყოველივე, რასაც ისინი ცლიდნენ, ევლოჯის ქვებს მაღლა წევდა და ავრცობდა. და გამეღვიძა მე [და] შემდეგ მადლი ვუძღვენი ღმერთს.

---

* შდრ. καλῶς ἔστιν.

მეორე დღეს წავიდა ევლოჯი ქვების სატეხად. მივიდა კლდესთან და როდესაც დაარტყა, მოესმა, რომ მას ღრმული აქვს. დაარტყა. პატარა ქვა იპოვა. კვლავ უმატა [დარტყმას] და აი, იგი დინარებით აცილ ქვაბთან აღმოჩნდა. შეცბა და განცვიფრდა [ევლოჯი]. შემდეგ თქვა თავის გულში: „ჯერ არს, რომ ეს ფული ისრაელთა ძეთა დროიდან ყოფილიყო, მაგრამ რა გამოსავალი არსებობს ამ ფულთან დაკავშირებით? თუ წავიღებ ჩემს სოფელში—მეშინია, რომ ვალი გაიგებს და წამართმევს. ვეღარც დავიხსნი მისგან ჩემი სურვილისამებრ. არა, უმჯობესია წავიღო იგი სხვა ქვეყანაში, სადაც არ მიცნობენ და იქ ვიყო“. წავიდა ევლოჯი, დაიქირავა სახედრები, ვითომ უნდოდა, რომ ქვები წაეღო და დატვირთა ისინი იმ ფულით. შუაღამეს წაიღო იგი (ფული), მოათავსა გემზე და მიაცურა ბერძენთა მიწაზე. და უარყო მან პატიოსანი შრომა || და ოქროს კარატები. 314 г

შემდეგ იარა მან, ვიდრე კონსტანტინეპოლს არ მივიდა. მაშინ ბერძენთა მეფე იყო ქრისტესმოყვარე იუსტინე. და არ შეუწყვეტია [ევლოჯს] იმ ფულით მოქრთამვა და მაამებლობა მათი. რომელნიც მეფეს იყვნენ შეფარებულნი უფროსთაგან და პატრიკიოსთაგან. მეფეს საჩუქრებს უძღვნიდა, ვიდრე არ გახდა სასახლის ერთერთი დიდებული. შეიძინა მცენარეებით სავსე ადგილები და მრავალი სახნავ-სათესი ეგვიპტურად წოდებული, რამეთუ ევლოჯი ეგვიპტელი იყო და დღემდის ისინი, ასევე, ეგვიპტურად იწოდებიან.

რამდენიმე წლის შემდეგ ვიხილე ძილში, ვითომ ვიყავი აღდგომის ეკლესიაში. და აი, მე აღმოვჩნდი იმ ყმაწვილის წინაშე. [რომელიც] თავის ადგილას იჯდა. მე ვთქვი ჩემს გულში: „ევლოჯი სად არის ?ვეღარ ვხედავ მას, სადაც ვხედავდი ხოლმე მდგომარეს“. ცოტა ხნის შემდეგ ვიხილე ევლოჯი. იგი ამ ჭაბუკის წინ თავის გზას მიჰყვებოდა.

გავიღვიძე მე და დავიწყე გულში ვიშვიში: „ვაი მე, ვაი მე. მე ცოდვილმა რისთვის დავიღუპე თავი?!“ და ავიღე მაშინ ჩემი კვერთხი და ევლოჯის სოფელს მივაშურე. დავჯექი მე ჩემი ჩვეულებისამებრ. || ვიმედოვნებდი, რომ ევლოჯი მოვიდოდა და თანახმად თა- 314 v
ვისი წესისა, სახლში წამიყვანდა. ვიჯექი, ვიდრე არ მოსაღამოვდა. იგი არ მოვიდა. შემდეგ წავედი ერთ მოხუცებულ ქალთან, რომელიც სოფლის განაპირას ცხოვრობდა და ეუთხარი: „დედავ. მომეცი ცოტა პური, რამეთუ დღეს არაფერი მიჭამია“. მან შეასრულა [ჩემი თხოვნა]. როდესაც ვეახშმობდი, მან დამიწყო სასარგებლო ამბების თხრობა, შეგონება და ლაპარაკი: „არ გესმის, ძეო ჩემო, ჭეშმარიტად ახალგაზრდა ხარ. შენ მონაზონი ხარ და არაა საჭირო, სოფლებს გარს უარო. შენ არ იცი, რომ მონაზვნობას ხამს განცალკეევე-

ბა, განმარტოება და ქვეყანასთან ურთიერთობისაგან განშორება?!“

მე ვუთხარი: „რა ვქნა დედავ, ჩემთვის აუცილებელია ჩემი ხელ-საქმის გაყიდვა“. მან მომიგო: „შენ თუ შენი ხელ-საქმის გაყიდვა გსურს, მაშინ ნუ დადიხარ და სოფლებში ღამეს ნუ ათევ. თუ ჭეშმარიტად გინდა, რომ მონაზონი იყო, მაშინ უდაბნოა შენთვის აუცილებელი“. და ვუთხარი მაშინ მე: „მიხსენ ამ შენი ლაპარაკისაგან. ეს გამაგებინე—არ არის შენს სოფელში ის ქრისტესმოყვარე კაცი. რომელიც უცხოელთ იღებს და ღატაკთ აგროვებს?“

315 r მან თქვა: „ო, ვინ არის შენი მონაზონი? რას ლაპარაკობ || მის შესახებ?“* აქ ჩვენთან იმყოფებოდა ერთი კაცი. იგი ქვის მჭრელი იყო. კეთილად ექცეოდა უცხოელებს და თავის სახლში უყრიდა მათ თავს. როდესაც იხილა ღმერთმა მშვენიერება მის მოქმედებისა, წყალობა მოიღო მასზე და ფული მისცა. და გახდა იგი პატრიკიოსი კონსტანტინეპოლს“.

როდესაც მოვისმინე ეს მოხუცისაგან, თავს ზარი დამეცა და ვთქვი: „მე ვარ ის, რომელმაც ჩემ თავს ეს ავუტეხე“. მაშინ წავედი კონსტანტინეპოლს და არ შემიწყვეტია გამოკითხვა, ვიდრე [ევლოჯის] სახლთან არ აღმოვჩნდი. ვიჯექი მის კარებთან, სანამ არ მოვიდა. და ვიხილე იგი განდიდებული დიდ პატივსა და ღირსებაში, მის ირგვლივ მრავალრიცხოვანი ამალა იყო. მე მას ძახილი დავუწყე. ვეუბნებოდი რა: „შემიწყალე, უფალო ჩემო, ჭეშმარიტად თხოვნა მაქვს შენთან, მინდა საიდუმლოდ მოგელაპარაკო“. მომიბრუნდნენ მის გარშემო მყოფნი, გამაგდეს, ახლოს არ მიმიშვეს მასთან და მე მას ვეღარ დაველაპარაკე. შემდეგ წავედი, ღონე მოვიკრიბე და გზაზე გადავუდექი ისე, რომ როდესაც ახლოს მოვიდა, დავუძახე და დახმარება ვთხოვე. ისინი კი, რომელნიც მის გარშემო იყვნენ, მაგდებდნენ.

315 v მცემდნენ, || მასთან დალაპარაკებას მიშლიდნენ, ვიდრე მან არ ჩამიარა. ოთხი კვირა გავატარე ამ ყოფაში—სრულებით ვერ მოვახერხე მასთან ლაპარაკი.

როდესაც ვიხილე ეს, ავღელდი, შევძრწუნდი და გული შემეკუმშა. წავედი ერთ-ერთ ეკლესიაში და წმ. მარიამის ხატის პირდაპირ პირქვე დავემხე. ვიწყე ტირილი დიდის ტირილით, თან ჩემს უფალს შევთხოვდი და ვამბობდი: „უფალო, გამათავისუფლე ევლოჯის თაყვანებობისაგან. თუ არა და, მაშინ მე მივატოვებ მონაზვნობას და ერისკაცობას დაეუბრუნდები“.

როგორც კი ვთქვი ეს, პირქვე ვიქენი დანარცხებული. მომერია ძილი და დამეძინა, თითქოსდა მე [ჩემით დამეძინოს]. და აი, უამრავი სალხის ხმაური შემომესმა, რომელნიც ამბობდნენ: „ეს დედოფალ-

* შდრ. Ὦ τὴ ἐλάλησας.

მოდის!“ (sic) მის წინაშე ათას-ათასნი იყვნენ. მე ხმით შევტირე მას და ვთქვი: „შემიწყალე, ჩემო დედოფალო!“ იგი გაჩერდა და მკითხა: „რა გინდა?“ ვუთხარი: „მე ვარ ევლოჯის, პატრიკიოსთა უფროსის, თავდები და უბრძანე მას, რომ გამათავისუფლოს თავისი თავდებობისაგან“.

მან მომიგო: „მე ვერ შეგიწყალებ და შენ როგორც || გინდა, 316 r
ისე მოექეცი შენს თავდებობას“.

მაშინ გამეღვიძა მე და ვთქვი: „ვაი მე ცოდვილს, დავიღუპე ჩემი თავი!“ და მოვყევი ლაპარაკს: „თუ [ასე] წავიდა ჩემი საქმე, მოვკვდები მის კარებთან, არ წამოვალ, ვიდრე არ დაველაპარაკები“. და კვლავ წაველი და დავჯექი მის კარებთან, სანამ არ გამოვიდა. და დავუწყე მას ძახილი, ვეუბნებოდი რა: „შემიწყალე, ჩემო ბატონო, შემიწყალე!“ მისი მეკარე მომიბრუნდა და არ შეუწყვეტია მას ჩემი ცემა მათრახით, ვიდრე ხორცი არ დამაგლიჯა. მაშინ ავღელდი, გავმწარდი და ჩემ თავს ვუთხარი: „უდაბნოსკენ გაუყევი საცოდავო, ღმერთს თუ სურს ევლოჯის გადარჩენა, გადაარჩენს!“

წაველი მაშინ ზღვის ნაპირისაკენ, შევხვდი გემს აღმოსანდრიიდან [მომავალს] და ჩავჯექი შიგ ჩემს სამყოფელში დასაბრუნებლად. დიდი მწუხარებისა და დარდის გამო გემზე ძილი მომერია და დამეძინა. და ვნახე, ვითომ ვიყავი აღდგომის ეკლესიაში. ის ჭაბუკი თავის ადგილას, წმ. ქვაზე, იყო. მან სასტიკი მრისხანებით შემომხედა. || ჩემდამი მისი შემოხედვის საშინელი ძალისა- 316 v
გან მთელი სახსრები ამომივარდა ბუდიდან, პირი მომეკუმა და შიშისაგან გული გამიქვავდა. მან ბრძანება გასცა ჩემ შესახებ და მე დამიჭირეს, ხელები უკან გამიკრეს, თავქვე ჩამომკიდეს და დამიწყეს წამება და ლაპარაკი: „თავს ნუ იდებ ისეთ რამეს, რაც არ ძალგიძს, და უფალსაც ნუ ეურჩები!“* მე არ შემეძლო დალაპარაკება. როდესაც ჩამოკიდებული ვიყავი აი, ხმამ თქვა: „ეს დედოფალი მოდის“. მაშინ მე ცოტა გავთამამდი, დავუწყე ძახილი, დახმარების თხოვნა და ლაპარაკი: „შემიწყალე, დედოფალო ქვეყნისა!“ მან მკითხა: „კიდევ რა გინდა?“ მე მივუგე: „ევლოჯის თავდებობის გამო კარ ჩამოკიდებული“. მითხრა: „შევავედრებ შენს თავს“.

როდესაც იგი ჭაბუკთან მივიდა, დაუწყო მას ფეხებზე ამბორი და თხოვნა. ჭაბუკმა მითხრა: „კვლავაც აღარ ითავო ისეთი საქმე, რომლის ძალა არ შეგწევს“. მე ვუთხარი: „აღარ ვიქმ, უფალო, რამეთუ მე მხოლოდ ვვარაუდობდი, რომ რატომღაც მისთვის კარგი იქნებოდა, რასაც მე ვფიქრობდი, მაგრამ ცუდი ვქმენ, მომიტევე!“ მაშინ მან უბრძანა || მის გარშემო მყოფთ. მათ გამათავისუფლეს 317 r

---

* შდრ. μὴ ἀντίλεγω τῷ Θεῷ.

და მან მითხრა: „წადი შენს სენაკში, ნუ გადარდებს მისი საქმე. ამიერიდან მე ევლოჯს მის ადრინდელ ყოფას დავუბრუნებ".

გამოვფხიზლდი. ძალზე გავიხარე როდესაც ღმერთმა მიხსნა ევლოჯის თავდებობისაგან და დიდის სიხარულით გავემართე ჩემი სენაკისაკენ. სამი თვის შემდეგ გავიგე, რომ მეფე იუსტინე მიიცვალა და მის ადგილას გამეფდა მისი დისწული იუსტინიანე. მის წინაალმდეგ ამხედრდნენ აბატიუსი, დექსიკრატე, მინი და მათთან ერთად აგრეთვე ევლოჯიც. პატრიკიოსთა უფროსი. ამ [ამბავმა] მეფემდე მიაღწია. მან ბრძანა მოკვლა ყველასი და მათი ქონების მიტაცება. რაც შეეხება სამს, ისინი მოკლეს, მათი ქონება კი წაიღეს. რაც შეეხება ევლოჯს, მისი ქონება მთლიანად მიიტაცეს. იგი კი შუაღამით გაიქცა და თავის სოფელს შეაფარა თავი. მეფემ ბრძანა: სადაც არ უნდა დაეჭირათ იგი—მოეკლათ.

როდესაც თავის სოფელში მივიდა ევლოჯი, თავისი ძველი ტან-
317 v საცმელი ჩაიცვა. როდესაც გაიგო ხალხმა || მისი სოფლისამ, რომ იგი უკვე მოვიდა, გამოვიდა, რათა მოეკითხა იგი. მათ უთხრეს: „გავიგეთ, რომ შენ კონსტანტინეპოლში პატრიკიოსი გამხდარხარ".

მან მიუგო მათ: „მე რომ პატრიკიოსი გავმხდარიყავი, თქვენ არასდროს არ შემოგხედავდით სახეში. მე იგი არა ვარ. ის სხვა ევლოჯია, მხოლოდ ამ ჩვენი ქვეყნიდან. რაც შემეხება მე, მხოლოდ იერუსალიმს წავედი, რათა მელოცა".

თავის გულში დაიწყო მან მაშინ ლაპარაკი: „ევლოჯ, საცოდავო. აიღე შენი სატეხი და წადი—ტეხე ქვები შენი ჩვეულებისამებრ! არ არის აქ მეფის სასახლე. შენთვის იგი (სატეხი) ხმლით თავის მოკვეთაზე უმჯობესია". და აიღო მან თავისი სატეხი. შემდეგ იმ კლდისკენ გაემართა, რომელშიც ფული იპოვა. იგი ფიქრობდა, რომ კვლავ ნახავდა ფულს. ურტყა შიგ დილიდან შუა დღემდე, მაგრამ ვერაფერი ვერ ნახა. და დაიწყო მან გახსენება მშვენიერი საჭმელ-სასმელისა, რომელიც კონსტანტინეპოლს იყო, იმ კრებულისა, რომელიც გარს ეხვია, იმ სიუხვისა, რომელიც იქ სუფევდა. იგი ამბობდა
318 r თავის გულში: „დაადექ || შენს საქმეს, საცოდავო! შენ ეგვიპტეში ხარ და არა კონსტანტინეპოლში. განა შენთვის არაა საკმარისი, რომ თავი შეგრჩა ცოცხალი?!"

ამგვარად ჰაბუკმა და წმ. დედოფალმა მარიამმა დააშოშმინეს* იგი იქამდე, რომ ის თავის ძველ მდგომარეობას დაუბრუნდა. არ არის ღმერთი უსამართლო თავის მონათა მიმართ და არ ივიწყებს იგი მათ წარსულ ღვაწლს.

რამდენიმე ხნის შემდეგ მე ევლოჯის სოფელში მივედი. ჩვეუ-

---

* შდრ. κατέστησεν αὐτὸν.

ლებისამებრ სოფლის განაპირას ვიჯექი, ვიდრე არ მოსაღამოვდა. და აი, [საღამოს] მე ეკლოჯის წინაშე აღმოვჩნდი, რომელიც წარმოსდგა თავისი კეთილი იერით. თავისი წესისამებრ, მან შინ წამიყვანა. როდესაც ვიხილე იგი, მადლი მოვახსენე ღმერთს და ვადიდე იგი. შემდეგ ვთქვი: „რა დიდი არს საქმე შენი, უფალო, რამეთუ შენ ყველაფერს ბრძნულად ქმნი! რომელი დიდი ღმერთია მსგავსი ჩვენი ღმერთისა, რომელიც გლახაკს ნეხვის გროვიდან წამოაყენებს, ღარიბს მიწიდან ააყენებს, აღადგენს და დააყენებს იმას, ვისაც ძალუძს ჩაწვდეს შენ საკვირველებებსა და გადაწყვეტილებებს?! უფალო, მე
ვარ || ცოდვილი, რომელიც ისეთ საქმეს მოვეჯიდე, რომლის ძა- 318 v
ლი არ შემწევდა და თუ არა შენი წყალობა, უფალო, ჩემი სული დამკვიდრდებოდა ყველაზე შორეულ [ადგილას] ჯოჯოხეთისა“.

შემდეგ ჰეშმარიტად ეკლოჯიმ წამიყვანა, ფეხები დამაბანინა და მავახშმა თავისი ჩვეულებისამებრ. ვახშმის შემდეგ მე ვკითხე: „როგორა ხარ დღეს, ეკლოჯ?“ მითხრა: „იღლიც ჩემთვის, მამაო, რამეთუ მე ღატაკი კაცი ვარ, არაფერი გამაჩნია“.

მე ვუთხარი: „ო, ნეტავ რაც გქონდა, ისიც არ გქონოდა!“

მკითხა: „მონაზონო, ბრალს მდებ რამეში?“

მე მივუგე: „რიღასთვის გდებ ბრალს?!“ და დავუწყე მას თხრობა და ვუამბე მთელი ჩემი და მისი თავგადასავალი. მაშინ ვიტირეთ ჩვენ დიდის ტირილით. შემდეგ მადლი მოვახსენეთ უფალს ყველა შემთხვევათა გამო. მან მითხრა: „კიდევ იღლიც ჩემთვის, მამაო, რათა შომცეს ღმერთმა ფული და ამიერიდან მე გამოვსწორდები“.

მე ვუთხარი: „არა და ნამდვილად, ძეო ჩემო, იმედი ნუ გაქვს, რომ უფალი ისევ მოგანდობს რაიმეს ამ ქვეყნად, თვინიერ იმ ოქროს კარატისა, რომელსაც შენ შენი შრომით შოულობ“. და არ შეუწყვეტია || მისთვის ღმერთს მისი სიცოცხლის მთელ დღეთა მანძილ- 319 r
ზე კარატი ოქროს მიცემა და იგი მას იყენებს [ისე], როგორც შენ უკვე ნახე.

ასეა. ახლა მე უკვე იმ მოხუცის მთელი ამბავი გიამბე. შენ არ მოუთხრო მის შესახებ არავის, ვიდრე მე ცოცხალი ვარ. ო, მათ გაუკირდებათ ახლა როგორ წამოაყენებს ღმერთი მცირედის გამო მას, ვინც უყვარს და დაუწესებს იმას, რაც მას არგებს. უხმეთ ღმერთს თქვენ სულთა გამო, რათა არ წარგხოცოთ შეუმჩნევლად. რათა პოვოთ მისი მრავალი წყალობა იმ დღეს, როდესაც წარსდგება ყოველი ადამიანი ანგარიშის საგებლად თავისი საქმიანობის შესახებ. ისწრაფეთ ჩვენი დედოფალი წმ. მარიამისა და ყველა წმიდანისაკენ, რათა გვიშუამდგომლონ ჩვენი უფლის, სიწმინდით ქებული ქრის-

ტეს წინაშე, რამეთუ იგი არის დიდება, კეთილშობილება და ძლიერება უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

66

კვლავ წავიდნენ ერთ დღეს ეს წმიდანი ანბა დანიელი და მასთან ერთად მისი მოწაფე ალექსანდრიაში. და იყო იქ ერთი კაცი, რომელიც თავის ვაჟიშვილთან ერთად ცხოვრობდა. მის ვაჟიშვილს ახალგაზრდა ლამაზი ცოლი ჰყავდა. სულთა მტერმა ეშმაკმა გააღვივა
319 v || მოხუცის, მამამისის, გულში ლტოლვა ამ ქალისადმი შეცოდების სურვილით. დიდი ვნების გამო, იგი განმარტოებას ეძიებდა, რათა აესრულებინა თავისი ბილწი წადილი.

ერთ დღეს მივიდნენ მეთევზეები, რომელნიც მისი ვაჟის ამხანაგები იყვნენ და უხმეს მას მათთან ერთად ზღვაზე წასასვლელად, რათა ეთევზავათ მეგობრებს, რამეთუ ჰაბუკი მეთევზე იყო. როდესაც ჰაბუკი, მისი ვაჟი, წავიდა, მამა ქალთან შევიდა, ეწადა რა იგი ცოდვისათვის. [ქალმა] ჰკითხა: „ეგ რა მოგინდომებია, რომ ჩაიდინო? პირჯვარი გარდაისახე პირისახეზედაც და გულშიც და ღმერთი ახსენე, რამეთუ შენ ეშმაკეული საქმე გწადია მაშინ, როდესაც ღმერთი [ამას] გიკრძალავს“. მაგრამ [მოხუცი] არ წავიდა, პირიქით დაუჟინა. ქალმა არ ისურვა მისი ბილწი წადილის გაზიარება. საწოლზე მისი (მოხუცის) ვაჟიშვილის ხმალი იყო აღმართული. [მოხუცმა] აიღო ხმალი ხელში, რათა ამით შეეშინებინა იგი. მან გაწმინდა ხმალი და უთხრა: „თუ არ დამნებდები, ამ ხმალს დაგარტყამ“. ქალმა მიუგო: „ნაწილ-ნაწილ რომ დამჭრა, მე შენ ამაზე არ დაგთანხმდები“. მოხუცმა დასცა ქალს ხმალი, დაარტყა ზურგზე და ორად გადაჭრა. და
320 r დაბნელდა მყის || მისი მხედველობა და დააბრმავა იგი ღმერთმა. დაუწყო მან კარს ძებნა და ვერ ნახა.

მოვიდნენ სხვა მეთევზეები, რომელნიც აგრეთვე სათევზაოდ ეძებდნენ ჰაბუკს. მოხუცმა უთხრა მათ: „სათევზაოდაა წასული, მაგრამ მაჩვენეთ კარი, რამეთუ მე ვერა ვხედავ“. უთხრეს: „ეს არის კარი“. შევიდნენ და იხილეს მოკლული ქალი. ჰკითხეს: „ეს რა ამბავია“. მან მიუგო მათ: „დამიჭირეთ, რამეთუ მე მოვკალი მოკლული“. როდესაც მოისმინეს ეს მისგან, შეიპყრეს და ქალაქის მმართველთან წაიყვანეს. მმართველმა გამოჰკითხა მას ამ ამბის თაობაზე. მან მოუთხრო, რაც მოხდა. [მმართველმა] შეიპყრო იგი და დასაჯა იმის გამო, რაც ჩაიდინა.

შეიტყო აგრეთვე ეს ამბავი ანბა დანიელმა. მან თავის მოწაფეს უთხრა: „წავიდეთ, ძეო ჩემო, რათა ვნახოთ იგი (ქალი)“. მივიდ-

ნენ ერთ-ერთ მონასტერში და ანბა დანიელმა თქვა: „ჯერ არს, რომ ეს ქალი მონაზვნებთან იქნეს დასაფლავებული“. ზოგიერთი მონაზონისათვის ეს უსიამოვნო აღმოჩნდა. ანბა დანიელმა თქვა: „ეს ქალი მოწამეა, რამეთუ იგი ღმერთის მცნების შესასრულებლად აღესრულა უბიწოდ“. [მაშინ] შეისმინეს ბერის სიტყვა და დამარხეს იგი მამებთან. და წავიდა ბერი თავისი სამყოფელისკენ .

67 (R. O. Chr., 1900, გვ. 66—67)

ერთ დღეს ერთ-ერთი ძმა ძლეული იქნა სიძვით. მიაშურა მან ანბა დანიელს || და მოუთხრო თავისი [ვნებათ] ბრძოლის შესახებ. 320 v
ბერმა უთხრა: „წადი ამა და ამ მონასტერში, დაემხე მამათა სასაფლაოზე, ილოცე და თქვი: „ო, უფალო თომა*, შემეწიე, განმამტკიცე და მიხსენი ამ ბრძოლის ბოროტებისაგან!“ მე მჯერა და ვიმედოვნებ, რომ ღმერთი აგაცდენს ამ ბრძოლას“. და წავიდა ძმა და მოიქცა [ისე], როგორც უბრძანა ბერმა.

სამი დღის შემდეგ დაბრუნდა იგი ბერთან და აუწყა: „ჰეშმარიტად ღმერთმა შენის ლოცვის მეოხებით მიხსნა იმ ბრძოლისაგან“. ბერმა ჰკითხა: „როგორ?“ და მოუთხრო ძმამ და უთხრა: „წავედი მე, შევასრულე თორმეტი მეტანია და დავიძინე მამათა სასაფლაოზე. და გამომეცხადა ქალიშვილი ერთი და მითხრა: „აიღე ეს ევლოგია** და წადი შენს სენაკში“. ავიღე მისი ევლოგია და მყის გაქრა [ვნებათ] ბრძოლა. არ ვიცი კი, რა იყო მისი ევლოგია“. ადიდა მაშინ ბერმა ღმერთი და თქვა: „ასეთი გულწრფელი დამოკიდებულების*** ღირსნი ისინი არიან, რომელნიც მცნებებს იცავენ ჩვენი უფლის ქრისტეს კურთხევით, რომელსაც აქვს ქება, დიდება და მადლი უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

68 (CXIX; დამ. II, თხრ. 11)

მოგვითხრო ანბა ევსებიმ, რაითის მონასტრის მღვდელმა, რომ ეშმაკმა || მიიღო მონაზვნის შესახედაობა და მიუკაკუნა ერთ-ერთ 321 r
ბერს სენაკში. ბერმა გაუღო მას და მონაზვნების ჩვეულებისამებრ უთხრა: „ილოცე!“ ეშმაკმა თქვა: „აწ და უკუნითი უკუნისამდე, ამინ!“ ბერმა კვლავ მიმართა მას: „დიდება მამას, ძეს და სული წმიდას აწ და უკუნითი უკუნისამდე მარადის“. როდესაც ბერმა ეს ლოცვა წარმოთქვა, ეშმაკი გაიქცა, ცეცხლივით გაქრა და კვლავაც აღარ გამოჩენილა.

---

* შდრ. ὁ Θεὸς Θωμάϊδος.

** შდრ. ἡ εὐλογία.

*** შდრ. ἡ παρρησία.

69 (CXXII, ნაწილი მეორე)

მოგვითხრო აგრეთვე დედა დამიანემ და თქვა, რომ: ვიდრე სენაკში გამოვიკეტებოდი, ყოველ კვირას მივდიოდი წმ. კოზმან და დამიანეს ეკლესიაში და მთელ ორ ღამეს იქ ვატარებდი. საღამოთი მოდიოდა იქ ერთი მოხუცებული ქალი და გლახაკთ ორ-ორ ფელსს ურიგებდა. მოვიდა ერთხელ სალოცავად ჩემი ნათესავი ქალი მეფე მავრიკის საგვარეულოდან. მე წავიყვანე იგი და მივედით ჩვენ წმ. კოზმან და დამიანეს ეკლესიაში. მე ვუთხარი მას: „ჩემო საყვარელო, აქ ერთი მოხუცი ქალი მოვა, რომელიც ყველას ორ-ორ ფელსს უნაწილებს. შენ ნუ კი იუკადრისებ [ამას] მისგან, არამედ გამოართვი!“

მან მითხრა: „კარგი დედავ, მაჩვენე [ის ქალი], რათა მივიღო მო-
321 v წყალება“. ||

მე მივუგე: „დიახ. გამოართვი მოხუცს მოწყალება, რამეთუ იგი დიდებული ქვრივია, ეშინია ღვთისა და აქვს სათნოებანი. იგი მთელი კვირა მარხულობს და ყველაფერს, რასაც იშოვნის, გლახაკთ უნაწილებს, თანაც ოთხმოცი წლის ქვრივია. მდაბლად მიიღე მისგან და სხვებს მიეცი“ .

როდესაც ჩვენ ვსაუბრობდით, აი, მოვიდა კიდეც მოხუცი და დაურიგა ფელსები ყველას, ვინც კი გამოჩნდა. ჩემ ნათესავსაც მისცა და უთხრა: „აიღე ესენი და ჰამე“. და როდესაც წავიდა, მივხედი მე, რომ ღმერთმა გაუმჟღავნა მას ის, რაზედაც ვსაუბრობდით ჩვენ: მე რომ ვუთხარი ჩემ ნათესავს—„აიღე და სხვებს მიეცი“. აიღო ჩემმა ნათესავმა ის ორი ფელსი, გაგზავნა თავისი ერთ-ერთი მსახური ბიჭი და იყიდა იმით ცერცვი. და აიღო [ნათესავმა] ცერცვი, შეჭამა, კმაყოფილი დარჩა და თქვა: „მე მიმაჩნია, რომ ეს ცერცვი უფრო ტკბილია, ვიდრე თაფლი“. და ვადიდეთ [მაშინ] ჩვენ ღმერთი, რომელიც თავის მართლმორწმუნე მონებს წყალობას უძღვნის.

70 (CXXVIII)

მოგვითხრო ანბა ათანასემ, რომელიც საბას მონასტერში იმყოფებოდა, რომ მან მოისმინა, რაკას ეპისკოპოსი ჰყვებოდა და ამბობდა, რომ: პაპაჩემს ჰყავდა ძმა, ეპისკოპოსი და ჰყავდა აგრეთვე მას
322 r და, || მონაზონი, დედათა მონასტრის წინამძღვარი. და წავიდა მასთან ეპისკოპოსი, რათა მოენახულებინა. როდესაც მონასტერში შევიდა, იხილა იქ ერთი გახელებული მონაზონი. მოუხმო მან თავის დას და უთხრა: „მოგწონს შენ, რომ ეს და ასეთ მდგომარეობაშია? არ იცი, რომ ღმერთი შენ მოგკითხავს მათ სულთა გამო?!“ დამ მიუგო: „და

* შდრ. πρὸ τοῦ ἐγκλεισθῶ.

რა შემიძლია მე, ძმაო ჩემო, ეშმაკთან რომ გავაწყო?!“ ეპისკოპოსმა ჰკითხა: „რაღას აკეთებ აქ ამა და ამ წლიდან?!“ და მოხდა შემდეგ [ის], რომ ადგა მაშინ იგი (ეპისკოპოსი), ილოცა მისთვის და იგი (ხელი) მყის განიკურნა.

კვლავ მოგვითხრო ანბა ათანასემ ამ ეპისკოპოსის შესახებ, რომ იგი ჰყვებოდა და ამბობდა: როდესაც გააძევეს იოანე ოქროპირი, მან ჩვენს ქალაქში გაიარა. ამის გამო მასსა და ჩემ შორის სიყვარული და ვულწრფელი დამოკიდებულება დამყარდა. და როდესაც გზად, საითაც იგი გააძევეს, წმ. იოანე მიიცვალა, მე შევწუხდი დიდის შეწუხებით და ტირილით შევსთხოვე ღმერთს, რათა გაემჟღავნებინა ჩემთვის, თუ იყო იგი პატრიარქებთან ჩარიცხული, რამეთუ მან ნათელი მოჰფინა ამ ქვეყანას, გაამდიდრა ეკლესია და გააცხოველა იგი თავისი ჰეშმარიტი სწავლებით. და მოხდა [კი ისე], რომ იგი განკიცხული მოკვდა.

როდესაც მრავალგზის შევსთხოვე ღმერთს, თითქოსდა || ჩამთვლიმაო [ერთხელ] და ვიხილე ლამაზი, მშვენიერი კაცი, რომელმაც მარჯვენა ხელზე ხელი მომკიდა, მიმიყვანა ერთ განათებულ ადგილას და მაჩვენა მოძღვარნი ეკლესიისა. მე ველოდი, რომ ჩემ მეგობარ ოქროპირსაც მაჩვენებდა. და როდესაც ყველანი მაჩვენა და თითოეული თავისი სახელით მიხსენა, გარეთ გამომიყვანა უვნებლად. მე დაღონებული ვიყავი, რამეთუ ვერ ვიხილე ჩემი მეგობარი მოძღვრებთან. და როდესაც გარეთ გამოვედი, გამაჩერა მან, რომელიც კარებთან იყო და თქვა: „რაა შენს თავს, რათა ხარ შეწუხებული?“ მე არ ვუპასუხე და კვლავ მკითხა მან: „რათა ხარ შეწუხებული? არავინ, ვინც აქ შემოდის და გადის, შეწუხებული არ არის“. 322 ვ

მე მივუგე: „ჩემი წუხილი იმის გამოა, რომ ვერ ვიხილე ჩემი მეგობარი იოანე დანარჩენ ეპისკოპოსებთან“.

მან მკითხა: „ე. ი. იოანე[ში], რომელსაც ეძებ, გულისხმობ მომნანიებელს?“

მე მივუგე: „დიახ“.

მან მითხრა: „ხორციელ ადამიანს არ ძალუძს მისი ხილვა, რამეთუ იგი [იქა] დგას, სადაც უფლის ტახტია“.

როდესაც თქვა ეს, მე გამოვფხიზლდი, მადლი მოვახსენე უფალს და ვერწმუნე იმას, ვინც მეჩვენა.

71 (CXXX)

თქვა ანბა ათანასემ, რომ მომივიდა ერთხელ აზრი, რომელიც მეუბნებოდა: „იცი რაა მომზადებული მათთვის, რომელნიც იღწვიან* მშვიდად, და რა არის მომზადებული მათთვის, || რომელნიც 323 რ

* შდრ. ἀγωνιζόμενος.

არ იღწვიან?“ და როდესაც დავიძინე მე ამაზე [ფიქრით], ვიხილე ვინმე კაცი, რომელმაც მითხრა: „გამომყევი!“ და მიმიყვანა სინათლით აღვსილ ადგილას და დამაყენა კარის წინ, რომელიც არ აიწერება და რომლის სილამაზის მსგავსი არ არსებობს. და გავიგონეთ, იქ შიგნით მრავალი ხმა ღმერთს ადიდებდა. შემდეგ დავაკაკუნეთ ჩვენ კარებზე. ვიღაც ერთმა მოგვიგო შიგნიდან და თქვა: „რა გნებავთ?“ ჩემმა თანამგზავრმა მიუგო: „გვინდა, რომ შემოვიდეთ“. მეორემ უთხრა: „აქ ვერავინ ფუქსავატთაგან ვერ შემოვა, მაგრამ თქვენ თუ გინდათ რომ აქ შემოხვიდეთ, წადით საწყალობელ ქვეყანაში, იყავით მოსწრაფენი, ნუ იქნებით უზრუნველნი და ნურაფერზე ამქვეყნიურ საქმეთაგან ნუ იფიქრებთ“. გამოვეხიზლდი [მაშინ] მე და ვადიდე ღმერთი.

72 (CXXXI)

მოგვითხრო აგრეთვე ვინმე კაცმა, რომელსაც ორი ვაჟი კეისარიაში ჰყავდა, რათა მათ იქ წიგნის კითხვა ესწავლათ. გავრცელდა იქ შავი ჭირი და სიკვდილიანობა. [კაცმა] თქვა: ჩემი შვილების გამო ძალზე ვიყავი შეწუხებული, მეშინოდა—დაიხოცებოდნენ ისე,
323 v რომ ვერც კი || შევიტყობდი. მე ვამბობდი: „თუ გავუგზავნი საძებრად მათ ვინმეს, რათა ჩემთან მოვიდნენ, მაშინ ვერ შევძლებ ღვთის რისხვას რომ ავცდე; რომ დავტოვო, მეშინია მოკვდებიან და ვერ ვნახავ“. გავჩერდი—არ ვიცოდი როგორ მოვქცეულიყავი.

წავედი ანბა ზაქთან წმ. სიონში. მაგრამ ვერ ვნახე. ვიკითხე მის შესახებ და ვიხილე იგი წმ. მარიამის [ეკლესიის] შესასვლელში მდგომარე. მე რჩევა ვკითხე მას. იგი აღმოსავლეთისაკენ მიბრუნდა, მზერა ცას აღაპყრო და ასეთ მდგომარეობაში ორ საათს დაჰყო. მე ხმას არ მცემდა. შემდეგ ჰეშმარიტად მითხრა: „გამაგრდი და ნუ დარდობ, რამეთუ შენი შვილები არ დაიხოცებიან ამ სიკვდილიანობისას. თანაც იცოდე, რომ ეს სიკვდილიანობა ორ დღეში შეწყდება“. და მოხდა ისე, როგორც თქვა ბერმა.

73 (CXXXII)

ამ სიკვდილიანობისას წავედით კეისარიაში. და აი, აღმოჩნდა ქალაქის გარეთ მონასტერში ბერი. მოგვითხრო მან და თქვა: დღეების განმავლობაში ჩემს სენაკში ვიყავი გამოკეტილი, ვლოცულობდი და ღმერთს შევსთხოვდი, რომ სიკვდილიანობა განეშორებინა. და მოაღწია ჩემამდე ხმამ, რომელიც მეუბნებოდა, რომ ამ საქმეში უკვე
324 r გაეწია დახმარება || ანბა ზაქს.

74 (CXXXIII)

მოგვითხრო არაბმა კაცმა კლაზმის მცხოვრებთაგან და თქვა, რომ: წაველი კალფას, სადაც წმ. ანტონი ცხოვრობდა და შევხვდი იქ მთაში მონაზონს. მას თან წიგნი ჰქონდა და კითხულობდა. მე გავეშურე მისკენ მისი ვნებისა და მოკვლის სურვილით. როდესაც მან თავისკენ მიმავალი დამინახა, მარჯვენა ხელი გამომიშვირა, მანიშნა მე და მითხრა: „შედეგ ადგილზე!“ ორი დღე და ღამე ვიყავი [გაჩერებული]—წასვლა არ შემეძლო. შემდეგ ვთხოვე მე მას და ვკითხე: „ღვთის გულისათვის, რომელსაც შენ ემონები, გთხოვ [მითხრა]—არ გამიშვებ?“ მან თითქოსდა შემიბრალა და მითხრა: „წადი მშვიდობით!“ და გამიშვა. მეც გავუდექი ჩემს გზას.

75 (CXXXV)

მივედით ჩვენ საჭურისთა მონასტერში იორდანთან. ანბა ნიკოლა მღვდელმა მოგვითხრო, რომ მის ქვეყანაში არის დედათა მონასტერი ორმოცი მონაზონი ქალით. და შეთანხმდა ხუთი მათგანი, რათა დაბრუნებოდა ქვეყანას და გათხოვილიყო. როდესაც დაღამდა და მონაზვნებმა დაიძინეს, ამ ხუთმა ჩუმად აიღო თავისი ტანსაცმელი და კარებიდან გასასვლელად გაემართა. და დაეუფლა მყის მათ || ბოროტი სულები და ისინი ყველანი გაგიჟდნენ. და როდესაც შე- 342 v
ემთხვათ ეს, მონასტერი ვეღარ დატოვეს. (sic)* მაგრამ ისინი აღიარებდნენ თავიანთ ცოდვებს და მადლს სწირავდნენ ღმერთს, რომელმაც მოუვლინა მათ ეს სასჯელი, რათა ეხსნა მათი სულები.

76 (CXLI)

წავიდა ერთი ძმა ბერთან კალამონის ქვაბებში. და როდესაც მივიდა მასთან და იხილა მისი სამყოფელი, ჰკითხა: „როგორ შეგიძლია, მამაო, იჯდე ამ ქვაბებში და იტანდე კოღოებსა და საშინელ სიცხეს?“. და მიუგო ბერმა: „იმქვეყნიური სატანჯველის გამო ვუძლებ ამას. კოღოს რაც შეეხება, მას ვუძლებ იმისათვის, რათა გავთავისუფლდე იმ მატლისაგან, რომელიც არ ისვენებს. სიცხეს რაც შეეხება, მას ვუძლებ იმისათვის, რათა გავთავისუფლდე ჯოჯოხეთის სიცხისაგან; რამეთუ ეს მცირე ხნითაა, იმას კი დასასრული არა აქვს“.

77(CXLIX)

როდესაც ანბა ამოსი იერუსალიმის პატრიარქი გახდა, ეახლნენ მას მონასტრების მთელი მამასახლისნი, რათა მოეკითხათ იგი. პატ-

---

* შდრ. Καὶ τούτου γενομένου οὐκ ἔτι ἐξῆλθον ἐκ τοῦ μοναστηρίου.

რიარქმა უთხრა მათ: „იღოცეთ ჩემთვის, მამანო ჩემნო. შეჰმარიტად მე მძიმე ტვირთი ავიღე, რადგანაც ეს საქმე არ არის მცირე, რამეთუ რომელთაც სურთ სულები მწყსან, [ხამს] იყვნენ მსგავსნი მოსესი, პეტრესი, პავლესი და სხვების. მე საწყალობელს რაც შემეხება, ჰეშმარიტად ძალზე ვშიშობ კელთ-დასხმის სიმძიმის გამო, რამეთუ
325 r (პგ)* ვნახე დაწერილი, || რომ წმ. ლეონი, რომაელთა პატრიარქი, ორმოცი დღის განმავლობაში ეყენებოდა წმ. პეტრეს მის საფლავთან, რომ ეშუამდგომლა მისთვის ქრისტეს წინაშე, რათა მას (ქრისტეს) მისთვის მისი ცოდვები შეენდო. და გამოეცხადა მას წმ. პეტრე და უთხრა: „ჰეშმარიტად ვითხოვე მე შენი გულისთვის და მოგეტევა კიდევაც შენი ცოდვები თვინიერ იმისა, რაც კელთ-დასხმისაგანაა, რაჲეთუ განიკითხები იმის მიხედვით: აძლევდი შენ მას თავაზიანად, თუ უხეშად“.

78 (C1)

თქვეს ამბავი ერთი ბერძენი მონაზვნის შესახებ, რომელიც სახედრებზე იყო განწესებული დავაქისის მონასტერში. წავიდა იგი იერიქოს. როდესაც სახლში ჩამოხდა, მისდა შეუმჩნევლად, მიეიდა [იქ] ერთი პატარა ბიჭი. ჯორმა გათელა იგი და მოკლა. და მოხდა [ეს] ეშმაკის მეოხებით. ბერი ძალზე შეწუხდა ამის გამო და წავიდა სათანადო მხარეს. იგი დახეტიალებდა, ტიროდა და ამბობდა: „ჰეშმარიტად მე მოვკალი მოკლული“. შემდეგ ხეობაში დასახლდა, რომელშიც ლომი იმყოფებოდა. ბერი ყოველ დღე ლომის ბუნაგში მიდიოდა და აღიზიანებდა მას, რათა მას იგი შეეჭამა. ლომმა კი სრულებით არა ავნო რა. შემდეგ წავიდა [ბერი] და გზაზე ვიწრო ადგილას დაიძინა, რათა [ლომი] ხეობიდან წყლის დასალევად როდესაც ჩამოიელიდა. შეხვედროდა მას და შეეჭამა. მაგრამ, როდესაც ნახა იგი ლომმა, გადახტა, ჩაუარა მას, განწორდა და სრულებით არ ავნო.
325 v დარწმუნდა მაშინ ბერი, რომ ღმერთმა || შეუნდო მას ცოდვა და დაბრუნდა თავის მონასტერში.

79 (C1ვ)

მოგვითხრეს აგრეთვე ერთი ხუცესის შესახებ, რომელიც დავაქისის მონასტერში იმყოფებოდა, რომ ვიდრე ღამე ძელი დაირეკებოდა, ბერი თავის სენაკში განისვენებდა. იგი უსმენდა მას (ხუცესს, რომელიც) ამბობდა: „კირიელეისონ!“ განსხვავებული ხმებით. ბერმა დათვალა მისი ლოცვა და აი, -მან ორას[-ნაირი] ხმით წარმოთქვა ლოცვა.

* „სამოთხეში“ წარმოდგენილია ამ თხრობის ნაწილი. იგი ამ ადგილიდან იწყება.

გადმოიხედა ბერმა თავისი სენაკის სარკმლიდან და დაინახა მუხლმოდრეკილი ბერი. მის თავს ზემოთ ვარსკვლავი ბრწყინავდა. ისე რომ, ამ ვარსკვლავის შუქის სიუხვის გამო, მან გაარჩია ვინ იყო იგი და იცნო.

80 (CLIV)

მოგვითხრო აგრეთვე ჩვენ ანბა გიორგიმ, დავაქისის მონასტრის მამასახლისის მოწაფემ, თავისი მოძღვრის შესახებ, რომ თორმეტი წლის განმავლობაში იგი თვალყურს ადევნებდა მას (მოძღვარს) მის ქვაბში. [ერთხელ] შევხვდით[ო] ჩვენ მასთან ერთ ერისკაცს და დავიწყეთ საუბარი მხოლოდ სულის ცხონების თაობაზე. ანბა ნიკოლაოსმა ამ ერისკაცს უთხრა: „გვითხარი სიტყვა!“.

ერისკაცმა თქვა: „ნეტავი შემეძლოს ჩემ თავს სარგებლობა მოვუტანო! მე საცოდავი, უძლური ერისკაცი ვარ. რა შემიძლია, რომ ვთქვა?!“ ბერმა უთხრა: „კი, უსათუოდ უნდა თქვა [რაიმე]“.

ერისკაცმა თქვა: „თორმეტი წელია მე მზე არ შემსწრებია ჰამის დროს შაბათ-კვირის გარდა. || თხუთმეტი წელი მოსამსახურედ ვი- 326 r
ყავი ერთ საზარელ ხარბ კაცთან. დღე და ღამ ვმუშაობდი. ის კი ჭირას არ მაძლევდა და ყოველ დღე ბევრ წყენას მაყენებდა. მე ჩემ თავს ვეუბნებოდი: „აიტანე ამ კაცთან [ყოფნა] და ნაცელად იმ ჭირისა, რომელიც შენთვის ზიანის მომტანია, იმედი იქონიე სასუფევლისაცისა“. და უბიწოდ შევინახე მე ჩემი სხეული ქალიც [კი] არ ვიცი ბოლო დრომდე“.

როდესაც მოვისმინეთ ჩვენ მისი სიტყვები, სარგებლობა ვპოვეთ და ვადიდეთ ღმერთი.

81 (CLXXV)

თქვა ამბავი ერთმა კაცმა მამათაგან ზენონ-მეფის შესახებ, რომ შეურაცხყო მან ერთი ქალის ასული. ის ქალი აღარ მოეხსნა ღმრთისმშობელი წმ. მარიამის ეკლესიას და ცხარე გოდებით შესთხოვა მას (წმ. მარიამს), რომ მის (ასულის) გამო შური ეძია მეფეზე. როდესაც იგი დღეების განმავლობაში მიმართავდა (sic), ტიროდა და შესთხოვდა, გამოეცხადა მას წმ. მარიამი და უთხრა: „მერწმუნე, დედაკაცო, რომ მე ბევრჯერ მოვინდომე შენს გამო შური მეძია მასზე, მაგრამ მისმა ხელებმა შემაკავეს, რამეთუ ძალზე ბევრი წყალობის [ჩამდენნი] არიან“.

მოგვითხრო ჩვენ ანბა მარკიანემ ერთი ბერის შესახებ, რომელიც თვითონ იყო*, რომ ადგა იგი ღამე თავისი კანონის წასაკითხად. როდესაც კითხვა დაიწყო, ბუკის ხმა შემოესმა. შეცბუნდა ბერი და თქვა: „საიდან არის აქ ბუკი? აქ არც მხედრებია და არც
326 v ბრძოლა“. და მიუგო || ეშმაკმა და თქვა: „კი, ნამდვილად, აქ ბრძოლაცაა და მხედრებიც. შენ თუ არ გინდა, რომ შეგებრძოლო, წადი, დაიძინე“.

თქვა აგრეთვე ბერმა: მერწმუნეთ ძენო, არაფერი [ისე] არ აბნევს ეშმაკთ, ზიანს არ აყენებს, არ თიშავს და არ არცხვენს მათ, როგორც ფსალმუნთა კითხვა. თუმც მთელი წმ. წერილი სასარგებლოა, ეშმაკთათვის კი უსიამოვნების მიმყენებელია, მაგრამ არაფერი არ იწვევს მათ წყენას მსგავსად ფსალმუნებისა, რამეთუ ზოგი მათგანი მათ კრულავს, ზოგი მათგანი კი ჩვენ სულთათვის ლოცულობს, როდესაც ვამბობთ: „მიწყალე მე, ღმერთო, დიდითა წყალობითა შენითა და მრავლითა მოწყალებითა შენითა აჯოცე უსჯულოება ჩემი“**.

რაც შეეხება ეშმაკთა წყევლას, აი ვამბობთ: „აღდეგინ ღმერთი, და განიბნინედ [ყოველნი]*** მტერნი მისნი, ივლტოდეთ მოძულენი მისნი პირისა მისისაგან“****.

აგრეთვე ამბობს: „განაბნიენ წარმართნი, რომელთა ჰნებავს ბრძოლად“*****.

აგრეთვე ამბობს: „ვიხილე მე უღმრთოჲ აღმაღლებული და [აღმატებული] უფროჲს ნაძუთა მათ ლიბანისათა. თანა-წარვჴედ მუნ-თქუესვე, არა იყო [უღმრთოჲ]; ვეძიებდ ადგილსა მისსა და არა ვპოვე“******.

აგრეთვე ამბობს: „მახჳლი მათი განეწონენ გულსა მათსა“*******.
327 r და აგრეთვე: || „ჴნარცუ თხარა, აღმოჰკუეთა, შთავარდა იგი მთხრებ-

---

* შდრ. αὐτὸς δὲ ἦν.

** ფსალმუნნი, 50, 3.

*** ქართული ტექსტი მოგვყავს უცვლელად მ. შანიძის გამოცემის მიხედვით. იხ. ფსალმუნნი, თბილისი, 1960. მხოლოდ იმ სიტყვებს, რომელნიც არაბულ ტექსტში არ არის, ვათავსებთ ფრჩხილებში.

**** იქვე, 67, 2.

***** იქვე, 67, 31.

****** იქვე, 36, 35—36.

******* იქვე, 36, 15.

ლსა მას, რომელცა ქმნა. მიექცა სალმობაჲ მისი თავსა მისსა და [სიცრუე მისი] თხმებსა მისსა ზედა დაუჯდა"*.

თქვა აგრეთვე ბერმა: მერწმუნეთ ძენო, რომ მსგავსად ამისა, როდესაც ბერად შედგება მეფე, დათმობს რა თაეის მეფობას, იგი განდიდებულ და ქებული ხდება; რამეთუ მონაზვნობა უფრო კეთილშობილი და აღმატებულია, ვიდრე ის, რაც მან დასთმო, ასეა. და აუწერელი სირცხვილი მონაზონს, რომელიც მონაზვნობას დასთმობს და მეფე გახდება!

თქვა აგრეთვე: ადამიანი დასაწყისში, ვიდრე ცოდვაში ჩავარდებოდა, ღმერთს ემსგავსებოდა. შემდეგ კი, როდესაც დაეცა, ცხოველებს დაემსგავსა. მაგრამ, ძმანო, თუნდაც რომ ბუნებამ აამოძრაოს ვნებანი, განაგრძეთ ჯაფა მარხვითა და უძილობით. მარხვა ვნებათ მხურვალებას ჩააქრობს.

ნუ გაგიკვირდება—თუმც ადამიანი ხარ, შეგიძლია რომ გახდე ანგელოზი, რამეთუ ჩვენმა უფალმა ქრისტემ აღუთქვა მიმსგავსება ანგელოზებთან მათ, რომელნიც იღწვიან მისი (ღვთის) დიდებით.

არაფერი არ აახლოებს მონაზვნებს ღმერთთან, როგორც უბიწოება, || სიწმიდე და გულმოდგინება სიჩუმესა და ლოცვაში ნებ- 327 v
თის გარეშე და გაქცევა, ჩემო საყვარელნო, ვერცხლის სიყვარულისაგან, რომელიც თავია ყოველგვარი ბოროტებისა, როგორც დაადასტურა სული წმიდამ პავლე მოციქულის პირით**.

83 (ფოტის პატერიკი, თ. XVI, § 27)

კვლავ მოგვითხრეს ჩვენ მამებმა ერთი ძმის შესახებ. რომელიც წმ. ბერის მეზობლად იმყოფებოდა. შეეიდა ეს ძმა ბერის სენაკში და რაც პოვა იქ, მოიპარა. ბერმა შეასწრო მას თვალი და არ გაკიცხა. მაგრამ [ძმა] ძალზე ხშირად სჩადიოდა ამას. [ბერი] კი ამბობდა: „ეგების ძმას ესაჭიროება და ამის გამო აკეთებს ამას". და იღწვოდა ბერი და შრომობდა. გულმოდგინების გამო მას ძალი შესწევდა თავისი სხეულის მდფომარეობის შეტყობისა. და როდესაც დადგა ბერის აღსასრული, შეიკრიბნენ მასთან ძმანი და მათთან ერთად ის ძმაც მოვიდა, რომელიც ბერის ნივთებს იპარავდა. შეხედა მას ბერმა და უთხრა: „მოდი ჩემთან, ძეო!" და როდესაც მიუახლოვდა მას [ძმა]. აიღო ბერმა ძმის ხელები, დაიწყო მათი კოცნა და ლაპარაკი: „მადლობელი ვარ უფლისა და ამ ხელებისა, ძმანო, რომელთა გამოც ციური სასუფევლისკენ მივემართები".||

---

* ფსალმუნი, 7, 16—17.

** I ტიმოთეს მიმართ, 6, 10.

328 r როდესაც ესა თქვა, განუტევა მან სული თავისი და წარემართა მაშინ უფალთან. და დაუფიქრდა ძმა მის ნათქვამს, გული დასწყდა. გონება მოიკრიბა, მოინანია და გამოცდილი მონაზონი გახდა იმის გამო, რა სათნოებანიც ნახა დიდებული ბერისა.

84 (ფოტის პატერიკი, თ. XVI, § 30)

კვლავ მოგვითხრო ერთმა მამამ ვინმე ძმის შესახებ, რომელიც ერთი წმიდა ბერის მეზობლად იმყოფებოდა. წავიდა ის ძმა და გაიკეთა ბერის გასაღების მსგავსი გასაღები. აღებდა იგი ბერის სენაკს და იღებდა ფელსებს, რომელთაც ბერი თავის სარკმელში ათავსებდა. და როდესაც არაერთგზის დაკარგა ბერმა ფელსები, აიღო ფურცელი და ასე დაწერა: „რომელი ძმაცა ხარ, გთხოვ შენ, ძმაო ჩემო, ყავ სიკეთე და კარგად მოიქეც: როდესაც სენაკში შემოხვალ, ნახევარი აიღე, ნახევარი კი დატოვე ჩემი საარსებო საჭიროებისათვის და გაყავი ფელსები ორ ნაწილად“.

შევიდა ის ძმა თავისი ჩვეულებისამებრ სენაკში, ნახა ფურცელი, აიღო იგი და წაიკითხა. და არ შეწუხებულა იგი, ყურადღებაც
328 v არ მიუქცევია, პირიქით აიღო ის ფელსები, რომლებიც ნახა, || მთლიანად და წავიდა.

რამდენიმე წლის შემდეგ ავად გახდა ის ძმა, მძიმე მდგომარეობა შეექმნა და აღსასრული დაუდგა. მისი სული წვალობდა და არ ამოდიოდა. და მოუხმო მაშინ მან ბერს, გამოუტყდა თავის ცოდვაში და უთხრა: „შემინდე, მამაო, და ილოცე ჩემთვის, რამეთუ მე ისა ვარ, რომელიც შენ ფელსებს ვიპარავდი“. ბერმა უთხრა: „რატომ არ მაუწყე ამის შესახებ?“ ძმამ მიუგო: „ცუდად მოვიქეცი, მამაო“. და ილოცა მისთვის ბერმა და მაშინვე განუტევა ძმამ სული თავისი და წავიდა ამ ქვეყნიდან. დიდება უფალს, ამინ!

85

იყო მონაზონი ვინმე და ჰყავდა მას ერისკაცი მეგობარი. მონაზონს საზრუნავი გამოუჩნდა და იგი დაავადდა. და უთხრა მან თავის მეგობარ ერისკაცს: „ილოცე ჩემთვის, ძმაო, და შესთხოვე ღმერთს, რათა განმკურნოს“. და ილოცა მისთვის ერისკაცმა და განიკურნა მონაზონი.

შემდგომად ამისა ავად გახდა ერისკაცი. მან მონაზონს უთხრა: „ილოცე ჩემთვის, მამაო, და შესთხოვე უფალს, რათა განმკურნოს“. ილოცა მისთვის მონაზონმა და ვერ განიკურნა [ერისკაცი]. ||

ერისკაცმა თქვა: „იცოდე, მამაო, ეს ამბავი მე ძალზე მაეჭვებს, რამეთუ ავად როდესაც ვიყავი, შენ მე მთხოვე და მე შენ გამო შევღაღადე ღმერთს. მან ისწრაფა ჩემი შეწყნარება და შენ განიკურნე. შენ რაც შეგეხება, შენ ითხოვე ჩემს გამო და არ იქენი შეწყნარებული“.

მონაზონმა მიუგო: „ძმაო ჩემო, მე რაც შემეხება, როდესაც გთხოვე შენ რომ ჩემთვის გელოცა, მე მწამდა შენი ლოცვისა. შენ კი რაც შეგეხება, როდესაც მთხოვე, რომ შენთვის მელოცა, შენ ჩემი ლოცვისა არა გწამდა და ამის გამო არ ვიქენი მე შეწყნარებული, რამეთუ წერია: მსგავსად შენი რწმენისა, მოგეზღვება შენ*.

86 R. O. Chr., XII, 1907, გვ. 176; სამოთხე, დამ. I, თხრ. 3)

თქვა ამბავი აგრეთვე ერთ-ერთმა ძმამ ალექსანდრიაში მცხოვრები ვინმე მდიდარი კაცის შესახებ. რომ დასნეულდა იგი, შეეშინდა სიკვდილისა და ოცდაათი რატლი ოქრო გლახაკთ უწყალობა. და მოიკრიბა მან ჯანი, განიკურნა და თავი დააღწია ავადმყოფობას. შემდეგ შეიპყრო იგი სინანულმა იმის გამო, რა ფულიც გაიღო სამოწყალოდ. და ჰყავდა მას ერთი მეგობარი, რომელსაც ეშინოდა ღვთისა. შეიტყო მან მისი წუხილისა და სინანულის შესახებ იმის გამო, რაც გასცა სამოწყალოდ და დაუწყო მას ნუგეშისცემა. || შეგონება და ლა- 329 ▼
პარაკი: „შენ, ჩემო ძმაო, ძალზე გახარებული უნდა იყო, რამეთუ ღმერთს მიეცი შენი ფული.' მას კი ძალუძს, რომ უფრო მეტად გიზღას“.

არ შეისმინა [მდიდარმა] მისი სიტყვა. მაშინ უთხრა მას მისმა მეგობარმა: „მე მოგცემ, ძმაო ჩემო, ოცდაათ რატლ ოქროს. წამოდი ჩემთან ერთად მენა-წმიდას და იქ თქვი: „მე არ გამიცია სამოწყალოდ ის ფული, რომელიც გლახაკთ მიევეცი, არამედ ამ ძმამ [გასცა]“.

გაიხარა ამ [სიტყვებით მდიდარმა] და მხიარული წავიდა მასთან ერთად მენა-წმიდას. იგი ისე მოიქცა, როგორც მისმა მეგობარმა უთხრა და მიიღო მისგან ოცდაათი რატლი ოქრო. შემდეგ, როდესაც გამოემართა ეკლესიის კარებიდან გამოსასვლელად, დაეცა იქვე და მოკვდა. და უთხრეს მღვდლებმა ფულის პატრონს: „აიღე შენი ფული“. მან მიუგო მათ: „ღმერთმა დაიფაროს, რომ უკან დავიბრუნო ის, რაც უკვე მივეცი ჩემს უფალს ქრისტეს, პირიქით, გლახაკთ მიეცეს [ეს ფული]“.

* შდრ. გალატელთა მიმართ 3, 11; რომაელთა მიმართ 1, 17.

მაშინ ისინი, რომელნიც დაესწრნენ [ამ ამბავს] და მოისმინეს, შეშინდნენ დიდად. და ადიდეს მათ ღმერთი ამ კაცის რწმენის ჭეშმარიტებისა და მისი განზრახვის სიკეთის გამო. ამის გამოა მადლიერება ღვთისადმი და დიდება მისი. რა დიდი არს ძალი მისი!

87. (R. O. Chr., XII, 1907, გვ. 176—177)

330 r იყო ვინმე ზარაფი || ქალაქში. მივიდა მასთან ერთი უცხოელი კაცი და მიაბარა ფულის ჩანთა, რომელშიც ხუთასი დინარი იყო და უთხრა: „შემინახე ეს ფული, ვიდრე არ დამჭირდება“. და არ ყოფილა ამ დროს მათთან ვინმე დამსწრე. მაგრამ ერთი კაცი, რომელიც თვალ-ყურს ადევნებდა ქალაქს—[თუ] რა ხდებოდა ამ დროს [იქ], იდგა ზარაფის დუქნის კარებთან. მან მოისმინა მათი საუბარი და კაცსაც შეხედა, როდესაც მან ზარაფს ჩანთა გადასცა. ზარაფმა კი ვერ შეიტყო, რომ იმ კაცმა (ქალაქის მეთვალყურემ) ეს ამბავი იცოდა.

ცოტა ხნის შემდეგ მოვიდა ფულის პატრონი ზარაფთან, რათა წაეღო თავისი ფული. ზარაფმა უარი უთხრა. [მან თქვა], რომ მას მისთვის არაფერი არ მიუბარებია. გამოვიდა ეს კაცი დუქნიდან ძალზე აღელვებული. და შეხვდა მას ის კაცი, რომელმაც მათი საუბარი მოისმინა და თქვა: „რა არის, კაცო, რომ გხედავ შენ აღელვებულს?!“. ფულის პატრონს არ უნდოდა მისთვის რომ ეამბნა. კვლავ ჰკითხა მან: „რა არის შენი აღელვების მიზეზი? ეგების მე შევძლო, რომ დაგეხმარო“.

მაშინ მოუთხრო კაცმა თავისი ამბავი. მეორემ (ქალაქის მეთ-
330 v ვალყურემ) ჰკითხა: „გამაგებინე, ნამდვილად || მიაბარე მას ფული, როგორც ამბობ?“

ფულის პატრონმა მიუგო: „ნამდვილად მივაბარე მას ჩანთა, რომელშიც ხუთასი დინარი იყო შესანახად გადადებული. მან კი აღარა მცნო—უარი მითხრა მასზე (ჩანთაზე)“.

იმ კაცმა უთხრა: „წადი და უთხარი მას (ზარაფს)—წამოდი, დამიფიცე წმ. ანდრიას ეკლესიაში“.

წავიდა [ფულის პატრონი] ზარაფთან და სთხოვა მას, რომ დაეფიცა მისთვის წმ. ანდრიას ეკლესიაში. და როდესაც წაჰყვა მას [ზარაფი] დასაფიცებლად, წაიყვანა იმ კაცმა, რომელიც ქალაქს თვალ-ყურს ადევნებდა, თავისი მსახური ბიჭი და მათზე ადრე მიაშურა ეკლესიას. მან უთხრა თავის მსახურს: „ნახავ შენ, რასაც გავაკეთებ მე დღეს. მაგრამ იგი შენ ნუ დაგაღონებს და ნუ შეგაშინებს. პირიქით, მე შენ მხოლოდ სულგრძელს გაგხდი“.

როდესაც ეკლესიაში შევიდა, გაიხადა მან სასწრაფოდ თავისი

ტანსაცმელი, დაიწყო თავის მოგიჟიანება და ყვირილი დიდის ყვირილით. და როდესაც მოვიდა ზარაფი, რათა ფულის პატრონისათვის დაეფიცა, ამ კაცმა გიჟივით დაიწყო ყვირილი და გოდება. მან თქვა: „წმ. || ანდრია, აი მოვიდა ეს საზარელი კაცი, რომელმაც პატრონს 331 r
ხუთას დინარზე უთხრა უარი და [ახლა] უნდა, რომ დაუფიცოს მას მატყუარას სახელით“. მან ხელი დაარტყა ზარაფს, დაუწყო საჩხუბრად გამოწვევა, გიჟივით ცემა, მუქარა და ლაპარაკი: „დაუბრუნე ამ კაცს ის ხუთასი დინარი, რომელიც მოგაბარა“.

მაშინ შეშინდა ზარაფი დიდის შეშინებით და თქვა: „დავუბრუნებ მას ფულს“. მეორემ უთხრა: „არასდროს არ გაგიშვებ, თუ არ მოიტან აქ ფულს“. და გაგზავნა ზარაფი თავის სახლში, მოატანინა ფული, ჩააბარა იგი მის პატრონს და გაუშვა იგი (ზარაფი). მოუბრუნდა მაშინ კაცი ფულის პატრონს, დაუწყო მას ცემა და ლაპარაკი: „ექვსი დინარი წმიდანს, წმ. ანდრიას მიეცი!“ და როგორც უთხრა, ისევე მოიქცა [ფულის პატრონი].

ჯ : შემდეგ, როდესაც დაიშალნენ და წავიდნენ, მოგიჟიანებულმა კაცმა ჩაიცვა კოხტად თავისი ტანსაცმელი, წავიდა და წინ გადაუდგა ზარაფს. დაუწყო მას ზარაფმა ყურება და სახეზე დაშტერება. და ჰკითხა || ჰკვიანმა კაცმა: „რატომ მიყურებ, ძმაო ჩემო, ნამდვილს 331 v
გეუბნები: ქრისტეს წყალობით მე არც გიჟი ვარ და არც ეშმაკი. მაგრამ როდესაც იმ კაცმა ფული მოგცა, მე დუქნის გარეთ ვიყავი და მოვისმინე თქვენი საუბარი. მე რომ შენ წინააღმდეგ მემოწმა, შენ მარტო ჩემ მოწმობას არ მიიღებდი და გიეშმაკე იმით. რაც გავაკეთე, რათა გადამერჩინე შენ ცოდვისაგან, აღარ იმ კაცს თავისი ფული და არ წარგეწყმიდა შენ შენი თავი“. და მადლი მოახსენა მან ღმერთს და წავიდა.

88 (ფოტის პატერიკი, თ. VII, § 54)

კვლავ [იწყო] თხრობა ერთ-ერთმა ძმამ და თქვა. რომ: როდესაც ქალაქ ოქსირინხში ვიყავი, მოგროვდა იქ შაბათ დილას მრავალი გლახაკი, რათა მოწყალება მიეღო. და როდესაც ღამით დაიძინეს, მათ შორის ერთი ძალზე უქონელი ღატაკი აღმოჩნდა. მას არაფერი გააჩნდა თვინიერ ერთი ჭილობისა, რომლის ნახევარი ზემოთ ჰქონდა [გადაფარებული], ნახევარი კი ქვემოთ (დაგებული]. მაშინ იქ საშინელი სიცივე იყო. და წავიდა იგი ღამით წყლის გადასაღვრელად. მე || მესმოდა მისი ხმა: დიდი სიცივის გამო იგი ძალზე კანკალებდა. შემდეგ თავის ადგილას დაბრუნდა, დაწვა და დაუწყო თავის თავს ნუგეშისცემა და ლაპარაკი: „გმადლობ, უფალო, რომ ჩემი თავი მრავალს ამჯობინე. რამდენი მდიდარი ხალხია ციხე-

ში რკინის ბორკილებგაყრილი. ისინი უბედურებასა და გაჭირვებაში არიან. აგრეთვე სხვანიც, რომელთაც ფეხები ფალაკაში* აქვთ და არ შეუძლიათ არც წყლის გადასაღვრელად და არც სხვა რაიმეს გამო გასვლა. ისინი დიდ გასაჭირში არიან. რითი გადაგიხადო შენ წყალობა, უფალო, რაც ისაა, [რომ] აი, მე მოსვენებული მეფის მსგავსად ვჭიმავ ფეხებს, როგორც მინდა და მივდივარ, სადაც მინდა. მადლი შენდა უფალო!". ასე და ამგვარად ის მცირედით კმაყოფილი მადლიერი ღატაკი ინუგეშებდა თავს. და შევედი მე და ვუამბე ძმებს. და როდესაც მოისმინეს მათ, ადიდეს ღმერთი და დიდი სარგებლობა პოვეს.

89 (ფოტის პატერიკი, თ. X, § 162)

მოვიდა ერთი კაცი, რომელიც მკვლელი იყო, რათა ეკითხა
332 v ბერისათვის, თუ შეიწყნარებდა ღმერთი მონანიებას || ცოდვილისა. ბერმა მიუგო მას და თქვა: „დახიე შენი მოსასხამი [და] მყისვე გადააგდე". კაცმა თქვა: „არა, პირიქით, მე მას შევაკეთებ და იგი გამოსადეგი იქნება". და უთხრა მას მონაზონმა: „შენ შენი მოსასხამი თუ გენანება, მაშინ ღმერთიც მოიღებს წყალობას, [რამეთუ] ეცოდება მას თავისი ქმნილება".

90

მოგითხრობთ კვლავ, ძმანო, ვინმე მღვდლის შესახებ, რომელიც ვისმა ეპისკოპოსმა ჩამოაშორა საკურთხეველს. იმ დროს ქრისტიანები მძიმე მდგომარეობაში იყვნენ ჩაყენებული ფეხმრუდე კერპთაყვანისმცემელი მეფეების მიერ. ეს მღვდელი იძულებული გახდა სხვა ქვეყანაში დამალვოდა თავის ეპისკოპოსს. და შეიპყრეს ბერი კერპთაყვანისმცემლებმა იმ შორეულ [ადგილას], აწამეს იგი დიდის წამებით, დაკრეს კიდევაც ხმალი კისერზე და აღესრულა იგი მოწამებრივი სიკვდილით ქრისტეს სახელისათვის. იმ ქალაქის თავმა კი, [სადაც ეს ამბავი მოხდა], გაიღო ქრთამი, წამოიღო მისი ცხედარი და გადამალა.

როდესაც ქრისტიანობა გამოცხადდა, აუგო იმ ქალაქის თავმა მას ეკლესია. ჩადო მისი სხეული მარმარილოს კუბოში და მოათავსა საკურთხეველში. მოიწვია მან ეპისკოპოსი და მთელი იმ მხარის ხალხი ეკლესიის საკურთხებლად. და თქვა მაშინ ეპისკოპოსმა: „ერენე
333 r ბასი"** ამ სიტყვების მნიშვნელობა: || „მშვიდობა თქვენდა ყველას!" დაიწყო ლარნაკმა, იგულისხმება კუბო, რომელშიც მისი ცხედარი იყო, სიარული თავისთავად ისე, რომ გარეთ გავიდა ეკლესიის კარებიდან. და როდესაც ნახეს [ეს] ეპისკოპოსმა, ქალაქის თავმა და

* დასჯის სახეობა; ჯოხს ურტყამენ ჭუსლებზე.

** შდრ. εἰρήνη πᾶσι.

ხალხის კრებულმა, იწყეს ღაღადი: „კირიელეისონ!“ შემდეგ იგი თოკებით ისევ თავის ადგილას საკურთხეველში მოათავსეს. და როდესაც კვლავ დაიწყო მღვდელმა ლოცვის წარმოთქმა, [ლარნაკი] ისევ ეკლესიის გარეთ გაემართა. და განცვიფრდა ხალხი. შეკრთნენ ყველა იქ დამსწრენი. მაშინ ადგა [ქალაქის] ის თავი, რომელმაც ეკლესია ააგო, მოწამის წინაშე მიწაზე დაემხო და დაიწყო გოდება: „ვაი, რომ ჩემ ცოდვათა გამო მოხდა ეს. მე არა ვარ შენი ღირსი წმიდანო ღვთისა!“ იგი გმინავდა და ძალზე იყო შეწუხებული. შემდეგ დატოვა მან ლარნაკი თავის ადგილას ხელუხლებლად.

როდესაც დაღამდა, გამოეცხადა ეპისკოპოსს მოწამე და უთხრა: „გთხოვ, დედის* სიყვარულისათვის, გაგზავნე მავანი ქალაქში ჩემს ეპისკოპოსთან და უთხარი, რომ მომიხსნას || აკრძალვა, რამეთუ 333 v
მან შემკრა ჟამის-წირვისაგან და მე არ ძალმიძს ეკლესიაში ჟამის-წირვის შესრულება, ვიდრე იგი მე არ გამხსნის. რაც შეეხება მოწამებრიობის გვირგვინს, იგი მე ქრისტემ გამომიგზავნა; რაც შეეხება მის სახეს, მე ვერ წარვდგები მის წინაშე და ვერ შევხედავ მას, იმის გამო, რომ აკრძალული მაქვს. ითავე შენ ჩემი გახსნა, რამეთუ ის თუ არ გამხსნის, ვინც შემკრა, ანგელოზიც კი ვერ შეძლებს, რომ ვამხსნას, რადგანაც ყოველთვის, როდესაც მღვდლები მიწაზე კრავენ [ვინმეს], იგი ცაშიც შეკრული იქნება“.

როდესაც გათენდა, ეპისკოპოსი მოჰყვა იმის შესახებ, ვინც ნახა. წავიდნენ მაშინ მოწამის ეპისკოპოსთან და მოუთხრეს ეს ამბავი. და გახსნა მან იგი. აიღო ბარათი და ზედ ასე დაწერა: „ჩემი ენით ქრისტე ლაპარაკობს. მე შენი საცოდავი ეპისკოპოსი ვარ. შენ შენი მოწამებრივი წმიდა ლოცვით განთავისუფლებული იქენი აკრძალვისაგან“. და როდესაც წაიკითხეს ბარათი ლარნაკის წინ, შეიტანეს იგი (ლარნაკი) საკურთხეველში და შეასრულეს ჟამის-წირვა. და იმყოფება ლარნაკი || საკურთხეველში დღესაც. 334 r

ახლა ძმანო, ანგელოზებს რაც შეეხება. როგორც მოწამემ თქვა, მათ არაფრის გახსნა არ შეუძლიათ, რასაც მღვდლები შეკრავენ. და რად გვინდა ახლა ვუთხრათ ერისკაცებს, [რომ] ვხედავთ მათ მომნანიებლად ცოდვებისა და ვხედავთ, რომ ისინი ითხოვენ შველას აკრძალვის მიმართ მაშინ, როდესაც ისინი აქარწყლებენ ამ წმიდანის სიტყვებს, თავიანთ თავს მღვდლებზე მაღლა [მდგომად] ხდიან, ეზიზღებათ ისინი და არაფრად აგდებენ მათ. ეს კი მათთვის არც ღმერთს, არც კანონებსა და არც სინოდს არ უბრძანებია.

---

* შდრ. ἡ ἀμμά.

თქვა ვინმე ძმამ ამ ამბის შესახებ: ჩვენ ვიცით, რომ ძალიან ხშირად ეშმაკებს მღვდლებისაგან განუცდიათ შიში. მაგალითად, ჩემს ქვეყანაში მთის მწვერვალზე ერთი კოშკია. ამ მთაზე მრავალი ეშმაკი იყო. ისინი ქალაქის მიმართულებით ესროდნენ [ქვებს]* მათ, რომელნიც მთასთან ახლოს იყვნენ და ბევრი ხალხი დაჭრეს. და ავიდა
334 v მთაზე ეპისკოპოსი კეთილი განზრახვით || და შეასრულა იქ ჟამისწირვა. როდესაც აიღო მან სეფის-კვერი და მობრუნდა, რათა ეთქვა წმიდათა წმიდა. თქვა, რომ: „ამ წმიდა ხორცით, ხორცით ქრისტესი, ჩვენ გვეძლევა ძალა შევკრათ და გავხსნათ ცასა და მიწაზე და ამიერიდან გიბრძანებთ თქვენ, ო, ბოროტნო სულნო, რომ გადასახლდეთ ამ მთიდან და ამ დროიდან მოყოლებული აღარ ავნოთ არავის მათგან, ვინც ამ ქალაქში ცხოვრობს!“.

ასეც მოხდა. იმ დროიდან დღემდის მათ არავისთვის არ უვნიათ. და ქალაქის მოხუცნი აქამდის შესცქერიან და იხსენებენ მას. და ადიდებენ ისინი ქრისტეს სახელს უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

მოგვითხრეს ჩვენ ზოგიერთმა ძმებმა, რომელნიც რაითის უდაბნოში იყვნენ დამკვიდრებულნი, რომ ერთი მშრომელი ბერი ცხოვრობდა იქ ქვაბებში, რომელიც იმ ადგილის ზემოთაა, რომელსაც ისრაელი ეწოდება. ამ ბერს გონების სისაღე და სიფხიზლე გააჩნდა. და ყოველთვის, როდესაც იგი ერთ ნაბიჯს გადადგამდა, გაჩერდებოდა, შეამოწმებდა თავის ფიქრებს და იტყოდა: „სადა ვართ ჩვენ, ძმაო ჩემო, სადა ვართ?“ თუ ნახავდა, რომ მისი გონება ლოცულობ-
335 r და და ფსალმუნებდა—შეაქებდა მას ამის გამო. თუ || ნახავდა, რომ იგი ამის საწინააღმდეგოს ფიქრობდა — კიცხავდა, საყვედურობდა და ეუბნებოდა: „მორჩილად დაუბრუნდი შენ საქმეს!“ და ყოველთვის ასეთი იყო ბერის სიტყვა: „ო, ძმაო ჩემო, უკვე მოახლოებულია აღსასრულის ჟამი, მე კი შუაში ვერაფერს ვხედავ“.

ერთხელ ეჩვენა მას ეშმაკი და უთხრა: „რისთვის იღწვი, ბერო? ნამდვილად გეუბნები, რომ არ იქნება შენი ცხონება“. ბერმა მიუგო: „ნუ სწუხარ, თუნდაც არ ვცხონდე, შენ თავს ზევით აღმოვჩნდები და სასჯელისაკენ ვუბიძგებ მას.

---

* შდრ. Vat. ar. 77—يرموا حجارة.

93

ამ ბერის მახლობლად ცხოვრობდა ერთი ძმა ფარანის მოსახლეთაგან, რომელსაც სახელად ჰარისი ერქვა. თავისი მონაზვნობისადმი იგი ცოტა გულგრილი იყო. როდესაც აღსასრული დაუდგა, მის გარშემო მამათა კრებული იჯდა. და აი, ნახა იმ ბერმა, რომ მისი (ძმის) სული სიხარულითა და კმაყოფილებით ამოდიოდა. ბერს უნდოდა, რომ ძმათაც ენახათ სარგებლობა და ჰკითხა იმ ძმას: „ჩვენ ვიცით, ძმაო ჩემო, რომ შენ არ იყავი მოსწრაფე, ვითარცა ჯერ არს, შენს მონაზვნობაში და როგორღა მიდიხარ ახლა თამამად უფალთან?“

ძმამ მიუგო: „მართალს ამბობ, მამაო. || [ეს] იმიტომ არის, რომ 335 v
იმ დღიდან, რაც მე მონაზვნად შევდექი, არ მაგონდება ვინმე ცოდვილ ადამიანს [რომ] დავახლოვებოდი, ჩემ დღეში არავინ მძულებია და ამიერიდან ასე მინდა ქრისტეს რომ მივმართო: ო, უფალო ჩემო, შენ თქვი: „ნუ განიკითხავთ და არა განიკითხნეთ; მიუტევეთ და მოგეტევნენ“*.

როდესაც მოისმინეს მათ, რომელნიც ესწრებოდნენ და ამასთანავე მოინანიეს [ცოდვანი]. უთხრა მას ბერმა: „წარვედ, ძეო ჩემო, მშვიდობით, შენ უშრომლად ხარ ცხონებული!“.

